საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
www.geworld.net
11 - 17 ივლისი, 2012
№26 (164)
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
info@geworld.net

4 უკუღმა, გვარამია, უკუღმა, ანუ ჰა, კიკუ, შენ თუმანი...



## «დაიწყება ოპოზიციის მასობრივი დევნა, რასაც ხანგრძლივი, მასშტაბური ხასიათი ექნება»
6



## ოლიგარქია, აბა, რა არის?!
16

## რამსფელდის იდუმალი ვიზიტი
2



## და სამზადისი ახალი ომისთვის

## «მიშას სახელობის» განჩინება წმინდა სინოდისგან
12



10



## «ქრიამული, რომ «მიშა დამთავრდა» და შემოდგომაზე წავა, აბსურდია»

**ნანა დევდარიანის საავტორო გვერდი**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ამ სკანდალურმა პუბლიკაციამ საქართველოში დიდი ხმაურის გარეშე ჩაიარა. ოპოზიციის მხრიდან გამოხმაურება პრაქტიკულად არ ყოფილა, ხოლო მმართველმა გუნდმა საერთოდ შორს დაიჭირა თავი. პარლამენტის თავმჯდომარემ დავით ბაქრაძემ რამსფელდის ვიზიტთან დაკავშირებით კომენტარის გაკეთება არ ისურვა, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ დავით ჯალაღონიამ კი განაცხადა, რომ ამის შესახებ ინფორმაცია არ აქვს (!). სამაგიეროდ, ეს ინფორმაცია არ უარყო ქრისტიან-დემოკრატმა ნიკა ლალიაშვილმა, თუმცა დეტალებზე საუბრისგან მრავალმნიშვნელოვნად შეიკავა თავი.**

# რამსფელდის იდუმალი ვიზიტი



# და სამზადისი ახალი ომისთვის

გასულ კვირას უცხოურმა ინტერნეტ-რესურსმა eurasiareview-მ რიკ როზოფის სტატია გამოაქვეყნა სათაურით „დონალდ რამსფელდი საქართველოში ბრუნდება“.
საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინგლისურ ვებგვერდზე დაყრდნობით, ავტორი წერს, რომ თავდაცვის ყოფილი მდივანი დონალდ რამსფელდი საქართველოს ერთი კვირით ეწვია ივნისში.
ავტორს შეუმჩნეველი არ დარჩენია, რომ ქვეყანაში გასულ თვეში სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი, NATO-ს გენერალური მდივნის მოადგილე ალექსანდრ ვერშბოუ, ამერიკელი მაღალჩინოსნები და NATO-ს უმაღლესი გაერთიანებული ძალების მთავარსარდლის მოადგილე მიჩისლავ ბიენიეკი იმყოფებოდნენ; ვერშბოუს სტუმრობის დროს ვიცეპრემიერმა გიორგი ბარამიძემ კი განაცხადა, რომ გენერალური მდივანი ანდერს ფოგ რასმუსენი მის ქვეყანას სექტემბერში ეწვევა.

**„აშშ-სა და NATO-ს ოფიციოზის უმაღლეს წარმომადგენლებს რაღაც იზიდავს სამხრეთკავკასიური ქვეყნისაკენ. 2 ივლისს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან და თავდაცვის მინისტრის მოადგილე ნოდარ ხარშილაძესთან შესახვედრად აშშ-ის კონგრესმენთა ექვსწევრიანი დელეგაციაც ჩავიდა, რათა NATO-ს მიერ ავღანეთის ომში ჩასანაცვლებლად ამერიკელთა გაწვრთნილ ქართულ ჯარს დაკვირვებოდნენ“,** — წერს რიკ როზოფი.

NATO-სა და რუსეთში ყოფილ ელჩ ვერშბოუს, ამჟამად თავდაცვის მდივნის თანაშემწეს საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხებში, თან ახლდა თავდაცვის მდივნის თანაშემწე (თავდაცვის მდივნის უფროსი მრჩეველი ტექნოლოგიებისა და ლოჯისტიკის საკითხებში ბირთვული, ქიმიური და ბიოლოგიური თავდაცვის პროგრამებთან დაკავშირებით) ენდრიუ ვებერი, თავდაცვის მდივნის თანაშემწის მოადგილე რუსეთში, უკრაინასა და ევრაზიაში სელესტა ვოლანდერი და კონტრადმირალი მარკ მონტგომერი – აშშ-ის ევროპული მთავარსარდლის მოადგილე, დაგეგმარების პოლიტიკისა და სტრატეგიის დირექტორი.

**ვერშბოუ საქართველოს თავდაცვის მინისტრ ბაჩანა (ბაჩო) ახალაიას შეხვდა. პოლონელი გენერალი ბიენიეკი, NATO-აშშ-ის გაერთიანებული მთავარსარდლობის მეორე პირი, ასევე იმყოფებოდა საქართველოში ივნისში ორი დღით. როზოფის სიტყვებით, ამერიკელ კონგრესმენთა დელეგაცია დააკვირდება ამერიკელებისა და ქართველთა ერთობლივი წვრთნის პროცესს, ავღანეთში ჩანაცვლების მიზნით, რომელიც, აშშ-ის საელჩოს პრესრელიზის თანახმად, საერთაშორისო უსაფრთხოების დამხმარე ძალას (ISAF) წარმოადგენს.**

21 ივნისს საქართველოში რამსფელდი დაბრუნდა. მისი პირველი მოგზაურობა შედგა 2001 წლის დეკემბერში, თერთმეტ თვეში, მას შემდეგ, რაც ის აშშ-ს თავდაცვის მდივანი გახდა, რასაც მოჰყვა თავდაცვის დეპარტამენტისაგან საქართველოსთვის წვრთნისა და აღჭურვის პროგრამა, რომელსაც თავდაპირველად უძღვებოდა აშშ-ის მწვანეზერეტიანთა საგანგებო ძალები, შემდეგ — აშშ-ის საზღვაო კორპუსი და ბრიტანეთის არმიის პირადი შემადგენლობა. პროგრამამ 2004 წლამდე გასტანა, როცა საქართველომ სტაბილურობას მიაღწია. საბოლოო ჯამში, აშშ-მა და მისმა NATO-ელმა მოკავშირეებმა გარდაქმნეს ქართული შეიარაღებული ძალები ერაყსა და ავღანეთში ჩანაცვლებისთვის, აგრეთვე, სამხრეთ ოსეთში შეჭრისა და რუსეთთან ომისათვის 2008 წელს.

**2003 წლის 5 დეკემბერს რამსფელდი მაღალი რანგის პირველი ამერიკელი ოფიციალური პირი იყო, ვინც ქვეყანას ეწვია ექსტრალეგალური პუტჩის შემდგომ პერიოდში, რომელიც „ვარდების რევოლუციის“ სახელითაა ცნობილი, რომლის შედეგადაც მომდევნო თვეში 96-პროცენტიანი მაჩვენებლით სააკაშვილი ხელისუფლების სათავეში აღმოჩნდა.**

პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის იძულებითი გადადგომიდან ორი კვირის შემდეგ რამსფელდი თბილისში გახლდათ. თავის სიტყვაში მან „ხაზი გაუსვა ამერიკის უაღრესად მტკიცე მხარდაჭერას და სტაბილურობას, უსაფრთხოებას, საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას“. იგი შეხვდა „ვარდების“ ტრიუმვირატს, მაშინდელი საქართველოს დროებით პრეზიდენტს — ნინო ბურჯანაძეს, სახელმწიფო მინისტრს — ზურაბ ჟვანიას (ვისი ოჯახიც 2005 წელს მისი გარდაცვალების გამო სააკაშვილს უყენებს ბრალდებას) და პრეზიდენტობის კანდიდატს — მიხეილ სააკაშვილს. იგი ასევე ინსპექტირებაზე იმყოფებოდა კრწანისის ნაციონალურ საწვრთნელ ცენტრში, დედაქალაქთან ახლოს, სადაც წინა წლიდან მოყოლებული აშშ ქართულ ჯარს ავარჯიშებდა (რაც ამჟამადაც გრძელდება).

**თბილისში ყოფნისას თავისი დროის უდიდესი ნაწილი მან დაუთმო ნავთობსადენის შემოწმებას, რომელიც შემდეგში ჩაერთო ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის (აზერბაიჯანი-საქართველო-თურქეთი) ნავთობის ტრანსპორტირების პროექტში, რომელსაც მსოფლიოს ყველაზე პოლიტიზირებული ნავთობსადენის რეპუტაცია აქვს.**

თბილისში ჩამოსვლიდან ექვსი დღის შემდეგ ქართული საგანგებო ძალები შევიდნენ ისედაც დანგრეულ სამხრეთ ოსეთში. ბრიტანული „დეილი ტელეგრაფის“ შეფასებით, „ქვეყანაში კიდევ უფრო გაღვივდა დაძაბულობა, რაც სამოქალაქო ომისკენ უბიძგებდა მას“.

მისი წასვლიდან ერთი კვირის შემდეგ, პირველმა ოთხმა ქართულმა ბატალიონმა, რომელსაც წვრთნიდა აშშ-ის სამხედრო პირადი შემადგენლობა, წვრთნისა და აღჭურვის ქართული პროგრამის შესაბამისად დაასრულა მეცადინეობა.

**2004 წლის მაისში აჭარა მოექცა პრეზიდენტ სააკაშვილის კლანჭებში, რასაც ფართო მასშტაბის ქართული სამხედრო წვრთნები მოჰყვა მისსავე საზღვარზე; სააკაშვილი იმუქრებოდა, რომ შემდეგი აფხაზეთი იქნებოდა; ოთხი წლის შემდეგ მან იგივე სცადა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის წინააღმდეგ, მაგრამ რუსეთის სამხედრო ძალებმა აქეთ მოუწყვეს ინტერვენცია.**

გასული თვის ბოლოს, როდესაც რამსფელდი დაბრუნდა საქართველოში, მას თავდაცვის მინისტრი ბაჩო ახალაია მიესალმა, რომელმაც მიაწოდა ინფორმაცია თავისი ქვეყნის სამხედრო პოტენციალის ტრანსფორმაციისა და ბრძოლისუნარიანობის ამაღლების თაობაზე აშშ-ისა და NATO-ს მფარველობის ქვეშ.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ვებგვერდის მიხედვით, რამსფელდისა და ახალაიას შეხვედრის დროს „ფოკუსი მიმართული იყო საქართველოს თავდაცვის უნარებისა და სამხედრო განათლების დონის ამაღლებისაკენ“.

ორივე მხარე „ასევე შეეხო საქართველოს ჩართვას ISAF-ის მისიაში და NATO-ში ინტეგრირების პერსპექტივაში“. საქართველოს თავდაცვის შეფმა „გამოხატა თავისი მადლიერება თავდაცვის ყოფილი მდივნის მიმართ აშშ-საქართველოს ურთიერთობის გაღრმავებაში შეტანილი წვლილისათვის თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროებში“.

შემდეგ ახალაიამ დასძინა, რომ „ორ ქვეყანას შორის ინტენსიურ ურთიერთთანამშრომლობას საფუძველი ჩაეყარა პენტაგონში სწორედ რამსფელდის მოღვაწეობისას და შეერთებულ შტატებში ჯორჯ ბუშის პრეზიდენტობის პერიოდში“.

რიკ როზოფი სტატიას ასეთი დასკვნით ასრულებს: „ათიოდე დღის წინ რამსფელდს, დამსახურებისამებრ, საქართველოში პენტაგონ-NATO-ს სუროგატული არმიის შექმნის პროცესის დაწყების უფლება მიეცა, რომელიც ამჟამად შემოწმებას გადის ახალი კონფლიქტის მზადყოფნისთვის“.

**ამ სკანდალურმა პუბლიკაციამ საქართველოში დიდი ხმაურის გარეშე ჩაიარა. ოპოზიციის მხრიდან გამოხმაურება პრაქტიკულად არ ყოფილა, ხოლო მმართველმა გუნდმა საერთოდ შორს დაიჭირა თავი. პარლამენტის თავმჯდომარემ დავით ბაქრაძემ რამსფელდის ვიზიტთან დაკავშირებით კომენტარის გაკეთება არ ისურვა, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ დავით ჯალაღონიამ კი განაცხადა, რომ ამის შესახებ ინფორმაცია არ აქვს (!). სამაგიეროდ, ეს ინფორმაცია არ უარყო ქრისტიან-დემოკრატმა ნიკა ლალიაშვილმა, თუმცა დეტალებზე საუბრისგან მრავალმნიშვნელოვნად შეიკავა თავი.**

ინფორმაციის უარყოფას აზრი მართლაც არ ჰქონდა, რადგან, მართალია, მხოლოდ ერთი მოკლე ოფიციალური ცნობა გავრცელდა, მაგრამ იგი ყველგან დაიბეჭდა: **„საქართველოში ვიზიტით ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის ყოფილი მდივანი დონალდ რამსფელდი იმყოფება. ამერიკელი პოლიტიკოსი და ბიზნესმენი დღეს საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ბაჩო ახალაიამ მიიღო. საქართველოს თავდაცვის მინისტრმა დონალდ რამსფელდს საქართველოს თავდაცვის სფეროში მიმდინარე რეფორმები გააცნო, ყურადღება საქართველოს თავდაცვისუნარიანობის ამაღლებასა და სამხედრო განათლებაზე გამახვილდა. საუბარი შეეხო ISAF-ის მისიაში საქართველოს მონაწილეობას და ნატოში ინტეგრაციის პერსპექტივებს. ბაჩო ახალაიამ ამერიკის თავდაცვის ყოფილ მდივანს საქართველოსა და ამერიკას შორის თავდაცვის სფეროში ურთიერთობის გაღრმავებაში შეტანილი წვლილისათვის მადლობა გადაუხადა. თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში ორ ქვეყანას შორის მჭიდრო თანამშრომლობას საფუძველი სწორედ დონალდ რამსფელდის პენტაგონში ყოფნის პერიოდში, პრეზიდენტ ბუშის დროს, ჩაეყარა“.**

ამ ინფორმაციას რამსფელდის მოკლე ბიოგრაფიული ცნობა ერთვოდა, რომელშიც მხოლოდ პოლიტიკური თანამდებობების ჩამონათვალი იყო. ცხადია, თავდაცვის სამინისტრო მისი ბიზნეს-ინტერესების შესახებ არაფერს დაწერდა, თუმცა ამ თემას ქვემოთ მივუბრუნდეთ, ახლა კი ქართველ მაღალჩინოსანთა ომერტას ჩავუღრმავდეთ.

**რატომ ასავსავებენ ხელებს გადამდგარი თავდაცვის მდივნის ხსენებაზე მმართველი გუნდის წარმომადგენლები და რას აკეთებდა მთელი ერთი კვირა საქართველოში 80 წლის „ყველაზე ხანგრძლივი თავდაცვის მინისტრი“? იმ ერთი ნახსენები ინფორმაციის გარდა, უშიშროების საბჭოს მდივან გიგა ბოკერიასთან შეხვედრის გარდა, დონალდ რამსფელდის ვიზიტის დეტალების შესახებ ერთი სიტყვაც არ უთქვამთ არც ამერიკელებისადმი მოწიწებითა და ხბოს აღტკინებით განთქმულ „რუსთავი 2“-ს და არც სხვა, ამავე თვისებებით უხვად შემკულ მედიასაშუალებებს.**

შეგახსენებთ, რომ 2003 წელს, **„ექსტრალეგალური პუტჩის შემდგომ, რომელიც „ვარდების რევოლუციის“ სახელითაა ცნობილი“ (როზოფის დეფინიცაა), რამსფელდი მხოლოდ ერთი დღით ჩამოვიდა საქართველოში. იმ ერთ დღეში მან კრწანისის სასწავლო ცენტრის დათვალიერებაც მოასწრო, ამერიკელ ოფიცრებთან არაფორმალური საუბარიც, სააკაშვილთან, ბურჯანაძესთან და ჟვანიასთან შეხვედრებიც და დავით თევზაძესთან მოლაპარაკებაც.**

ერთადერთი ინფორმაცია, რომელმაც წლევანდელი ერთკვირიანი ვიზიტის შესახებ გაჟონა, ჩეპმენის უნივერსიტეტის ბლოგში დაიდო. ამერიკელი სტუდენტები წერენ, რომ ბათუმში საზღვარგარეთ საზაფხულო სწავლების პროგრამის ფარგლებში დონალდ რამსფელდს შეხვდნენ. იქვე ამ შეხვედრის ფოტოც დევს. **რამსფელდი რომ შორტებში გამოწყობილ პენსიონერ ტურისტს არ ჰგავს,** ▶

**«ათიოდე დღის წინ რამსფელდს, დამსახურებისამებრ, საქართველოში პენტაგონ-NATO-ს სუროგატული არმიის შექმნის პროცესის დაწყების უფლება მიეცა, რომელიც ამჟამად შემოწმებას გადის ახალი კონფლიქტის მზადყოფნისთვის»**

ნანა დევდარიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რა აკავშირებს რამსფელდის ნახევრადლეგალურ ტურნეს ახალაიების საკადრო როტაციასთან?

**ამერიკელების დიდი სურვილია, რომ საქართველო ნატოში გაწევრიანდეს. ამის შესახებ ჩიკაგოს სამიტზეც ითქვა, საქართველოს მისცეს ასპირანტი ქვეყნის სტატუსი. მაგრამ როგორი იქნება საქართველოს მიმართ გერმანიისა და საფრანგეთის დამოკიდებულება, ეს იქნება მთავარი. წინა შემთხვევებში ძველმა ევროპამ კატეგორიული უარი განაცხადა. რაც შეეხება ამერიკას, ის მაშინაც და დღესაც მომხრეა, საქართველო შევიდეს ნატოში. ყოველ შემთხვევაში, რამსფელდის ვიზიტი სწორედ ამ საკითხის განხილვას ემსახურებოდა.**





**◀ ეს ფაქტია, თუმცა მისი ვიზიტის კვალდაკვალ თავდაცვის სამინისტროს მთელი ხელმძღვანელობა რომ ამ სფეროს ერთიანად ჩამოაშორეს, ესეც თვალსაჩინოა. ბაჩო ახალაია არამარტო თავად წავიდა თავდაცვიდან, არამედ ხარშილაძეც თან წაიყოლა, რომელთანაც მოლაპარაკებებს ამერიკელები სულ ცოტა ხნის წინ მართავდნენ.**

2012 წლის თებერვლის დასაწყისში ბაჩო ახალაია ბრიუსელში, ნატოს შტაბ-ბინაში ამერიკელ კოლეგას — ლეონ პანეტას შეხვდა. ეს შეხვედრა სააკაშვილმა ობამასთან შეხვედრისას შეათანხმა. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს განცხადებით, თუ ადრე ამერიკულ მხარესთან თანამშრომლობა ავღანეთში სამშვიდობო მისიაში ქართველი სამხედროების მონაწილეობით შემოიფარგლებოდა, ამიერიდან თანამშრომლობა საქართველოს თავდაცვისუნარიანობის ამაღლების კუთხით წარიმართება. გამოცხადდა ამერიკელი სამხედრო სპეციალისტების საქართველოს თავდაცვის უწყებაში მივლინების შესახებ. ნატოში საქართველოს ელჩმა გრიგოლ მგალობლიშვილმა კი დაადასტურა, რომ უახლოეს მომავალში სპეციალური ჯგუფები შეიქმნება, რომლებიც ქართული არმიის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების გეგმაზე იმუშავებენ.

რა დაინახეს ამერიკელმა ინსტრუქტორებმა საქართველოს თავდაცვის სამინისტროში ისეთი, რომ სულ რაღაც 4 თვეში ახალაიაც და მისი გუნდიც ამ უწყებას ჩამოშორდნენ, ხოლო მინისტრის პოსტი დიმიტრი შაშკინმა დაიკავა? „საქართველო და მსოფლიო“ ამ საკითხზე უკვე წერდა, როცა შაშკინის თავდაცვის მინისტრად დანიშვნის შესახებ გახდა ცნობილი:

**„განათლების მინისტრად დანიშვნამდე ორი თვით ადრე შაშკინი ამერიკაში თვით სენატორ მაკკეინს სტუმრობდა. შაშკინის კარიერულ წინსვლაში ექსპერტები სწორედ მაკკეინის უხილავ ხელს ხედავენ. IRI, რომელშიც შაშკინი 10 წელი წამყვან თანამდებობებზე მუშაობდა, არაერთხელ იყო შემჩნეული სოციოლოგიური კვლევების, რბილად რომ ვთქვათ, ერთობ საეჭვო შედეგების გამოქვეყნებაში. IRI-ის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარეა ამერიკელი სენატორი ჯონ მაკკეინი, ხოლო ამ ორგანიზაციაში წლების მანძილზე მუშაობდა საქართველოს მთავრობის წევრი, ახალი დემოკრატიული ტალღის წარმმართველი და ხელმძღვანელი დიმიტრი შაშკინი. ბატონი მაკკეინი საქართველოს მეგობარია, ამავე დროს, იგი საქართველოს პრეზიდენტის, ბატონ მიხეილ სააკაშვილის მეგობარია. ბატონი შაშკინი კი მიხეილ სააკაშვილის მეგობარი და უახლოესი თანამებრძოლი.**

**დღესაც არშემდგარი უმცროსი ლეიტენანტის თავდაცვის მინისტრად გამწესებაში უკანა პლანზე მაკკეინის ჩრდილი მოჩანს. ამერიკელი „ქორი“ 2008 წელსაც აქეზებდა სააკაშვილს და არც ახლა უნდა იყოს შემთხვევითი საქართველოს ხელისუფლების საომარი რიტორიკა საპარლამენტო არჩევნების წინ. მაკკეინის პროტეჟეც, მართლაც რომ დროულად, სწორედ თავდაცვის მინისტრის პოსტს იკავებს“.**

უცნაურია, მაგრამ მაკკეინი დონალდ რამსფელდს „ყველაზე უარეს თავდაცვის მინისტრს“ უწოდებდა და წამებაში ადანაშაულებდა. ამდენად, თავდაცვის მინისტრად მაკკეინის პროტეჟეს დანიშვნა რამსფელდის საქართველოდან წასვლისთანავე მისთვის სასიამოვნო ნამდვილად არ აღმოჩნდებოდა.

ასეა თუ ისე, მთელ ამ ისტორიაში მეტისმეტად ბევრი დამთხვევა და გაურკვევლობაა. იმ ფონზე, როცა სააკაშვილი და მისი თანაგუნდელები ამომრჩეველს აჩვევენ აზრს არჩევნების წინ რუსეთის მხრიდან შესაძლო თავდასხმების შესახებ, მეტად ნიშანდობლივია სწორედ რამსფელდის ერთკვირიანი ვიზიტი. იმ რამსფელდისა, რომელმაც რადიო „თავისუფლების“ შეკითხვაზე ერაყში სადამის დამხობის შემდეგ მაროდიორობასა და განუკითხაობაზე ასე უპასუხა: „ყოველთვის, როცა რეჟიმი იცვლება, გარდამავალი პერიოდი უნაკლო არ არის. ეს გარდაუვალია, ისტორიაც ამას ამტკიცებს და ეს ყოველთვის იყო... განა შესაძლებელია ეს თავიდან აიცილო“?

მეორე მხრივ, სხვა ინტერვიუში რამსფელდი იმას ნანობდა, რომ ერაყსა და ავღანეთში უწევდა სიარული, როცა მისი ვაჟი ნარკოდამოკიდებულების სამკურნალოდ კლინიკაში დაწვა და მან სათანადო ყურადღება ვერ დაუთმო შვილს ამ მძიმე მომენტში. ახლა, როცა სახელმწიფო სამსახურს ჩამოშორდა და 80 წლის ჭარმაგ მამაკაცს დრო გამოუჩნდა, მამა ისევ ვერ უთმობს შვილებსა და შვილიშვილებს ყურადღებას – მას შორეულ საქართველოში მთელი ერთი კვირით მოუწია გამგზავრება.

თუმცა... არც ის უნდა გაგვიკვირდეს, რომ უახლოეს მომავალში საქართველოს ჯანდაცვის სტრასბურგმოვლილმა და მერყოფილმა ზურაბ ჭიაბერაშვილმა „ქათმის გრიპის“ საფრთხეზე დაიწყოს ლაპარაკი და არჩევნების წინ ყველა ამომრჩევლის ტამიფლუთი უზრუნველყოფა მოინდომოს. ათეულობით ბიზნეს-კომპანიას შორის, რომლებშიც აშშ-ის თავდაცვის ყოფილ მდივან დონალდ რამსფელდს საკუთარი ინტერესი აქვს, არის ფარმაცევტული კომპანია Gilead Sciences-ი, რომელსაც გამინისტრებამდე რამსფელდი ხელმძღვანელობდა და რომელიც ტამიფლუს ექსკლუზიურ პატენტს ფლობს. როგორც კი პენტაგონში მივიდა, რამსფელდმა ამერიკის ბიუჯეტიდან ყველა ამერიკელი სამხედროსთვის ამ პრეპარატის დაფინანსება მოითხოვა და, „ქათმის გრიპის“ ირგვლივ ატეხილი ისტერიის ფონზე, 2 მილიარდი დოლარიც მიიღო. ტამიფლუს ყოველი გაყიდული კოლოფიდან რამსფელდს 10 პროცენტი ეკუთვნის, ხოლო ზემოთ აღწერილი ერთი ოპერაციის შედეგად სულ რაღაც ერთ კვირაში მისი (რამსფელდის) კუთვნილი აქციების ღირებულება 700 პროცენტით გაიზარდა!

**კაცმა რომ თქვას, ერთი მეორეს ხელს არ უშლის. რამსფელდს ორი საქმის ერთდროულად კეთება არასოდეს უჭირდა. მას ტამიფლუს გასაღებაზეც შეუძლია ზრუნვა და საიდუმლო ინსტრუქციების ჩამოტანაც, მით უფრო, რომ ყველაზე სერიოზულ გზავნილებს წერილობით არავინ გზავნის, როგორც წესი, ისინი ცოცხალ კურიერებს სიტყვიერად ჩამოაქვთ.**

ისე, ჯეიმს ბეიკერიც გადამდგარი სახელმწიფო მდივანი იყო, როცა 2003 წლის არჩევნების წინ ჩამოვიდა და შევარდნაძეს „ბეიკერის ორმო“ გაუთხარა. საკითხავი მხოლოდ ის არის, ვის უთხრიდა ორმოს საქართველოში ერთი კვირით ჩამოსული აშშ-ის გადამდგარი თავდაცვის მდივანი დონალდ რამსფელდი.

ამასობაში კი სასტუმრო „რადისონში“ ორდღიანი ქართულ-ამერიკული სიმპოზიუმი გაიმართა, რომელიც ახლადგაპრემიერებულმა ვანო მერაბიშვილმა გახსნა. სიმპოზიუმზე ქართული კომპანიები პენტაგონის სატენდერო პირობებს გაეცნენ. საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა ქართულ-ამერიკული სიმპოზიუმის გახსნის შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა: „ქართველ მეწარმეებს მიეცათ უნიკალური შანსი, გავიდნენ ძალიან დიდ ბაზარზე. ეს არის 47-მილიარდიანი ბაზარი. ეს არის გაცილებით მეტი, ვიდრე ნებისმიერი ქვეყნის და მთლიანად ჩვენი რეგიონის ბაზარი. სიმპოზიუმი ეძღვნება იმას, რომ ქართველმა მეწარმეებმა მოახდინონ ქართული პროდუქციის ექსპორტი“.

მერაბიშვილის შეფასებით, ეს საქართველოსთვის დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნის საფუძველი იქნება, რაც საქართველოს მოსახლეობას მეტ სიკეთეს მოუტანს.

სამხედრო შეკვეთებზე მონადირე ამერიკული ფირმები, რომელთაც რამსფელდის მაგვარი პატრონები და ლობისტები ჰყავთ, ნაკლებ სავარაუდოა, რომ შეკვეთებს ქართულ ფირმებს დაუთმობენ, თუმცა, თუკი ავღანეთში „იაფი“ ქართველი ჯარისკაცების კონტინგენტი კვლავაც უნდა გაიზარდოს (სწორედ ამაზე მიანიშნებს თავის სტატიაში რიკ როზოფი), მაშინ არც ის არის გამორიცხული, რომელიმე ქართულმა ფირმამ პენტაგონის დაფინანსებით ავღანეთში ცხელი ხაჭაპურების გაგზავნის ტენდერიც მოიგოს.

ამბობენ, რამსფელდს ცხელი ხაჭაპური ჰყვარებია, ოღონდ სასწაულმოქმედი ტამიფლუს შემდეგ.

**დავით დარჩიაშვილი, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი:**

— დონალდ რამსფელდს შეხვედრები ჰქონდა აკადემიურ წრეებთან, სახელმწიფო მოხელეებთან. ძირითადი მსჯელობა მიმდინარეობდა როგორც ქვეყნის, ასევე რეგიონისა და უსაფრთხოების საკითხებზე. ასეთი რანგის ადამიანთან საუბარი ყოველთვის აქტუალური, საინტერესო და ეფექტურია შემდგომი გადაწყვეტილებებისათვის. თავად რამსფელდი კერძო და საზოგადოებრივი საქმიანობითაა დაკავებული. მას აქვს თავისი პროგრამა, რომლის მეშვეობითაც, მოძიებული თანხების დახმარებით, ის ცენტრალური აზიის, ასევე კავკასიის პოლიტიკოსებს, დიპლომატებს, ექსპერტებს შეერთებულ შტატებში სხვადასხვა კვლევით შესაძლებლობას სთავაზობს. ეს ამ პროგრამის მონაწილეთა შეკრება იყო. ამ მისიით ჩამოვიდა რამსფელდი საქართველოში. მისი ვიზიტი გამოხატულება არის შეერთებული შტატების საზოგადოების, პოლიტიკოსების, გავლენიანი წრეების დაინტერესებისა საქართველოს მიმართ. რაც შეეხება სტატიაში ნათქვამს, რომ რამსფელდს მიეცა პენტაგონი-NATO-ს სუროგატული არმიის შექმნის პროცესის დაწყების უფლება, პირველად მესმის.

**გულბაათ რცხილაძე, პოლიტოლოგი:**

— ვნახე ეს სტატია, გავეცანი და, მართალი გითხრათ, ვერ გავიგე, რა იგულისხმებოდა იმაში, რომ რამსფელდს სუროგატული არმიის შექმნის პროცესის დაწყების უფლება მიეცა. ზოგადად, საქართველო დამოკიდებულია ამერიკის ნებისმიერი დონის ჩინოვნიკებზე, მათ ნება-სურვილზე და სუვერენულ სახელმწიფოს არ წარმოადგენს. იარაღი ამერიკის ხელშია ნებისმიერი პროვოკაციის მოსაწყობად. გამომდინარე იქიდან, რომ კონტექსტი არის მძიმე და აქ საუბარია, პირველ რიგში, რუსეთის წინააღმდეგ პროვოკაციების მოწყობაზე, ასევე ირანის წინააღმდეგ რაიმე სტრატეგიის შემუშავებაზე, ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, ამ კონტექსტში ჯდება.

**ჰამლეტ ჭიპაშვილი, პოლიტოლოგი:**

— **საქმე ისაა, რომ რამსფელდი ტყუილად არ ჩამოსულა, არც დასასვენებლად და არც დროის სატარებლად. მისი მიზანია საქართველოს მაქსიმალურად მიბმა ამერიკის შეერთებულ შტატებზე.** რასაც ეს ხელისუფლება აკეთებს სააკაშვილის ხელმძღვანელობით, ნიშნავს სრულ კაპიტულაციას ამერიკის შეერთებული შტატების წინაშე. ამას ამერიკაც პასუხობს თავისთავად, ვინაიდან ამერიკისთვის აბსოლუტურად მიუღებელია ქართველი ხალხის ინტერესი. მისთვის მთავარია საკუთარი ინტერესი. ეს კი არის კავკასიაში ფეხმოდგმული პოზიციების კიდევ უფრო განმტკიცება. სამხედრო თვალსაზრისით, საქართველოს სტრატეგიული პოზიცია უჭირავს. დღეს ვითარება ახლო აღმოსავლეთში საკმაოდ დაძაბულია. არაა გამორიცხული, რომ ამერიკამ ომი წამოიწყოს ირანის წინააღმდეგ და, აქედან გამომდინარე, საქართველოს გეოგრაფიულ მდებარეობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ხვალ რა იქნება, არავინ იცის. ჯერჯერობით ამერიკელები თავს იკავებენ, საპრეზიდენტო არჩევნებიდან გამომდინარე, მაგრამ მის შემდეგ, ნოემბერში, რა განწყობაზე იქნება ან ობამა, ან ის ადამიანი, ვინც თეთრ სახლში მისვლას აპირებს, ღმერთმა იცის. არა მგონია, დადებითი განწყობა იყოს ირანის მიმართ. არაა გამორიცხული, რომ ამერიკელებმა თვალი დახუჭონ ისრაელის სურვილზე, ირანის ბირთვული ობიექტების წერტილოვანი დაბომბვა განახორციელოს. სირიაში როგორი მდგომარეობაცაა, თქვენც კარგად იცით. ფაქტობრივად, იქ სამოქალაქო ომი მიმდინარეობს. როგორც სირიის პრეზიდენტმა ასადმა ინტერვიუში განაცხადა, ამერიკის შეერთებული შტატები ამ ავანტურაში სირიის წინააღმდეგ მონაწილეობს. პრეზიდენტი ასადი აცხადებს, რომ ამერიკა უკვე მხარეა ამ შიდა დაპირისპირებაში. ყოველივე ეს მიანიშნებს იმაზე, რომ **რამსფელდის ვიზიტი სწორედ ამ საკითხებს უკავშირდება. მან კიდევ ერთხელ მონიშნა სააკაშვილის დამოკიდებულება ამერიკელების ნებისმიერი ქმედებისადმი და, მზადაა თუ არა სააკაშვილი, ისევ ამერიკის ნებისმიერ წინადადებას დადებითი პასუხი შეაგებოს. ამერიკელების დიდი სურვილია, რომ საქართველო ნატოში გაწევრიანდეს. ამის შესახებ ჩიკაგოს სამიტზეც ითქვა, საქართველოს მისცეს ასპირანტი ქვეყნის სტატუსი. მაგრამ როგორი იქნება საქართველოს მიმართ გერმანიისა და საფრანგეთის დამოკიდებულება, ეს იქნება მთავარი. წინა შემთხვევებში ძველმა ევროპამ კატეგორიული უარი განაცხადა. რაც შეეხება ამერიკას, ის მაშინაც და დღესაც მომხრეა, საქართველო შევიდეს ნატოში. ყოველ შემთხვევაში, რამსფელდის ვიზიტი სწორედ ამ საკითხის განხილვას ემსახურებოდა.**

**ჰამლეტ ჭიპაშვილი: საქმე ისაა, რომ რამსფელდი ტყუილად არ ჩამოსულა, არც დასასვენებლად და არც დროის სატარებლად. მისი მიზანია საქართველოს მაქსიმალურად მიბმა ამერიკის შეერთებულ შტატებზე**

ჩვენიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მეგრული სეპარატიზმის თემით აპელირება ხელს აძლევს პოლიტიკურ კურტიზანთა იმ ჯგუფს, რომელიც წინასაარჩევნოდ, გამომდინარე პრინციპიდან „ვინც ჩვენთან არ არის, ჩვენი მტერია“, ცდილობს, სეპარატისტის იარლიყი მიაკეროს, ყოველგვარი პროტესტის გამოხატვისადმი კომპლექსი გაუჩინოს და სტიგმის წნეხის ქვეშ მოაქციოს სამეგრელოს საზოგადოების ის ნაწილი, რომლისთვისაც მიულებელია მარიონეტი პოლიტიკოსების მიერ მთელ ქვეყანაში და, რა თქმა უნდა, სამეგრელოშიც, გატარებული დამღუპველი პოლიტიკა.**

# უკუღმა, გვარამია, უკუღმა, ანუ ჰა, კიკუ, შენ თუმანი...

**5 ივლისს „რია ნოვოსტის“ თბილისის საერთაშორისო პრესცენტრში გაიმართა მრგვალი მაგიდა თემაზე „ვის აძლევს ხელს სეპარატიზმი სამეგრელოში“. დისკუსიაში ქართველი ჟურნალისტები, ექსპერტები და ისტორიკოსები მონაწილეობდნენ.**



„მეგიოხვენჯე“ – ეს მეგრული სიტყვა ზედმიწევნით ერგება ყველა იმ პერსონას, რომლებიც არარსებული მეგრული სეპარატიზმის თემის ექსპლუატაციას ეწევიან. ვინაიდან ამ სიტყვის ადრესატს აქვს პრეტენზია, თავი „მეგრული საკითხის“ სპეციალისტად წარმოადგინოს, დარწმუნებული ვარ ამ არასაპარლამენტო მეგრული ტერმინის მნიშვნელობაც ეცოდინება და მისი განმარტებით თავს არ მოგაწყენთ. არც ზემოაღნიშნული მრგვალი მაგიდის წევრთაგან ამ სიტყვის ადრესატთა დახასიათებით დაგღლით, რადგან ამის მცდელობა აუცილებლად მიგვიყვანს სპეცსამსახურების სხვადასხვა რანგის პროვოკატორებისა თუ ხელის ბიჭების საქმიანობის დეტალების განხილვამდე. ეს კი მოსაწყენია, ვინაიდან მათი ნამდვილი სახე და „ეპოლეტების“ რაობა საზოგადოებისთვის, დიდი ხანია, საიდუმლოს აღარ წარმოადგენს.

**რაც შეეხება მეგრულ სეპარატიზმს, რასაც მრგვალი მაგიდა შეეხო, ნებისმიერი არა „მეგიოხვენჯე“, საღად მოაზროვნე ადამიანისთვის ცხადია, რომ მეგრული სეპარატიზმი, როგორც ასეთი, არ არსებობს.**

**სინამდვილეში საქმე გვაქვს ერთგვარ ფანტომთან, ჯერ კიდევ შევარდნაძის ხელისუფლების პერიოდში, მისივე პროპაგანდისტებისა და გაიძვერა მედროვეების მიერ შექმნილ ქიმერასთან, რომელსაც ყოველი არჩევნების წინ და სხვა „საჭირო შემთხვევებში“ იყენებდნენ ხოლმე, რათა სამეგრელოს მოსახლეობის სამართლიანი პროტესტი ანტიეროვნული ხელისუფლებისადმი უნივერსალური კონტრარგუმენტით — სეპარატიზმით — გაებათილებიათ.**

რაც შეეხება შეკითხვას — „ვის აძლევს ხელს სეპარატიზმი სამეგრელოში?“, იგი რიტორიკულია და მასზე პასუხი ნათელია — **მეგრული სეპარატიზმის თემით აპელირება ხელს აძლევს პოლიტიკურ კურტიზანთა იმ ჯგუფს, რომელიც წინასაარჩევნოდ, გამომდინარე პრინციპიდან „ვინც ჩვენთან არ არის, ჩვენი მტერია“, ცდილობს, სეპარატისტის იარლიყი მიაკეროს, ყოველგვარი პროტესტის გამოხატვისადმი კომპლექსი გაუჩინოს და სტიგმის წნეხის ქვეშ მოაქციოს სამეგრელოს საზოგადოების ის ნაწილი, რომლისთვისაც მიუღებელია მარიონეტი პოლიტიკოსების მიერ მთელ ქვეყანაში და, რა თქმა უნდა, სამეგრელოშიც, გატარებული დამღუპველი პოლიტიკა.**

ბევრი რომ არ გავაგრძელო, მრგვალი მაგიდის მსვლელობისას დამოუკიდებელმა ექსპერტმა, ინტერნეტპორტალ „გრუზია ონლაინის“ რედაქტორმა გოჩა გვარამიამ სამეგრელოში სეპარატიზმის აღმოცენების შესაძლებლობის საკითხის განხილვისას აღნიშნა:

**„ალექსანდრე ჭაჭია, რომელმაც 1991 წელს საქართველოს სახალხო განათლების სამინისტროში ქვეყნის ლეგიტიმური მთავრობის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად დატოვა პოსტი, მომხრეა, რომ მეგრულ წიაღში საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ მიმართული რიგი იდეების ჩანერგვამდე, აუცილებელია შეიქმნას „მეგრული ნაცია“, რომელმაც (თითქოს) საბჭოთა პერიოდში ბევრი ეთნიკური ნიშანი დაკარგა“.**

ბატონი გვარამია იქვე უთითებს, რომ ჭაჭიამ თურმე მეგრული ენის შემსწავლელი ორი საკვირაო სკოლაც კი გახსნა.

ბატონი გვარამია უტიფრად ტყუის. ის არ აკონკრეტებს, სად, როდის, რა მიზნით გაიხსნა ასეთი სკოლები, უბრალოდ, საკუთარი (ან უნიჭო ზემდგომის) ფანტაზიის ნაყოფს მომხდარ ფაქტად წარმოგვიდგენს. თუმცა რა უნდა დააკონკრეტოს, როდესაც ეს „მარგალიტიც“ ისეთივე მონაჩმახია, როგორც დანარჩენი გვარამიას „რიანოვოსტული თეზისებიდან“. არადა, **ბატონი გვარამია არ ტოვებს იმდენად გაუნათლებელი ადამიანის შთაბეჭდილებას, რომ არ იცოდეს საკვირაო სკოლის მნიშვნელობა, არ ესმოდეს, რომ საუბრობს არა პორტუგალიაზე (სადაც შეიძლება ვინმეს კიდეც გაეხსნა სუაჰილის, არამეულის, ყალმუხურის ან სულაც მეგრულის შემსწავლელი საკვირაო სკოლა), არამედ სამეგრელოზე, რომლის მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ მეგრული ისედაც იცის და სკოლის გახსნა ყოველგვარ ლოგიკას მოკლებულია...** იცის ეს ყველაფერი ბატონმა გვარამიამ, მაგრამ რა ქნას? — ბრძანება აქვს და უნდა შეასრულოს, თორემ მასაც ისევე მიავლენენ სადმე ევროპაში განათლების და კვალიფიკაციის ასამაღლებლად, როგორც მისი მოგვარე გაამწესეს განათლების მინისტრის სავარძლიდან რიგით სტუდენტად ინგლისში.

ტყუილისადმი მიდრეკილება, პათოლოგიური ცრუპენტელობა, პიროვნების ისტერიული აშლილობით დაავადებულ ადამიანებს ახასიათებთ. ბატონი გვარამია ასეთის შტაბეჭდილებას, ერთი შეხედვით, არ ტოვებს, მაგრამ ულმერთოდ ტყუის.

როგორც ჩანს, მას მნიშვნელოვანი მოტივაცია გააჩნია იმისათვის, რომ საჯაროდ იკადროს სიცრუე და თეთრზე თქვას შავიაო. ასე ან ზნეობრივი კოორდინატებიდან სრულად ამოვარდნილი ადამიანები იქცევიან, ან ის ხელქვეითები, რომლებიც ერთი ნატეხი შაქრის დაკარგვის ან მათრახის შიშით ზემდგომის ბრძანებას არ არღვევენ.

**როდესაც გვარამიას ამ განცხადებას გავეცანი, ძალიან გამაკვირვა იმ გარემოებამ, რომ მრგვალ მაგიდას, რომელიც ანტიმეგრული და რატომღაც ანტირუსული ისტერიის ტონში წარიმართა, მასპინძლობდა „რია ნოვოსტის“ თბილისის საერთაშორისო პრესცენტრი.** „რია ნოვოსტი“, მოგეხსენებათ, რუსული სააგენტოა და მის საერთაშორისო პრესცენტრში ამგვარი თემატიკის, შინაარსის და შემადგენლობის მრგვალი მაგიდის გამართვა, თანაც სტანდარტების უხეში დარღვევითა და პოზიციის ცალმხრივი წარმოჩენით, კონსპიროლოგიისგან ძალიან შორს მყოფ ადამიანსაც კი გარკვეულ საფუძვლიან ეჭვებს აღუძრავს.

გვარამიას „რიანოვოსტული თეზისების“ გადასამოწმებლად ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას დავუკავშირდით და კომენტარი ვთხოვეთ, მან ჩემგან გაიგო გვარამიასეული „ბრალდებების“ თაობაზე:

**„რა უნდა გითხრათ, ქართველ ეგრეთ წოდებულ ექსპერტთა შორის, არის საკმაოდ ბევრი აბსოლუტურად უვიცი, გაუნათლებელი ადამიანი, რომლებისთვის საარსებო წყაროა არა ცოდნა და ინტელექტი, არამედ სპეცსამსახურების დავალებით ბინძური ჭორებისა და ცილისწამების გავრცელება. მათი საქმიანობის კომენტირება ზედმეტად მიმაჩნია, არც თქვენ გირჩევთ. თქვენ სერიოზულ ავტორიტეტულ გაზეთს უშვებთ და, თუ ყველა მაიმუნის გამოხდომას ყურადღებას მიაქცევთ, გაზეთის ფურცლები არ გეყოფათ.**

**ახლოვდება არჩევნები. არსებობენ ძალები, რომლებსაც უნდათ ეგრეთ წოდებული მეგრული სეპარატიზმის თემის გათამაშება. ეს პერიოდულად ხდება ქართულ პოლიტიკაში, ამას უნდა შევეგუოთ. ეჭვი მაქვს, უახლოეს პერიოდში სხვა ვიგინდარებიც გამოჩნდებიან ამ ყბადაღებულ თემასთან დაკავშირებით. ცილისწამების არაერთი ტალღა გადაგვიტანია და ამასაც გადავიტანთ“.**

პათოლოგიური ცრუპენტელობა შემთხვევით არ მიხსენებია, ბატონი გვარამია აცხადებს, რომ თურმე ჭაჭიამ 1991 წელს ლეგიტიმური, ანუ გამსახურდიას მთავრობის მიმართ პროტესტის გამო დატოვა პოსტი.

აქ კომენტარი მართლა ზედმეტია. **ბატონმა გვარამიამ, რა თქმა უნდა, იცის რომ ალექსანდრე ჭაჭიამ ზვიად გამსახურდიას, როგორც ერთიანი, დამოუკიდებელი საქართველოსთვის ბრძოლის იდეას, ზუგდიდში პირველი და ერთადერთი ძეგლი დაუდგა, მიუხედავად ამისა, უტიფრად ტყუის — ჭაჭიამ გამსახურდიასადმი პროტესტის ნიშნად თანამდებობა დატოვაო.**

იცის გვარამიამ და ჰებელსმაც იცოდა, რომ, რაც უფრო დაუჯერებელია ტყუილი, მით უფრო ადვილია იაფფასიანი პროპაგანდისტული მიზნებისათვის მისი გამოყენება.

იცის და ვირეშმაკულად, თეთრი ძაფით კერავს დავალებას, მაგრამ ეგ არაფერი, ერთი ნატეხი შაქრისთვის ან მათრახის შიშით ადამიანები უარესსაც კადრულობენ... გვარამიაც უფრო შორს მიდის და ღიად სდებს ბრალს სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ლიდერს სეპარატიზმში. სიტუაციის კომიკურობა რომ უფრო ნათელი გახდეს, მოვიყვან ციტატას 2001 წლის 12 ოქტომბერს სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ყრილობაზე ალექსანდრე ჭაჭიას მიერ წარმოთქმული სიტყვიდან:

**„ჩვენ ნათლად უნდა გავაცნობიეროთ, რომ დღევანდელ დაშლილ, დანგრეულ, დაქუცმაცებულ, ეკონომიკურად და ზნეობრივად დაცემულ, შეურაცხყოფილ საქართველოში ჩვენ ისევ და ისევ, როგორც ეს არაერთხელ ყოფილა ისტორიაში, გამაერთიანებელი როლი უნდა შევასრულოთ. მეგრელებისთვის, ისევე, როგორც სხვა ქართველებისთვის, ცხოვრების არეალს მთელი საქართველო წარმოადგენს. თუ ახლანდელმა ხელისუფლებამ საქართველოს ერთი კუთხე — აფხაზეთი მეგრელებისგან გაათავისუფლა, ნუ ექნება იმის იმედი, რომ სხვა კუთხეებიდანაც გაგვდევნის და რომელიღაც გამოყოფილ „სამეგრელოს რესპუბლიკაში“ ერთად მოგვიყრის თავს“.**

ვინც ამ სიტყვებში სეპარატიზმს ხედავს, ის ან ბრმაა, ან მოგზავნილი, ან სულაც ბადრიჯანი. ბატონი გვარამია კი ისევ პათოლოგიურად ცრუპენტელობს და გვარწმუნებს: თურმე ჭაჭია **„მომხრეა, რომ მეგრულ წიაღში საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ მიმართული რიგი იდეების ჩანერგვამდე აუცილებელია შეიქმნას „მეგრული ნაცია“, რომელმაც (თითქოს) საბჭოთა პერიოდში ბევრი ეთნიკური ნიშანი დაკარგა“.**

ლოგიკა მართლაც რომ ბადრიჯანისებურია, ამაზე, უფრო სწორად გვარამიაზე, შეიძლება ითქვას: „უკუღმა, ასინეთა, უკუღმა“...

არქიფო სეთურისა და ასინეთას პარალელი მართლაც ზედგამოჭრილია, გვარამია უკუღმა ატრიალებს ორღანს და ოპონენტს, რომელიც ქართველთა ერთობაზე, როგორც გადარჩენის ერთადერთ სწორ გზაზე, საუბრობს, „სეპარატიზმში ამხელს“. უნდა ვიგულისხმოთ, რომ თავისი არქიფო სეთური ბატონ გვარამიასაც ჰყავს და „უკუღმართ“ დირექტივებსაც ის ჩასჩიჩინებს. თუმცა გვარამიას რომ არ დავემსგავსო, ნათქვამის დასტურად კიდევ ერთ ციტატას მოგიყვანთ სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ყრილობაზე ამ მოძრაობის ხელმძღვანელის გამოსვლიდან, **„მეგრულ წიაღში საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ მიმართული რიგი იდეების ჩანერგვის“** თემაზე:

**„იმისათვის, რომ ერს მომავალი ჰქონდეს, პირველ რიგში, აუცილებელია ქართველთა ერთობა — ან ჩვენ გავერთიანდებით და ერთად დავდგებით იმ კატასტროფული საფრთხის წინაშე, რომელიც ჩვენს არსებობას ემუქრება, ანდა ფიზიკურად გადარჩენილი ჩვენი შვილები და შვილიშვილები მათხოვართა, მაწანწალათა ბრბოდ გადაიქცევიან და ხანდახან გაიხსენებენ, რომ ოდესღაც ღირსეულ ერს წარმოადგენდნენ და საკუთარ მიწაზეც ცხოვრობდნენ“.**

რადგან ზემომოყვანილ ციტატებში ბატონი გვარამია ჯიუტად (ანუ არქიფო სეთურის ბრძანებისამებრ) ხედავს სეპარატიზმის და „საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ მიმართული რიგი იდეების“ კვალს, ნება მისია, მას ისევე ვერ მოაშლევინებ ნაბრძანების გამეორებას და ორღანის უკუღმა ტრიალს, როგორც კოპროფილს ვერ მოსთხოვ გურმანობას. როდესაც ადამიანი მიზანმიმართულად ტყუის და ამას ანგარებით აკეთებს, მასთან პოლემიკა წყლის ნაყვაა.

წყლის ნაყვას კი ის აჯობებს, **მკითხველმა თავად განსაჯოს, უბრძანეს გვარამიას ეს უკუღმართობა და ცილისწამების გავრცელება თუ გადაუხადეს, ანუ ვინ არის გვარამია, კიკუ თუ ასინეთა?**

განსჯის ობიექტურობისათვის კი მკითხველს 2001 წლის 12 ოქტომბერს სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ყრილობაზე ალექსანდრე ჭაჭიას მიერ წარმოთქმული სიტყვიდან კიდევ ერთ ციტატას შევთავაზებ:

**„ჩვენ, როგორც იცით, დაგვაბრალეს „სეპარატიზმი“, ქვეყნის გახლეჩის სურვილი, ქართველი ერის, როგორც ერთიანი ორგანიზმის, უარყოფა და ბევრი სხვა სისულელე. დაგვაბრალეს სწორედ იმ ძალებმა, იმ პიროვნებებმა, იმ ხელისუფლების წარმომადგენლებმა, იმ ე. წ. ოპოზიციის თავკაცებმა, ვინც თითქმის ათი წლის განმავლობაში მიზანმიმართულად ანგრევენ ჩვენს სამშობლოს, შლიან ქვეყანას, ყიდიან ისტორიულ ტერიტორიებს, მათხოვართა ბრბოდ აქცევენ ქართველ ხალხს, კლასიკური ფორმის გენოციდს უწყობენ საკუთარ მოსახლეობას...**

**ამ უვიც, გაუნათლებელ, ანტიეროვნულად მოაზროვნე პოლიტიკანებსა თუ ფსევდოინტელიგენტებს შევახსენებ, რომ სამეგრელოს მთელი ისტორიის მანძილზე საქართველოში მხოლოდ და მხოლოდ გამაერთიანებელი ფუნქციის შესრულება ეკისრა. მეტიც, ისტორიაში ჩახედულმა ადამიანმა იცის, რომ საქართველოს დაქუცმაცების პერიოდში (არადა, ეს პერიოდი თითქმის მთელ ისტორიას მოიცავს, 200-250 წლის გამოკლებით) არსებობდა კახეთის, ქართლის, იმერეთის სამეფოები, მაგრამ, სრული პოლიტიკური დამოუკიდებლობის მიუხედავად, დადიანებს არასოდეს უცდიათ სამეგრელოს სამეფოდ გამოცხადება. იმდენად ძლიერი იყო ყოველთვის მეგრულ საზოგადოებაში ერთიანი ქართული სახელმწიფოებრიობისკენ ლტოლვა. დამისახელოს ვინმემ ისეთი პიროვნება ქართულ ისტორიაში, ვისაც ერთიანი საქართველოს შექმნისათვის, ქართული სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებისთვის მეტი გაეკეთებინოს, ვიდრე გიორგი ჭყონდიდელმა გააკეთა“.**

**გიორგი მექმარიაშვილი**

**ირაკლი ალასანია, როგორც უკვე ვთქვით, რეალურად ისწრაფვის ხელისუფლებისკენ, მან საკუთარი ბედი ივანიშვილთან პარტნიორობას დაუკავშირა. 2-3 ადგილი საარჩევნო სიაში არ არის მიზეზი, რომლის გამო მან შეიძლება რესპუბლიკელებთან ტოტალური ომი დაიწყოს და კოალიციის დაშლის საფრთხე შექმნას. ამას ის, სავარაუდოდ, მხოლოდ იმ შემთხვევაში გააკეთებს, თუ დაინახავს, რომ რესპუბლიკელები ნამდვილად აპირებენ მისი ოცნების ხორცშესხმისთვის ხელის შეშლას.**

დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ალასანიას შავი კატა რესპუბლიკელების ბნელ ოთახში

**ათასი უარყოფის მიუხედავად, საუბრები მწვავე დაპირისპირებაზე ირაკლი ალასანიას გუნდსა და რესპულიკელებს შორის მაინც გრძელდება. რა ასაზრდოებს მათ: სახელისუფლო პროპაგანდის ჰალუცინაციები თუ ობიექტური რეალობა, რომელიც კოალიციის კულუარებიდან გამოსული, ხშირ შემთხვევაში, ურთიერთწინააღმდეგობრივი ინფორმაციის უკან დგას? ,,ეროვნული ფორუმის“ ან ,,მრეწველების“ კონფლიქტზე პარტნიორებთან არავინ საუბრობს; ოპოზიციური საზოგადოების ყურადღების ცენტრში, აგერ უკვე რამდენიმე თვეა, ალასანია-რესპუბლიკელების ურთიერთობა რჩება.**







საერთოდ, მრავალპარტიული გაერთიანება შიდა კონკურენციის გარეშე ბუნებაში არ არსებობს; პოლიტიკოსები გავლენის მუდმივ გაფართოებაზე ზრუნავენ. საგანგაშო ამაში არაფერია, პირიქით, ჯანსაღი კონკურენცია (სხვათა შორის, ბიძინა ივანიშვილმა რესპუბლიკელებისა და ალასანიას ურთიერთობა სწორედ ასე დაახასიათა) და აზრთა სხვადასხვაობა სასარგებლოა. მთავარია, ის ყოვლისმომცველ დაპირისპირებაში არ გადაიზარდოს, რაც საერთო საქმეს ავნებს, თუმცა ოპოზიციური საზოგადოება მაინც ნერვიულობს, თუნდაც იმიტომ, რომ კონკურენციასა და ტოტალურ კონფრონტაციას შორის ზღვარის გავლება უჭირს და არ უნდა კოალიციის ერთიანობას საფრთხე დაემუქროს.

მიუხედავად იმისა, რომ ალასანიასა და რესპუბლიკელთა ლიდერების (აქ და შემდგომ ჩვენ ვისაუბრებთ მხოლოდ უსუფაშვილი-ხიდაშელის წყვილზე და ძმებ ბერძენიშვილებზე, ანუ „დიდ ოთხეულზე“, რომელსაც, ჩინელი კომუნისტების მსგავსად, „ოთხთა ბანდას“ არ ვუწოდებთ, მიუხედავად იმისა, რომ შესაბამისი ცდუნება შეიძლება გაჩნდეს) პოზიციები მთელ რიგ საკითხებზე, მათ შორის ქვეყნის საგარეო ორიენტაციაზე, ერთმანეთს ემთხვევა, მათ შორის ბევრი განსხვავებაა, რომელთაგან ერთ-ერთი აუცილებლად უნდა გამოვყოთ. ალასანია ხელისუფლებისკენ ისწრაფვის და თავის ყოფნას ოპოზიციაში დროებით, ტრანზიტულ და არაბუნებრივ მდგომარეობად აღიქვამს, ხოლო რესპუბლიკელები პროფესიონალ ოპოზიციონერებად ჩამოყალიბდნენ და, სავარაუდოდ, მშვენივრად აცნობიერებენ, რომ აღმასრულებელი ხელისუფლების მწვერვალზე მოხვედრა, სააკაშვილის რეჟიმის დემონტაჟის შემდეგ, მათთვის სერიოზულ დისკომფორტს დაუკავშირდება.

**დღეს რესპუბლიკური „ოთხეულის“ მდგომარეობა ასეთია: მატერიალური თვალსაზრისით, მათ, პრაქტიკულად, ყველა პრობლემა მოეხსნათ, ივანიშვილის ავტორიტეტი, იცავს მათ კრიტიკისგან ოპოზიციური საზოგადოების მხრიდან, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი რესპუბლიკელების მიმართ უკიდურესად ნეგატიურადაა განწყობილი, კოალიციის მაღალი რეიტინგი საკუთრივ რესპუბლიკელების „გამხმარ“ რეიტინგს კვებავს, დასავლეთში ისინი აწარმოებენ მოლაპარაკებებს ძლიერი პოლიტიკური გაერთიანების სახელით და გაცილებით ანგარიშგასაწევ ფიგურებად აღიქმებია,ნ ვიდრე ადრე და ა.შ.**

და რა მოხდება მაშინ, როდესაც „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში მოვა? **„ოთხეულს“ დღევანდელ უნიკალურ სტატუსთან დამშვიდობება მოუწევს.** მათ ოპონენტებში იმძლავრებს განწყობა „ახლა უკვე შეიძლება!“ და ანტირესპუბლიკური კამპანია ნიაღვარს დაემსგავსება; „ივანიშვილის ხათრით“ უკვე აღარავინ გაჩერდება, მითუმეტეს, რომ აღარ იარსებებს მოტივი, რომლის გამოც საჭირო იქნება მათი დაცვა კრიტიკისგან, ხელოვნური გამოკვება და გაძლიერება. ნაკლებად სავარაუდოა, მათ საკვანძო პოსტები დაუთმონ, ხოლო თუ რამდენიმე მინისტრის პორტფელს ხელს მოჰკიდებენ, სწორედ ამ მინისტრებს ამოიღებენ ოპონენტები არაკეთილგანწყობილი ყურადღების მიზანში და მათ ნებისმიერ მოძრაობას კოშმარულ ინტერპრეტაციას მისცემენ: კითხვას „რატომ არ დაიწყო იდეალური ცხოვრება?“ ძალიან ხშირად გაეცემა პასუხი „რესპებისა და მათი მინისტრების გამო!“. ერთადერთი შესაძლებელი ტაქტიკა, რომელიც ასეთ ვითარებაში პარტიის ერთიანობისა და თვითმყოფადობის შენარჩუნებას უზრუნველყოფს, ოპოზიციაში გადასვლა, იმის გამეორება გახდება, რაც რესპუბლიკელებმა 2004-08 წლებში გააკეთეს. ისინი, სავარაუდოდ, ერთ-ერთ(!) დაბალრეიტინგულ ოპოზიციურ ძალად ჩამოყალიბდებიან და ახალი ხელისუფლების კრიტიკით დაკავდებიან, რაც, ქვეყნის ან თუნდაც ცალკეული დარგის მართვისგან განსხვავებით, ნამდვილად ეხერხებათ.

**რაც უფრო დიდხანს გაიწელება დღევანდელი მდგომარეობა, მით უფრო მომძლავრდება რესპუბლიკური პარტია და „ოთხეული“ თავს სულ უფრო კომფორტულად იგრძნობს. არჩევნებამდე ასიოდე დღე რჩება და ერთადერთი, რასაც ამ პერიოდის ხელოვნურად გახანგრძლივება შეუძლია, კოალიციის პარლამენტში უმცირესობით შესვლაა.** ასეთ ვითარებაში რესპუბლიკელები კვლავ აქტუალურები და საჭირონი იქნებიან. არაფერი მიუთითებს იმაზე, რომ „ოთხეული“ ხელს უწყობს ამ სცენარის რეალიზებას, თუმცა ეჭვი იმის თაობაზე, რომ „რესპუბლიკელებს გამარჯვება არ აწყობთ“ ზოგიერთ კონსპიროლოგიურად ორიენტირებულ თავში მართლაც შეიძლება გაჩნდეს.

საერთოდ, გონიერი პოლიტიკოსი არასოდეს ამტკიცებს, რომ ყველაფერი იდეალურად აქვს აწყობილი. ის ყოველთვის ტოვებს მცირე, სტრატეგიული თვალსაზრისით, უმნიშვნელო სივრცეს, რომელშიც, ძველად რომ იტყოდნენ, „ცალკეული სირთულეები“ ექმნება და ცდილობს, რომ ოპონენტმა ყურადღების კონცენტრირება სწორედ ამ მიმართულებით მოახდინოს. სააკაშვილის ხელისუფლების კრახი სწორედ მაშინ დაიწყო, როდესაც მან დაიწყო იმის მტკიცება, რომ უნაკლოა, ეს ძალზე უხეში, „ოროსნული“ შეცდომა იყო. იდეალური ამქვეყნად არაფერია და ადამიანები ყოველთვის შეეცდებიან, მოძებნონ ინფორმაცია, რომელიც თავსმოხვეულ მითს აბათილებს. **ივანიშვილმა ეს შეცდომა არ გაიმეორა და გამორიცხული არაა, მომცრო პრობლემური ზონა განგებ „დატოვა“; მის ცენტრში რესპუბლიკელები იმყოფებიან და მათი ჰიპოთეტური კონფლიქტი ალასანიასთან იქ ვითარდება.** კოალიციის ტრიუმფალური მარშის პარალელურად, ამ ზონაში მოხდა რესპუბლიკელების (ბოდიში მკვეთრი შეფასებისთვის) იდიოტური დაპირისპირება მურმან დუმბაძესთან, გაკეთდა დავით ბერძენიშვილის სკანდალური განცხადება მაჟორიტარების თაობაზე და ა. შ. მოკლედ, **რესპუბლიკელები, სხვა ყველაფერთან ერთად, ნაკლებად საშიში, თუმცა, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, აუცილებელი, „ცალკეული სირთულეების გენერატორის“ როლს ითავსებენ, რაც სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ეს სირთულეები წარმოსახვითია.**

გასულ კვირას „ივერონმა“ შემდეგი ინფორმაცია გაავრცელა: **„ირაკლი ალასანია, უკვე დიდი ხანია, სანდრო ბრეგაძის დახმარებით რესპუბლიკელთა მიმართ კომპრომატების მოპოვებით არის დაკავებული, შუამავლის როლს კი მათ შორის რომან კუსიანი ასრულებს“**. ერთი შეხედვით, სააგენტოს წყაროს ინფორმაცია ნაკლებად სარწმუნოდ გამოიყურება; არა იმიტომ, რომ მოხსენიებული მოღვაწეებიდან, ინტელექტუალური თვალსაზრისით, არც ერთია ბობი ფიშერი და არც მეორე ლევ პოლუგაევსკი, უბრალოდ, საყოველთაოდ ცნობილია, რომ ორივე რესპუბლიკელებს ვერ იტანს. ალასანიამ კი, რომელიც უშიშროების მინისტრის მოადგილე იყო, სავარაუდოდ, კარგად იცის, რომ ასეთი დავალების მიცემა ადამიანისთვის, რომელიც საკუთარ დამოკიდებულებას ვერ მალავს, არ შეიძლება. ასეთი მისია, სასურველია, ნეიტრალურ, ორგანიზებულ ადამიანს დააკისრო, რომლისთვისაც სულერთია რესპუბლიკელებზე შეაგროვებს კომპრომატს თუ ჭინკებზე, მას, ვინც არ დაიწყებს ფაქტების მიკერძოებულ მისადაგებას საკუთარი ვარაუდების მიმართ. მართალია, შეიძლება გაჩნდეს ეჭვი, რომ ამ ორი ფიგურის წინა პლანზე წამოწევის მიზანი მესამის (კომპრომატის რეალური შემგროვებლის) ჩრდილში დატოვება იყო, თუმცა ასეთი ნაბიჯის მოტივი არ იკითხება, რადგან რესპუბლიკელებს არ აქვთ ორგანიზებული პარტიული კონტრდაზვერვა, რომელთანაც საჭიროა მსგავსი თამაშები აწარმოო.

**კომპრომატს თითქმის ყველა პოლიტიკოსი აგროვებს, მაგრამ საგანგებო ძალისხმევის მიმართვა ერთი, თანაც მოკავშირე პარტიისკენ, დიდი ალბათობით, აღქმული იქნება როგორც ძირგამომთხრელი, კოალიციის დაშლაზე ორიენტირებული საქმიანობა, შესაბამისად, უნდა არსებობდეს ძალიან სერიოზული მიზეზი, რომელიც ალასანიას ამ მიმართულებით უბიძგებს.**

ინფორმაცია რესპუბლიკელთა ლიდერების „პირად ცოდვებზე“„ ან მათ საეჭვო მოპყრობაზე კოალიციის ფინანსებთან „დიდ პრიზს“ არ წარმოადგენს. თუ ასეთი ინფორმაცია მართლაც არსებობს, ივანიშვილი მას, 99%-იანი ალბათობით, უკვე ფლობს და „თვითგამოცხადებული აუდიტორების“ კვლევები, სავარაუდოდ, ნაკლებად აინტერესებს. არადა, დღეს ასეთი ინფორმაციის გამოყენების შესაძლო ვარიანტი, ივანიშვილამდე მიტანის გარდა, არც ისე ბევრია; მისი გასაჯაროება წინასაარჩევნოდ გამორიცხულია, რადგან ეს მთელ კოალიციას ავნებს. გაცილებით ღირებულია ინფორმაცია რესპუბლიკელების ხელისუფლებასთან ფარული თანამშრომლობის თაობაზე და, თუ ალასანია კომპრომატის მიზანმიმართული შეგროვებით დაკავდება, ეს, ალბათ, მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ამ მხრივ „საფუძვლიანი ეჭვი“ გაუჩნდება.

**ირაკლი ალასანია, როგორც უკვე ვთქვით, რეალურად ისწრაფვის ხელისუფლებისკენ, მან საკუთარი ბედი ივანიშვილთან პარტნიორობას დაუკავშირა. 2-3 ადგილი საარჩევნო სიაში არ არის მიზეზი, რომლის გამო მან შეიძლება რესპუბლიკელებთან ტოტალური ომი დაიწყოს და კოალიციის დაშლის საფრთხე შექმნას. ამას ის, სავარაუდოდ, მხოლოდ იმ შემთხვევაში გააკეთებს, თუ დაინახავს, რომ რესპუბლიკელები ნამდვილად აპირებენ მისი ოცნების ხორცშესხმისთვის ხელის შეშლას.**

ამას წინათ, არაფორმალურ შეხვედრაზე, რომელსაც ერთი კომპეტენტური ამერიკელი მეგობარი დაესწრო, სხვა ყველაფერთან ერთად გაიმართა ტრადიციული დისკუსია თემაზე „გააპრავებს თუ არა ვაშინგტონი არჩევნების გაყალბებას?“. ამერიკელმა მეგობარმა საკმაო ხანს გვისმინა, შემდეგ კი თქვა: „ვფიქრობ, იქნება დუმილი... დაახლოებით ერთკვირიანი“, რაც, ალბათ, ნიშნავდა იმას, რომ **ვაშინგტონი თავს შეიკავებს ყოვლისმომცველი შეფასებებისგან, ვიდრე ქართველები ხელისუფლების ბედს არ გადაწყვეტენ.** სხვათა შორის, იგივე ალგორითმი „არაბული გაზაფხულის“ დროს გამოიყენებოდა; მსგავსი „პაუზები“ საუკეთესო საშუალებაა იმისთვის, რომ კონფლიქტის მხარედ არ წარმოჩინდე და „მთავარი არბიტრის“ როლი მოირგო.

ცხადია, ამერიკელი მეგობარი შეიძლება ცდებოდეს, თუმცა **კრიზისული პერიოდი არჩევნების შემდეგ, ალბათ, მართლაც გველის, მიუხედავად იმისა, რას გააკეთებს თეთრი სახლი. იმ დღეებში ორივე მხარისთვის მთავარი გახდება მოქმედება და არა ლაპარაკი; და სწორედ ესაა ერთადერთი მომენტი, როდესაც ფარდობითად სუსტ რესპუბლიკელებს კოალიციისთვის საბედისწერო ზიანის მიყენება შეეძლებათ, თუ გადაწყვეტილებების მიღებაზე ან მათ რეალიზებაზე რეალურ გავლენას მოახდენენ (აქ საუბარია თეორიულ ვარიანტებზე; დღეს არც ერთი ფაქტი არ მიუთითებს იმაზე, რომ ისინი აპირებენ, საბოტაჟით დაკავდნენ). თუ ალასანია გრძნობს რესპუბლიკელებისგან მომავალ საფრთხეს, ის, სავარაუდოდ, ამ პერიოდს უკავშირდება, რადგან დროისა და სივრცის ნებისმიერ სხვა წერტილში ისინი განსაკუთრებულ პრობლემებს ვერ შექმნიან.**

ამდენი კონსპიროლოგიის შემდეგ, ალბათ, დროა, ისევ პროცესების ტრადიციულ ინტერპრეტაციას დავუბრუნდეთ, რომლის ფარგლებში არანაირი დაპირისპირება ალასანიასა და რესპუბლიკელებს შორის არ არსებობს და ისინი ერთად მოაბიჯებენ რეჟიმთან ბრძოლის ავანგარდში; განსაკუთრებული არაფერი ხდება და სრულიად საქართველოს თავზე უღრუბლო ცაა.

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ამერიკის ელჩმა გვითხრა, რომ, რაც უნდა მოხდეს და ვინც უნდა გაიმარჯვოს, ჩვენ — საზოგადოებას, არჩევნების ობიექტურობაში ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს, ვინაიდან თურმე ქვეყანაში სამართლებრივი ჩარჩო არსებობს. მოკლედ, აქედანვე გვაჩვევენ იმ აზრს, რომ გაყალბება გამორიცხულია. ასე რომ, რა თქმა უნდა, ეს განცხადება სხვა არაფერია, თუ არა მწვანე შუქის ანთება სააკაშვილის რეჟიმისთვის.**



# ზაზა ხატიაშვილი: დაიწყება ოპოზიციის მასობრივი დევნა და ამას ექნება ხანგრძლივი, მასშტაბური ხასიათი

**ბოლო დროს განვითარებულ მნიშვნელოვან მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილი.**

**— ბატონო ზაზა, ევროპარლამენტის წევრმა ანდრეას მავროიანისმა განაცხადა, რომ ევროგაერთიანების წარმომადგენლები მხარს უჭერენ ადამიანის უფლებების დაცვისა და დემოკრატიის გაძლიერებას საქართველოში...**

— დიდი ხანია, საქართველო არის სახელმწიფო, რომელიც რეკლამებითა და სარეკლამო განცხადებებით იმართება. მთავარია, დღევანდელი რეჟიმის წარმომადგენლებმა ვინმე ნახონ და მათზე რამე კარგი ათქმევინონ, სამივე სახელისუფლო არხი მზადაა, ოცდაოთხსაათიან რეჟიმში ატრიალოს ეს ყველაფერი და საზოგადოება კვებოს დეზინფორმაციით. ამას უკვე იმდენად მასშტაბური სახე აქვს მიღებული, რომ რეალურად პროპაგანდასაც ვერ დაარქმევ. სინამდვილეში ჩვენ კარგად ვიცით, რა ტიპის ხელისუფლება გვყავს სახეზე: ეს არის ისეთივე რეჟიმი, როგორებიც იყვნენ თავის დროზე მუსოლინის, ჩაუშესკუს, ბენ ალის, მუბარაქისა და მსოფლიოში ცნობილი სხვა დიქტატორების რეჟიმები. მეტიც, „ნაციონალური მოძრაობა“ დღეს შეიძლება ბევრად უფრო ბინძური და ძალმომრეობითი მეთოდებით მოქმედებდეს, ვიდრე ჩემ მიერ ზემოთ ჩამოთვლილი ნებისმიერი დიქტატორი.

როცა ადამიანი გამოდის და ამბობს, ქვეყანაში, სადაც წამებით კლავენ პატიმრებს, ადამიანის უფლებების კუთხით კარგი მდგომარეობააო, ის, მსუბუქად რომ ვთქვათ, არაკეთილსინდისიერი და, სავარუდოდ, ანგარებით მოქმედებს. სხვა ახსნა ამას არ აქვს. ამიტომ, რა თქმა უნდა, შეგვიძლია, ვივარაუდოთ, რომ ეს არის ჩვეულებრივი გარიგება. როგორ, რა ფორმით, სხვა საკითხია, არ არის გამორიცხული, ფულზეც იყოს საუბარი...

**— ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ დასავლელი პოლიტიკოსები სხვა პოზიციიდან უყურებენ აქ მიმდინარე პროცესებს. ისინი თვლიან, რომ ახალგაზრდა დემოკრატიის ქვეყნისთვის ბუნებრივია ის, რაც აქ ხდება.**

— რომელ ახალგაზრდა დემოკრატიაზეა საუბარი, მათივე უფლებადამცველი ორგანიზაციები აქვეყნებენ დასკვნებს და ანგარიშებს, რომ აქ ადამიანის უფლებების კუთხით კატასტროფული მდგომარეობაა. **იმავე თომას ჰამერბერგმა დაწერა, საქართველოში ადვოკატთა ინსტიტუციონალური დევნა მიდისო, მეტი რა უნდა გითხრან?!**

იმ ყბადაღებული რეპრესიების დროსაც კი ეჟოვმა და იაგოდამ გაასამართლეს სამოცდაათამდე ადვოკატი, „დემოკრატიის შუქურამ“ კი, მარტო ბოლო შვიდი წლის განმავლობაში 143 ადვოკატს გამოუტანა განაჩენი... ახლა ამ ქვეყანაზე რომ კაცი იტყვის, დემოკრატიულად ვითარდებაო, ის ადამიანი, მინიმუმ, უსინდისოა. ეს, ყველაზე რბილად თუ ვიტყვითა და დანარჩენი, რა ბინძურ გარიგებაში არიან ისინი ამ ხელისუფლებასთან, ჩვენ არ ვიცით და ვერც გავიგებთ.

**— რაც შეეხება მოსალოდნელ არჩევნებს, რამდენიმე დღის წინ ჯონ ბასმა განაცხადა: საქართველოში არსებობს სამართლებრივი ჩარჩო, რომელსაც შეუძლია თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები უზრუნველყოს. ბევრმა ეს განცხადება, არც მეტი, არც ნაკლები, ხელისუფლებისთვის მწვანე შუქის ანთებად შეაფასა. თქვენ რა აზრის ხართ ამ ყველაფერზე?**

— 26 მაისს, როცა სააკაშვილის რეჟიმმა ხალხი დახოცა, ამას წინ უძღოდა იმავე ჯონ ბასის განცხადება, რატომ დგანან ეს ადამიანები ქუჩაშიო. იმის თქმა მინდა, რომ **მაშინაც კი, სანამ ჯონ ბასმა არ აუნთო მწვანე შუქი, ხელისუფლებამ ძალის გამოყენების გადაწყვეტილება ვერ მიიღო და სწორედ ბატონი ელჩის პოზიცია გახდა იმ ავბედითი მოვლენების დროსაც გადამწყვეტი.** რაც შეეხება მის ამ განცხადებას,



პირდაპირ შემიძლია, გითხრათ, რომ ეს არის ერთგვარი შემზადება საზოგადოებისა იმისთვის, რა შედეგითაც დამთავრდება მომავალი არჩევნები. **მარტივად რომ ვთქვათ, ამერიკის ელჩმა გვითხრა, რომ, რაც უნდა მოხდეს და ვინც უნდა გაიმარჯვოს, ჩვენ — საზოგადოებას, არჩევნების ობიექტურობაში ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს, ვინაიდან თურმე ქვეყანაში სამართლებრივი ჩარჩო არსებობს. მოკლედ, აქედანვე გვაჩვევენ იმ აზრს, რომ გაყალბება გამორიცხულია. ასე რომ, რა თქმა უნდა, ეს განცხადება სხვა არაფერია, თუ არა მწვანე შუქის ანთება სააკაშვილის რეჟიმისთვის.** სხვათა შორის, იმ ღონისძიებაზე, სადაც ჯონ ბასმა ეს განცხადება გააკეთა, მეც ვიყავი მიწვეული და პრინციპულად არ მივედი, იმიტომ, რომ ვერ დავუკრავ ტაშს იმ ადამიანს, რომელიც მიმაჩნია, რომ 26 მაისის სისხლიანი მოვლენების თანამონაწილეა...

**— თქვენი აზრით, მწვანეშუქანთებული სააკაშვილის რეჟიმისგან ისევ უნდა ველოდოთ სისხლიან დარბევებსა და დაპატიმრებებს?**

— საერთოდ, ამ ტიპის რეჟიმებისგან ყველაფერს უნდა ელოდე. მითუმეტეს, როცა ეს რეჟიმი მხარდაჭერილია ცივილიზებული სამყაროს მიერ, ცხადია, ის ათმაგად საშიშია. იმავე ევროპარლამენტში გამართულმა დებატებმაც კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ არჩევნების მოახლოებასთან ერთად აქ რაღაც ძალიან ცუდია მოსალოდნელი. ჩემი აზრით, დაიწყება ოპოზიციური სპექტრის მასობრივი დევნა და ამას ექნება ხანგრძლივი, მასშტაბური ხასიათი; მოკლედ, ივლის-აგვისტოში სააკაშვილის რეჟიმი გააკეთებს იმას, რაც 26 მაისს ვერ გააკეთა. რაც შეეხება ოპოზიციას, პირველ რიგში, ბიძინა ივანიშვილის გასაგონად მინდა ვთქვა, რომ დიდწილად მისი არასწორი პოლიტიკის შედეგია ის, რომ ევროპარლამენტი დღეს სააკაშვილის მიმართ ლოიალურია, ვინაიდან მთელი ამ ხნის განმავლობაში კოალიცია „ქართული ოცნება“, ფაქტობრივად, არაფერს აკეთებდა ამ სტრუქტურებთან მუშაობის თვალსაზრისით. გვესმოდა მხოლოდ ის განცხადებები, რომლებიც გათვლილია შიდამოხმარებაზე, ამ დროს საგარეო პოლიტიკური ასპარეზი მთლიანად „ნაცმოძრაობას“ ჰქონდა დათმობილი. შედეგიც სახეზეა: კი, ქვეყნის შიგნით სააკაშვილს მხარს არავინ უჭერს, მაგრამ სამაგიეროდ მის გვერდით დემოკრატიული დასავლეთია. ყოველ შემთხვევაში, ფასადურად ასე ჩანს და, როცა საზოგადოება ამას ხედავს, ბუნებრივია, თითოეულ ამომრჩეველზე, თითოეულ მოქალაქეზე და მის მოტივაციაზე ეს ძალიან ცუდად მოქმედებს...

**— იმ შემთხვევაში, თუ არჩევნები გაყალბდება და „ნაცმოძრაობა“ გაიმარჯვებს, რა გზა რჩება საზოგადოებას საკუთარი ხმების დასაცავად?**

— თავის დროზე, როცა ლევან გაჩეჩილაძემ არჩევნები მოიგო და, ფაქტობრივად, პრეზიდენტი გახდა, საზოგადოებას დიდი მოლოდინი ჰქონდა, რომ ხელისუფლება ძირფესვიანად შეიცვლებოდა, ჩვენდა სამწუხაროდ, მაშინ ყველაფერი პირიქით მოხდა, — ოპოზიცია გაურიგდა „ნაცმოძრაობას“ და გამარჯვება სააკაშვილს გადაულოცა. ახლა ამას რატომ ვიხსენებ: **დღესდღეობით რომელი პოლიტიკური სუბიექტიც იქნება ყველაზე რეიტინგული და ვინც მოიგებს არჩევნებს, ეს რეჟიმი მის მოსყიდვას აუცილებლად შეეცდება.** ერთია, გამოუვა ამით რამე თუ არა, მაგრამ ამ გზას აუცილებლად მოსინჯავს, ამიტომ ის საბედისწერო შეცდომები, რომლებიც დაუშვა ლევან გაჩეჩილაძემ და რამაც მოსახლეობაში საბოლოოდ ჩაკლა ყოველგვარი ბრძოლის ჟინი, ამ ოპოზიციისთვის ჭკუის სასწავლებელი უნდა იყოს. იმის თქმა მინდა, რომ, თუ არჩევნები გაყალბდება და ასი პროცენტით ვარ დარწმუნებული, რომ გაყალბდება, ოპოზიციის არც ერთი წარმომადგენელი ხელისუფლებასთან მოლაპარაკების მაგიდას არ უნდა მიუჯდეს, არანაირ დიალოგზე არ უნდა იყოს საუბარი, იმიტომ, რომ საბოლოოდ ეს მაინც გარიგებას ნიშნავს.

**— ჩვენი ახლო წარსულის გამოცდილებიდან გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ, დიალოგსა და მოლაპარაკებებზე არწასვლით ხელისუფლება მეტ სარგებელს ნახულობს ხოლმე, ამით იგი დასავლეთის თვალში ქულებს იწერს, ოპოზიცია კი რადიკალურ სუბიექტად წარმოჩინდება...**

— იმის მიუხედავად, რომ ზოგიერთი ევროპარლამენტარი სააკაშვილის მიმართ ქება-დიდებას არ იშურებს, საბოლოო ჯამში, დასავლეთს სააკაშვილის საკითხთან დაკავშირებით ერთიანი პოზიცია მაინც არ გააჩნია. მაგალითად, იგივე წამყვანი დასავლური, კერძოდ ევროპული უფლებადამცველი ორგანიზაციები მეტ-ნაკლებად ყოველთვის ობიექტურები არიან თავიანთ შეფასებებში და, როცა საჭიროა, მწვავე კრიტიკასაც არ ერიდებიან.

რაც შეეხება ამერიკას, ის, რა თქმა უნდა, არ გაწირავს საკუთარ მარიონეტს და ყველაფერს გააკეთებს მის შესანარჩუნებლად, მაგრამ კიდევ ერთხელ ვიმეორებ: თუ ოპოზიცია იქნება პრინციპული და თუ იგი ბოლომდე იბრძოლებს სიმართლის დასაცვად, ვერც „თეთრი სახლი“ და ვერც ის კოლოსალური მასშტაბის ფინანსური თუ პოლიტიკური დივიდენდები, რომლებითაც ამერიკის სენატი დღემდე ასაზრდოებს „ნაცმოძრაობას“, მიხეილ სააკაშვილს ვერ უშველის, რეჟიმის რღვევა იქნება გარდაუვალი და ვერანაირი ძალისხმევა ამას, უბრალოდ, ვერ შეაჩერებს.

თუმცა ბევრი რამ თავად ოპოზიციაზეა დამოკიდებული, მაგალითისთვის გაგახსენებთ ერთ ფაქტს: როცა დამთავრდა 30 მაისის ადგილობრივი არჩევნები, მივიდა ბატონი ალასანია და უგულავას გამარჯვება მიულოცა... თუ ამას კიდევ ვინმე გააკეთებს, არჩევნები დამთავრდება და დამერწმუნეთ, არანაირი პროტესტის გამოხატვა, არანაირი გამოსვლები საზოგადოების მხრიდან არ იქნება. ეს ნიშნავს, რომ „ნაცმოძრაობა“, ფაქტობრივად, უვადოდ დარჩება ხელისუფლების სათავეში, ვინაიდან, ამ არჩევნებში გამარჯვების შემთხვევში, თუ ოპოზიციამაც აღიარა ეს გამარჯვება, სააკაშვილი საბოლოოდ ჩამოიშორებს ყველა კონკურენტს...

ამიტომ ოპოზიციას უნდა ესმოდეს, რომ, თუ რომელიმე ამერიკელი სენატორი ან იგივე ელჩი გამოვა და რადიკალებად მოგვიხსენიებს, ეს არ არის დიდი ტრაგედია. როცა არჩევნები ყალბდება და ხელისუფლება ყოველგვარ ზღვარს გადადის, ხალხს უკვე კონსტიტუციური უფლება აქვს, ქუჩაში გამოვიდეს. ასე რომ, **არჩევნების გაყალბების შემთხვევაში, საზოგადოებასა და ოპოზიციას ერთადერთი გზა რჩება — ესაა ბრძოლა და დაუმორჩილებლობა.** სხვანაირად ამ ხელისუფლების გასტუმრების შანსი ნულია, იმიტომ, რომ ამათთვის არ არსებობს არც კანონი და არც ხალხის ნება. ასეთ ხელისუფლებასთან მხოლოდ ქუჩის ენით შეიძლება საუბარი.

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

## ჰილარი კლინტონმა სირიას დანგრევა უწინასწარმეტყველა

**აშშ-ის სახლმწიფო მდივნის — ჰილარი კლინტონის განცხადებით, სირიაში კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების მიღწევისათვის სულ უფრო ცოტა დრო რჩება.** ამის შესახებ ჰილარი კლინტონმა განცხადება ტოკიოში მიმდინარე საერთაშორიო კონფერენციაზე გააკეთა, რომელიც ავღანეთისათვის ფინანსური დახმარების აღმოჩენას უკავშირდება. სახელმწიფო მდივნის თქმით, იზრდება საშიშროება, რომ სირიის სახელმწიფო დაინგრეს. კლინტონის თქმით, სირიაში წარგზავნილი საერთაშორისო ელჩის — კოფი ანანის განცხადებები, რომლებიც მისი სამშვიდობო გეგმის შეუსრულებლობას ეხება, ყველასათვის საგანგაშო სიგნალია. კლინტონმა აღნიშნა, რომ გასული თვე სირიისათვის ყველაზე სისხლიანი იყო და მიიჩნევს, რომ ასადის რეჟიმის დღეები დათვლილია.

## ქართველი მაშველები მზად არიან, კრასნოდარის მხარეში ჩავიდნენ

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამაშველო სამსახურმა მიიღო დავალება, რომლის საფუძველზეც ქართველი მაშველები მზად არიან, კრასნოდარის მხარეში მომხდარ წყალდიდობასთან დაკავშირებით ადგილზე გაუწიონ დახმარება წყალდიდობით დაზარალებულ მოსახლეობას.** როგორც შს სამინისტროში აცხადებენ, ქართული მხარე მზადაა, ჰუმანიტარული დახმარების გასაწევად.

„საინტერესოა, რა არგუმენტებს ეყრდნობიან კოლეგა-დეპუტატები ევროპარლამენტიდან, როდესაც სააკაშვილის რეჟიმს იცავენ? ქვეყანაში, სადაც ამდენი პოლიტპატიმარია და ყველამ კარგად იცის საქართველოს ციხეებში პატიმრების წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტების შესახებ, ევროპარლამენტის ზოგიერთ დეპუტატს მაინც ჰყოფნის კადნიერება, ისაუბროს მიხეილ სააკაშვილის სიკეთეებზე და ერთი სიტყვაც არ თქვას ქვეყანაში გამეფებულ უსამართლობაზე.“

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# დიმიტრი ლორთქიფანიძე: აჭარა გარყვნილების ბუდედ და საერთაშორისო ტრეფიკინგის ცენტრად იქცა

**ხელისუფლების მიერ განხორციელებულ სამთავრობო ცვლილებებსა და პატიმართა უფლებების დარღვევის ფაქტებზე „საქართველო და მსოფლიოს“ პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის წევრი დიმიტრი ლორთქიფანიძე ესაუბრა.**

**— როგორ ფიქრობთ, რა მიზანს ემსახურება და როგორ აისახება ქვეყნაში მიმდინარე წინასაარჩევნო მოვლენებზე ხელისუფლების მიერ განხორციელებული სამთავრობო ცვლილებები?**

— ხელისუფლება დღეს მთლიანად გაკოტრებულია, ვინაიდან მას დაპირებების რეზერვიც კი აღარ დარჩა. მეშვიდე მოწვევის პარლამენტში უკვე მესამედ ვამტკიცებთ სამთავრობო პროგრამას და ახალ მთავრობას ძველი ლოზუნგებითა და სლოგანებით „ერთიანი საქართველო — სიღატაკის გარეშე“, „საქართველო — სიღარიბის გარეშე“, „მეტი სარგებელი ხალხს“... თუმცა **ამ წლების განმავლობაში რა სარგებელი მიიღო ხალხმა? ის, რომ სიღატაკის ზღვარს ქვემოთ მყოფი ადამიანების ერთიან მონაცემთა ბაზაში მათი რიცხვი გასამმაგდა თუ ის, რომ აჭარაში ბინადრობის უფლებით 17 ათასი უცხოელი გახდა საქართველოს მოქალაქე? აჭარა გარყვნილების ბუდედ და საერთაშორისო ტრეფიკინგის ცენტრად იქცა.** აქ ნახავთ შუა აზიიდან სპეციალურად ჩამოყვანილ სექსმუშაკებსა და თურქეთიდან გადმოსულ სექსტურისტებს. სხვადასხვა დისკოკლუბისა თუ სასტუმროს საფარქვეშ საროსკიპოებია გახსნილი...

**ხელისუფლებამ მისთვის სასურველი და ხელსაყრელი რეგულაციები შეიტანა საქართველოს კონსტიტუციაში. მათ შორის, საქართველოს საკუთრების უფლების 21-ე მუხლი, თავისი ინტერპრეტაციით იმგვარად ჩამოაყალიბა, რომ ჩვენს მიწაზე საკუთრების უფლება უცხო ქვეყნის მოქალაქეზეც კი თავისუფლად ვრცელდება.**

თეთრიწყაროს რაიონის სოფელი ხაიში, რომელიც ეკომიგრანტებით — სვანებით არის დასახლებული, აღმოჩნდა, რომ ასეულობით ჰექტრის მესაკუთრეა ირანის მოქალაქეთა ერთი ჯგუფი, რომელიც შემდგომ კაბალური პირობებით ასაქმებს ხაიშის მკვიდრთ. მათ შესაძლებლობაც კი არ მიეცათ, ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მიღებისა, რათა, თავის დროზე, მამასისხლად მოპოვებული მიწაწყალი, ოფიციალურად დაერეგისტრირებიათ საკუთრებაში. სოფელ იორმუღანლოში ნათესები გაუყიდეს გლეხებს. იქვე, სოფელ ხაიშთან ახლოს, 3 კმ-ში, ასევე რამდენიმე ათეული ჰექტარი მიწა აქვთ გერმანიის მოქალაქეებს ნაყიდი. ივრის ხეობაში, ათასი ჰექტრის მფლობელია ისრაელის მოქალაქე. რა თქმა უნდა, ჩვენი ქვეყანა, მიხეილ სააკაშვილისა და ვანო მერაბიშვილის ადმინისტრაციისთვის ხელსაყრელი საქმიანი ბიზნესია.

**არ ვიცი როგორ ესმის ხელისუფლებას სლოგანი ძლიერი ოჯახი, ძლიერი საქართველო, მაგრამ საქართველოს იურიდიულ სივრცეში არ არსებობს კანონი, რომელიც განსაზღვრავს მრავალშვილიანის ცნებას.** მე თავად 7 შვილი მყავს და კარგად ვიცი, მართალია, კანონში საქართველოს ბიუჯეტის შესახებ, წერია, რომ სახელმწიფო იღებს პასუხისმგებლობას იმ ოჯახების მიმართ, ვისაც ჰყავს 7 და მეტი შვილი, მაგრამ უფროსი არ უნდა იყოს სრულწლოვანი და მთელი ოჯახი უნდა იყოს სოციალურად დაუცველი და სიღატაკის ზღვარს ქვემოთ მყოფთა ბაზაში უნდა ირიცხებოდეს.

**— წინააღმდეგ შემთხვევაში, მრავალშვილიანი ოჯახი ვერანაირ დახმარებას ვერ მიიღებს?**

— ამ შემთხვევაში ვერანაირ დახმარებას ვერ მიიღებს, ხოლო, დახმარების შემთხვევაშიც, თითო ბავშვზე მხოლოდ 5 ლარია გათვალისწინებული.

ახალი დასაქმების სამინისტრო შექმნეს, მაგრამ არავინ სვამს კითხვას: **მაშინ, როცა არსებობს უწყება, რომელიც სეგმენტურად მოიცავს შრომას, ჯანდაცვასა და სოცუზრუნველყოფას, მაშინ, როცა ჯანდაცვის სამინისტროს აქვს მრავალმილიონიანი ბიუჯეტი, რატომ ვქმნით ახალ სამინისტროს?** თან აცხადებენ, რომ დასაქმების წყარო, ჩვენი მრავალმილიონიანი საგარეო ვალის მომსახურებაში კურსთა შორის სხვაობიდან მიღებული მოგება იქნება, რომელიც, მათი გათვლებით, წელიწადში 950 ათას ლარს შეადგენს. რამდენად რენტაბელური და კანონზომიერია ეს, ამაზე ვინმეს უფიქრია? დასაქმების მსურველთა რეესტრში დღეში უამრავი ადამიანი დარეგისტრირდება და ეს სამინისტრო, ძირითადად, იმუშავებს რეესტრზე.



«პატიმართა წამებასა და არაადამიანურ მოპყრობასთან დაკავშირებული არც ერთი საქმე არათუ გამოძიებული, სასამართლოსთვისაც არ არის გადაცემული»

**— ამ შემთხვევაში, ხელისუფლების მიზანი რა არის?**

— სანდო პირების მოძებნა და გადმობირება. მთელი ძალა და რესუსრები მიმართული იქნება იმისკენ, რომ დასაქმების სახელმწიფო მინისტრის აპარატმა უზრუნველყოს მხარდამჭერთა დიდი რაოდენობის მოპოვება და მათი ელექტრონული აღრიცხვა.

**— მაგრამ კენჭისყრა ხომ ფარულია და ნებისმიერი მოქალაქე ინდივიდუალურად იღებს გადაწყვეტილებას? ამ შემთხვევაში როგორ გააკონტროლებს ხელისუფლება?**

— თუ კონკრეტული ადამიანის დიდი ნდობა არ აქვთ, მტკიცებულების სახით, მობილური ტელეფონით გადაღებულ ფოტოსაც სთხოვენ, სადაც არჩევნების დროს ფარული კენჭისყრის პროცესია გადაღებული. ყველაფერი ზედმიწევნით გაწერილია. ეს არის ჩვენი დროის მაფია.

**— რა იგულისხმეთ, როცა მთავრობის ახალ შემადგენლობას „საბრძოლო შემადგენლობა“ უწოდეთ? მთავრობაში მხოლოდ გადანაცვლება მოხდა, არც ერთ საპასუხისმგებლო პოსტზე ახალი კადრი არ გამოჩენილა...**

— საბრძოლო შემადგენლობა გულისხმობს იმას, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო სისხლის სამართლის დამნაშავემ ჩაიბარა. დაწყებული ციხის ბუნტის ინსპირირებითა და ჩახშობით და რამდენიმე ათეული ადამიანის პირდაპირი ლიკვიდაციით, დასრულებული — საკუთარ უწყებაში განხორციელებული არაადამიანური რეფორმებით, მათ შორის, გაგახსენებთ, ოფიცერ თეთრაძის მკვლელობის გარემოებებს, რომელიც საერთაშორისო ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში მოექცა.

ბაჩო ახალაია არად დაგიდევთ კომპრომისს. მითუმეტეს, ცნობილი გახდა, რომ **კრიმინალური პოლიცია, მეშვიდე სამმართველო და კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი ერთიანდება და მას შეიძლება კვლავ ერეკლე კოდუა ჩაუდგეს სათავეში. ეს, ფაქტობრივად, პოლიტიკური პოლიციაა და მისი ხელმძღვანელობა საზოგადოების არანაირ ინტერესს არ გაითვალისწინებს** და მას შემდეგ, რაც ეცდებიან არჩევნების გაყალბებას, შეეცდებიან შემდეგშიც შეინარჩუნონ არჩევნების შედეგები.

არავითარ შემთხვევაში არ უნდა ავყვეთ ვერსიებს, თითქოს მერაბიშვილის პრემიერის პოსტზე გადმოყვანა მის პოზიციებს ასუსტებს. **ის, რომ შს ახალი მინისტრი ახალაია ემორჩილება სააკაშვილს, სულაც არ გამორიცხავს, რომ თავად სააკაშვილი ემორჩილება მერაბიშვილს.**

ახალაიას, შაშკინისა და კალმახელიძის დატოვება მთავრობაში უზნეობის გამომხატველი აქტია. წარმოიდგინეთ, **ნულოვანი ტოლერანტობის გამოცხადების დღიდან ციხეში 600-ზე მეტი პატიმარია გარდაცვლილი, რომელთა ასაკიც 24-დან 40 წლამდე მერყეობს. მათი უმრავლესობა აბსოლუტურად ჯანმრთელი შევიდა ციხეში.** თუ ცოცხალი გადარჩა პატიმარი, ან დეპერსონალიზაციას განიცდის, ან სამუდამოდ ხეიბარი რჩება. **პატიმართა წამებასა და არაადამიანურ მოპყრობასთან დაკავშირებული არც ერთი საქმე, არათუ გამოძიებულია, სასამართლოსთვისაც არ არის გადაცემული.**

მაშინ, როცა, 2010 წლის ანგარიშის მიხედვით, 142 პატიმარი იყო გარდაცვლილი და ყოველ მესამეს აღენიშნებოდა ფიზიკური ზემოქმედების კვალი. ასეთი მინისტრი არათუ ჩამოსაშორებელია თანამდებობას, საერთოდ დასაჭერია, მაგრამ ვანო მერაბიშვილმა კალმახელიძე ახლოს დაიყენა, რადგან იმ საწამებელში, საიდანაც, როგორც სახალხო დამცველმა განმარტა, ხდება სიკვდილის ექსპორტი, რა თქმა უნდა, ნებისმიერი პატიმარი და მისი ოჯახი ყველანაირად ეცდება, რომ ამ ჯოჯოხეთიდან ადამიანი დაიხსნას და ამ ადამიანების დახსნის საფასური, წინასაარჩევნოდ ხელმოწერების შეგროვებაა. პატიმარ რატი მაისურაძის დედა მარინა ქებაძე აღმოჩნდა პირველი მოქალაქე, რომელმაც საჯაროდ მისცა ჩვენება, რომ მისი შვილის გათავისუფლება მას 120 ხმა დაუჯდა, რომელიც მას თავის უბანში უნდა მოეგროვებია.

**— ევროპარლამენტში ქართულმა ოპოზიციამ სერიოზული კრიტიკა დაიმსახურა, ხოლო ევროსაბჭოს პრეზიდენტმა ჰერმან ვან რომპეიმ ისიც კი განაცხადა, რომ საქართველო რეგიონში სხვა ქვეყნებისთვის მისაბაძი მაგალითია.**

— მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ევროპაში კარგად იციან საქართველოში არსებული ვითარების შესახებ და ჩვენ არ უნდა ვენდოთ მხოლოდ ნაციონალური ტელეარხების მიერ მოწოდებულ ინფორმაციას. იქ გამომსვლელი ევროპარლამენტარები, დიდი ხანია, ჩვენი ხელისუფლების ლობისტებად ითვლებიან. მიხეილ სააკაშვილს ჰყავს თავისი მგობრები ევროპარლამენტში, განსაკუთრებით ლიტვის სეიმსა და პოლონეთის პარლამენტში.

**საინტერესოა, რა არგუმენტებს ეყრდნობიან კოლეგა-დეპუტატები ევროპარლამენტიდან, როდესაც სააკაშვილის რეჟიმს იცავენ? ქვეყანაში, სადაც ამდენი პოლიტპატიმარია და ყველამ კარგად იცის საქართველოს ციხეებში პატიმრების წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტების შესახებ, ზოგიერთ ევროპარლამენტის დეპუტატს მაინც ჰყოფნის კადნიერება, ისაუბროს მიხეილ სააკაშვილის სიკეთეებზე და ერთი სიტყვაც არ თქვას ქვეყანაში გამეფებულ უსამართლობაზე.**

**— ამ დღეებში კიდევ ერთი ინფორმაცია გავრცელდა პატიმრების წამების შესახებ. ქსნის №15 დაწესებულებაში ორმა პატიმარმა: ზურაბ ნასყიდაშვილმა და პაატა მოდებაძემ დახმარებისთვის უფლებადამცველებს მიმართეს. რატომ არანაირი შედეგი არ მოსდევს მსგავს ფაქტებს, მით უფრო, როცა დამნაშავეების გვარებიც ცნობილია?**

— მიუხედავად იმისა, რომ 2009 წლიდან დღემდე ასეულობით შემთხვევა დაფიქსირდა და სასამართლო-სამედიცინო პათანატომიური ექსპერტიზის დასკვნებით გამყარებული, კონკრეტული დამნაშავეების გვარები და სახელებია ცნობილი, არც ერთზე არ არის საბოლოო გადაწყვეტილება სასამართლოში მიღებული. მე პირადად არაერთი საჩივრითა და განცხადებით მიმიმართავს მთავარი პროკურატურისთვის, დაეწყო კონკრეტულ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება, მაგრამ ამას შედეგი არ მოჰყოლია.

ასევე კონკრეტული დამნაშავეების გვარები იყო ჩამოთვლილი სახალხო დამცველის 2011 წლის ანგარიშში. ცნობილია ვინაობა ადამიანებისა, რომლებმაც ეტლს მიჯაჭვული პატიმარი სცემეს. გადმოაგდეს ეტლიდან და მთელი დღე ასე დატოვეს. საქართველოს საპატიმროებში, როგორც გითხარით, ძირითადად, 24-დან 40 წლამდე ახალგაზრდები არიან დაღუპულები, ხოლო პატიმრების რაოდენობის მიხედვით ევროპაში პირველ ადგილზე ვართ. ამ დროს კი ვანო მერაბიშვილი გვიმტკიცებს, რომ კრიმინალი წელში გადატეხა და კორუფცია აღმოფხვრა.

«ის, რომ შს ახალი მინისტრი ახალაია ემორჩილება სააკაშვილს, სულაც არ გამორიცხავს, რომ თავად სააკაშვილი ემორჩილება მერაბიშვილს»

ესაუბრა **შორენა ციქარაშვილი**

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გასათვალისწინებელია ისიც, რომ „ანგოლური ლაზიკა“ ქვეყნის დედაქალაქ ლუანდასგან, რომელშიც სამუშაო ადგილების უმეტესობაა კონცენტრირებული, სულ რაღაც 30 კილომეტრითაა დაშორებული და მათ ახალი მაგისტრალი აკავშირებს, ხოლო საქართველოში იმ ადგილის სიახლოვეს, რომელზეც ახალი ქალაქის აშენება იგეგმება, ძნელი წარმოსადგენია ხელშესახებ პერსპექტივაში ათიათასობით ახალი სამუშაო ადგილი გაჩნდეს.**

# ჩინური დებიუტი და ანგოლაში აშენებული ლაზიკა

**საუბრები ქალაქ ლაზიკაზე პრაქტიკულად შეწყდა; საზოგადოებამ, როგორც ჩანს, ჩათვალა, რომ სააკაშვილის იდეა იმდენად აბსურდულია, რომ მის განხილვაზე დროის დახარჯვა არ ღირს. თუმცა, თუ ჩვენ დავაკვირდებით წარმოსახვითი ლაზიკის ორეულის, ნახევარმილიონიანი ზღვისპირა ქალაქის ნოვა სიდადე დე კილამბის ისტორიას, რომელიც ანგოლაში მდებარეობს და ბოლო ოთხი წელია, მართლაც რომ სტახანოვური ტემპით შენდება, შეიძლება მივიდეთ დასკვნამდე, რომ პროექტის განხორციელება სავსებით შესაძლებელია, მაგრამ ამისთვის ძალიან დიდი, მეტწილად გეოპოლიტიკური საფასურის გადახდა მოგვიწევს. რა კავშირი აქვს ქალაქების, ერთი შეხედვით, უწყინარ მშენებლობას აშშ-ჩინეთის გლობალურ დაპირისპირებასთან? გაუყვება თუ არა სააკაშვილის ხელისუფლება ანგოლელი კოლეგების გზას?**

## სოფლის შენებას რა უნდა

როდესაც ნოვა სიდადე დე კილამბას (**ახალი ქალაქი კილამბა**, რომელსაც შემდგომ უბრალოდ **კილამბად** მოვიხსენიებთ) პროექტი დასრულდება, 5 ათას ჰექტარზე გაჭიმულ ქალაქში დასახლება ნახევარ მილიონ ადამიანს შეეძლება. მშენებლობა ოთხი წლის წინ დაიწყო. დღესდღეობით აშენებულია 750 რვასართულიანი საცხოვრებელი სახლი, ათეულობით სკოლა და საბავშვო ბაღი, დაგებულია გზები, მზადაა ენერგო და წყალმომარაგების ინფრასტრუქტურა. მშენებლობა დასრულებული არ არის, თუმცა შედეგი, რომელსაც ჩინურმა კორპორაციამ CITIC (China International Trust and Investment Corporation) მიაღწია ძალიან შთამბეჭდავად გამოიყურება, მითუმეტეს, რომ პროექტის ღირებულებამ სამ-ნახევარი მილიარდი დოლარი შეადგინა. ჩინელი მშენებლების მოწადინება და ორგანიზებულობა, რომლებიც ერთ-ერთ უმსხვილეს პროექტს აფრიკაში ასე „სწრაფად და იაფად“ ახორციელებენ, ალბათ, საგანგებო აღნიშვნას იმსახურებს.

კილამბის მშენებლობას ჩინური საკრედიტო ხაზი „კვებავს“, ანგოლა ანგარიშს ნავთობით ასწორებს. ის, რომ ჩინეთს ნავთობი სჭირდება, საყოველთაოდ ცნობილია, მაგრამ საინტერესოა, რისთვის დასჭირდა ახალი ქალაქის აშენება ანგოლას?

2008 წელს პრეზიდენტმა ჟოზე ედუარდუ დუშ სანტუშმა, რომელიც ქვეყანას 33 წელია მართავს, მილიონი ბინის აშენების პირობა დადო. ქვეყანაში, სადაც უამრავი ოჯახი გაუსაძლის პირობებში ცხოვრობს და, პრაქტიკულად, უსახლკაროა, ეს მართალაც აქტუალური დაპირება იყო. ფორმალური თვალსაზრისით, დუშ სანტუშმა დაპირება შეასრულა, აშენდა კილამბა და რამდენიმე შედარებით მცირე დასახლება, მაგრამ გაჩნდა პრობლემა, რომელიც ამ პროგრამის გაუფასურებას ახდენს.

კილამბაში ბინების ფასი 120 ათასი დოლარიდან იწყება და ძალიან ცოტა მყიდველი ჰყავს. „ბი-ბი-სი“-ს ცნობით, 2800 ბინიდან („პირველი პარტია“), რომელთა გაყიდვა ერთი წლის წინ დააპირეს, დღეისთვის მხოლოდ 220 გაიყიდა. ანგოლაში, ისევე, როგორც საქართველოში, არ არსებობს მდგრადი საშუალო ფენა, არადა, ფასების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ბინების პოტენციურ მყიდველებად სწორედ მისი წარმომადგენლები მოიაზრებოდნენ. ვერ გამოვრიცხავთ, რომ იგივე ბედი ქართულ ლაზიკასაც ელის (თუ ის ოდესმე აშენდება). **გასათვალისწინებელია ისიც, რომ „ანგოლური ლაზიკა“ ქვეყნის დედაქალაქ ლუანდასგან, რომელშიც სამუშაო ადგილების უმეტესობაა კონცენტრირებული, სულ რაღაც 30 კილომეტრითაა დაშორებული და მათ ახალი მაგისტრალი აკავშირებს, ხოლო საქართველოში იმ ადგილის სიახლოვეს, რომელზეც ახალი ქალაქის აშენება იგეგმება, ძნელი წარმოსადგენია ხელშესახებ პერსპექტივაში ათიათასობით ახალი სამუშაო ადგილი გაჩნდეს.**



**ანგოლის ხელისუფლება დღეს იყენებს ამ ახალ ქალაქს ისე, როგორც სააკაშვილის ხელისუფლება — ნებისმიერ ახალ შენობას: კილამბა დიდი, ძვირადღირებული დეკორაციის როლს ასრულებს, რომლის ფონზე სარეკლამო კლიპებს იღებენ**

დღეს კილამბა ქალაქი-მოჩვენებაა, იქ პრაქტიკულად არავინ ცხოვრობს.

ანგოლის ხელისუფლება დღეს იყენებს ამ ახალ ქალაქს ისე, როგორც სააკაშვილის ხელისუფლება — ნებისმიერ ახალ შენობას: კილამბა დიდი, ძვირადღირებული დეკორაციის როლს ასრულებს, რომლის ფონზე სარეკლამო კლიპებს იღებენ. გაღიმებული მსახიობები დასეირნობენ კილამბის ქუჩებში და ტელეაუდიტორიას ბედნიერ ცხოვრებასა და მზრუნველ მთავრობაზე მოუთხრობენ. ძნელი სათქმელია, როგორ რეაგირებს ანგოლელი ამომრჩეველი ამ „მოდელირებულ რეალობაზე“, თუმცა ამას მალე გავიგებთ, თვე-ნახევარში ანგოლაში არჩევნები ჩატარდება და იმის ალბათობა, რომ მათ მღელვარებას „ფერადი რევოლუცია“ (ან შესაბამისი მცდელობა) მოჰყვება, საკმაოდ მაღალია.

ათწლეულებია, ანგოლის მმართველი პარტია ხელისუფლებიდან ფეხს არ იცვლის და, „ნაციონალური მოძრაობის“ არ იყოს, პარლამენტში აბსოლუტურ უმრავლესობას აკონტროლებს, მაგრამ ვაშინგტონს არ მოსწონს, რომ პეკინის პოზიციები ამ ნავთობმომპოვებელ ქვეყანაში დღითიდღე ძლიერდება, ამას კი შეიძლება მძიმე შედეგები მოჰყვეს. სუდანი, რომელიც ჩინეთის სანავთობო იმპორტის 7%-ს უზრუნველყოფდა (სუდანის ექსპორტის 60%-ს), რომელშიც ჩინელებმა 15 მილიარდამდე დოლარი ჩადეს, დღეს ორ, ერთმანეთთან დაპირისპირებულ, ნაწილად გაიყო, რაშიც ობამას ადმინისტრაციამ უდიდესი, თუ არა გადამწყვეტი, როლი შეასრულა და ჩინური ინვესტიციები ჰაერში გამოეკიდა. **ლიბიის სანავთობო ექსპორტის 11% ჩინეთზე მოდიოდა, ამ ქვეყანაში ჩინური კომპანიები 50 მსხვილ პროექტს (18,8 მილიარდი დოლარი) ახორციელებდნენ, დღეს ყველაფერი ეს, შეიძლება ითქვას, წყალში ჩაიყარა.** ირანი ჩინეთის

## პალესტინაში იასირ არაფატის ექსჰუმაციისათვის ემზადებიან

**პალესტინის ნაციონალური ადმინისტრაციის ლიდერმა მაჰმუდ აბასმა იორდანის დასავლეთ სანაპიროზე პალესტინის ავტონომიის ყოფილი ლიდერის — იასირ არაფატის ცხედრის ექსჰუმაციისა და მისი გარდაცვალების მიზეზების დადგენისათვის შვეიცარიელი ექსპერტების მოწვევის განკარგულება გასცა.** ეს განცხადება მოლაპარაკებებში პალესტინის მთავრობის წარმომადგენელმა საიდ ორეიკატმა გააკეთა. ამ გამოძიების ჩატარება პალესტინის მთავრობამ მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც გასულ კვირას ტელეარხმა „ალ-ჯაზირამ“ გაავრცელა ინფორმაცია, რომ პრეზიდენტ არაფატის პირად ნივთებზე რეაქტიული ნივთიერება პოლონიუმ-210-ის კვალი აღმოჩნდა. ჟურნალისტების თხოვნით, ანალიზი შვეიცარიის ქალაქ ლოზანას რადიოფიზიკის ინსტიტუტის თანამშრომლებმა გააკეთეს.



## აშშ-ისა და ევროკავშირის ლიდერობის ეროზია

**რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა მოსკოვში აშშ-ის, ევროკავშირისა და იაპონიის მსოფლიო ლიდერობის ეროზიის შესახებ განცხადება გააკეთა.** „ისეთი ეკონომიკური ლოკომოტივების ლიდერობის ეროზია, როგორებიც არიან აშშ, ევროკავშირი და იაპონია აფერხებს გლობალური განვითარების დინამიკას და ხელს უშლის მსოფლიოეკონომიკური კრიზისის დაძლევის საიმედო ვარიანტების გაჩენას. ჯერჯერობით არ შეინიშნება მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის დაძლევის საიმედო ვარიანტები, მეტიც, პერსპექტივები სულ უფრო საგანგაშო ხდება, ევროზონის ვალები და მისი ჩაცურება რეცესიისკენ აისბერგის მხოლოდ მწვერვალია, იმ აისბერგისა, რომელიც გადაუჭრელი სტრუქტურული პრობლემებისგან შედგება“, — განაცხადა ვლადიმერ პუტინმა.

## თურქეთ-სომხეთის ურთიერთობის პირობა

**თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის — აჰმედ დავუთოღლუს განცხადებით, თურქეთი სომხეთთან ურთიერთობას მხოლოდ მიტაცებული აზერბაიჯანული მიწის გათავისუფლების შემდეგ დაამყარებს.** „სომხეთმა, პირველ რიგში, აზერბაიჯანის მიტაცებული მიწები უნდა გაათავისუფლოს და ანკარა მხოლოდ ამის შემდეგ დაფიქრდება სომხურ-თურქული ურთიერთობების ნორმალიზაციაზე. ეს არაერთხელ გვითქვამს. ამის შემდეგ სომხეთ-თურქეთის საზღვარი გაიხსენება, ეკონომიკური თანამშრომლობა დამყარდება, რაც სომხეთის ეკონომიკას გამოაცოცხლებს“, — განაცხადა დავუთოღლუმ. შეგახსენებთ, რომ თურქეთსა და სომხეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობები არ არსებობს, 1993 წლიდან კი საზღვარი ჩაკეტილია.

## ამერიკელმა კონგრესმენმა თავისივე სქესის წარმომადგენელზე იქორწინა

**ამერიკელმა კონგრესმენმა თავისივე სქესის წარმომადგენელზე იქორწინა.** 72 წლის ბარნი ფრენკი პირველი კონგრესმენია, რომელმაც ერთსქესიანი ქორწინება დაარეგისტრირა. იგი დიდი ხანია 44 წლის ბიზნესმენ ჯიმ რედისთან ერთად ცხოვრობს. ცერემონიას 300-მდე სტუმარი ესწრებოდა, რომელთა შორისაც სენატორი ჯონ კერი და წარმომადგენელთა პალატის თავმჯდომარე ნენსი პელოსიც იყვნენ.

**ბოლო დროს სააკაშვილი სულ უფრო ფართოდ უღებს საქართველოს კარს ჩინურ კაპიტალს და, შესაბამისად, ჩინურ გავლენას და ეს არ შეიძლება მოსწონდეს ამერიკელებს, როგორც ზემოთ ჩამოთვლილი ქვეყნების მაგალითებიდან ჩანს, რადგან მათ მშვენივრად იციან, რომ ჩინელების ეკონომიკურ პროექტებს, გეოპოლიტიკური დატვირთვის მქონე პროექტები მოჰყვება. ამერიკელები, პრინციპში, საკმაოდ მშვიდად აღიქვამენ გეოპოლიტიკურ ჭადრაკს რუსეთთან (ანგოლაში იქნება, ირანში თუ საქართველოში), მაგრამ, როგორც კი ავანსცენაზე ჩინელები გამოდიან, ისინი მოსვენებას კარგავენ, რადგან მათ ყველაზე საშიშ მოწინააღმდეგეებად აღიქვამენ.**

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

საკვანძო პარტნიორია და ამერიკელებს მიზანში ჰყავთ ამოღებული. ზოგიერთი რამ კი ზედაპირზე არ ჩანს, მაგალითად, ეგვიპტურ რევოლუციას, სხვა ყველაფერთან ერთად, ამ ქვეყნის პოლიტიკური სივრციდან პროჩინური ლობის ფაქტობრივი ამოშანთვა მოჰყვა. მოკლედ, **იქ სადაც ვაშინგტონი პროცესებში აქტიურად ერევა (და სად არ ერევა?!), მის ამოცანებს შორის ერთ-ერთი ყველაზე პრიორიტეტული პეკინის პოზიციების დასუსტებაა.** ეს ეხება ჩამოთვლილ ქვეყნებსაც, ნიგერიასაც, სადაც ჩინელები საგრძნობლად გააქტიურდნენ (ათეულობით მილიარდი დააბანდეს და სამ ახალ ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში დამატებით 25 მილიარდის ჩადებას გეგმავენ) და ანგოლასაც, სადაც მალე ოპოზიცია ხელისუფლებას, სავარაუდოდ, არნახული შემართებით შეუტევს.

თუმცა, ალბათ, დროა, აქაურ დუშ სანტუშსა და ქართულ კილამბას, მიხეილ სააკაშვილსა და მის ლაზიკას დავუბრუნდეთ.



**«ანგოლური სცენარის» რეალიზება სავსებით შესაძლებელია. ჩინელებს შეუძლიათ ააშენონ ლაზიკა, რომელსაც სააკაშვილი თავისი პოლიტიკური მიზნებისთვის გამოიყენებს და ამის სანაცვლოდ მიიღონ არა ნავთობი, რომელიც არ გვაქვს, არამედ რაიმე სხვა**

### დრაკონი დასავლეთით მიიწევს

**სააკაშვილს არავინ ასესხებს ფულს, რომელიც ლაზიკის აშენებას სჭირდება,** მეტიც, ჩინელებიც კი არ მისცემენ ამ ფულს „ხელზე", იმისთვის, რომ საკუთარი შეხედულებისამებრ განკარგოს. თუმცა „ანგოლური სცენარის" რეალიზება სავსებით შესაძლებელია. ჩინელებს შეუძლიათ ააშენონ ლაზიკა, რომელსაც სააკაშვილი თავისი პოლიტიკური მიზნებისთვის გამოიყენებს და ამის სანაცვლოდ მიიღონ არა ნავთობი, რომელიც არ გვაქვს, არამედ რაიმე სხვა. როდესაც სააკაშილმა ლაზიკის აშენების იდეა გაახმოვანა, ყოველივე ეს, სავარაუდოდ, მშვენივრად ესმოდა, რადგან მისი ჩანაფიქრის განხორციელების სხვა რეალისტური ვარიანტი, უბრალოდ, არ არსებობს.

გასული წლის ნოემბერში ხელი მოეწერა მემორანდუმს საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსა და „სინძიანის ხუალინის სავაჭრო-სამრეწველო ჯგუფს" შორის, რომლის თანახმად, ჩინურმა მხარემ აიღო ვალდებულება, რომ თბილისში, „ხუალინის სპეციალურ ეკონომიკურ ზონაში" 2015 წლის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალისთვის ააშენებს დამხმარე სასტუმროს, რომლის საერთო ფართი არ უნდა აღემატებოდეს 65 000 კვ.მ-ს. ასევე მოიცავს ბაზრის ტერიტორიას, საწარმოო და სასაწყობე ფართს, საცხოვრებელ კომპლექსს, სარეკრეაციო და დასასვენებელ ზონას და ა. შ. **ჩინური მხარის ინვესტიცია 150 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს. თავის მხრივ, ქართულმა მხარემ აიღო ვალდებულება, რომ ჩინელ ინვესტორებს უშუამდგომლებს საქართველოს პრეზიდენტის წინაშე არანაკლებ 420 ჰექტარი მიწის ფართის შეღავათიან ფასებში მიყიდვაზე.**

**ეს შეთანხმება შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც ერთგვარი მოდელი ჰიპოთეტური შეთანხმებისთვის ლაზიკის აშენების თაობაზე. ძნელი წარმოსადგენი არაა, რა საფასურის გაღება მოგვიწევს არა ერთი „დამხმარე სასტუმროსთვის" მიმდებარე ტერიტორიით, არამედ კილამბის მსგავსი ნახევარმილიონიანი ქალაქის აშენებისთვის.** ის, რომ ამის შედეგად ჩინელები მიიღებენ „ენ რაოდენობის" მიწას, ხეტყეს, წყალს, სხვადასხვა ნედლეულს და ა.შ., ერთია, მაგრამ, ამ შემთხვევაში, ჩვენ აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ „ჩინური ალგორითმი", რომელიც განსაკუთრებით თვალსაჩინოდ ევრაზიის არასანავთობო ქვეყნებში ვლინდება (ყირგიზეთში, ავღანეთში, პაკისტანში). ის, რომ ეკონომიკური პროექტების განხორციელებას და ამა თუ იმ ქვეყანაში პლაცდარმის გაფართოებას (ლაზიკაზე შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში, ეს გაფართოება ძალიან სწრაფი იქნება) აუცილებლად გეოპოლიტიკური დატვირთვის მქონე პროექტი მოსდევს, რასაც სხვა მოთამაშეების, უპირველესად კი, აშშ-ის, მკვეთრი რეაქცია და შესაბამისი რისკები მოყვება.

ავღანური მაგალითი: ჩინურმა კომპანიებმა იოლად მოიგეს ტენდერები ავღანური სპილენძის მოპოვებაზე და ტრანსავღანური ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელის გაყვანაზე, მათ კონკურენტებზე გაცილებით მეტი გადაიხადეს. რეგიონებში, სადაც ჩინელები მუშაობენ, ისინი საკუთარ თავზე იღებენ ვალდებულებას, ააგონ ინფრასტრუქტურის ობიექტები — სკოლები, მეჩეთები და ა. შ., რაც მოსახლეობის კეთილგანწყობას იწვევს. ეს შეიძლება განვიხილოთ, როგორც პირველი ეტაპი, პოზიციების გამყარება, განსაკუთრებით ჩრდილოეთ ავღანეთში, რომელიც ენერგორესურსებით მდიდარ შუა აზიის ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს ესაზღვრება. შემდეგ დაიწყო საუბარი სხვა ტიპის პროექტებზე, მაგალითად, ტაჯიკეთ-ავღანეთ-პაკისტანის რკინიგზის გაყვანაზე, რომელიც „სუფთა ეკონომიკურ" წამოწყებად ნამდვილად ვერ ჩაითვლება. ისევე, როგორც სარკინიგზო პროექტი ყირგიზეთში, რომელიც, განხორციელების შემთხვევაში, ცენტრალური აზიის ქვეყნებზე გამავალი, ჩინეთ-ირანის დამაკავშირებელი „ხიდი" გახდება. ისევე, როგორც პაკისტანური პორტის გვადარის განვითარება და ავღანეთსა და პაკისტანში მაგისტრალების გაყვანა, რომელიც მასთან კავშირს უზრუნველყოფს. **პეკინი ორი ძირითადი პრობლემის გადაწყვეტას ცდილობს: იმ საზღვაო მარშრუტებზე დამოკიდებულების შემცირებას, რომელთაც ამერიკული საზღვაო ძალები ემუქრებიან,** და **აღმოსავლეთ ჩინეთის ფორსირებულ განვითარებას.**

**როგორი შეიძლება იყოს „მეორე ეტაპის", გეოპოლიტიკური დატვირთვის მქონე ჩინური პროექტი საქართველოში?** მისი კონტურები ჯერჯერობით ბუნდოვანია, რადგან ბევრი რამ დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად წაიწევენ წინ ჩინელები ცენტრალურ აზიაში და რა მოხდება ირანში, თუმცა ნებისმიერ შემთხვევაში, ვაშინგტონის რეაქცია მასზე ნეგატიური იქნება.

### ვაის გავეყაროთ თუ უის შევეყაროთ?

ჩინური კომპანიები საქართველოში სულ უფრო მეტ პროექტს ახორციელებენ, ჩვენ ქვეყანაში სულ უფრო მეტი ჩინელი სახლდება. ეს ერთგვარი ავანგარდია, რომელიც იკავებს პლაცდარმს და აფართოებს მას. საერთოდ, ურთიერთმომგებიანი თანამშრომლობა ჩინელებთან, რომელთა შრომისმოყვარეობა აღტაცებას იწვევს, ჩვენთვის შეიძლება მეტად სასარგებლო გამოდგეს, მაგრამ ამ ურთიერთობებში საქართველოს ხელისუფლებამ, ალბათ, მაინც ზომიერება უნდა გამოავლინოს. პროცესი შეიძლება წყალსაცავიდან წყლის გამოშვებას შევადაროთ, თუ ეს მომენტალურად მოხდება, ნაკადი ყველაფერს წალეკავს. ცხადია, **არავინ საუბრობს იმაზე, რომ ჩინურ კაპიტალს გზა ხელოვნურად უნდა გადავუღობოთ, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ამერიკელები აუცილებლად დაიწყებენ კონტრ-თამაშს, რომელმაც შეიძლება არასასურველი შედეგები მოგვიტანოს.**

ყირგიზეთის არასტაბილურობას მნიშვნელოვანწილად ის განაპირობებს, რომ იქ ერთმანეთს სამი მოთამაშის ინტერესები შეეჯახა, რომელთაგან თითოეულმა ამ ქვეყნის სამხედრო-პოლიტიკურ და ეკონომიკურ სივრცეში საკმაოდ მოცულობითი სეგმენტი დაიკავა. „სამთა შეჯახება" საქართველოსთვის ამოუცნობ შედეგს მოასწავებს, მითუმეტეს, რომ ჩვენთან წარმოდგენილია მეოთხე (მართალია, რეგიონული, მაგრამ მაინც) ძალა — თურქეთი. სააკაშვილის ხელისუფლება, რომელიც ხშირ შემთხვევაში, პრიმიტიული ინსტინქტებით ხელმძღვანელობს და ფულს ან ტაქტიკურ ამონაგებს დახარბებულმა შეიძლება უმძიმესი შეცდომა დაუშვას, მოხდენილ მანევრირებას ამ უზარმაზარ აისბერგებს შორის, სავარაუდოდ, ვერ მოახერხებს.

როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ იმაზე, რომ ვაშინგტონის დამოკიდებულება სააკაშვილის მიმართ შეიცვალა და ამის ათას მიზეზს ვასახელებთ, არადემოკრატიულობიდან დაწყებული, უმართავობით დამთავრებული, არასოდეს ვახსენებთ შემდეგ გარემოებას: **ბოლო დროს სააკაშვილი სულ უფრო ფართოდ უღებს საქართველოს კარს ჩინურ კაპიტალს და, შესაბამისად, ჩინურ გავლენას და ეს არ შეიძლება მოსწონდეს ამერიკელებს, როგორც ზემოთჩამოთვლილი ქვეყნების მაგალითებიდან ჩანს, რადგან მათ მშვენივრად იციან, რომ ჩინელების ეკონომიკურ პროექტებს, გეოპოლიტიკური დატვირთვის მქონე პროექტები მოჰყვება. ამერიკელები, პრინციპში, საკმაოდ მშვიდად აღიქვამენ გეოპოლიტიკურ ჭადრაკს რუსეთთან (ანგოლაში იქნება, ირანში თუ საქართველოში), მაგრამ, როგორც კი ავანსცენაზე ჩინელები გამოდიან, ისინი მოსვენებას კარგავენ, რადგან მათ ყველაზე საშიშ მოწინააღმდეგეებად აღიქვამენ.**

თქმული არ ნიშნავს, რომ ძია სემის დაკრულზე უნდა ვიცეკვოთ ან ჩინელებს გადავემტეროთ; მთავარია, სიფრთხილე და წინდახედულობა გამოვავლინოთ, რათა კიდევ ერთხელ არ ვაქციოთ ქვეყანა ზესახელმწიფოების თამაშის მძევლად, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლების განმავლობაში სხვა არაფერი გვიკეთებია.

**დიმიტრი მონიავა**

### ფინეთში ცოლის ხელით ტარების ჩემპიონატი გაიმართა

**შეჯიბრის ორგანიზატორებმა შეამოწმეს, შეუძლიათ თუ არა მამაკაცებს ცოლის ხელით ტარება, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით.** ამ უცნაურ ჩემპიონატში მონაწილეობა 38-მა წყვილმა მიიღო. ისინი ფინეთში სპეციალურად ამ პროექტში მონაწილეობის მისაღებად მთელი მსოფლიოდან ჩავიდნენ. ჩემპიონატს 8000 მაყურებელი ჰყავდა. ქმრებს კილომეტრიანი გზის მეოთხედი ხელში აყვანილი, ან ზურგზე შემოსმული ცოლებით უნდა დაეფარათ. ტრასაზე სხვადასხვა ბარიერი იყო — მამაკაცებმა გადალახეს ქვიშიანი და ბალახიანი მოედანი. გამარჯვებისკენ მიმავალ გზაზე მონაწილეებს აუზიც კი შეხვდათ. ჩემპიონატის გამარჯვებული ფინელი ტაისტო მიტინენია, რომელსაც საჩუქრად ლუდის კასრი გადასცეს, ის იმდენივეს იწონიდა, რამდენსაც ტაისტოს მეუღლე.



### ინდოეთმა განდის არქივი გამოისყიდა

**ინდოეთის მთავრობამ ბრიტანული აუქციონის სახლ Sotheby's-გან რესპუბლიკის დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი მაჰათმა განდის არქივი 1,1 მილიონ დოლარად გამოისყიდა.** კოლექცია, რომელიც რამდენიმე ათას წერილს, დოკუმენტსა და ფოტოს მოიცავს, აუქციონზე 10 ივლისს უნდა გაყიდულიყო, მაგრამ ნიუ-დელიმ ვაჭრობამდე რამდენიმე დღით ადრე გადაწყვიტა, ძვირფასი არქივი შეეძინა. „დოკუმენტებს ქვეყნისთვის დიდი მნიშვნელობა აქვთ. ჩვენ მათი ყიდვა გადავწყვიტეთ, რათა განდის ცხოვრებაზე უფრო მეტი შევიტყოთ", — აღნიშნეს ინდოეთის მთავრობაში.

კოლექციას ინდოეთის ნაციონალურ არქივში შეინახავენ, მას ქვეყნის კულტურის სამინისტროს სპეციალური კომისია შეისწავლის. არქივი ებრაელ არქიტექტორს — ჰერმან კალენბახს ეკუთვნოდა, რომელიც განდის ახლო მეგობარი იყო. დოკუმენტებს შორის, რომლებიც 1891-1915 წლებით თარიღდება, ექსპერტებმა განდის ნათესავებისა და მეგობრების ათობით წერილი ნახეს.

### ამერიკელმა იპოთეკა ერთცენტიანებით დაფარა

**ამერიკელმა ტომას დეიგლმა იპოთეკის ბოლო გადასახადი ბანკში ერთცენტიანებით შეიტანა. სულ მამაკაცმა ბანკში 620 დოლარი 62 000 ერთცენტიანით მიიტანა. ფული ორ ყუთში იყო განაწილებული.** ორივე ყუთი ერთად 360 კგ-ს იწონიდა. ტომასი წინასწარ დაუკავშირდა ბანკს და იკითხა, მიიღებდნენ თუ არა შენატანს ერთცენტიანებით. დასტურის შემდეგ, მან ერთცენტიანების შეგროვება დაიწყო. ტომასი აშშ-ში, მასაჩუსეტსის შტატში, ქალაქ მილფორდში ცხოვრობს. მან სახლი 1977 წელს იპოთეკით შეიძინა და იმავე დღიდან დაიწყო ერთცენტიანების შეგროვება. მან ჟურნალისტებს განუცხადა, რომ სურდა უკანასკნელი შენატანი ღირსშესანიშნავ მოვლენად ექცია. იპოთეკის ბოლო დღე ტომასისა და მისი მეუღლის — სანდრას ქორწინების წლისთავს დაემთხვა.



### 15 წლის მერი

**15 წლის პალესტინელი ბაშაერ ოტმანი მსოფლიოში ყველაზე ახალგაზრდა მერია. მან ქალაქი ალარი ორი თვის განმავლობაში უნდა მართოს.** მოზარდი მერად ადგილობრივი მთავრობის პროგრამის ფარგლებში დანიშნეს. პროგრამა ახალგაზრდებს რეგიონის პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართვას უწყობს ხელს. ოტმანი ყველა იმ საკითხზე იქნება პასუხისმგებელი, რომელთაც მუნიციპალიტეტი წყვეტს და, ფინანსური ქაღალდების გარდა, ყველა ოფიციალურ დოკუმენტს მოაწერს ხელს. ახალგაზრდა მერს დახმარებას ქალაქის მოქმედი მმართველი ალარ სუფიან შადიდი გაუწევს.

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ვფიქრობ, „ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო სიების დაკომპლექტების დროს სიახლეები გველოდება, რადგან სააკაშვილის მთავარი ამოცანა იქნება, პარლამენტში მოხვდნენ ის ადამიანები, რომლებიც გარანტირებულად უზრუნველყოფენ მერაბიშვილის პრემიერობას. ასე რომ, ხელისუფლების შიგნით სახელისუფლო წრეებს შორის დაპირისპირება გარდაუვალია. რამდენად შეიტყობს საზოგადოება ამის შესახებ, არ ვიცი, მაგრამ გარკვეული ტიპის დაპირისპირება ხელისუფლების შიგნით უკვე გაჩნდა.“**



*ელისო კილაძე:*

# ქრიამული, რომ «მიშა დამთავრდა» და შემოდგომაზე ხელისუფლებიდან წავა, აბსურდია

**„მითები და ილუზიები იმის თაობაზე, რომ ხელისუფლება არჩევნების შედეგად წავა და გზას სხვა პოლიტიკურ ძალას, ანუ ბიძინა ივანიშვილს დაუთმობს, ამ საკადრო ცვლილებებით დაიმსხვრა“, — აცხადებს საზოგადოებრივი მოძრაობა „ჩემი საქართველოს“ ხელმძღვანელი ელისო კილაძე, რომელსაც მიაჩნია, რომ ხელისუფლების მთავარი მიზანი ახლა საარჩევნო პროცესის სრულად და კარგად გაკონტროლებაა.**

**— გაზრდის თუ არა ხელისუფლების რეიტინგს წინასაარჩევნოდ განხორციელებული საკადრო ცვლილებები?**

— მიხეილ სააკაშვილმა ამ ნაბიჯით ყველა მის პოლიტიკურ ოპონენტს მკაფიოდ უთხრა, რომ არაფრის დათმობას არ აპირებს, ანუ მითები და ილუზიები იმის თაობაზე, რომ ხელისუფლება არჩევნების შედეგად წავა და გზას სხვა პოლიტიკურ ძალას, ანუ ბიძინა ივანიშვილს დაუთმობს, ამ საკადრო ცვლილებებით დაიმსხვრა. პირიქით, ამჯერად სააკაშვილმა პოლიტიკურ არენაზე ყველაზე მძიმეწონიანი ფალავანი — ვანო მერაბიშვილი გამოიყვანა. ცნობილია, რომ ივანიშვილს სურს, მომავალში პრემიერ-მინისტრის პოსტი დაიკავოს, სააკაშვილმა კი თავის ფალავანს, მერაბიშვილს, სწორედ პრემიერის თანამდებობა ჩააბარა და ძალიან მკაფიო დავალება მისცა: ვანო მერაბიშვილმა უნდა დაიცვას ეს თანამდებობა, ანუ ერთმანეთის პირისპირ საარჩევნო რინგზე ივანიშვილი და მერაბიშვილი დგებიან. ბიძინა ივანიშვილი ვერ გააკეთებს მერაბიშვილის მიმართ მკვეთრ კრიტიკულ განცხადებებს, ვინაიდან, მოგეხსენებათ, მან ლამის ყველა თავის ინტერვიუში თქვა, რომ ვანო მერაბიშვილმა პოლიციაში კარგი რეფორმები გაატარაო, რამაც საზოგადოებაში იმის განწყობაც კი შექმნა, რომ მერაბიშვილი შეიძლებოდა ივანიშვილის მხარეს გვეხილა, თუმცა ამ საკადრო გადაწყვეტილებით ეს ეჭვიც უარყოფილი იქნა.

**ხელისუფლების ოპონენტების განცხადებები და ქრიამული იმის თაობაზე, რომ „მიშა დამთავრდა“ და შემოდგომაზე ხელისუფლებიდან წავა, აბსურდია. სააკაშვილი ექსტრემალური სიტუაციების პოლიტიკოსია. მან ყოველთვის იცის, რომ უნდა გარისკოს და აქამდე, 8 წლის განმავლობაში, მისი რისკი ყოველთვის ამართლებდა, ამიტომ ვაი-ვიში, რომ სააკაშვილი ნარკოტიკების ზეგავლენის ქვეშ იმყოფება, არარეალური და არაადეკვატურია, ვფიქრობ, არასწორიც. მან გადამწყვეტ მომენტში ყოველთვის ძალიან სწორი ნაბიჯები გადადგა მოწინააღმდეგის დასამარცხებლად.**

პრეზიდენტმა საკმაოდ დიდი უფლებამოსილება მიანიჭა ძალოვან მინისტრებს, კონკრეტულად კი ძმებ ახალაიებს — ერთი ძმა შს მინისტრად, მეორე კი, ფაქტობრივად, თავდაცვის მინისტრად დანიშნა, რადგან ვფიქრობ, დიმიტრი შაშკინი თავდაცვის სამინისტროში მხოლოდ სიმბოლური მინისტრი იქნება.

**— რატომ გაუზარდა მიხეილ სააკაშვილმა უფლებამოსილება მაინც და მაინც ძმებ ახალაიებს წინასაარჩევნოდ ასეთ საპასუხისმგებლო პოსტებზე?**

— დიდი ხანია, ძმები ახალაიები სააკაშვილის მეგობრები არიან და მასთან ერთად ბევრი რამ გააკეთეს, კარგიც და ცუდიც. სააკაშვილმა არამარტო უფლებამოსილება გაუზარდა, არამედ პირველი პირი გახადა ბაჩო ახალაია იმ უწყებაში, რომელიც გადამწყვეტია ყველა საარჩევნო კამპანიის დროს, და ნურავის ექნება ილუზია, რომ არჩევნები პოლიციისა და თავდაცვის სამინისტოს გარეშე ჩატარდება. ამასთან, ძალოვანი უწყებები პრემიერ-მინისტრს კი არ ექვემდებარებიან, არამედ პირადად პრეზიდენტს. და მგონი, ესეც ბევრ რამეზე მეტყველებს...

**— ამბობენ, რომ ხელისუფლებას სწორედ ივანიშვილის გამოჩენამ აურია გეგმები და აღნიშნული ცვლილებებიც ამის შედეგია.**

— ცხადია, რადგან თავისთავად ის ფაქტი, რომ ასეთი მოთამაშე შემოვიდა პოლიტიკურ სივრცეში, მრავლისმეტყველი იყო და არა — ჩვეულებრივი და შემთხვევითი მოვლენა. იმ საერთაშორისო მხარდაჭერას, რომელიც ივანიშვილმა საარჩევნო კამპანიის დროს მიიღო (მხედველობაში მაქვს დიპლომატებთან შეხვედრები), დაემატა ხალხმრავალი აქციები და, რამდენადაც სირაქლემას პოზიციაში არ უნდა ჩაიყენოს თავი ხელისუფლებამ და თქვას, რომ „ქართული ოცნების“ მიერ გამართულ ქუთაისის საპროტესტო აქციაზე მხოლოდ 6 ათასი კაცი გამოვიდა, ხოლო თბილისში 30 ათასი კაციო, ხელისუფლებამ ყველაზე უკეთ იცის, სინამდვილეში რამდენი კაცი გამოვიდა ბიძინა ივანიშვილის მხარდასაჭერად.

ბუნებრივია, ამ რეალობამ ადეკვატური შედეგი გამოიღო და საკადრო ცვლილებებიც სწორედ არსებულმა პოლიტიკურმა რეალობამ გამოიწვია.

**— მთავრობის ახალ შემადგენლობაში არ მოხვდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრი კობა სუბელიანი, მაგრამ სააკაშვილმა არ შეცვალა საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრი ხათუნა კალმახელიძე, რომლის მიმართაც საზოგადოებას საკმაოდ სერიოზული პრეტენზიები აქვს.**

— მთავრობის ახალ შემადგენლობაში კობა სუბელიანი რომ არ მოხვდა, ეს ძალიან კარგია, ვინაიდან დევნილთა და განსახლების სამინისტრო ძალიან არაადეკვატური იყო დევნილებთან მიმართებაში. მეორე მხრივ, ეს ცვლილება ჩემთვის იმას ნიშნავს, რომ გიგი უგულავას გავლენა, რომლის მეგობარიც არის კობა სუბელიანი, პრეზიდენტის კარზე მნიშვნელოვნად შემცირდა.

ვფიქრობ, ძალიან კარგი იქნებოდა, თუ კალმახელიძესაც შეცვლიდნენ, რადგან ციხეებში არსებული ვითარება, არამარტო პატიმართა რაოდენობის სიმრავლით, არამედ მათდამი მოპყრობის თვალსაზრისითაც უკვე ყველანაირ ზღვარს სცილდება და ხათუნა კალმახელიძის გათავისუფლება ხელისუფლებას გარკვეულ ქულებს მოუტანდა, მაგრამ ეტყობა, სუბელიანის გაშვება და გიგი უგულავას განაწყენება ამ ეტაპზე ნაკლებად მნიშვნელოვნად მიიჩნიეს და გიგა ბოკერია კალმახელიძის გათავისუფლებით არ მოიმდურეს. რადგან, როგორც ვიცი, ბოკერია თავდაცვის მინისტრის პოსტზე ბათუ ქუთელიას კანდიდატურას ლობირებდა და აქ პრეზიდენტმა არ დაუთმო და მოიყვანა თავდაცვის სამინისტროში დიმიტრი შაშკინი, რომელიც ასევე ამერიკელებისთვის მისაღები კადრია, თუმცა მას სააკაშვილმა პირველ მოადგილედ კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის სამსახურის უფროსი დათა ახალაია დაუნიშნა.

**— საბოლოო ჯამში, როგორ ფიქრობთ, გაამართლებს აღნიშნული ცვლილებები ხელისუფლებისთვის?**

— საბოლოო ჯამში, **ხელისუფლების მიზანია საარჩევნო პროცესის სრულად და კარგად გაკონტროლება. ასე რომ, ამ მიზნით, ეს ცვლილებები სააკაშვილმა მართებულად განახორციელა. სხვა საკითხია, რამდენად გაამართლებს ეს ყველაფერი.**

თუმცა არის მეორე, ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტიც: მიუხედავად იმისა, რომ სახელისუფლო შტოებს შორის არსებული დაპირისპირება, რომელიც მთავრობის დაკომპლექტების პროცესში არსებობდა, შიდაკულუარული იყო და ფართო საზოგადოებისთვის უცნობი დარჩა. **ვფიქრობ, „ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო სიების დაკომპლექტების დროს სიახლეები გველოდება, რადგან სააკაშვილის მთავარი ამოცანა იქნება, პარლამენტში მოხვდნენ ის ადამიანები, რომლებიც გარანტირებულად უზრუნველყოფენ მერაბიშვილის პრემიერობას. ასე რომ, ხელისუფლების შიგნით სახელისუფლო წრეებს შორის დაპირისპირება გარდაუვალია. რამდენად შეიტყობს საზოგადოება ამის შესახებ, არ ვიცი, მაგრამ გარკვეული ტიპის დაპირისპირება ხელისუფლების შიგნით უკვე გაჩნდა.**

გადაიზრდება თუ არა ეს უფრო დიდ წინააღმდეგობაში, ამის პროგნოზირება დღეს რთულია, თუმცა ეს პროცესი აუცილებლად იქნება. იმიტომ, რომ აქ არის ე. წ. ჟვანიას გუნდი და მისი ამბიციები გასათვალისწინებელია, ბოკერიას, ადეიშვილის, თავისუფლების ინსტიტუტის გუნდები და ა. შ. ხოლო 150-კაციანი სია ყველას ამბიციების სრულად დაკმაყოფილების საშუალებას ნამდვილად არ იძლევა.

**— ახლახან სოციალურ ქსელში განაცხადეთ, რომ გაქვთ ინფორმაცია იმ მედიაჯგუფზე, რომელიც „ინფო-9“-ის ჟურნალისტებს დასდევს. ვინ არიან ისინი?**

— ჩემთვის კატეგორიულად მიუღებელია ჟურნალისტებზე ზეწოლა, იქნება ეს სახელისუფლო თუ ოპოზიციური მედიასაშუალება. ასევე მიუღებელია, რასაც ზესტაფონში სჩადიან „ინფო-9“-ის ჟურნალისტებთან დაკავშირებით.

ესენი არიან „ნაციონალური მოძრაობის“ ახალგაზარდული ფრთის წარმომადგენლები და მათი კურატორი გახლავთ იმერეთის ვიცე-გუბერნატორი გიგა შუშანია, რომელსაც, როგორც ჩანს, საკუთარი პოლიტიკური წარსული დაავიწყდა, როცა ბონდო შალიკიანის საარჩევნო შტაბში პლაკატების გამკვრელად მუშაობდა. ის არ შედგა, როგორც ჩინოვნიკი და ვერ შედგება, როგორც სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელი, მიუხედავად იმისა, რომ ახლა ამ როლს თამაშობს.

ამას გარდა, გიგა შუშანია გახლავთ დეზერტირი, მან თავი აარიდა სავალდებულო სამხედრო სამსახურს და არ ვიცი, საერთოდ რამდენად აქვს საჯარო სამსახურში მუშაობის უფლება. მის სამედიცინო ცნობაში, რომელიც ჩემთან ინახება, წერია, რომ არის ავად, ქოშინებს და ჰაერი არ ჰყოფნის. იმედი მაქვს, ვიცე-გუბერნატორის პოსტზე გიგა შუშანიას ეს ჩივილები უკვე აღარ აწუხებს.

**— გავრცელდა ინფორმაცია, რომ ვალერი გელბახიანი პარტიის შექმნას აპირებს და მას ინა გუდავაძე დააფინანსებს.**

— ორგანიზაცია „ჩემი საქართველო“ ბადრი პატარკაციშვილის გუნდის წევრებმა დააფუძნეს და მისი ხელმძღვანელი ვალერი გელბახიანი გახლავთ, თუმცა, დღევანდელი მდგომარეობით, ვალერი გელბახიანს არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ აქვს და მისთვის ამ უფლების მინიჭებას არც არავინ ჩქარობს.

უამრავი მხარდამჭერი იყო რეგისტრირებული პატარკაციშვილის საარჩევნო შტაბში და მათ დიდ ზეწოლას გაუძლეს. სხვადასხვა რეგიონიდან 340 კაცი ერთდროულად იყო დაკითხვაზე და თითოეულს დაპატიმრების საფრთხე ემუქრებოდა, რადგან სახელმწიფო გადატრიალების ბრალდებით იყო სისხლის სამართლის საქმე აღძრული პატარკაციშვილის წინააღმდეგ. ეს ერთიანი გუნდი შენარჩუნებულია და მისი დიდი ნაწილი ფიქრობს, რომ პოლიტიკურ პროცესებში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს. არსებობს სახელფასო დავალიანება, ანუ გარკვეული ფინანსური ვალდებულებებიც. ასე რომ, ეს გუნდი ჩამოყალიბდება თუ არა პოლიტიკურ პარტიად, ალბათ, მომავლის საქმეა, მაგრამ მთავარი ისაა, რომ მასში არიან თავმოყრილნი მეგობრები, თანამებრძოლები, ერთი იდეის და არა ფულის გამო გაერთიანებული ადამიანები.

**— ბიძინა ივანიშვილის გუნდს გულისხმობთ? რატომ ფიქრობთ, რომ „ქართული ოცნება“ ფულის გარშემო გაერთიანებული პარტიებისგან შედგება?**

— როდესაც ვამბობ, რომ ფულის გამო არიან ეს ადამიანები გაერთიანებულები, დიახ, ბიძინა ივანიშვილის გუნდს ვგულისხმობ. სხვა შემთხვევაში ვერ წარმომიდგენია, რა იდეური ერთიანობა შეიძლება ჰქონდეთ, მაგალითად, „ეროვნულ ფორუმს“, რომელსაც პრეტენზია აქვს, რომ ეროვნული ძალაა, და რესპუბლიკურ პარტიას, რომელსაც აბსოლუტურად სხვა ფასეულობები ჰქონდა.

ესაუბრა **შორენა ციცქარაშვილი**

მოკლედ

## ავღანეთში კოალიციური ჯარების შვიდი სამხედრო დაიღუპა

**ავღანეთში მომხდარი ორი ტერორისტული აქტის შედეგად კოალიციური ჯარების შვიდი სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა.** შესაბამის ინფორმაციას ჩრდილოატლანტიკური ალიანსი ავრცელებს. ალიანსის ინფორმაციით, ქვეყნის აღმოსავლეთში მომხდარი ტერაქტის შედეგად ექვსი სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა. სამხრეთში კი ბოევიკების თავდასხმას კოალიციური ძალების ერთი მოსამსახურე ემსხვერპლა. ალიანსი არ აზუსტებს ინფორმაციას დაღუპულთა ვინაობის შესახებ. ავღანეთში სამხედრო ოპერაციის დაწყებიდან — 2001 წლის შემდეგ, კოალიციური ჯარების სამი ათასზე მეტი სამხედრო მოსამსახურეა დაღუპული.

## ჩინეთში მეწყერმა 50 ადამიანი იმსხვერპლა

**ჩინეთის სამხრეთით მდებარე გუანსი-ჩჟუანის ავტონომიური რაიონის გუანდუნის პროვინციაში მეწყერმა 50 ადამიანი იმსხვერპლა.** უცხოური მედიის ცნობით, აღნიშნულ რეგიონში მეწყერი გადაუღებელმა წვიმებმა გამოიწვია. ამ დრომდე მხოლოდ 14 დაღუპულის ამოცნობა მოხერხდა. 26 ადამიანი კი უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება. ძლიერმა წვიმებმა სერიოზული პრობლემები და ზარალი ჩინეთის 11 პროვინციას შეუქმნა.

„უნივერსიტეტების სწორი რეფორმირება და ნორმალური საგანმანათლებლო პოლიტიკითა და სწორად დაგეგმილი კურსით, მილიონ ტურისტს კი არა, მილიონ სტუდენტს მოვიზიდავდით. დავიჯერო, არავის მოსვლია ეს აზრად? მაგრამ ხელისუფლებას ჩვენი ინტელექტუალური პოტენციალის განვითარების ეშინია.“

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



დავით წიქარიშვილი:

# მაია მიმინოშვილი გიული ალასანიას სტრატეგიული პარტნიორი იყო, ის დღესაც ხელისუფლების კადრია

**საქართველოს განათლების მუშაკთა თავისუფალი პროფესიული კავშირის — „ერთობის“ ერთ-ერთი ლიდერის, დავით წიქარიშვილის განცხადებით, ხელისუფლებაში მიმდინარე საკადრო ცვლილებები თუ უხვი დაპირებები, მათ შორის, დასაქმების სამინისტროს ამოქმედება, მხოლოდ წინასაარჩევნო პიარია და რეალური ცვლილებები დასაქმებისა თუ განათლების სფეროში არც ამჯერად განხორციელდება.**

**— ბატონო დავით, რატომ ფიქრობთ, რომ ხელისუფლებას არ აქვს უმუშევრობის პრობლემის დაძლევის სურვილი?**

— **ხელისუფლებას არ უნდა დასაქმებული, წელში გამართული ქართველი.** ხელისუფლებას რომ უმუშევრობის დაძლევა სურდეს, ეს პროცესი უკვე დიდი ხნის დაწყებული იქნებოდა. ფაქტია, რომ ამ მიმართულებით აქამდე არც ერთი ნაბიჯი არ გადადგმულა. **ტრაგედია ისაა, რომ, როგორც წესი, საქართველოში ტენდერებს იგებენ თურქული ან სხვა უცხოური ფირმები. მერე რა, თუ სახურავი ჩამოინგრა ან გზები გახდა თავიდან დასაგები(?!). სახეზე გვაქვს შემდეგი სურათი: თურქული კომპანია საქართველოში თავისი მუშებით შემოდის, მაგრამ თურქი მუშა, რომელიც თავის სამუშაოში, მაგალითად, 30 აშშ დოლარს იღებს, 10 ლარს უხდის ქართველს და თავად ზედამხედველობას უწევს მის მუშაობას. ეს არის დღეს ჩვენი დასაქმების პოლიტიკა და, სამწუხაროდ, ქართველების ეთნიკური ნიშნით ჩაგვრასაც არავინ კრძალავს. ის მშენებლობები, რომლებიც ჩვენი ფულით ხორციელდება, მხოლოდ უცხოელებს ასაქმებს.**

ქვეყანაში მოქმედი შრომის კანონმდებლობაც ისეთია, რომ მუშახელს, როგორ ხელშეკრულებაზეც გინდა, მოაწერინებ ხელს და, როცა გინდა, მაშინ გაათავისუფლებ სამსახურიდან, შეგიძლია პირად მოსამსახურედაც აქციო და პასუხს ვერავინ მოგთხოვს.

დავიწყოთ იმით, რომ ჩვენს ქვეყანაში უმუშევართა აღრიცხვაც კი არ ხდება და სრულიად გაუგებარია, დღეს რამდენი უმუშევარია ქვეყანაში. თვითდასაქმებულს ეძახიან ადამიანს, რომელსაც საარსებო მინიმუმის მეოთხედი აქვს შემოსავალი. თავად ტერმინიც „სამუშაო ადგილი“ არ არის განმარტებული კანონში და, ვისაც რაიმე ერთჯერადი შემოსავალი აქვს, ყველა დასაქმებულად ითვლება. **საქართველოში რეალურად, 16% კი არა, 76%-ია უმუშევარი.** ამას გარდა, საქართველო, ალბათ, ერთადერთი ქვეყანაა, რომელშიც უმუშევარს არანაირ დახმარებას არ აძლევენ. მართალია, განაცხადეს, „სამუშაოს მაძიებელთა“ აღრიცხვას ვიწყებთო, მაგრამ ამ ტერმინით უნდოდათ, ტერმინ „უმუშევარს“ გაქცეოდნენ. სამუშაოს მაძიებელთა აღრიცხვა კი არ უნდა დაიწყოს, უმუშევართა აღრიცხვა ყოველდღიურად უნდა მიმდინარეობდეს. ასევე უნდა ხდებოდეს იმ ხალხის აღრიცხვა, ვინც დაბალშემოსავლიან საქმიანობას ეწევა, თუმცა თავისი პროფესიონალიზმითა და განათლებით უკეთეს სამუშაო ადგილს იმსახურებს. ამით სახელმწიფოსა და ოჯახსაც მეტად არგებს. თუ მთავრობას არ შეუძლია ხალხის დასაქმება, პრობლემა მთავრობაშია და არა ხალხში. ჩვენი თანამემამულეები საზღვარგარეთ დღე და ღამეს ასწორებენ, რათა ოჯახები არჩინონ.

შრომის საერთაშორისო განაწილებაში საქართველოს იოტისოდენა ადგილიც არ აქვს, მართლა დასაქმებაზე ორიენტირებული მთავრობა ამ ადგილს აუცილებლად მოძებნიდა. შადრევნების ყიდვას და ნაფტალინიდან ამოღებული მომღერლების ჩამოყვანას, ქარხანა ეყიდათ ან, დავუშვათ, „მერსედესის“ დონის რომელიმე ფირმას შეთანხმებოდნენ და მათ შეკვეთაზე ემუშავათ. ამერიკას ქარხნები გააქვს ჩინეთში, ამით გაძლიერდა ჩინური მრეწველობა და დღეს მსოფლიოს ნებისმიერი ბაზრისთვის მზადდება ჩინური საქონელი, რომელიც ხარისხიანიცაა და იაფიც.... შედეგად: ჩინელები ახალ ტექნოლოგიებს სწავლობენ. ერთი ქარხნის აქ აშენება ამხელა პრობლემაა? ჩინეთის მთავრობას ენდობიან და ჩვენსას — არა.

დღეს ბევრს საუბრობენ ტურიზმის განვითარებაზე, თუმცა ტურიზმი სპობს და აჩანაგებს მრეწველობას. ინდუსტრიული პეიზაჟის სანახავად საქართველოში არავინ ჩამოვა. ტურისტს არ უყვარს, როცა ათვალიერებს ისტორიულ ძეგლს, რომლის გვერდითაც ქარხანა მუშაობს. დარწმუნებული ვარ, სპეციალურად აირჩიეს პრიორიტეტად ტურიზმი, რომ მრეწველობა ვერ განვითარებულიყო.

ამას გარდა, ბიზნესი მთლიანად მაღალჩინოსნების ხელშია. რეალურად, ხელისუფლების ტერორმა, კორუფცია კი არა, ბიზნესი დაამარცხა.

**— ახალი პრემიერ-მინისტრის — ვანო მერაბიშვილის განცხადებით, უმუშევართა რაოდენობა სამი ათასით შემცირდება. „მზად ვარ, ნებისმიერ ინვესტორს გადავუხადო იმდენი მადლობა, რამდენ ადამიანსაც დაასაქმებენ. ჩვენს ჩინელ მეგობრებს სამი ათასი მადლობა მინდა გადავუხადო იმისთვის, რომ მათ საქართველოში 3 ათასი სამუშაო ადგილი შექმნეს“, — განაცხადა პრემიერმა.**

— ამერიკაში რომ დაიწყეს შესვლა ჩინელებმა, ისინი იაფი მუშახელი იყვნენ. 30 წელიწადში უზარმაზარი პრობლემები გაუჩინეს ამხელა რესურსების მქონე ქვეყანას. **კარგია, როცა შემოდის მეწარმე, ქარხანას აშენებს, ადგილობრივ მუშახელს ქირაობს, მაგრამ ასეთი შემთხვევა ჯერ ჩვენთან არ ყოფილა. ჩინელები, რომლებიც აქ შემოვიდნენ, წარმოების განსავითარებლად კი არ შემოსულან, ისინი ჩვენს ტერიტორიას ითვისებენ. საერთაშორისო პრაქტიკაში ამას ეთნიკური შეჭრა ეწოდება. დიდი სიფრთხილე იყო საჭირო ამ ხალხთან ურთიერთობაში, მაგრამ დღევანდელი ხელისუფლება ფულის მეტს ვერაფერს ხედავს და ამჩნევს.**

**— მასწავლებლების ატესტაცია ადამიანის შრომითი უფლებების დარღვევად შეაფასეთ. რატომ ფიქრობთ ასე? ცუდია, როცა მასწავლებელს შესაბამისი ატესტაციის გავლის შემდეგ მაღალი ხელფასი ექნება?**

— თუ მაღალი ხელფასი დაენიშნება მასწავლებლებს, ეს, რა თქმა უნდა, ცუდი არ არის, მაგრამ ეს ყველაფერი ზღაპრებია. მე ვიცი, მასწავლებლები, რომლებმაც გაიარეს ატესტაცია, მიიღეს უმაღლესი კატეგორია, იმავე თვეში გაათავისუფლეს სამსახურიდან. ხოლო მას შემდეგ, რაც მათ სხვაგან დაიწყეს მუშაობა, არავის გაუთვალისწინებია, რომ ატესტაცია ჰქონდათ გავლილი.

ამ ატესტაციის მიზანია მასწავლებლების შემცირება. 2013 წლის არჩევნები ჩაივლის და მასწავლებლებიც არავის დასჭირდება. როგორც გიგი უგულავაზე ამუშავეს ისინი ადგილობრივი არჩევნების წინ და შემდეგ დაივიწყეს მათი „ღვაწლი“ და გაყარეს სამსახურებიდან, ახლაც ასე მოხდება. ამას გარდა, სრულიად გაუგებარ ტესტებს აბარებენ პედაგოგები, რომლებიც მათ არაფერში სჭირდებათ.

**— თქვენს ერთ-ერთ წერილში მანდატურის მუშაობას გამობდით. რა საფრთხეს ხედავთ მანდატურის სამსახურში, რომელიც ხელისუფლებამ სკოლებში სწორედ უსაფრთხოების მიზნით დანიშნა?**

— არავითარი წესრიგი სკოლებში არ დამყარებულა. ერთმანეთისგან უნდა გავარჩიოთ წესრიგი და საკონცენტრაციო ბანაკის მდგომარეობა. ის, რომ ბავშვებს თამაშისა და გაკვეთილების შემდეგ სირბილის ან 5 წუთით დაგვიანების ეშინიათ, ამას წესრიგს ვერ დავარქმევ. ასე გავატარეთ ჩვენ ბავშვობა და ამას არც მანდატური სჭირდებოდა და არც მედილეგე. ბავშვები სერიოზული ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ იმყოფებიან. დღეს სკოლებში არ არის წესრიგი, არის ტერორი.

**— მას შემდეგ, რაც ხელისუფლებამ გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორი მაია მიმინოშვილი სამსახურიდან გაათავისუფლა, აღმოაჩინა, რომ განათლების სფეროში ბევრი დარღვევა ყოფილა. შაშკინის მუშაობას როგორ შეაფასებთ და შეიცვლება თუ არა რაიმე მისი წასვლის შემდეგ?**

— შაშკინის მოღვაწეობას მკვეთრად უარყოფითად შევაფასებ. მის ხელში **დაიხურა ასობით სკოლა და განათლების სისტემა ჟურნალისტებისგან და საზოგადოებისგან სრულიად იზოლირებულ, შიშსა და ტერორზე დამყარებულ დაწესებულად გადაიქცა.** არ დაწყებულა დიალოგი საზღვარგარეთის უნივერსიტეტებთან, მაგალითად, უცხოეთიდან არც ერთი კვალიფიციური პროფესორი არ მოუწვევიათ, რომელიც ლექციების კურსს ორი სემესტრის განმავლობაში მაინც წაიკითხავდა. ერთჯერად სემინარს ან ლექციას არ ვგულისხმობ. ამიტომაა ჩვენი უნივერსიტეტის მომზადებული კადრები არავის სჭირდება, აქაც კი. განათლების სფეროში სრული იზოლაციონალიზმია და შაშკინის მოღვაწეობა რეპრესიებს უფრო ჰგავდა, ვიდრე საკადრო პოლიტიკას. პედაგოგების ასეთი დევნა, თანაც პოლიტიკური ნიშნით, როგორიც შაშკინის დროს დაიწყო, მანამდე არ ყოფილა. **თუ რეალურად რაიმეს შეცვლა სურთ, მინისტრი კი არა, პოლიტიკა უნდა შეცვალონ.**

## «პედაგოგების ასეთი დევნა, თანაც პოლიტიკური ნიშნით, როგორიც შაშკინის დროს დაიწყო, მანამდე არ ყოფილა»

საქართველოს ხელსაყრელი მდებარეობა აქვს რეგიონში, შეგვეძლო ამ მდებარეობის სწორად გამოყენება, უნივერსიტეტების სწორი რეფორმირება და ნორმალური საგანმანათლებლო პოლიტიკითა და სწორად დაგეგმილი კურსით, მილიონ ტურისტს კი არა, მილიონ სტუდენტს მოვიზიდავდით. დავიჯერო, არავის მოსვლია ეს აზრად? მაგრამ ხელისუფლებას ჩვენი ინტელექტუალური პოტენციალის განვითარების ეშინია.

**რაც შეეხება მაია მიმინოშვილს, ის იყო გიული ალასანიას სტრატეგიული პარტნიორი და, რამდენადაც მე ვიცი, დღესაც მის პარტნიორად რჩება. ამდენად, მისი მოხსნა და შემდეგ შაშკინის თავდაცვის მინისტრად გადაყვანა ერთმანეთთან კავშირშია. ის შეხვდა ბიძინა ივანიშვილსაც, როგორც ჩანს, კადრებით ივანიშვილის მომარაგების საქმეში „ნაციონალები“ მაგრები არიან. ისეთ ვინმეს მოხსნიან და ისეთი მიზეზით, „ოცნებას“, უნდა თუ არა, რეაგირება უწევს. მიმინოშვილი ისევ ხელისუფლების კადრია.** ხოლო საქმის ისე წარმოჩენა, თითქოს მიმინოშვილის დროს ყველაფერი კარგად იყო, ძალიან დიდი ტყუილია. უმაღლეს სასწავლებლებში წერა-კითხვის უცოდინარი სტუდენტები სწავლობენ, რაც სატელევიზიო სიუჟეტებშიც არაერთხელ ვიხილეთ. სტუდენტებმა არ იციან, ილია ჭავჭავაძე ვინ იყო. განათლების სფეროში ხელისუფლების მთავარი მიზანი, კორუფციის დაძლევა კი არა, სწავლის ხარისხის ამაღლება უნდა ყოფილიყო. ნიჭიერები ვერ იღებენ დაფინანსებას, ათასობით სტუდენტი ვერ ამთავრებს სწავლას, მარტო უფულობის გამო კი არა, მათ ნახევარზე მეტს ინტელექტუალური შესაძლებლობები არ ჰყოფნის.

ესაუბრა **შორენა ციქარაშვილი**

მსოფლიო

## ოლანდი სომხების გენოციდის შესახებ ახალ კანონს ამზადებს



**საფრანგეთის პრეზიდენტი ფრანსუა ოლანდი ამზადებს ახალ კანონს, რომელიც სომხების გენოციდის უარყოფის გამო პასუხისმგებლობას ითვალისწინებს.** ეს განცხადება საფრანგეთის პრეზიდენტმა საფრანგეთის სომხური ორგანიზაციების საკოორდინაციო საბჭოს წევრებთან შეხვედრისას გააკეთა. ამგვარი კანონის მომზადება, საფრანგეთის პრეზიდენტის პრესსამსახურის ინფორმაციით, იყო ერთ-ერთი წინასაარჩევნო დაპირება ფრანსუა ოლანდისა, რომლის შესრულებასაც აპირებს. შეგახსენებთ, რომ 2012 წლის იანვრის ბოლოს საფრანგეთის პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი კანონით აღიარებული გენოციდებისა და მათ შორის სომხების გენოციდის უარყოფის შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე. დოკუმენტი ერთი წლით თავისუფლების აღკვეთას ან 45 ათასი ევროს ჯარიმას ითვალისწინებს. მაგრამ საფრანგეთის საკონსტიტუციო საბჭომ ეს კანონი არაკონსტიტუციურად ჩათვალა, ვინაიდან ის სიტყვისა და კომუნიკაციების თავისუფლებას ემუქრება.

ავი მესაიფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რა უფრო უხერხულია, ის, რომ ნანა ლეჟავამ ფარულად ჩაწერა მეუფე სერაფიმე, თუ ის, რაც ფარული ჩაწერით გახდა აშკარა? მეუფე სერაფიმემ თქვა ის, რაც ისედაც ყველამ იცოდა გიგი უგულავას თავხედობის შესახებ — ეს ლაწირაკი ბედავს, რომ კათოლიკოს პატრიარქს უყვიროს კიდეცო! პრინციპში, მეუფე სერაფიმეს არაფერი უთქვამს იმისთანა, რაც მანამდე არ იცოდა ქართველმა საზოგადოებამ, ერთი რამის გარდა — როგორც ფარულად ჩაწერის დროს თქვა მეუფემ, გიგი უგულავას უთქვამს თურმე — იმ კანონის (ქართული ეკლესიის ხლისტებთან გათანაბრების) მიღებით გემაროი მოვიშორეთო!!!**

# «მიშას სახელობის» განჩინება წმინდა სინოდისგან, ანუ მეც ვბედავ!



**„დიახ, მე ვბედავ და გავყმუი ყველას გაჭრილად: უნდა იქუხოს მრისხანებით სამების ზარმა!“ — ეს სტრიქონები დიდმა პოეტმა რეზო ამაშუკელმა შეჰბედა მის უწმინდესობას, საქართველოს კათოლიკოს პატრიარქს „დიახ, მე ვბედავ!“ სახელწოდების ბრწყინვალე ლექსით. რეზო ამაშუკელის ამ გამბედავი ლექსის მიზეზი ის იყო, რომ ვერაფრით ახსნა პოეტმა მისთვის სათაყვანო პატრიარქის მიერ სამეგრელოს მთავარი პროკურორისა და ძმები ახალაიების მამის — როლანდ ახალაიას უმაღლესი საეკლესიო ორდენით დაჯილდოების, რბილად რომ ვთქვათ, გაუგებარი ფაქტი. ჩემთვისაც ასევე გაუგებარია ამას წინათ „მაესტროს“ ეთერში გასული ნანა ლეჟავას სკანდალური სიუჟეტი და ის ამბები, რაც ამ სიუჟეტს წმინდა სინოდის განჩინების სახით მოჰყვა.**

მოდით, ცოტა შორიდან დავიწყოთ, რათა ბუნებრივად, წარსულის ფაქტების ლოგიკური ჯაჭვით მივიდეთ სინოდის დღევანდელ, ჩემი აზრით და ღრმა რწმენით, არაადეკვატურ განჩინებამდე... გახსოვთ, შარშან რა ვნებათაღელვაც ატყდა იმ კანონის გარშემო, რომლის ძალითაც საქართველოს ლამის 2-ათასწლოვანი მართლმადიდებელი ეკლესია იურიდიულად არა მხოლოდ ტრადიციულ რელიგიურ კონფესიებს, არამედ ხლისტების სექტებსაც კი გაუთანაბრეს.

და ვინ ამოიღო ამის საწინააღმდეგოდ პირველმა ხმა? არა ეკლესიამ, არა წმინდა სინოდმა, არამედ **წინააღმდეგობის მოძრაობამ,** რომლის ლიდერთა მიერ ორგანიზებული საპროტესტო აქცია პარლამენტის წინ შედგა. **ეს მეორე დღიდან „გამოიღვიძეს“ ეკლესიის მესვეურებმა. ამის მერე გააკეთა პირადად პატრიარქმა განცხადება, რომ იმ კანონის მიღება, პრაქტიკულად, საქართველოს დაღუპვის ტოლფასი იქნებოდა და ათიათასობით მრევლმა იხუვლა ქუჩაში. იმ ხვატში, უკაცრავად პასუხია და, „სინაზე მიბმული ძაღლივით“ 3 დღე წინ და უკან ატარეს ქაშუეთი-სამების „ტრასაზე“ „პროტესტანტები“, ბოლოს კი წმინდა სინოდმა, რომელიც მანამდე ლამის ანათემას ჰპირდებოდა იმ კანონის მიმღებ პარლამენტს, „კომპრომისული“ განჩინება მიიღო, რამაც სახტად დატოვა ქართველი საზოგადოება, რადგანაც, ᲗᲣ ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲘᲡ ᲗᲥᲛᲘᲗ, „ᲒᲣᲨᲘᲜ“ ᲔᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲐᲛᲝᲛᲒᲓᲔᲑᲘ ᲘᲧᲝ, ᲛᲐᲨᲘᲜ ᲠᲝᲛᲔᲚ ᲙᲝᲛᲞᲠᲝᲛᲘᲡᲖᲔ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲝᲓᲐ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ?**

თანაც კომპრომისის აზრი ნახეთ: **„შენარჩუნებული იქნა ერთსულოვნება სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის“...**

ჩემთვის მაშინაც და დღესაც გაუგებარი, უფრო მეტიც, მიუღებელია ეს პათოსი. დიახ, მე ვერ გავიგე, თუ ვის და რაში ვუერთსულოვნდებით! მკვლელებს, კრიმინალებს? ერთსულოვანი მხოლოდ ღმერთთან უნდა იყო... ჩემთვის ასევე გაუგებარია ეკლესიის, მსუბუქად რომ ვთქვათ, დუმილი გირგვლიანის, რობაქიძის თუ 26 მაისის მკვლელობების თაობაზე, რომელზეც თითო-ოროლა იერარქმა თუ თქვა სათქმელი ღირსეულად და ისინიც ლამის ჩაქოლეს!

**ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲔᲒᲛᲝ ᲡᲐᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲝᲡ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲐᲓ 26 ᲛᲐᲘᲡᲘᲡ ᲚᲐᲛᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲙᲚᲐᲝ! ᲓᲐ, ᲡᲐᲔᲠᲗᲝᲓ, ᲗᲣ ᲡᲘᲜᲝᲓᲘᲡ ᲔᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐ ᲘᲧᲝ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲛᲘᲖᲐᲜᲘ, ᲩᲕᲔᲜ — ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ, ᲠᲐᲦᲐᲓ ᲒᲐᲒᲕᲮᲐᲓᲔᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔ? ᲣᲩᲕᲔᲜᲝᲓ, ᲠᲐ, ᲕᲔᲠ „ᲒᲐᲣᲔᲠᲗᲡᲣᲚᲝᲕᲜᲓᲔᲑᲝᲓᲜᲔᲜ“?**

მერე იყო აზიზის მეჩეთის ყბადაღებული თემა. აქაც საპატრიარქოსა და სინოდის ნაცვლად, პირველმა განგაშის ზარს სხვებმა შემოჰკრეს. იგივე განმეორდა დავითგარეჯთან მიმართებაშიც — საპროტესტო ავანგარდში ისევ წინააღმდეგობის მოძრაობაა და არა საპატრიარქო...

ბარემ აქვე ვიტყვი, რომ წერილზე მუშაობის პროცესში ამ მოძრაობის ერთ-ერთ ლიდერს — **სოსო მანჯავიძეს** ვესაუბრე, რომლის კომენტარსაც გთავაზობთ:

**„საყოველთაოდ ცნობილია, თუ როგორი მეთოდებით იყენებდა ზოგიერთი საერო ხელისუფლება ეკლესიას (აქ უფრო სწორი იქნებოდა, წმინდა სინოდს) საზოგადოების სამართავად. სამწუხარო ფაქტია, რომ ეს უმძიმესი მემკვიდრეობა დამოუკიდებელმა საქართველომაც მიიღო — სააკაშვილის რეჟიმის პოლიტიკური პოლიცია აგრძელებს და აძლიერებს ამ მანკიერ პრაქტიკას — ეკლესიის წიაღში სპეცსტრუქტურების აგენტების შეგზავნას, ძველი, კომპრომეტირებული კადრების მხარდაჭერას, პატიოსანი მღვდელმსახურების შანტაჟსა და მუქარას.**

**სწორედ ამ დანაშაულებრივი პოლიტიკის შედეგია ის, რომ წმინდა სინოდი „ფართოდ დახუჭული თვალებით“ უცქერს ქვეყნის ფიზიკური განადგურებისა და ზნეობრივი გადაგვარების პროცესს და წმინდა წერილიდან სხვადასხვა, კონტექსტიდან ამოგლეჯილი ციტატებით ამართლებს საკუთარ ნეიტრალურ, სინამდვილეში კი ხელისუფლების მხარდამჭერ პოზიციას.**

**„ჯოჯოხეთში ყველაზე ცხელი ადგილები შემონახულია მათთვის, ვინც უდიდეს ზნეობრივ გარდატეხათა ჟამს ნეიტრალიტეტს ინარჩუნებდა“, — ამბობს დანტე ალიგიერი!**

**ძნელია, არ დაეთანხმო „ღვთაებრივი კომედიის“ ავტორს, რომელმაც ჯოჯოხეთი საკუთარი ხილვების მიხედვით აღწერა...**

**პოზიციის უქონლობა გონებისა და სინდისის ძილის მაუწყებელია. „გონების ძილი ურჩხულების მშობელია“ — ზუსტად ასე დაარქვა თავის უკვდავ ნახატს დიდმა ფრანცისკო გოიამ.**




ფრანცისკო გოია — „გონების ძილი ურჩხულების მშობელია“

**სინდისისა და გონების ძილის პროდუქტია ის აზრიც, რომ ეკლესია საერო საქმეებში არ უნდა ერეოდეს და ამ მავნებლური აზრის პროპაგანდისტები სასტიკ გაუგებრობაში არიან თვითონაც და ქვეყანასაც უდიდეს ზიანს აყენებენ“...**

სოსო მანჯავიძის ამ კომენტარის გავლით, როგორც ზემოთ დავისახეთ, ბუნებრივად მივადექით წერილის მთავარ თემას — წმინდა სინოდის განჩინების კვინტესენციას:

„სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა მოკლედ მიმოიხილა დღევანდელი საერთო ვითარება და ხაზი გაუსვა მომავალი თაობის სწორად აღზრდის მნიშვნელობას, ახალგაზრდების დასაქმების საკითხს. წმინდა სინოდზე აღინიშნა, რომ ეკლესია ყოველთვის იყო ქვეყნის გამაერთიანებელი ძალა და მისი ეს ფუნქცია დღეს განსაკუთრებით ესაჭიროება საქართველოს, ამიტომ კატეგორიულად მიუღებელია ღვთისმსახურთა მონაწილეობა რომელიმე პარტიის პოლიტიკურ აქციაში. ეკლესია არის საყოველთაო და მისი წევრია ნებისმიერი პოლიტიკური შეხედულების ადამიანი. წმიდა სინოდმა იმსჯელა ბაგრატის ტაძრის მშენებლობასთან დაკავშირებითაც და განაჩინა — ეკლესია მომხრეა ბაგრატის ტაძრის პირვანდელი სახით აღდგენის, მაგრამ, ვინაიდან დასავლეთ მკლავის რესტავრაციასთან დაკავშირებით გარკვეული პრობლემები შეიქმნა, აუცილებელია, აქ სამუშაოები გაგრძელდეს საქართველოს საპატრიარქოს, კულტურის სამინისტროსა და იუნესკოს წარმომადგენლებთან შეთანხმებული პროექტით“.

მოდით ბოლოდან — „გადაბრუნებული ურმიდან“ დავიწყოთ: **ᲗᲣ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ „ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲛᲙᲚᲐᲕᲘᲡ ᲠᲔᲡᲢᲐᲕᲠᲐᲪᲘᲐᲡᲗᲐᲜ“ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ, ᲛᲐᲨᲘᲜ ᲠᲐᲡ ᲔᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲝᲓᲐ ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲘᲡ ᲐᲛᲐᲬᲘᲜᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲛᲙᲐᲪᲠᲘ ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲐ ᲠᲔᲡᲢᲐᲕᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲨᲔᲩᲔᲠᲔᲑᲐᲖᲔ? ᲮᲝᲛ ᲐᲠ ᲘᲧᲝ ᲔᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲡᲐᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲝᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲘᲡ ᲨᲔᲜᲐᲠᲩᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲪᲓᲔᲚᲝᲑᲐ ᲘᲛ ᲛᲫᲘᲛᲔ ᲤᲝᲜᲖᲔ, ᲠᲝᲛ ᲑᲐᲒᲠᲐᲢᲘᲡ ᲢᲐᲫᲐᲠᲘ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚᲐᲓ ᲐᲛᲝᲦᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲘᲣᲜᲔᲡᲙᲝᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲘᲘᲓᲐᲜ, ᲠᲐᲡᲐᲪ, ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲗᲐ ᲐᲖᲠᲘᲗ, ᲐᲦᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲔᲨᲕᲔᲚᲔᲑᲐ?**

**ᲠᲐ, „ᲒᲣᲨᲘᲜ“ ᲒᲐᲮᲓᲐ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲑᲐᲒᲠᲐᲢᲘᲡ ᲢᲐᲫᲠᲘᲡ ᲜᲐᲜᲒᲠᲔᲕᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲧᲝᲤᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ?** დიახ, ხელყოფის, რადგან, როგორც თავის დროზე შენიშნა გუბაზ სანიკიძემ, მეფეთა საძვალეში ბულდოზერებით შეჭრის უფლება არ უნდა მიგვეცა შლეგისთვის...

ან ეკლესიის რომელ „საყოველთაობაზეა“ საუბარი — ეკლესიების მნგრეველნი, მართლმადიდებლობის მტრები და სექტების მეხოტბე — გიგა ბოკერია, გიგი თევზაძე, თეა თუთბერიძე და ა.შ. სხვა მრავალი ბუდარა-ბუდა- ▶

მოკლედ

## ავღანეთი აშშ-ის მთავარი მოკავშირე გახდა

**ავღანეთი აშშ-ისთვის ნატოს ფარგლებს გარეთ მთავარი მოკავშირე გახდა. ვაშინგტონმა ავღანეთს, როგორც ნატოს ბლოკში არშემავალ სახელმწიფოს, აშშ-ის ძირითადი მოკავშირის სტატუსი მიანიჭა. ეს განცხადება აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა ქაბულში ვიზიტისას გააკეთა.** აშშ-ის მოკავშირის ანალოგიური სტატუსი აქამდე ავსტრალიას, ეგვიპტეს, ისრაელსა და მთელ რიგ სახელმწიფოებს ჰქონდათ მინიჭებული. იგი საშუალებას აძლევს ქვეყანას, აშშ-თან სამხედრო სფეროში უფრო მჭიდროდ ითანამშრომლოს და მასთან ერთად სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განხორციელებაში მიიღოს მონაწილეობა. როგორც ცნობილია, 2014 წლის ზაფხულისათვის ავღანეთს იქ დისლოცირებული 88 000 ამერიკელი სამხედროდან 23 000 დატოვებს. 2014 წლის ბოლოს კი ქვეყნის ტერიტორიიდან უკლებლივ ყველა ამერიკელი ჯარისკაცი წავა.

## კრასნოდარის მხარეში აფეთქებამ ორი მოზარდი შეიწირა

**სტიქიისაგან განადგურებულ კრასნოდარის მხარის ყირიმის რაიონში დაუდგენელი ასაფეთქებელი მოწყობილობა აფეთქდა, რამაც ორი მოზარდის სიცოცხლე შეიწირა, ასევე ტრამვირებულია მესამე მოზარდი.** სამართალდამცავთა მონაცემებით, აფეთქება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინდორზე მოხდა. მათი ვარაუდით, შესაძლოა, მინდორში დიდი სამამულო ომის დროინდელი ნაღმი აფეთქებულიყო.

**ხელისუფლებასთან დაპირისპირების შიშით ხომ არ იყო განპირობებული სინოდის მორიგი განჩინების ეს პასაჟიც — „ეკლესია ყოველთვის იყო ქვეყნის გამაერთიანებელი ძალა და მისი ეს ფუნქცია დღეს განსაკუთრებით ესაჭიროება საქართველოს, ამიტომ კატეგორიულად მიუღებელია ღვთისმსახურთა მონაწილეობა რომელიმე პარტიის პოლიტიკურ აქციაში“?**

ახალი მესაიდუმლო
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

რიხები არიან „საყოველთაო ეკლესიის“ წევრები?

ახლა კი, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, დავსვათ უმთავრესი კითხვა, რომლიდანაც სხვა მრავალი ქვეკითხვები წინწილებივით დაიჩეკებიან:

**როდის, საქართველოს ქრისტიანული ისტორიის რომელ ეტაპზე, ხდებოდა ის, რომ ეკლესია საერო საქმეებში არ ერეოდა?**

წმინდა მეფე ვახტანგ გორგასალს ქართლის მაშინდელმა კათალიკოსმა რომ ქოშით კბილები ჩაუმტვრია, ეს არის საერო საქმეებში ჩაურევლობა?

ანდა წმინდა გრიგოლ ხანძთელმა აშოტ კურაპალატს ერთი „სიძვის დიაცის“ სასახლეში მიყვანის გამო რომ უმძიმესი ეპტიმია დააკისრა, ამას რა ვუწოდოთ?

თორნიკე ერისთავის მიერ ბარდა სკლიაროსზე გალაშქრება რა იყო, როდესაც უკვე ბერად შემდგარმა ერისთავმა დროებით ჯაჭვის პერანგი ჩაიცვა და მტრის დამარცხების შემდეგ ისევ მონასტერს დაუბრუნდა?

გზები, ხიდები, შადრევნები და, თქვენ წარმოიდგინეთ, ეკლესიებიც, გარყვნილი როსტომ ხანის დროსაც შენდებოდა, მაგრამ ქართლის მაშინდელი კათალიკოსი ევდემონი, რომელმაც ხმა აღიმაღლა საყოველთაო გარყვნილების, ერის ზნეობრივი გადაგვარების წინააღმდეგ, როსტომ ხანის ბრძანებით მოაკვდინეს — ეს ამბავი, რომელ კატეგორიას მივაკუთვნოთ?

ან ის ამბავი რად ღირს, რომ მარაბდის ომის წინ საბრძოლველად გამზადებულმა ქართველთ ლაშქარმა იხუვლა — მროველმა ეპისკოპოსმა გვაზიაროს, მროველმაო და საბრძოლოდ აღჭურვილმა მროველმა ჯერ ჯარი აზიარა, ხოლო შემდეგ მარაბდის ველზე დაეცა, როგორც ერთი რიგითი მებრძოლი — ეს არის საერო საქმეებში ჩაურევლობა?

შორეული წარსულიდან კიდევ ბევრი მაგალითის დასახელება შეიძლება იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ „არ ერეოდა“ ეკლესია საერო საქმეებში, მაგრამ ახლა დღევანდელობას დავუბრუნდეთ...

**რა უფრო უხერხულია, ის, რომ ნანა ლეჟავამ ფარულად ჩაწერა მეუფე სერაფიმე, თუ ის, რაც ფარული ჩანაწერით გახდა აშკარა?**

მეუფე სერაფიმემ თქვა ის, რაც ისედაც ყველამ იცოდა გიგი უგულავას თავხედობის შესახებ — **ეს ლაწირაკი ბედავს, რომ კათოლიკოს პატრიარქს უყვიროს კიდეცო!**

პრინციპში, მეუფე სერაფიმეს არაფერი უთქვამს იმისთანა, რაც მანამდე არ იცოდა ქართველმა საზოგადოებამ, ერთი რამის გარდა — როგორც ფარულად ჩაწერის დროს თქვა მეუფემ, **გიგი უგულავას უთქვამს თურმე — იმ კანონის (ქართული ეკლესიის ხლისტებთან გათანაბრების) მიღებით გემაროი მოვიშორეთო!!!**

სხვა დანარჩენი, დაწყებული 2009 წლის 26 მაისს სამების საკურთხეველში შევარდნით და აგერ ახლა, სააღდგომო ეპისტოლედან გიგი უგულავას მიერ იმ სახამუშო პასაჟის ამოღებით დამთავრებული, რომელიც 100 ათასი წმინდანის წამების ადგილზე გამართულ ბუდა-ბარს, საპატრიარქოს გვერდით კაზინოს და ბოლო დროს ჩვენში მოძალებულ ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდას შეეხებოდა, რა, არ ვიცოდით?

ეპისტოლე ვახსენეთ და **ხშირად გვსმენია, ალბათ, პატრიარქმა მეტი რა ქნას, ყველაფერს ეპისტოლეებში ამბობსო. კი, ბატონო, ეპისტოლეებში მართლაც ყველაფერი კარგად წერია, მაგრამ, როგორც ვნახეთ, მისი უწმინდესობის ეპისტოლემაც ცენზურა განიცადა, მაგრამ ეგეც იქით იყოს, იქნება ვინმემ შემახსენოს, რომელი ეპისტოლე გაუთვალისწინებია ხელისუფლებას და ვინ უნდა აღიმაღლოს ხმა ამაზე?**

ამ ყველაფრის მერე, როდესაც გიგი უგულავამ მეუფე სერაფიმეს მატყუარა უწოდა და ჯოჯოხეთის გეენიით დაემუქრა მოძღვარს, ხოლო მეუფე სერაფიმე, ამბობს რა „კინკლაობაში არ შევალ“ ქალაქის მერთანო და მხოლოდ იმაზე წუხს, რომ ხელისუფლებასთან დამაპირისპირა ნანა ლეჟავამო, არ არის დამაფიქრებელი?

**ხელისუფლებასთან დაპირისპირების შიშით ხომ არ იყო განპირობებული სინოდის მორიგი განჩინების ეს პასაჟიც — „ეკლესია ყოველთვის იყო ქვეყნის გამაერთიანებელი ძალა და მისი ეს ფუნქცია დღეს განსაკუთრებით ესაჭიროება საქართველოს, ამიტომ კატეგორიულად მიუღებელია ღვთისმსახურთა მონაწილეობა რომელიმე პარტიის პოლიტიკურ აქციაში“?**

**რა ხდება? სასულიერო პირები ამ ქვეყნის შვილები არ არიან? ბოლოს და ბოლოს არჩევნებში ხომ მონაწილეობენ?**

ანდა რატომ მოჩანს აქ აშკარად ე. წ. ორმაგი სტანდარტი? სკანდალურად ცნობილი ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი კალისტრატე რომ ლექსებს უძღვნის პრეზიდენტს, დავით აღმაშენებელს ადარებს მას და აქედან გამომდინარე — თუ კი დაგჭირდა სისხლიც დაღვარეო, „კურთხევას აძლევს“, განა „რომელიმე პარტიის პოლიტიკურ აქციაში“ მონაწილეობაზე მეტი არ არის? ეს ამბავი „კატეგორიულად მისაღებია“ სინოდისთვის?

ის, „რომელიმე პარტიაც“ ხომ ვიცით, რომ ბიძინა ივანიშვილის „ქართული ოცნებაა“ და არა ჰალსტუხიანი ხვლიკის („ქდმ“) ან ძველი პოლიტიკური თითლიბაზების („ახალი მემარჯვენეები“)?

„ქართული ოცნება“, რომლის აქციებზე (თბილისიდან დაწყებული — ოზურგეთით დამთავრებული) ანაფორიანი ხალხი ბევრი გვინახავს...

მაშ, რაშია საქმე, რატომ ჩათვალა და რის შემდეგ წმინდა სინოდმა ამ განჩინების მიღება?

იმიტომ ხომ არა, რომ, ხელისუფლებისა არ იყოს, რომელიც ბიძინა ივანიშვილის სახელობის კანონებს იგონებს და იღებს, დიდი ხანია, წმინდა სინოდმაც ვიღაცის სახელობის განჩინება მიიღო ვიღაცის საწინააღმდეგოდ?

**დიახ, წმინდა სინოდმა მიშას სახელობის განჩინება მიიღო რუის-ურბნელი ეპისკოპოსის — მეუფე იობის წინააღმდეგ.**

მეუფე, რომელიც პირველად მცხეთაში გამოჩნდა „ქართული ოცნების“ აქციაზე, რამაც კიდევ უფრო მეტი იმედები გაუღვიძა ქართველებს და შესაბამისად თავის ტკივილი უმატა მიშნაცებს, რადგანაც მეუფე იობს, დიდი ხანია, მრევლში (და არა მხოლოდ მრევლში) სარწმუნოების კლდეს უწოდებენ; მეუფე იობი, რომელმაც, „იმ“ სინოდის სხდომაზე „შესანიშნავ ოცეულს“, რომელმაც ხმა მისცა ქართული ეკლესიის დამცრობისა და ხელისუფლებასთან „გაერთსულოვნების“ განჩინებას, პირში მიახალა — თქვენ კაცები არა ხართო; მეუფე იობი, რომელიც თურმე თავის ლოცვებში არ მოიხსენიებს საქართველოს მთავრობას, რადგანაც თვლის, რომ დღეს მიშნაცებმა საქართველოს სულიერების ოკუპაცია მოახდინეს!!!

და ბოლოს, მეუფე იობი, რომელსაც, მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ნატოსკენ „ისწრაფვის“, მიაჩნია, რომ ჩვენი ერის ფიზიკურ-მენტალური გადარჩენა მართლმადიდებელ ერთა კავშირშია...

წერილში დასმულ უამრავ კითხვაზე პასუხები მკითხველისათვის მიმინდვია. რაც შეეხება ჩვენს პატრიარქს, რომლის მიმართაც ამ წერილს, ალბათ, დიდ ცოდვად ჩამითვლიან მავანნი, ვიტყვი — არავიზე ნაკლებად მიყვარს და პატივს ვცემ მხცოვან უწმინდესსა და უნეტარესს, მაგრამ, უპირველესად, მიყვარს ჩემი სამშობლო, სამშობლო, რომელიც ვხედავ, რომ ჩვენ თვალწინ სრული გაქრობა-გადაგვარების საფრთხის წინაშეა და, თუ მართლაც არ იქუხებს მრისხანებით სამების ზარი, მხოლოდ „ოცნება“ ვერ გადაგვარჩენს!!!

„თუ ჩვენი ეკლესია ეროვნული არ იქნება, ასეთი ეკლესია არ მინდა“ — ეს სიტყვები საქართველოს კათოლიკოს პატრიარქს — წმინდა ამბროსი ხელაიას ეკუთვნის, რომელიც მან კათოლიკოსის ტახტზე აღსაყდრების ჟამს, 1921 წელს, წარმოთქვა...

**დავით მხეიძე**

# დიახ, მე ვბედავ!

დადებული მაქვს მორზე თავი
და ველი ნაჯახს!
გარშემო ხორუმს, ნაკლულების,
წამებით ვუძლებ...
— სამშობლოს ბედი
აბარია ათიოდ ხარჭას
და საშოვარით აყროლებულ,
დაბერილ მუცლებს!..

აღარ იკარებს ფუნჯი იით
გამთბარ სალებავს,
აღარ იფერებს იამბიკო
სიმღერას ნატიფს...
— კვლავ შეატოვეს გასაყიდად,
სახრავ-საყეფად,
საუფლო წმინდა მარიამის
ამ შეშლილ „ანტიპს“!

„ხვლიკს“ კუდი უკვე გაეზარდა,
ქუსლებზე შედგა,
მავანს ტუჩები კვლავაც დარჩა
გამობანტული...
... და უღიმოდა
აყუდებულ „მაგარს“
და „მედგარს“
ქერა დესპანი,
პიკანტური თავის კანტურით!..

... მერე უკანვე აგოგმანდა
მიდგმულ კიბეზე
და თვითმფრინავმა გადასერა
ქედები სამხრით...
— რა,
რა მოარჩენს
ქართველების მონურ სიბეცეს?!
ნაგვემს და ნაცემს
ხან ტყუილით,
ხან კიდევ სახრით?!.

— გვიხსენ, დედაო ეკლესიავ,
გვიხსენ, უფალო!..
თორემ სულ მალე
ქვეყნის ერთგულს
თითებზე დათვლი!..
ქართველს ჭეშმარიტს,
წრეში ჩამდგარს,
უხმლოდ, უფაროდ,
შენ წარუძეხი,
შენ დაადგი გვირგვინი ნათლის!..

— მაინც სად იყო,
სად მოგროვდა ძუკნა ამდენი?!
შანსით,
შანელით,
შარი-შურით,
შარმით,
„შარდენით?!“
— ვაი, ჩვენს პატრონს:

აი ჩვენი „დედები ქართვლის“,
ყრმის გამზრდელი და
მამულისთვის ცრემლის
დამდენი???

ზნედაცემული ქალ-ბიჭების
მიწყივ დამცველი,
გონჯი გომბიო,
ჯოჯოხეთით ამორწყეული!..
... დღესაც ჰკიდია ხეზე თოკით
ქრისტეს გამცემი,
დღესაც წკრიალებს
ოცდაათი ვერცხლი წყეული!..

რარიგ ცდილობენ
მწყემსის ირგვლივ ავად ფორიაქს,
რარიგ მშვიდია,
რარიგ სათნო
ცოცხლივ წმინდანი!..
... და ღმერთმა ნუ ქნას,
რომელიმე ანაფორიანს
წასცდეს სურვილი
პილატესთან ამბის მიტანის!..

— უნეტარესო!
მაპატიე
მე ბრიყვს და არჯალს...
ისედაც ვიცი,
არ ამცდება უფლისგან დასჯა!..
— წამებულისთვის,
მაცხოვრისთვის ვეძიებ
სიკვდილს!
დადებული მაქვს მორზე თავი
და ველი ნაჯახს...

თაფლის სურნელი, მობიბინე,
ედება ოთახს,
გათანგულს ხვატით
ბული ასდის ღამეულ ქალაქს...
— „ნუცა დაუფენ,
ნუ დაუყრი მარგალიტს ღორთა“...
ნუ ახსნი ცოდვას,
ვინც სასმურში დარიშხანს
მალავს!..

დღეის სათქმელი
ფიწალივით ყელში გაჩრილა!
— ჩვილსა და ჭაბუკს,
ახალგაზრდას,
მოხუცს და ჭარმაგს,
— დიახ,
მე ვბედავ
და გავყმუი ყველას გაჭრილად:
„უნდა იქუხოს მრისხანებით
სამების ზარმა!“

**რეზო ამაშუკელი**
**2010 წლის 8 ივლისი**

მსოფლიო

## აშშ-ში რეკორდულ სიცხეს ათობით ადამიანი ემსხვერპლა



**აშშ-ში რეკორდულ სიცხეს დაახლოებით 42 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. რამდენიმე ადგილას ძლიერმა სიცხემ სარკინიგზო ლიანდაგების დეფორმაციაც კი გამოიწვია, საავტომობილო გზებზე კი ასფალტი დაზიანდა. 8 ივლისს აშშ-ში ჰაერის ტემპერატურამ რეკორდულ მაჩვენებლს მიაღწია.** მოსალოდნელია, რომ ჰაერის ტემპერატურა დაიკლებს, თუმცა ამის შემდეგ აშშ-ში ძლიერი ქარიშხლებია ნავარაუდევი. დაღუპულებს შორის ბევრი ხანდაზმული ადამიანია. სიცხისგან ჩიკაგოში 10 ადამიანი, ვირჯინიისა და მერილენდის შტატებში კი 20 ადამიანი დაიღუპა. დაღუპულები არიან ვისკონსინში, ოჰაიოში, პენსილვანიასა და ტეხასშიც. ინდიანას შტატში კი ძლიერ სიცხეს 4 წლის ბავშვის სიცოცხლე ემსხვერპლა, ის მშობლებმა ცოტა ხნით დაკეტილ ავტომობილში დატოვეს. ვაშინგტონში ჰაერის ტემპერატურა 41 გრადუსს აღწევს, სენტ-ლუისსა და მისურში კი — 46 გრადუსს.

პოზიცია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„თუ „მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის“ მიერ გამოქვეყნებულ მასალებს ავიღებთ, დავინახავთ, რომ საქართველო, 2010 წლის მონაცემებით, სახელმწიფო ბიუჯეტის დაბალანსებულობით მსოფლიოში 127-ე ადგილზეა; ეროვნული დანაზოგების მაჩვენებლით — 110-ე ადგილზე; საპროცენტო განაკვეთის სიდიდით — 128-ე ადგილზე; დაწყებითი განათლების სისტემაში სწავლების ხარისხით — 120-ე ადგილზე. აი, რატომ არ მოდის უცხოური ინვესტიციები საქართველოში და რატომ არ ენდობიან ჩვენს პოლიტიკოსებს.“**



# დავით იაკობიძე: ვანო მერაბიშვილის დაპირებები თუ შესრულდა, დავილუპებით!

**ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი დავით იაკობიძე მიიჩნევს, რომ ხელისუფლებისა და ოპოზიციის უმწვავესი დაპირისპირების დღევანდელ პირობებში კადრების როტაცია გასაკვირი არ არის. ამ თვალსაზრისით, რეპრესიები, რომლებიც მიმდინარეობს პოლიტიკური ბრძოლის არეალში და რომლებიც ინიღბება სამართლიანობისა და თანაბარი შესაძლებლობების ლოზუნგებით, ნელ-ნელა იღებს საყოველთაო ხასიათს. ამ პროცესს კი, იმ შემთხვევაში, „ნაცებმა“ რომც მოიგონ არჩევნები, ვინმე გადაყვება, ეს ვინმე იქნება შინაგან საქმეთა მინისტრი. ამიტომ აქაც სააკაშვილის გათვლები ვანოს სასარგებლოა, იგი უნდა გადარჩეს. მაგრამ, თუ წააგებს არჩევნებს, ვანო რჩება როგორც პრემიერ-მინისტრი კანონით გათვალისწინებულ გადადგომამდე, შედარებით ნაკლებად დისკრედიტებულ, ერთადერთ კონსტიტუციურ ძალად, რომელიც მას საპრეზიდენტო არჩევნებისთვის მზადების შესაძლებლობას მისცემს.**
**ეს — პოლიტიკა.**
**ჩვენი საუბარი კი ეკონომიკურ პრობლემებზე წარიმართა.**

**— ბატონო დავით, გთხოვთ კომენტარს ვანო მერაბიშვილის დანაპირებ თაფლის მდინარეებსა და ნაზუქის ნაპირებზე: სახელმწიფო ბიუჯეტი — 40 მილიარდი ლარი, სოფლის მეურნეობას — 4 მილიარდი, პენსია 100 დოლარი და ა. შ.**

— მოდით, ისე გიპასუხებთ, როგორც სტუდენტებს ლექციაზე. დაგვპირდნენ, რომ ქვეყნის ბიუჯეტი ოთხ წელიწადში იქნება 40 მილიარდი ლარი. რამდენად დასაჯერებელია ეს დეკლარაცია? ამ კითხვაში არსებითი შინაარსის მატარებელი სიტყვებია „დაპირება“ და „ბიუჯეტი“, რაც შეეხება ოთხ წელს და 40 მილიარდ ლარს, ისინი მოსალოდნელი ფაქტის რაოდენობრივი განზომილებებია. როგორც წესი, ფაქტები, მოსალოდნელიც და არსებულიც, არ არის ინფორმაცია, სანამ მათ მნიშვნელობას არ დავადგენთ. მნიშვნელობა კი, უნდა განისაზღვროს შინაარსის მატარებელი სიტყვების საფუძველზე, შესაბამისად, პირველი სიტყვაა **„დაპირება“.**

„ნაცების“ დაპირება არის მათი ადამიანებთან იმწუთიერი ურთიერთობის გამომხატველი, მათზე ზეგავლენის განხორციელების საშუალება. **დაგვპირდნენ, რომ ფოთი იქნებოდა სამასათასიანი ქალაქი, შეგვისრულეს?.. დაგვპირდნენ, რომ ააშენებდნენ გაზსაცავსა და ნამოხვანჰესს, შეგვისრულეს?.. დაგვპირდნენ, რომ ააშენებდნენ ნანსკრაჰესს, და პენსიები იქნებოდა 100 აშშ დოლარის ტოლფასი, შეგვისრულეს?..**

მრჩება შთაბეჭდილება, რომ მათთვის დაპირება არის მოცემულ კონკრეტულ მომენტში მოსახლეობაში არსებული უკმაყოფილების განმუხტვის საშუალება, რომელიც შემდეგ მხედველობაში აღარ მიიღება. გვპირდებიან იმ ვარაუდით, რომ დავუჯერებთ და ოქტომბრის შემდეგ აღარავის გაახსენდება ეს დანაპირები.

**— ბევრი დაპირება გვახსოვს მედიცინის, განათლების, სოფლის მეურნეობის და სხვა სფეროებში...**

— სიტყვა ***დაპირება*** ჩვენს შემთხვევაში არ გამოხატავს არსებული ეკონომიკური პარამეტრების საფუძველზე გამოთვლილ პროგნოზს. იგი უბრალოდ პიარაქციის ნაწილია, გათვლილია მასებზე ზემოქმედებისთვის და, თუ ჩვენ პასუხისმგებლურად მოვიქცევით, ეს დაპირებები მხედველობაში არ უნდა მივიღოთ, მოსალოდნელობათა გამომხატველ ფაქტებს მნიშვნელობას ვერ მივანიჭებთ.

**— საფუძვლად რას უდებენ, ბატონო დავით? ეს დაპირებები ხომ პრემიერ-მინისტრისგან მოდის, თანაც არჩევნების წინ?**

— ვინ, ვინ და ვანო მერაბიშვილმა, სამსახურებრივი მოვალეობიდან გამომდინარე, კარგად უნდა იცოდეს საქართველოს კანონები. იცის „ნაცების“ მუქარისა და დაპირებების მნიშვნელობაც. და, რაც არანაკლებ სერიოზულია, იცის — როცა საზოგადოებას დაპირდები ოთხი მილიარდის დახარჯვას განათლების სფეროში, თუ ვერ შეასრულებ, პასუხს არავინ მოგთხოვს. დიდი-დიდი რომელიმე პოლიტიკურმა პარტიამ გისაყვედუროს: რატომ მოატყუე ხალხიო. ხალხი კი იტყვის, რა ქნას საწყალმა, უნდოდა, მაგრამ, ალბათ, არ ჰქონდაო. მაგრამ, როცა პენსიის მომატებას დაჰპირდები 900 ათას კაცს, ისინი სიტყვის შესრულების მომლოდინე ხდებიან და აუცილებლად რაღაც ფორმით მოგკითხავენ.

რა ფასი აქვს დაპირებას 90 ათასი ჰექტრის გასარწყავების შესახებ, როცა 800 ათასი ჰექტრიდან მოხნულია მხოლოდ 250 ათასი. რა დიდი გადატრიალება ესაა?

მოკლედ, **არ შეიძლება ამ დაპირებათა სერიოზულად აღქმა და მათი ეკონომიკური ანალიზის საკითხად ქცევა. პიარის ნაწილია, მისი მთავარი შემადგენელია.**

ვის აქვს ყველაზე დიდი ავტორიტეტი ელექტორატში? ექიმებსა და მასწავლებლებს. მათი მოსყიდვაა მთავარი. მათ უნდა დაჰპირდე და თანაც ისე, რომ არ გაანაწყენო, მოლოდინი გაუჩინო და შენი ზეგავლენის ქვეშ მოაქციო.

**— ექსპერტების აზრით, ჩვენი ხელისუფლება, მეურნეობის მართვის მსოფლმხედველურად სხვა გზას ადგება. აღარ უსმენს ლიბერტარიანელებს — ბენდუქიძეს, გურგენიძეს, გილაურსა და სხვებს და ეკონომიკის მართვის ახალ მოდელს გვთავაზობს: ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევისა და მასზე კეთილისმყოფელი ზემოქმედების მოდელს.**

— ასეთი მოდელის შემომთავაზებელს უნდა ესმოდეს მისი ავ-კარგი, მაგრამ **საიდან გაუჩნდება გუშინდელ ლიბერტარიანელს, კეინსიანელური მეთოდოლოგიით ეკონომიკის მართვის უნარ-ჩვევები?**

ეს ერთი. მეორე, **რა საფუძველი გააჩნია ჩვენს ეროვნულ ეკონომიკას ისეთი, რომ წელიწადში 30-პროცენტიანი ზრდას მიაღწიოს?** მსოფლიოში მსგავსი შემთხვევა შეუძლია ვინმემ გაიხსენოს? არა. ამიტომ, ნება მომეცით, ჩემს აზრზე დავრჩე.

**— ხომ შეიძლება გარეგანი ფაქტორების ამოქმედებით, ინვესტიციების მოზიდვით, საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით და ა. შ. შევძლოთ ეკონომიკაში არსებითი გარდატეხის შეტანა? ამის თეორიული საფუძველი ხომ არსებობს?**

— თეორიული არსებობს. შეიძლება რეალურადაც კი მოხდეს ოთხ წელიწადში ეკონომიკის სამჯერადი ზრდა. ამის მაგალითია ჩინეთის თავისუფალი ეკონომიკური ზონები, მაგრამ, **როდესაც ეროვნულ ეკონომიკაზე ვსაუბრობთ, მთავარია არა ეკონომიკური ზრდა, არამედ ქვეყნის განვითარება. განვითარება კი თვითმსგავსებას გულისხმობს. ისე უნდა იზრდებოდე, რომ საკუთარ თავთან მსგავსება არ დაკარგო,** ამიტომ საქართველოს თვითიმგავსი განვითარების შესაძლებლობებისთვის უცხოა ასეთი ჯერადობითი ზრდა დროის შედარებით მოკლე პერიოდში.

მარტივად აგიხსნით: ვთქვათ, ძველი მეგობარი შეგხვდათ, რომელიც ერთ წელიწადში ისე გასუქებულა, რომ ვერ იცნობთ, თუ იცნობთ, აუცილებლად გაიფიქრებთ, ღმერთმა დამიფაროს ასეთი გასუქებისგანო. ამას ვამბობ მეც: კიდევ კარგი, რომ ამ დაპირებებს აღსრულება არ უწერია, თორემ საქართველო აღარც იარსებებდა. ის, რაზეც ვლაპარაკობ, ნიშნავს საქართველოში კაპიტალის მიგრაციას ერთდროულად სამი ფორმით: სამუშაო ძალა-კაპიტალით, ტექნოლოგიითა და ფულით. ასეთი მიგრაცია კი მიგვიყვანს იქამდე, რომ საკუთარ სახეს დავკარგავთ.

**— მართლაც, უკვე აღარ არსებობს ძველი ბათუმი, ძველი სიღნაღი, ვერ იცნობთ რიყეს... ამ ბრჭყვიალა დაპირებებსა და დუხჭირ რეალობაში, როდემდე მოგვიწევს ყოფნა?**

— ამჟამად ამუშავებენ განვითარების კონცეფციებს, მათ შორის, ეკონომიკის განვითარების მიმართულებებსაც. არის ცალკეული კვლევები, რომლებიც გვიჩვენებს ჩვენი ქვეყნის რეალურ სურათს. მაგალითად, ამასწინათ პროფესორ იური ანანიაშვილის სტატიაში ამოვიკითხე, რომ **საქართველო ერთადერთი ქვეყანაა აღმოსავლეთ ევროპაში, რომელიც ვერ დაეწია საკუთარ, 1988 წლის ეკონომიკურ დონეს.** ამ თემაზე მეც ბევრჯერ დამიწერია, მაგრამ არავისგან მიმიღია გამოხმაურება. საქმე ისაა, რომ **ჩვენ საკუთარ თავს ჩამოვრჩით და უკვე 24 წელია, ვერ ვეწევით, ე. ი. თუ ეკონომიკის მართვის სისტემა არ შევცვალეთ, არ მოვახდინეთ მისი ტრანსფორმაცია, არ შევიმუშავეთ ახალი მიზნობრივი მიმართულებები და არ ჩამოვაყალიბეთ საკუთარი სვლაგეზი, არაფერი გვეშველება.** რა ზრდაზე შეიძლება ილაპარაკო, როდესაც 2000 წელს საქართველო, რომელმაც 1991-93 წლებში აღმოსავლეთ ევროპაში არნახული ნგრევა განიცადა, ეროვნულ ანგარიშთა სისტემისა და ადამიანის განვითარების მაჩვენებლებით წინ უსწრებდა სამხრეთ კავკასიის რეგიონში ყველას, დღეს აზერბაიჯანსა და სომხეთს არსებითად ჩამორჩება. გაგვასწრო მოლდოვამ, თურქეთმა, ბულგარეთმა, ყველა ქვეყანამ, რომლებსაც ამ 10 წლის წინათ, მიუხედავად გადატანილი ოთხი ომისა და სამი რევოლუციისა, ვუსწრებდით.

**— ეკონომისტების ერთი ნაწილი გვიმტკიცებს რომ განვვითარდით.**

— რაც ვთქვი, არ არის საკამათო. თუ ვამბობთ, რომ ადამიანის განვითარების უმთავრესი მაჩვენებლით, სიცოცხლის ხანგრძლივობით 1999 წელს (სიცოცხლის შესაძლებელი ხანგრძლივობა 71,5 წელი) წინ ვუსწრებდით სომხეთს (68,5), 2011 წლის მონაცემებით, სომხეთი (69,5) გვისწრებს ჩვენ (69,2), რაზე უნდა იკამათო? მაგრამ, თუ მხედველობაში გყავთ ზოგიერთი ექსპერტი, ვინც ამ საკითხის განხილვისას გიპასუხებთ, რომ ჩვენ დავამარცხეთ კორუფცია და უსაფრთხო ქვეყანა გავხდით, რომ ჩვენთან გაიოლებულია ბიზნესის კეთება, მე მას დავეთანხმები და ვეტყვი, რომ ეს ჩემს საწინააღმდეგო არგუმენტებად სრულიადაც არ გამოდგება, რადგან თუ ასეთი მიღწევების შედეგად, მოსახლეობაში სიცოცხლის ხანგრძლივობა შემცირდა, ეს მიღწევები საკმარისი არ ყოფილა განვითარებისთვის.

გარდა ამისა: **საქართველო, როგორც ჩანს, დღეს დანარჩენ მსოფლიოსთვის, საინტერესოა. მშპ ჯერჯერობით არის ერთადერთი მაჩვენებელი, რომელიც ქვეყნებს ერთმანეთთან შესადარისს ხდის. ამ მაჩვენებელს, მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, ანგარიშობს მსოფლიო მონეტარული ფონდი, მსოფლიოს ბანკი, ევროკავშირი და სხვა საერთაშორისო დაწესებულებები, აშშ-ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოც კი. ამ მაჩვენებლით ჩვენ უაღრესად არასახარბიელოდ გამოვიყურებით.**

მინდა შეგახსენოთ, რომ თუ „მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის“ მიერ გამოქვეყნებულ მასალებს ავიღებთ, დავინახავთ, რომ, საქართველო 2010 წლის მონაცემებით, სახელმწიფო ბიუჯეტის დაბალანსებულობით მსოფლიოში 127-ე ადგილზეა; ეროვნული დანაზოგების მაჩვენებლით — 110-ე ადგილზე; საპროცენტო განაკვეთის სიდიდით — 128-ე ადგილზე; დაწყებითი განათლების სისტემაში სწავლების ხარისხით — 120-ე ადგილზე. აი, რატომ არ მოდის უცხოური ინვესტიციები საქართველოში და რატომ არ ენდობიან ჩვენს პოლიტიკოსებს.

საქართველოს ეკონომიკის განვითარებაზე პასუხისმგებელი ინსტიტუტები მხოლოდ იმით არიან დაკავებული, რომ როგორმე შეალამაზონ სინამდვილე და პირველ პირებს საშუალება მისცენ, უფრო რიხიანად ილაპარაკონ ჩვენს ე. წ. მიღწევებზე. არადა, სიტუაცია საგანგაშოა. ზემოთ პროფესორი იური ანანიაშვილი ვახსენე, ისევ მას მოვიშველიებ: მან რთული მათემატიკური მოდელის გამოყენებით დაადგინა, რომ **დღევანდელ საქართველოში უმუშევრობის ბუნებრივი დონე 9 პროცენტს შეადგენს. ეს ნიშნავს, რომ შრომისუნარიანი მოსახლეობის 9 პროცენტმა, ანუ 200 ათასმა კაცმა, რაგინდ მოინდომოს, სამუშაოს ვერ იშოვის.** ასიათასობით ჩვენი მოქალაქე ლუკმაპურის საშოვნელად უცხოეთშია წასული, ეს კი ნიშნავს, რომ ეკონომიკის ის მოდელი, რომელიც ჩვენ გაგვაჩნია, უშედეგოა. მასზე სასწრაფოდ უნდა ითქვას უარი. ეკონომიკაზე პასუხისმგებელი პირები ვალდებულნი არიან, კი არ დაგვპირდნენ ზურმუხტის მთებსა და შარბათის წყაროებს, არამედ საფუძვლიანად განიხილონ ნაკლოვანებები და დასახონ გამოსწორების გზები.

**— პირდაპირ მითხარით: დაპირება, რომელიც ბევრ ადამიანში ოპტიმისტურ განწყობას ბადებს, არ შესრულდება?**

— იმ შემთხვევაში შესრულდება, თუ ჩვენი ხელისუფლება იშოვის სადმე მაკარონის თესლს და შეიძენს ქათმებს, რომლებიც კვერცხის ნაცვლად კომპიუტერის ჩიპებს დადებენ და ისიც იმ შემთხვევაში, თუ ამ ქათმებს სანდო ხალხს მიაბარებენ, თორემ გარშემო ისეთი ადამიანები ბორიალებენ, ამ ქათმებს დაკლავენ და ჩახოხბილს გააკეთებენ.

**— ეგებ, ერთი წინადადებით დაასრულოთ ინტერვიუ?**

— ჩემი ბავშვობის დიდი მონაკვეთი მესხეთში გავატარე, კერძოდ, ადიგენში. იქ ერთი შესანიშნავი ვაჟკაცი ცხოვრობდა, ვანო ერქვა, ბავშვებს სულ ანდაზებით გვესაუბრებოდა — თურქული ანდაზებიც იცოდა და ქართულად გვითარგმნიდა. მისგან გაგონილი ანდაზით დავამთავრებ: **„ან აღა, ბან აღა, ინაქლარი ქიმსაღა“, „შენც ბატონი, მეც ბატონი, ძროხა ვილამ მოწველოს?!“.**

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

**ავღანეთიდან ნატოს წევრ ქვეყნებს ჯარები გამოჰყავთ თავიანთი ხალხის პროტესტის შიშით. ამ დროს გამოჩნდა პატარა, გაღატაკებული, დარბეული ტერიტორიებშემოღრღნილი ქვეყნის მეტიჩარა პრეზიდენტი და იქაჩება ავღანეთში ჯარების გაგზავნაზე. ამ უცხოეთის პირმოთნე მსახურს ისინიც ჰპირდებიან ნატოს წევრობას, როგორც ორთვალაში შებმულ სახედარს მის ცხვირწინ ჩამოკიდებული ბალახის შეჭმას. სახედარიც ჭაპანწყვეტით მიაგორებს ტვირთს მწვანე ბალახის მიწვდომის იმედით, რომელიც არც მიეცემა და არც დაეკარგება.**

ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ბოდვისშვილები

## ქართველი ხალხი ემზადება საშინელი «ნაციონალური მოძრაობის» ჭუჭყის ჩამოსარეცხად



**ნიურნბერგის პროცესზე ფელდმარშალ ვილჰელმ კაიტელს, სხვა მრავალ ბრალდებებთან ერთად, საკუთარი ბრძანება დაუდეს წინ არმიის, ესეს-ისა და პოლიციის საერთო ღონისძიებებით იმ ფრანგი ოფიცრებისა და ჯარისკაცების ოჯახის წევრთა დასჯის თაობაზე, ვინც რუსების მხარეს იბრძოდნენ. ამ დანაშაულს ამაზრზენი და საზიზღარი უწოდეს. რა შეიძლება ეწოდოს ამ ხელისუფლების მიერ თავისუფლად მოაზროვნე, სიმართლისმოყვარე ადამიანების სამსახურიდან დათხოვნასა და დევნას, მათი ოჯახის წევრების, ნათესავების სამსახურიდან განთავისუფლებას; ყველა ოპოზიციურად მოაზროვნის დაშინებას, საარჩებო საშუალების მოსპობას და ბოლოს დაპატიმრების, სამშობლოდან გაძევების ან ლიკვიდაციის მცდელობას?**
**ახლა უკვე კანონით მოწონებული ნადირობაა გაჩაღებული ბიძინა ივანიშვილის საქმიანობაზე. არადა, მას მთელი საქართველო უჭერს მხარს, რამეთუ დღევანდელი გაუსაძლისი ყოფიდან თავის დახსნის პერსპექტივას ხედავენ.**

ბიძინა ივანიშვილმა ბედნიერი და უზრუნველი ცხოვრება უარყო და მთელი თავისი ოჯახით ქვეყნის გადასარჩენად მძიმე ბრძოლაში ჩაება საკუთარი ერის უბედურებადქცეულ ხელისუფლებასთან. ამგვარ საარაკო თავდადებას სამშობლო განსაკუთრებული პატივით ეკიდება და გმირებს უკვდავებით მოსავს.

ამ ეგრეთ წოდებულმა ხელისუფლებამ ფაშისტური ძალადობის ყველა ფორმას გაუგო გემო და იმდენად მოეწონა, არაფრით აღარ ეთმობა, რადგან უმისოდ ხალხის მრისხანე სამსჯავროს წინაშე მოუწევთ ჩადენილი ცოდვების ერთმანეთზე გადაბრალება. ასე იმართლებდნენ თავს ფაშისტი დამნაშავეები ნიურნბერგის პროცესზე, ადამიანთა მოდგმის სიძულვილით ჰიტლერთან თავს რომ იწონებდნენ.

**„ნაციონალების“ პანდორას სკივრიდან ამოფრენილი რომელი ცოდვაც გინდა, ისეთ დანაშაულს შეიცავს ქვეყნისა და ერის წინაშე, რომ ისტორიის სანაგვეზე ყველაზე მუხთალ, ხალხის მიერ დაწყევლილთა შორის ადგილი გარანტირებული აქვთ.**

დღეს საქართველოში ადამიანები სიცრუეში ისე ფართხალებენ, როგორც თევზები უჟანგბადო აკვარიუმში. ამ ხელისუფლებას სიცრუით გონებადაბუჟებული ადამიანები სჭირდება და ვაი იმისი ბრალი, ვინც ეცდება ამ ილუზიით დაბნელებული გონების სიმართლის სხივით განათებას.

რა შეიძლება ეწოდოს ბიძინა ივანიშვილის დაჯარიმებას იმის გამო, რომ ოჯახებს სატელევიზიო ანტენებს უდგამდა?! თუ ნამდვილი ხელისუფლება ხარ და ხალხზე ზრუნავ, რატომ უნდა გეწყინოს?! თუ მართალი ხარ და სხვა ცრუობს, დაე, ხალხმა ესეც მოისმინოს და ისე დამცინავად გაიღიმოს, როგორც მიშას ყოველდღიურ სატელევიზიო ტაკიმასხრობაზე.

**ხალხს სიმართლეს ვერ დაუმალავ, იგი ნელა მოძრაობს და არავითარ ძალას მისი შეკავება და მოსპობა არ შეუძლია, რამეთუ ადამიანთა ყველა სიწმინდისა და კეთილდღეობის ურყევი საფუძველია. საქართველოს რეგიონები კი ხელისუფლების ცრუპენტელა ტელევიზიების მიერ არის ოკუპირებული.** როგორი საყურებელია ყოველდღე ერთი და იმავე სიცრუით შენელებული სისულელის მოსმენა: თურმე რუსეთმა დრო შეურჩია და ომი მაშინ დაიწყო, როცა მიშა და მთელი მისი მთავრობა საზღვარგარეთ დასასვენებლად იყვნენ წასული. თუ ასე იყო, წითელ ხიდზე რაღა ზედახორა გამართეს, დარჩენილიყვნენ, სადაც ისვენებდნენ. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ნაძარცვით გატენილი ჩემოდნების წასაღებად შემოირბინეს. ისე კი, თავმოყვარე პრეზიდენტი, შეშინებული და საცოდავი ცხვირით მიწას რომ თხრის, იმ სურათის გამოქვეყნების შემდეგ, პრეზიდენტად ყოფნას კი არა, ხალხში გამოსვლასაც უნდა ერიდებოდეს. ეს კიდევ ტელევიზიით დადის და სპეციალურად მორეკილ ბრბოს თავის მაგარ ბიჭობაზე ბამბას უჩხრიალებს. გერმანელები ჰაილ ჰიტლერს რომ ღრიალებდნენ, ბევრი გულისხმობდა, უმკურნალეთ ჰიტლერსო. ახლა საქართველოში ბევრი იძახის, დააბით მიშა, რადგან მისი მკურნალობა დაგვიანებულიაო.

გადაერთეთ, რომელიც გნებავთ, ამათ ტელევიზიაზე. ყველგან ტრაბახის, სიცრუისა და ცილისწამების როკვაა. **რატომ გაცოფდნენ ბიძინა ივანიშვილის მიერ ანტენების დადგმის გამო? შე ძალა მაცხონევ! შეეშვი ტაკიმასხრობას და შენც მოგისმენენ, მაგრამ მოძალადე მატყუარას ეს რაში აწყობს!** ვაი, იმის ბრალი, ვინც ეცდება სიმართლის მოსმენით უიმედობის დამშვიდებას. რატომ მაიძულებს, რომ შენი პრეზიდენტის ყოველდღიურ სისულელეს ნერონის თეატრის სცენაზე როკვასავით ვუყურო, რათა შემდეგ სინანულით ვიცინო მის თავქარიანობაზე.

რომელი ნორმალური ადამიანი იკადრებდა სტუდენტ გოგონებთან იმაზე ტრაბახს, თუ როგორი გაუკულმართებული სექსი ჰქონდა თვითმფრინავში ვიღაც მდედრთან. ეს იტალიაში რომ წამოეროშათ, მთელი ხალხი ფეხზე დადგებოდა, ამგვარ პრეზიდენტს გადააყენებდნენ. ამ თვინიერ ქართველებთან კი ყოველგვარი უზნეობის კადრებას ბედავენ. ნუთუ „ნაციონალებში“ აღარ შერჩათ ისეთი ნორმალური წევრები, რომ ამგვარ გაფრენამდე სადმე მის ბარტყებიანად ტელევიზიის გარეშე აჭენაონ, რამეთუ ტელევიზიის ეკრანიდან გაფრენილი მწყრების დაჭერას და ისევ გადახურებულ თავში ჩაკეტვას ველარ ახერხებენ. რატომ უნდათ, რომ ხალხმა ამ თავაშვებულობას უყუროს, რათა მის სექსუალურ გმირობაზე აღფრთოვანებით ილაპარაკონ თავშეყრის ადგილებში.

**დემოკრატიის ნიღაბაფარებული მოძალადე დემაგოგები როდემდე შეძლებენ ადამიანთა დამცირება-დაშინება-დამონებით ნებივრობას. ხალხი გაალატაკეს და მშვიდად არიან, რამე თუა პრეზიდენტის ყოველდღიური ბოდვის გარდა, მოსმენის საშუალებას უსპობენ. იმასაც რა ენაღვლება, ქექავს ნაცარს და ყვარყვარეს ზღაპრებს ერთსა და იმავე ნოტზე აგალობებს ისე, რომ შენიშვნა და სიტყვის შებრუნება არ შეიძლება, თორემ, თუ ჯონდი ბაღათურიას კრიტიკის გამო პარლამენტიდან დაფრთხა და ძლივს მოაბრუნეს, რეგიონებიდან დამფრთხალს, ლაზიკაში ჩაყვინთულს თუ დაიჭერენ.**

დღეს, როცა მთელმა მსოფლიომ იცის ფაშიზმის მიერ კაცობრიობის წინაშე ჩადენილი უმძიმესი დანაშაულის შესახებ, ვის შეუძლია ეყოს თავხედობა და ამ საშინელი ურჩხულის წინააღმდეგ ბრძოლაში დაღუპულთა წმინდათაწმინდა ობელისკები დაანგრიოს. ამათ ეს იკადრეს. თუნდაც მარტო ეს ცოდვა არ არის საკმარისი, რომ ხალხის მკაცრი სამსჯავროს წინაშე წარდგნენ?! როცა ადამიანი სულს სატანას მიჰყიდის და ჯოჯოხეთის ბილიკზე შედგება, სხვების ტანჯვა-წამების ხარჯზე ეშმაკის მიერ ნაჩუქარ ამქვეყნიურ ნებივრობას ხალხი ჩააშხამებს და ჯოჯოხეთის კარზე მიკაკუნებამდე ცხოვრებას ჯოჯოხეთად უქცევს.

**მთელი ქართველი ხალხი ემზადება საშინელი „ნაციონალური მოძრაობის“ ჭუჭყის ჩამოსარეცხად. ამას კარგად გრძნობენ ეს ბოდვისშვილები და იმის მაგიერ, რომ ჩადენილი ცოდვების გამოსასყიდად, სიკეთის გზას დაადგნენ, კიდევ უფრო ღრმად ეფლობიან დანაშაულის სიბინძურეში.**

თუ ხალხის სასიკეთოდ ირჯებიან, რაღად უნდათ იმავე ხალხის დასარბევად შემართული, ჟანდარმერიად ქცეული უამრავი შეიარაღებული ფორმირებები. რაში სჭირდებათ ხელისუფლებაში ისეთი ჯდომა, როცა ხალხი ამათ დანახვაზე იწყევლება და ფურთხს არ იშურებს. იქნებ დაინტერესდნენ და თვალი გადაავლონ ისტორიას, თავის ხალხთან მებრძოლ ხელისუფლებას ძალადობით რაც უფრო გაუხანგრძლივებია თავისი არსებობა, მით უფრო სავალალო ყოფილა მათი დასასრული. ამათ კი იმდენი მუხთლობის ჩადენა მოასწრეს, რომ იციან, ამგვარი მძიმე ტვირთით ხალხის სამსჯავროს წინაშე წარდგენა სახუმარო არ იქნება; ამიტომაც აღრჭენენ კბილებს კუთხეში მიმწყვდეული ვირთხებივით.

**ქართველ კაცს რატომ არ უნდა გეამაყებოდეს საკუთარი პრეზიდენტი, მაგრამ მისი საქციელი სირცხვილის ოფლს გვგვრის. ხალხის მიმართ შეუბრალებელი დესპოტი ერის ინტერესებს ფეხქვეშ როგორ უგებს თავის მფარველს შერცხვენილი პოსტის შესანარჩუნებლად, ამის მხილველს გული გიკვდება.**

ლაქუცით მისდევს კლინტონის ქალბატონს გატანჯული საქართველოს ბედნიერი პრეზიდენტი და ანგარიშს აბარებს, პირველი კლასიდან ქართველ ბავშვებს როგორ აძალებენ ინგლისური ენის სწავლას, რამდენი ათასი ინგლისურის მასწავლებელი მოიყვანეს და რომ კიდევ უფრო გაზრდიან მათ რიცხვს. ალბათ, უფრო დიდ წარმატებად მოახსენებს, ამათგან რამდენია ფლეთჩერის კლარნეტიანი, რომ საქართველოში ერთსქესიან ქორწინებას დააკანონებენ და პედერასტების აღლუმის ჩატარებას ველარავინ შეუშლის ხელს. ის ქალბატონიც სიამოვნებით ისმენს დემოგრაფიული კატასტროფის წინაშე მდგარი, საზღვრებმორღვეული ერის პირმორღვეული პრეზიდენტი როგორი აღფრთოვანებით ახსენებს ავღანეთში ქართველი სამხედროების კონტინგენტის გაზრდის შესახებ. **უსმენს ქალბატონი და უკვირს, რა სასწაულებრივი ლაქია იშოვეს, მთელ მსოფლიოში არ მოიძებნება ისეთი პრეზიდენტი თავისი ხალხის ჩამოსახრჩობი თოკით თვითონ რომ დარბოდეს, ოღონდ მას ერთგული გოშიას სალაფავი არ მოაკლდეს.**

საქართველოს ტელევიზია კი სიამაყით გვამცნობს გერმანიაში კონდოლიზა რაისისთვის კიდურებდაკარგული ქართველი მეომრის ერთადერთი ხელის ჩამორთმევის ბედნიერებაზე. ადრე იყო ასეთი ანეკდოტი: სეროჟას ჰკითხეს, არ გინდა, მავზოლეუმში იწვე და ლენინი იყოო. ლენინს ჰკითხეთ, არ უნდა, ცოცხალი სეროჟა იყოსო? — უპასუხა. სიცოცხლეს საშინელ ხეიბრად შემორჩენილი ქართველი ვაჟკაცი იმ ქალბატონის ხელის ჩამორთმევამ გააბედნიერა? რა ცოდვილია ენა მუხთალი ტვინის სამსახურში, მისი ჭკუის დანაკლისით თავხედობა რომ ზეიმობს.

**ავღანეთიდან ნატოს წევრ ქვეყნებს ჯარები გამოჰყავთ თავიანთი ხალხის პროტესტის შიშით. ამ დროს გამოჩნდა პატარა, გაღატაკებული, დარბეული ტერიტორიებშემოღრღნილი ქვეყნის მეტიჩარა პრეზიდენტი და იქაჩება ავღანეთში ჯარების გასაგზავნად. ამ უცხოეთის პირმოთნე მსახურს ისინიც ჰპირდებიან ნატოს წევრობას, როგორც ორთვალაში შებმულ სახედარს მის ცხვირწინ ჩამოკიდებული ბალახის შეჭმას. სახედარიც ჭაპანწყვეტით მიაგორებს ტვირთს მწვანე ბალახის მიწვდომის იმედით, რომელიც არც მიეცემა და არც დაეკარგება.**

ამ პრეზიდენტის შემყურეს საკუთარი თავი შეგეცოდება შენს მრავალტანჯულ სამშობლოსთან ერთად და უნებლიეთ ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი კალისტრატე გაგახსენდება — პრეზიდენტის მგზნებარე მეხოტბე, რომლის წარმოდგენით თანამედროვე დავით აღმაშენებელი საქართველოს ტერიტორიებს უნდა ანიავებდეს; თავის მიერვე დაწყებული ომიდან გამოქცეული ცხვირით მიწას უნდა ხნავდეს, საქართველოს აქუცმაცებდეს და საქართველოს აღიარებულ დედაქალაქს იქით მიათრევდეს, საიდანაც დავით აღმაშენებელმა დაქცეულ-დარბეული საქართველოს აღდგენა დაიწყო; ამერიკელთა პამპერსების მომარაგებით გულმოსული ყვირილით უნდა იკლებდეს ქვეყანას, ომი იმათ დაიწყეს, მე კი გავიმარჯვეო. ახლა მაგას თუ მხედველობაში აქვს მილიარდობით დოლარით დახმარება, ნამდვილად გაიმარჯვა, მაგრამ ხალხს რა?.. აღმართი და დაღმართი არც ერთია წარმართი. რაც პრეზიდენტია, შესაფერისი მეხოტბეც იშოვა. **ალექსანდრე მაკედონელმა აქილევსის ძეგლს უთხრა: ჟამთააღმწერელს უმადლოდე შენი სახელის სიდიადესო. კალისტრატემ კი მიშას შექებაში იძუნწა, უფალს რომ არ შეადარა. ჰიტლერის ეპისკოპოსი — ლუდვიგ მიულერი უფრო ბარაქიანად ქადაგებდა: განგებამ ქრისტე აღამაღლა ცათა შინა, ჰიტლერი კი თავის წარმომადგენლად დატოვა ამქვეყნადო. ალბათ, კალისტრატე ამ იაღლიშს მომავალში გამოასწორებს, რამეთუ ენას ძვალი არ აქვს, გაჭენებულ პირმოთნეობას კი — ალვირი.**

სავალალო კი ის არის, რომ ოცდამეერთე საუკუნეში ბატონყმობის დონემდე დავეშვით. რა ვქნათ, მაინც ხომ ვარსებობთ და დემოკრატიის ნიღაბაფარებული მოძალადენი ამ ცივილიზებულ და ჭკუით გაძეძგილ ქართველებს ხიდან ახლადჩამომხტარ პაპუასებივით „მიშა, მიშას“ აღრიალებენ.

„ერთი შერჩა მელასა, სხვას დაუწყებს კბენასა“. უამრავი დანაშაული ქვეყნისა და ხალხის მიმართ, რაც ამ ხელისუფლებამ ჩაიდინა, ნებისმიერ ევროპულ ქვეყანაში ხალხი, დიდი ხანია, გააგზავნიდა მოუსავლეთში. ესენი კი, ყოველ შერჩენილ დანაშაულზე გათამამებულები, უფრო უარეს ცოდვას იკიდებენ.

**მთელი საქართველო გაოგნებულია ბიძინა ივანიშვილისთვის საქართველოს მოქალაქეობის ჩამორთმევით იმათ მიერ, ვინც საქართველოს მოქალაქეობის ღირსი არ არის.**

მე პირადად არ ვიცნობ მას და არც არავითარი ურთიერთობა არ მაქვს „ქართულ ოცნებასთან“. ასე რომ, ეს ხელისუფლება ვერაფრით ვერ მომაკრავს მოსყიდულის იარლიყს. მაგრამ განა არ აღშფოთდება ყველა რიგითი ქართველი იმ ძალადობრივ, ცალმხრივ კანონებზე, რომლითაც ყაჩაღურად ეწევიან სამარცხვინო ლაშქრობას ბიძინა ივანიშვილის და, აქედან გამომდინარე, მთელი ქართველი ხალხის წინააღმდეგ.

მუსოლინი ბრძანებდა: მეგობრებს — ყველაფერი, სხვა ყველას — კანონი. ნახეთ, როგორი წარმატებით აქვთ ათვისებული ამ პირველი ფაშისტის დამოძღვრა. ოღონდ არც ის უნდა დაავიწყდეთ, როგორი წარმატებით გადალახა ამ არსებამ ამქვეყნიურობის ფინიშის ხაზი.

გონს მოდით, ხელისუფლების ნებიერნო! ქართველი ხალხის მოთმინების ფიალა გადავსებულია. გაჯიუტების გარეშე დატოვეთ თქვენ მიერ შერცხვენილი პოსტები, რათა ხალხმა შემწყნარებლურად იმსჯელოს თქვენს ცოდვებზე. ნუ ინებებთ მათი ბედის გაზიარებას, ვინც ხალხის სამართლიან მოთხოვნას ძალადობითა და რეპრესიებით უპასუხეს.

**გივი სომხიშვილი,**
**დავით აღმაშენებლის სახელობის პრემიის ლაურეატი, მწერალი**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„გეტყვით იმას, რომ ჩვენ არასოდეს არ ვუჭერდით მხარს ცალკე რომელიმე ჯგუფს, მათ შორის ეთნიკურ ან სექსუალურ უმცირესობას, ჩვენ მხარს ვუჭერდით კონკრეტულ ადამიანს. საქართველოს კონსტიტუციაში წერია, რომ ყველა ადამიანს აქვს თანაბარი უფლებები განურჩევლად და მერე არის გრძელი სია ჩამონათვალის, ამ სიაში კანის ფერი, აღმსარებლობა და სხვა რამ არის მითითებული. თუ ვინმეს არ მოსწონს საქართველოს კონტიტუცია, ეს ჩემი პრობლემა არ არის“.**

# ლევან ბერძენიშვილი: ვანო მერაბიშვილი ოლიგარქია, აბა, რა არის?!

**კოალიცია „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერი ლევან ბერძენიშვილი აცხადებს, რომ ვანო მერაბიშვილის გაპრემიერება არჩევნების გასაყალბებლად არის გათვლილი. საინტერესოა, საიდან მოიტანს „გალეტილი“ პრემიერ-მინისტრი მილიარდებს და რა სარგებელს მოუტანენ ხალხს. მართლაც რომ დადონ ეს ფული და დაგვათვლევინონ, მათ არ აქვთ წარმატების შანსი, — აცხადებს ბერძენიშვილი „საქართველო და მსოფლიოსთან“ საუბარში, — ჩვენ მაინც მოვალთ ხელისუფლებაში და, თუ არ მოგვცემენ დამსახურებულ პირველ ადგილს, მაშინ ხელისუფლებას ძალიან საინტერესო სიურპრიზს მოვუწყობთ და ამას მთელი საქართველო დაინახავს.**



## «ხელისუფლებას ძალიან საინტერესო სიურპრიზს ვუმზადებთ...»

**— ბატონო ლევან, სახელისუფლო გადანაცვლებები, რომლებიც ახლახან განხორციელდა, და ვანო მერაბიშვილის გაპრემიერება ხომ არ ნიშნავს იმას, რომ ხელისუფლება ძალისმიერი მეთოდებით შეეცდება ძალაუფლების შენარჩუნებას?**

— სამინისტროებში ახალაიების, შაშკინების გადაყვანა-გადმოყვანა მიუთითებს იმაზე, რომ „ნაცმოძრაობა“ აპირებს ომს არჩევნების მოსაგებად. ახლა ისინი ფიქრობენ, თუ როგორ გააყალბონ არჩევნები. დააკვირდით — **მე რომ ვთქვა, 1000-ლარიან ვაუჩერს დაგირიგებთ-მეთქი, მოსყიდვა იქნება, მაგრამ, თუ ვანო იტყვის, არ იქნება მოსყიდვა.** ამასთან ერთად, **მოქალაქეებმა უნდა იცოდნენ, რომ 1000 ლარი 4 წელიწადზე უნდა გაიყოს, წელიწადში არის 12 თვე და, 48 თვეზე რომ გაყოფენ, დანამატი ერთ ოჯახზე თვეში იქნება 20 ლარი** და, ამით თუ აპირებენ ამომრჩევლის გულის მოგებას, ეს არასერიოზულია, თუმცა კარგად არის მოფიქრებული და ჟღერს. ცალკეულმა მოქალაქეებმა თქვეს, რომ 1000 კარგია, მაგრამ, რომ ამბობენ, იმაში დავხარჯავ 4 მილიარდს, ამაში — 3 მილიარდსო, სააკაშვილმა ხომ გვითხრა ვანო მერაბიშვილზე, გალეტილიაო. ჰოდა, **ახალი პრემიერი რომ გვპირდება, იმდენი მილიარდი საქართველოს ბიუჯეტში არ ყოფილა არასოდეს და არც იქნება. მაშ, საიდან მოიტანს ამ ფულს „გალეტილი“ ვანო მერაბიშვილი?**

**— საიდან მოიტანს, თქვენი აზრით?**

— ვერ მოიტანს, უბრალოდ, გვატყუებენ. მათი განცხადებები არის პოპულისტური და ცრუ.

**— ევროპარლამენტში გამართული დებატებისას ითქვა, რომ კოალიცია „ქართული ოცნება“ ნატოსა და ევროკავშირში საქართველოს გაწევრიანებას ეწინააღმდეგება...**

— „ქართული ოცნების“ ოფიციალურ დოკუმენტში წერია, რომ ძალიან გვინდა ნატოში გაწევრიანება; გვინდა, რომ ქართველმა ჯარისკაცებმა იმსახურონ ავღანეთში; გვინდა „აისაფის“ პროგრამაში მონაწილეობა და ნატოსთან ღრმა თანამშრომლობა. კოალიციაში შემავალ ყველა სუბიექტს ხელი აქვს მოწერილი ამ პროგრამაზე. ვერ გეტყვით, საიდან მოდის ეს აზრები, შეიძლება ვინმეს ნატოზე უფრო მოსწონს კატო, მაგრამ, რაც შეეხება ნატოს სამხედრო ალიანს, კოალიციას მოსწონს ნატო და მიისწრაფვის ნატოსკენ.

**— თქვენი კოალიცია იმასაც აცხადებს, რომ რუსეთთან ურთიერთობას დაალაგებს. ნატო და რუსეთი კი შეუთავსებელია, როგორ აპირებთ ნატოში შესვლას და რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირებას?**

— ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, პოლონეთი და ბულგარეთი ნატოს წევრები არ არიან? ამ დროს რუსეთთანაც კარგ ურთიერთობაში არიან... ეს არის „ნაცმოძრაობის“ პროპაგანდა და ტყუილი, რომ ნატო და რუსეთი შეუთავსებელია.

ნატოშიც შევალთ, რუსეთთანაც აღვადგენთ ურთიერთობას და ტერიტორიებსაც დავიბრუნებთ, თუ გაინტერესებთ ჩვენი პროგრამა, ჩვენ ყველაფერი გვინდა — ტერიტორიების დაბრუნებაც, რუსული ბაზების გაყვანაც, რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენაც. რომელი რომელს დაასწრებს, არ ვიცით. ჩვენ ყველაფერი ეს გვინდა, **სააკაშვილს კი რუსეთთან ურთიერთობის აღდგენა არ უნდა; ნატო მინდა, მაგრამ არ გამომდისო და ევროკავშირი დაივიწყეთო, სამაგიეროდ ვიზები გექნებათო. მხოლოდ საქართველოს უთხრა უარი ვიზებზე ევროკავშირმა. ის ლაპარაკი, რომ სააკაშვილმა ევროკავშირს დაგვაახლოვა, არის ტყუილი.**

**— რატომ გჯერათ, რომ ნატოში შესვლის პარალელურად რუსეთთან ურთიერთობის დალაგების შეუთავსებლობა მხოლოდ სააკაშვილის პროპაგანდაა? რატომ უნდა მოინდომოს რუსეთმა საქართველოსკენ შემხვედრი ნაბიჯების გადმოდგმა, თუკი საგარეო პოლიტიკაში სააკაშვილისეული რიტორიკა გაგრძელდება?**

— რუსეთთან მოლაპარაკების დაწყებას წინ არაფერი უდგას. ჩვენ ახლაც ვმონაწილეობთ რუსეთთან მოლაპარაკებაში ჟენევის ფორმატით. ეს ფორმატი უნდა გაფართოვდეს და მოლაპარაკებები უნდა დაიწყოს მეგობარი ქვეყნების, მათ შორის შეერთებული შტატების, ჩართვით. რაც შეეხება ევროკავშირთან ურთიერთობის გაუმჯობესებას, ეს შესაძლებელია ერთ დღეში. საქართველოს ხელისუფლებას ევროპის მიმართ აქვს მხოლოდ საგარეო ვალები და ქართველები ევროპის მაღაზიებში ქურდობენ. აქედან გამომდინარე, ევროპა არ იქნება თავგადაკლული მომხრე იმისა, რომ საზღვრები წაშალოს ჩვენთან და უვიზოდ ვიაროთ. **როცა დაგჭირდება, ევროპული ბანკი კრიმინალურ ბანკად არ უნდა გამოაცხადო, რაც საქართველოს ხელისუფლებამ გააკეთა.** ევროპასთან დაახლოება შესაძლებელია კანონების ჰარმონიზაციით... არც იმის თქმა შეგვიძლია, რომ ბიძინა ივანიშვილი მოვა და ორ წელიწადში ნატოსა და ევროკავშირის წევრები გავხდებით, მაგრამ **ძალიან მალე, სამოქმედო გეგმას და მაპს რომ მოვიპოვებთ და ნატოს რეალური კანდიდატები გავხდებით, ამის გარანტიას მე გაძლევთ.**

**— ტერიტორიების დაბრუნება მაინც რუსეთს უკავშირდება და, თუ რუსეთი არ დათანხმდება საქართველოს ნატოში შესვლაზე, ისევე, როგორც ტერიტორიების დაბრუნებაზე, ამას ერთი კაცი, ზოგიერთი მედიასაშუალების მიერ „ოლიგარქად“ მონათლული ბიძინა ივანიშვილი როგორ გააკეთებს?**

— ვერ ვიტყვი, რომ ივანიშვილის მოსვლა ავტომატურად ნიშნავს აფხაზეთისა და ოსეთის დაბრუნებას, ეს ივანიშვილმაც იცის და მეც, მაგრამ, აფხაზებმა რომ შემოგვითვალეს — ივანიშვილის მოსვლას ვგულშემატკივრობთ, იმიტომ, რომ რეალისტი კაცია და იმასთან უფრო დავილაპარაკებთო, ესეც ფაქტია. რაც შეეხება ოლიგარქს, ეს ნიშნავს იმას, რომ შენ ხელისუფლებასთან ხარ შეკრული და ამით შოულობ ფულს, **ივანიშვილი რა, მინისტრად მუშაობდა რუსეთში ან საქართველოში? ფული იმით იშოვა, რომ მიხეილ სააკაშვილთან დაახლოებული იყო? არა, ივანიშვილი არასოდეს არ ყოფილა ოლიგარქი და, ვინც ამ სიტყვას ამბობს, მან მისი მნიშვნელობა არ იცის. მე გეტყვით, ვინ არის ოლიგარქი — თუნდაც ბატონი ბენდუქიძე, ის იყო მინისტრი და ამ მინისტრობით შოულობდა ფულს...**

**— ვანო მერაბიშვილი ოლიგარქია?**

— ვანოზე რომ ამბობს სააკაშვილი, გალეტილიაო, სინამდვილეში რამდენიმე ქარხნის მფლობელია. ვანო მერაბიშვილი ოლიგარქია, აბა, რა არის?!

**— არჩევნებამდე ჯერ კიდევ დროა და დაპირისპირება სახელისუფლო გუნდსა და კოალიციას შორის უფრო გაღრმავდება...**

— რამდენიმე პოლიტიკოსს ჩასვამს ციხეში, არჩევნებს გააყალბებს, გააშავებს, მერე გამოვა ახალი ფილმი „ნოემბრიდან ნოემბრამდე“, გაირკვევა, რომ ჩვენ — ყველა რუსეთის აგენტები ვართ, ეს ყველაფერი იქნება, მაგრამ არჩევნებს მაინც მოვიგებთ.

**— სხვათა შორის თქვენი კოალიციის ლიდერი თავიდან მერაბიშვილის მიმართ სიმპათიურად იყო განწყობილი...**

— არა, მერაბიშვილი არავის სიმპათიას არ იმსახურებს, უბრალოდ, ივანიშვილმა თქვა, რომ მერაბიშვილი კარგი მენეჯერიაო; მერე ეს სიტყვები უკან წაიღო და თქვა, რომ იმდენი რამ აქვს ჩადენილი, რომ ყველა სიმპათია, რომელიც მის მიმართ მქონდა, გაქრაო. მერაბიშვილი ჩვენი კაცი რომ იყოს, ჩვენ გამოვდგებით და დავიწყებთ მის ჩაშვებას სააკაშვილის კარზე? დაე, ასე იფიქროს სააკაშვილმა. მაგრამ, თუ ვინმე ფიქრობს, რასაც ნათელაშვილი ამბობს, რომ მიშა და ბიძინა შეკრულები არიანო, ამას ჰქვია რაღაც დაავადება, მთლად ინფექციური არ არის, მაგრამ აშკარად ავადმყოფობაა. მას მანია გრანდიოზა ჰქვია, თითქოს მთელი მსოფლიო იკრიბება შენ წინააღმდეგ, ხანდახან მეც ვფიქრობ, რომ ჩემ წინააღმდეგ შეკრულია ხელისუფლებაც, ოპოზიციაც და ზოგიერთი ჟურნალისტიც.

**— კოალიციაში შემავალი რესპუბლიკელები არც ისე სიმპათიით სარგებლობთ მოსახლეობაში, თქვენ მხარს უჭერდით სექსუალურ უმცირესობებს და რელიგიურ უმცირესობებს, მართლმადიდებლური ღირებულებების უპატივცემულობის ხარჯზე...**

— გეტყვით იმას, რომ ჩვენ არასოდეს ვუჭერდით მხარს ცალკე რომელიმე ჯგუფს, მათ შორის ეთნიკურ ან სექსუალურ უმცირესობებს, ჩვენ მხარს ვუჭერდით კონკრეტულ ადამიანს. საქართველოს კონსტიტუციაში წერია, რომ ყველა ადამიანს აქვს თანაბარი უფლებები განურჩევლად და მერე არის გრძელი სია ჩამონათვალის; ამ სიაში კანის ფერი, აღმსარებლობა და სხვა რამ არის მითითებული. თუ ვინმეს არ მოსწონს საქართველოს კონტიტუცია, ეს ჩემი პრობლემა არ არის. რაც შეეხება მართლმადიდებლობას, მას მართავს დღეს საქართველოში ერთადერთი კანონი, რომელსაც ჰქვია კონკორდატი და რესპუბლიკელების — ოთარ ზოიძისა და პაატა ზაქარეიშვილის მიერ არის ინიცირებული. **ტყუილია ის, რომ ჩვენ ხმალამოღებული ვებრძვით მართლმადიდებლობას, მაგრამ ყველა ადამიანს დავიცავთ, ნებისმიერი აღმსარებლობისა თუ სექსუალური უმცირესობის წარმომადგენელს, ადამიანი დგას ყველაზე მაღლა.**

**— საუბრის დასასრულს ისევ არჩევნების შესახებ გკითხავთ: თქვენ გეგმავთ გამარჯვებას და ხელისუფლებაში მოსვლას. რას გააკეთებთ, თუკი ვერ მოხვალთ უმრავლესობით — შეხვალთ პარლამენტში და შექმნით კოალიციურ მთავრობას თუ არ ცნობთ შედეგებს და დაადგებით პროტესტის გზას?**

— ჩვენ ვგეგმავთ პირველ ადგილს, სხვა საკითხს არ განვიხილავთ. სხვა საკითხების განხილვა დაიწყება მაშინ, როცა ეს ვერ ან არ იქნება მიღწეული. **თუ არჩევნები გაყალბდება, ჩვენ მაინც დავაფიქსირებთ გამარჯვებას, ჩვენ მოვიგებთ არჩევნებს და დავიცავთ ყველა ხმას.** იმ შემთხვევაში, თუ მოვიგეთ არჩევნები და გამოგვიცხადეს, არა, თქვენ არ მოგიგიათ, ჩვენ მოვიგეთო... ამ შემთხვევისთვის ჩვენ ხელისუფლებას ძალიან საინტერესო სიურპრიზს ვუმზადებთ.

**— საინტერესოა, რას?**

— ძალიან საინტერესოა, მთელი ქართველი ხალხი ნახავს ამ სიურპრიზს.

ესაუბრა **ეთერ ბალაძე**

**„როცა ქვეყნისთვის საჭირბოროტო საკითხები დგებოდა დღის წესრიგში, მიშა სააკაშვილის კაბინეტში გადაწყვეტილებას იღებდნენ მერაბიშვილი, ადეიშვილი, ბოკერია, კიდევ შეიძლება ერთი-ორი ადამიანი და არა პარლამენტი, არა სასამართლო. რა მნიშვნელობა აქვს, ასეთ ვითარებაში პარლამენტში ვინ გეყოლება ან კონკრეტული მინისტრის პორტფელს ვინ ფლობს?! მიშა სააკაშვილის ძალაუფლება რეალურად ამ რამდენიმე ადამიანზე დგას.“**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

მანანა კობახიძე:

# მიშას ისევე არ შეიძლება ენდო, როგორც საპნის ბუშტს

**„ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარესთან — მანანა კობახიძესთან საუბარი ერთგვარ ბლიცინტერვიუდ ჩამოყალიბდა, სწრაფი ჭადრაკის მსგავსი რამ — შეკითხვები და პასუხები მიმდინარე საკითხებზე.**



**— ქალბატონო მანანა, თქვენი პარტიის და სრულიად კოალიციის მიზანი პირველ ეტაპზე არჩევნების გზით ამ ხელისუფლების შეცვლაა. ხომ ასეა?**

— დიახ.

**— ამის განხორციელებას მშვიდობიანად აპირებთ?**

— დიახ.

**— არის კი „საქართველოში არჩევნების ჩატარების შესანიშნავი პირობები“, როგორც ეს აშშ-ის ელჩმა ჯონ ბასმა თავის გამოსამშვიდობებელ სიტყვაში განაცხადა და დასძინა, რომ უკეთესის სურვილი ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში არის, მათ შორის, — შეერთებულ შტატებშიცო?**

— **(ეღიმება)** ის, რომ არჩევნების გზით ვაპირებთ ხელისუფლების შეცვლას, განპირობებულია უახლესი ისტორიული პრაქტიკით. ჩვენ მომსწრე ვიყავით არაერთი რევოლუციის, რომლებმაც არ მოიტანა ისეთი, შედეგი, როგორსაც ველოდით. ამ ტალღას, სამწუხაროდ, ბევრი ღირებულება შეეწირა, მათ შორის უმთავრესი — ადამიანის უფლებები.

**ჩვენ მომავალზე ვფიქრობთ და გვინდა, რომ ეს ქვეყანა მომავალ თაობას უკეთესი დავუტოვოთ.**

**გვაძლევს თუ არა ხელისუფლება ამის მშვიდობიანად გაკეთების უფლებას? არ გვაძლევს! თუ ვინმეს უნდა დაპირისპირება, თუ ვინმეს ხელს აძლევს არეულობა, ეს ხელისუფლებაა.**

**ჩვენ მზად ვართ ამისთვის, საზოგადოებაც, მე მგონი, მზადაა, იცის, რომ ესენი თავიანთ მდგომარეობას იოლად არ დათმობენ.**

რაც შეეხება ბატონ ბასის დამოკიდებულებას.

თუ ის გულისხმობდა ქაღალდზე დაწერილ კანონს, გეტყვით, რომ საარჩევნო კანონმდებლობაში, კონსტიტუციაში თუ პოლიტიკური გაერთიანების შესახებ კანონში, ბევრი ხარვეზია, ბევრი რამაა საკამათო და სადისკუსიო.

თუ შუა აზიის კანონმდებლობას შევადარებთ, შეიძლება იქ ისიც არ იყოს, რაც ჩვენთან არის.

ბატონი ბასი სხვა განცხადებას ვერ გააკეთებდა, რადგან ამ ქვეყნის მოქალაქე უნდა იყო, რომ შეიგრძნო ამ კანონის მთელი უსამართლობა. ამერიკის მოქალაქე ამას ისე ვერ აღიქვამს, როგორც ჩვენ — ამ ქვეყნის შვილები, რომლებიც სააკაშვილის ხელისუფლების პირდაპირი სამიზნე ვართ, როგორც უსამართლო კანონის მოქმედების, ასევე, კანონის არასწორად გამოყენების თვალსაზრისით. შედეგად ჩამოყალიბდა ისეთი წინასაარჩევნო გარემო, რომელიც ბრძოლის ველს ჰგავს: თავდასხმები ჩვენზე, ჩვენი დისკრედიტაციის მცდელობა, ჩვენ წინააღმდეგ მიმართული შავი პიარი, რომელიც „ნაციონალურ“ ტელეარხებზეა აგორებული.

**— ევროპარლამენტში საქართველოს საკითხის განხილვა ზოგიერთმა მიმომხილველმა შეაფასა როგორც ლობისტების ომი — ხელისუფლებისა და „ქართული ოცნების“ ინტერესების დამცველთა ორთაბრძოლა.**

— პოზიციების დაპირისპირება იყო. ერთი მხარე ლობირებდა საქართველოს ხელისუფლებას, ევროპის სახალხო პარტია ლობირებდა მიხეილ სააკაშვილს, თავისი წევრის ინტერესებს. ძალიან მარტივად რომ ვთქვათ, ასეა. მეორე მხარე — ლიბერალების ჯგუფი, ძალიან შეშფოთებულია იმ სიტუაციით, რომელიც საქართველოშია.

არჩევნებით ევროპარლამენტის დაინტერესება ჩვენი ხელისუფლებისთვის, რა თქმა უნდა, მომგებიანი არ იყო. სირიასა და ეგვიპტესთან ერთად საქართველოზეც რომ იმსჯელეს, ცხადია, უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, როგორც ამათი ლობისტები, თვითონ ესენიც.

ოთხი ადამიანი ცალსახად უჭერდა მხარს ხელისუფლების პოზიციას — პოლონელები და ლიტველები, რომლებსაც, სამწუხაროდ, იმდენად ორგანული ზიზღი აქვთ რუსების მიმართ...

**— ისტორიულიც...**

— დიახ, ისტორიულიც... რომ **მათთვის სულერთია, მიშა დემოკრატიულია თუ არა. მათ ხიბლავთ, რომ იგი ღიად და დაუფარავად მტრად მოიხსენიებს, ლანძღავს და ყოველნაირ უხამს ეპითეტებს ხმარობს რუსეთის მისამართით. ვფიქრობ, ასეთი რამ დაუშვებელია, დიპლომატიურად გამართლებული არ არის, პოლიტიკოსი თავის გამონათქვამებს უნდა უფიქრდებოდეს, როცა ამ ქვეყანასთან გამწვავებული დაპირისპირება გაქვს.**

**— სწორედ ამიტომ — უფრო მეტად.**

— დიახ. მიშა მათთვის მისაღებია, რადგან მისი გამოხდომები თანამოაზრეობასთან ასოცირდება. ასე ჩანს. მით უფრო, რომ სააკაშვილი იმ ეროვნული პარტიის წევრია, რომელიც ამ ყველაფერს ლობირებს.

მეორე მხარეს იდგა, როგორც გითხარით, ლიბერალური ფრთა, ოთხი გამომსვლელი, რომლებიც ხელისუფლების პოზიციას აკრიტიკებდნენ. ამ შემთხვევაში თანაბარი ძალებია. და კიდევ სამი პარლამენტარი, რომლებიც საშუალო პოზიციაზე იდგნენ.

**— ვანო მერაბიშვილის გაპრემიერებას სხვადასხვანაირად აფასებენ. მინდა გკითხოთ, ნიშნავს თუ არა ეს ფაქტი, რომ საქართველო საბოლოოდ ყალიბდება პოლიციურ სახელმწიფოდ?**

— როცა პირველი პოლიციელი მოდის მთავრობის მეთაურად, ასოცირება ისეთია, რომ პოლიცია ერევა ჩვენს ყოფაში, ეკონომიკურ, სოციალურ და ა. შ. ცხოვრებაში.

თუმცა ვიტყვი, რომ მერაბიშვილი ისედაც მართავდა ამ ქვეყანას თავიდან ბოლომდე, ისევე, როგორც ახალაია, და მათი გადაადგილებით დიდად არაფერი იცვლება. არც ის მინდა, რომ ხალხი დაშინდეს, იფიქროს, რომ, რახან მერაბიშვილის სავარძელში ახალაია ჩაჯდა, შეიძლება რაღაც განსაკუთრებული მოხდეს. არა.

**როცა ქვეყნისთვის საჭირბოროტო საკითხები დგებოდა დღის წესრიგში, მიშა სააკაშვილის კაბინეტში გადაწყვეტილებას იღებდნენ მერაბიშვილი, ადეიშვილი, ბოკერია, კიდევ შეიძლება ერთი-ორი ადამიანი და არა პარლამენტი, არა სასამართლო.**

რა მნიშვნელობა აქვს, ასეთ ვითარებაში პარლამენტში ვინ გეყოლება ან კონკრეტული მინისტრის პორტფელს ვინ ფლობს?!

მიშა სააკაშვილის ძალაუფლება რეალურად ამ რამდენიმე ადამიანზე დგას.

**— ჩემი მომდევნო შეკითხვა თქვენი პასუხის შემდეგ შეიძლება ზედმეტიც კი იყოს: ერთი ძმა ახალაია — შს მინისტრი, მეორე ძმა ახალაია — თავდაცვის მინისტრის მოადგილე, მამა ახალაია — სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პროკურორი. უბრუნდება საქართველო გვაროვნულ წყობილებას?**

— **გვაროვნული დიდი ხანია არის. დავიწყოთ კუბლაშვილებით: ერთი ძმა პარლამენტის კომიტეტის თავმჯდომარეა, მეორე — უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე. ახალაიების გვარის სამივე წარმომადგენელი მაღალ თანამდებობებზე იყვნენ უწინაც; ძმები რურუები და ძმები ბეჟუაშვილები, მამა-შვილი გაბაშვილი და ა. შ. ეს ის გვარებია, რომლებმაც კარგად აიწყვეს ცხოვრება, კარგად მოითბეს ხელი...**

**— სააკაშვილის გვარის წარმომადგენლების ბიზნესზე რომ არაფერი ვთქვათ.**

— თუნდაც... ახლა მიმდინარეობს ბრძოლა მიღწეულის, ხელში ჩაგდებულის შესანარჩუნებლად, თორემ, კარგად გამიგეთ, პოლიტიკაში ყოფნა ამათ თვითონაც ეზარებათ. თუ არ გაქვს პოლიტიკური თანამდებობა, ბიზნესს კარგავ.

**— „კრიშაა“ საჭირო.**

— ასეთი მიდგომა აქვთ და ასეც არის. თავიანთი ფინანსებისთვის იბრძვიან.

**— აკი ხალხისკენ იქნებაო მიმართული ჩვენი ახალი პოლიტიკური კურსი, მერაბიშვილის კურსი?**

— *(ეცინება).*

**— რახან იყო პოლიციური სახელმწიფო და კიდევ უფრო აპირებენ მის გაძლიერებას, როგორ ფიქრობთ, გამეორდება „ბართლომეს ღამე“?**

— 26 მაისს გულისხმობთ?!

**— დიახ.**

— ეს ჩვენ არ უნდა დავუშვათ. კიდევ ერთხელ სიტუაციის არევას ქართველი ხალხი არავის აპატიებს, ისეთ დაპირისპირებას, როგორიც 90-იან წლებში გადავიტანთ.

**— წმინდა სინოდმა პოლიტიკურ აქციებში ღვთისმსახურთა მონაწილეობა აკრძალა, როგორია თქვენი დამოკიდებულება?**

— პოლიტიკური საკითხები რელიგიისგან გამოყოფილია. არსებობს შეთანხმება, კონკორდატი, რომლის ძალით სახელმწიფო ეკლესიის საკითხებში არ ერევა და — პირიქით. სინოდი აბსოლუტურად დამოუკიდებელია და მისი სრული უფლებაა, იმსჯელოს და გადაწყვიტოს საკუთარი შეხედულებისამებრ.

**არის ისეთი მომენტები, როცა ერი და ბერი ერთად უნდა დადგეს. იქნებ ზუსტად ეს მომენტია დღეს!** სამართლებრივად თუ მივუდგებით, ალბათ, თავი უნდა შეიკავონ. ადამიანურად თუ განვსჯით, მათი იქ ყოფნა სიმშვიდისთვისაა საჭირო. მაგრამ არის ეკლესიური სამართალი, რომელსაც ისინი ემორჩილებიან და მე არ მაქვს უფლება, განვსაჯო.

**— კოალიციაში შემავალი პარტიებისთვის დაკისრებული ჯარიმების გადახდაზე შეგეკითხებით. თქვენი პოზიცია ცნობილია: არც ფული გვაქვს და არც უკანონობის შესრულების სურვილიო.**

— მე მაინც ვფიქრობ, რომ ხელისუფლებას ეყოფა კეთილგონიერება და თავს შეიკავებს იმ რეპრესიული გადაწყვეტილების აღსრულებისგან, რომელიც პარტიების, პოლიტიკური სუბიექტების ანგარიშების ან ქონების დაყადაღებაში გამოიხატა.

თუ ასე არ მოხდა, მაშინ აბსოლუტურად გამოაშკარავდება, რომ ეს ხელისუფლება ამ პოლიტიკურ სუბიექტებს უფლებას აღარ აძლევს, გააგრძელონ საარჩევნო კამპანია.

ეს კი ნიშნავს, რომ ქვეყანაში არჩევნები არ იქნება. არ შეიძლება არჩევნები დაარქვა იმას, რომ ძირითად ოპოზიციურ ძალას, ექვს პოლიტიკურ სუბიექტს აყადაღებ და ეუბნები, არ იმოქმედოო. მაშინ სააკაშვილმა პირდაპირ უნდა გვითხრას, მე ვარ რეჟიმი, ავტორიტარული სისტემა მაქვს და არ მინდა ოპოზიციური პარტიების არსებობა.

არა მგონია, რომ ამაზე წავიდეს.

**— ბოლო დროს სააკაშვილი ოპოზიციონერი გახდა, ორგანიზებულად შეკრებილი ხალხის წინაშე, ერთი ხანია, თავის ხელისუფლებას ისე აკრიტიკებს, კარგ ოპოზიციონერს შეშურდება, ამით ნამდვილი ოპოზიციის კრიტიკული პათოსის ნიველირებას ხომ არ ცდილობს?**

— ***(ეღიმება).*** ამ ბოლო დროს მიშა საერთოდ არაადეკვატური გახდა. ყველას ახსოვს, როგორ აქებდა ქალბატონ მიმინოშვილს ეროვნული გამოცდების ორგანიზების გამო, ახლა კი აცხადებს, რომ იქ მომუშავე ადამიანები უსაქმურობდნენ და მხარ-თეძოზე წამოწოლილები მაღალ ანაზღაურებას იღებდნენ.

როდის ამბობს სიმართლეს ეს კაცი?

**მიშას ისევე არ შეიძლება ენდო, როგორც საპნის ბუშტს, რადგან არ იცი, როდის გასკდება, შიგნით კი სიცარიელეა.**

**ცარიელი სიტყვებია ამათი პროგრამაც, ამათი საუბრებიც.**

ამომრჩეველი იოლად მიხვდება, თუ აქამდე არც ერთი დანაპირები არ შეასრულეს, რა უნდა მოხდეს ისეთი, რომ ორ თვეში გარდაიქმნან?!

**— 15 ივლისს გორია.**

— 15-ში, საღამოს შვიდ საათზე.

**— გაჩნდა ეჭვები: იქნება თუ არა ეს შეკრება ისეთივე წარმატებული, როგორიც წინამორბედები იყო?**

— მერეთის ინციდენტის შემდეგ გაჩნდა ასეთი ეჭვი, შეიძლება დაშინდეს ხალხი, გორი სტრატეგიული ქალაქია და ხელისუფლება არ დათმობსო.

**დამერწმუნეთ, ჩვენი შემართება ახლა იმაზე მეტია, ვიდრე მერეთამდე იყო! შიშისა და პანიკის არავითარი საფუძველი ხალხს არ აქვს. ეს არის ჩვენი კონსტიტუციური უფლება, რომლის რეალიზაცია ხდება ჩვენი საარჩევნო კამპანიის პროცესში.**

ამიტომ ყველას ვთხოვთ, ვისაც ბატონ ბიძინა ივანიშვილის მოსმენა სურს და ჩვენი პროგრამების უშუალოდ გაცნობა, მობრძანდნენ შეხვედრაზე!

ეს აქცია იქნება დიდი სახალხო მოძრაობის კიდევ ერთი საზეიმო შტრიხი, რომელიც 27 მაისს მოზეიმე თბილისში დავიწყეთ. ბიძინა ივანიშვილს, დარწმუნებული ვარ, გორიც და სრულიად შიდა ქართლიც ღირსეულად დახვდება!

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

---

მსოფლიო

## თალიბებმა ქალი სიკვდილით საჯაროდ დასაჯეს

**თალიბებმა ქალი, რომელიც ქმრის ღალატში დაადანაშაულეს, სიკვდილით საჯაროდ დასაჯეს.** დაჯგუფების მიერ გავრცელებულ კადრებში მუხლებზე დაჩოქილი ახალგაზრდა ქალი ჩანს, რომელსაც, 150-მდე ადამიანის მხიარული შეძახილების ფონზე, თალიბანის წარმომადგენელი რამდენიმეჯერ ახლო მანძილიდან ესვრის. ინციდენტი ქაბულთან ახლოს, პროვინცია ფარვანში, მოხდა. პროვინციის გუბერნატორის განცხადებით, ვიდეოჩანაწერი ერთი კვირის წინ სოფელ კიმჩოკშია გადაღებული.

## რუმინეთის პრეზიდენტს იმპიჩმენტი ელის

**რუმინეთის პარლამენტმა ქვეყნის პრეზიდენტის — ტრაიან ბასესკუს იმპიჩმენტის საკითხი განიხილა.** მას ბრალს უფლებამოსილების გადამეტებაში სდებენ. საქმე ეხება 2010 წელს ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებით მიღებულ კანონს. გარდა ამისა, პრეზიდენტს ბრალს კონსტიტუციის არაერთგზის დარღვევასა და მთავრობისთვის მუშაობაში ხელის შეშლაში სდებენ. ბასესკუს წინააღმდეგ გამოდის სოციალ-ლიბერალთა ალიანსი, რომელიც რუმინეთის პარლამენტის უმრავლესობას წარმოადგენს. თავად ბასესკუ აცხადებს, რომ პარლამენტარების ქმედებებით ქვეყანაში დემოკრატია საფრთხის ქვეშ დგას, მაგრამ იგი საერთოდ წავა პოლიტიკიდან, თუ 29 ივლისისათვის დაგეგმილ რეფერენდუმზე მოსახლეობა პარლამენტის იმპიჩმენტს დაეთანხმება.

საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ნაც-ტერორი

**ვინაიდან ავლაბრის არალეგალური სტამბა მსოფლიო მნიშვნელობის მუზეუმია, — ამბობს ბატონი ჟიული, — ახსნა-განმარტებისთვის მივმართეთ კულტურის მინისტრ ნიკოლოზ რურუას. აღმოჩნდა, რომ მისთვის ეკონომიკის სამინისტროს გადაწყვეტილება საერთოდ უცნობია! ამიტომ თათბირის შემდეგ მივიღეთ გადაწყვეტილება და ეკონომიკის სამინისტროს ვუჩივლეთ სასამართლოში.**




კომუნისტების დროს ეს აბრა სპილენძისა იყო, დღეს ხისაა

# სტალინის არალეგალურ სტამბა-მუზეუმს ლიბერასტები დაესიენ!

**ნუთუ ორმოცდაორი წელი გავიდა?! არ მინდა დავიჯერო! მაგრამ, აი, ეს ვეებერთელა ჭადარი უკვე ძალზე შორეულ 1970 წელს ისეთი წვრილი იყო, რომ ჩემნაირი ცელქი, მოუსვენარი ათი წლის ბიჭი ძალდატანების გარეშე მას გადატეხდა.**
**აბა, ახლა, თუ ხარ მაგარი, ამ ჭადრის რომელიმე გრჯა „დაჩაგრე"! უპერსპექტივო საქმეა და უაზროც. აქ, კასპის ქუჩის 7 ნომერში, ავლაბრის არალეგალური სტამბა-მუზეუმის ეზოში, 1970 წლის მაისში პიონერიაში საზეიმოდ მიმიღეს და წითელი ყელსახვევითაც შემამკეს. მეც კიდევ, ცოცხლად შემორჩენილ ძველ ბოლშევიკებს პირობა მივეცი, რომ ვიქნებოდი ბეჯითი სწავლაში, მებრძოლი სიმართლისათვის, სამშობლოს დამცველი;**
**მოკლედ, ფიცს ვდებდი,**
**რომ ჩამოვყალიბდებოდი პატიოსან ადამიანად!**





ნანახით აღფრთოვანებას ადასტურებს შთაბეჭდილებათა წიგნში კარლ მარქსის შთამომავალი (შვილიშვილის შვილიშვილი), ფრედერიკა ჟენი ლონგე მარქსი (გასული საუკუნის 70-იანი წლები)

ეს წითელი აგურის შენობა — ადმინისტრაციული კორპუსი, რა თქმა უნდა, მოგვიანებით აშენდა. კედელზე, შესასვლელ კართან, აბრა ჰკიდია; უთუოდ, ფერადი ლითონია, მაგრამ როგორღა გადაურჩა „სპილენძის" ქურდებს? შეუძლებელია! ვღუნავ საჩვენებელ თითს და ვაკაკუნებ აბრაზე.

— დააგვიანე, გენაცვალა ბაბუმ, დაგასწრეს, — მიღიმის უეცრად ჩემ გვერდით გაჩენილი მოხუცი მხიარული თვალებით. — ფანერისგანაა დამზადებული, მაგრამ ისე ოსტატურადაა შეღებილი, მართლა ლითონისა გეგონება. კომუნისტების დროს სპილენძისა იყო, მაგრამ დიდი არეულობისას ვიღაცამ მოიპარა და, ალბათ, თურქეთში გროშებად გაასაღა... დადგება დრო და ქურდის შთამომავალს ის სპილენძი ტყვიის ზუზუნით დაუბრუნდება!

**— შესაძლოა, თავად ქურდსაც დაუბრუნდეს, — ვვარაუდობ.**

— ყველაფერია შესაძლებელი, — არ მედავება უცნობი.

**— თქვენ მუზეუმის თანამშრომელი ხართ თუ აქ ცხოვრობთ, ახლო-მახლო?**

— არა! ვცხოვრობ ქეთევან წამებულზე. ადრე, ცოლთან ერთად ამოვდიოდით, მაგრამ სამი თვეა, ნადეჟდამ რაც მიმატოვა... წავიდა ამქვეყნიდან, დავრჩი მარტო. გულის გადასაყოლებლად მოვდივარ აქ. იცი, აი, ამ ხის სახლში სტალინი ცხოვრობდა! ვუყურებ ამ ქოხს და ვმშვიდდები, თითქოს იმედი მეძლევა და ცხოვრების აზრი მიჩნდება. ბოლო დროს რაღაც ცუდი ამბები მესმის. ეს მუზეუმი სტალინის მოძულეებს გადასცესო... თუმცა, თუ გაინტერესებს ეს ამბავი, შედი, დაელაპარაკე დირექტორს — ჟიული სიყმაშვილს, ის უფრო ჩახედულია ამ საქმეში.

დღეს, როგორც ჟურნალისტს, ბედმა გამიღიმა, დირექტორის კაბინეტში, გარდა ბატონი ჟიულისა, დამხვდა „ი. სტალინის სახელობის ავლაბრის არალეგალური რესტავრირებული სტამბა-მუზეუმის" კავშირის გამგეობის რამდენიმე წევრი.

— ჩვენი კავშირი ისანი-სამგორის რაიონის სასამართლოს მიერაა რეგისტრირებული 2001 წლის მარტში, — მიყვება მისი ყოფილი თავმჯდომარე შალვა ჯალაღონია, — ხელახალი რეგისტრაცია გავიარეთ 2003 წლის ნოემბერში, რაც დაადასტურა 2005 წლის აპრილში იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო რეგისტრაციისა და ლიცენზირების დეპარტამენტმა. კავშირის მიზანია სტამბა-მუზეუმის აღდგენა-რესტავრაცია, რადგან შენობა იყო გაძარცვული და დანგრევის პირას მიყვანილი. კავშირის გამგეობის წევრების ფულით, დამთვალიერებელთა შემოწირულობითა და ჩინეთის რესპუბლიკის საელჩოს დახმარებით, მეტ-ნაკლებად ვახერხებდით შენობის მოვლა-პატრონობას და ეს, მიუხედავად იმისა, რომ სტამბა-მუზეუმი სახელმწიფოს საკუთრებაა. რამდენიმეჯერ დახმარების თხოვნით მივმართეთ თბილისის მერიას, მაგრამ ამაოდ!..

ამა წლის მაისის ბოლოს „ი. სტალინის სახელობის არალეგალური სტამბა-მუზეუმის" ადმინისტრაციული შენობის ზღურბლს ფეხი გადმოაბიჯეს სოროსის „ბახალებმა": ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალურმა დირექტორმა გიორგი კეკელიძემ და მისმა მოადგილემ მირიან ხოსიტაშვილმა. „თავისუფლების ინსტიტუტის" კურსგამოვლილებმა, მუზეუმის გაოგნებულ დირექტორს ჟიული სიყმაშვილს განუცხადეს, რომ ეკონომიკის სამინისტრომ ეს შენობა ამიერიდან სარგებლობაში ეროვნულ ბიბლიოთეკას გადასცა. სოროსის მოჯამაგირეები ამით არ დაკმაყოფილდნენ და დამხმარე პერსონალთან ერთად კლიტეების შეცვლას შეუდგნენ.

**— ვინაიდან ავლაბრის არალეგალური სტამბა მსოფლიო მნიშვნელობის მუზეუმია, — ამბობს ბატონი ჟიული, — ახსნა-განმარტებისთვის მივმართეთ კულტურის მინისტრ ნიკოლოზ რურუას. აღმოჩნდა, რომ მისთვის ეკონომიკის სამინისტროს გადაწყვეტილება საერთოდ უცნობია! ამიტომ თათბირის შემდეგ მივიღეთ გადაწყვეტილება და ეკონომიკის სამინისტროს ვუჩივლეთ სასამართლოში.** კი, ბატონო, **სახელმწიფო ქონების გასხვისების უფლება ეკონომიკის სამინისტროს აქვს, მაგრამ ასეთი ისტორიული ძეგლის გადაცემის უფლება, კულტურის სამინისტროს შეთანხმების გარეშე, მას არ ჰქონდა!**

დავინტერესდი, რა შესთავაზა კავშირს ეროვნული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობამ.

— როგორც კეკელიძემ გვითხრა, — მიყვება კავშირის გამგეობის წევრი, რუსუდან ჩიკვილაძე, — მისი მიზანია სტამბის შენარჩუნება-აღდგენა-განვითარება, ხოლო ამ ადმინისტრაციულ შენობაში გავხსნით ვახტანგ მეექვსეს მუზეუმსო.

**— რა შუაშია აქ ვახტანგ მეექვსე?!**

— მეტი არაა ჩემი მტერი, რომ ვახტანგ მეექვსეს მუზეუმი გახსნან. აქ სხვა რამეა. წინა წლებში ეს კეკელიძე თავის მოადგილესთან ერთად ეკონომიკის სამინისტროში დაძრწოდა; მოჰყავდათ მზომელები, ტერიტორია აზომეს, თითქოს ამ სამუშაოებს ატარებდა კულტურის სამინისტრო და, აჰა!..

**— ეს ხალხი თქვენ კონკრეტულად რას გთავაზობთ?**

— გრანტებს მივიღებთო, აქ ყველაფერს უმაღლეს დონეზე მოვაწყობთო და თქვენც აქ ხელშეკრულების საფუძველზე გამუშავებთო.

**— მაგას რა სჯობს!**

— ამ ადამიანებს ვერ დავუჯერებთ! ერთ ფაქტს მოგიყვანთ. როგორც კი კლიტეები შეცვალეს და თავისი დაცვა დააყენეს, ზუსტად მეორე დღეს კეკელიძემ მოიყვანა ჰომოსექსუალიზმის ცნობილი მქადაგებელი — ემზარ ჯგერენაია და „რუსთავი 2"-ის გადამღები ჯგუფი, ვიღაც თეონა ცხომელიძის მეთაურობით. ჩაეთრნენ სტამბაში და საბეჭდი დაზგის ფონზე ლამის უშვერი სიტყვებით ლანძღეს სტალინი, ხოლო ტუტუცმა დედაკაცმა — ცხომელიძემ ამ ორი უვიცის ტვინის ნაჟური დააგვირგვინა: სტალინი მსოფლიოში ყველაზე პირსისხლიანი დიქტატორი იყოო!..

**— რაო, რა გვინდაო, რა დაგვიშავაო სტალინმა?**

— როგორ თუ რა?! 30-იანი წლების დასაწყისში კანონი გამოსცა, რომელიც მკაცრად სჯიდა ჰომოსექსუალისტ კაცებს და ქალებს. ვერ პატიობენ მას „სახელოვანი" წინაპრების დევნას!

**— თქვენი ვარაუდით, რისთვის სჭირდებათ მათ ეს ტერიტორია?**

— მყუდრო, წყნარი, ლამაზი ადგილია, — მეუბნება შალვა ჯალაღონია, — სამუზეუმო კომპლექსს დაანგრევენ და მორიგ საროსკიპოს ააშენებენ!

**— რატომ მაინც და მაინც საროსკიპოს?**

— ტვინი აქვთ გადატრიალებული და სხვა რა უნდა მოიფიქრონ?! ამ საზიზღრობას ჩვენ მათ არ ჩავადენინებთ, გამარჯვებამდე ვიბრძოლებთ!

გამარჯვებამდე ბრძოლა! — არადა, ეს ზედმიწევნით კონსპირირებული ტიფოგრაფია იყო ბოლშევიკური იატაკქვეშეთის ტექნიკის ბრწყინვალე ნიმუში! ეს ხომ ჩვენი ისტორიაა! ამიტომ ვსარგებლობ შემთხვევით და ვთხოვ დირექტორს — ჟიული სიყმაშვილს მუზეუმის დათვალიერებისას მეგზურობა გამიწიოს, რაზეც ის სიამოვნებით მთანხმდება.

## ასე იწრთობოდა ჯუგა!

ამ სტამბის მშენებლობის ორგანიზაცია დაევალა რუსეთის სოც-დემოკრატიული პარტიის კომიტეტის წევრს — მიხო ბოჭორიძეს. სტამბის შენობისთვის მან ავლაბარში შეარჩია მიწის ნაკვეთი, რომელიც მის მეგობარ დავით როსტომაშვილს ჰქონდა აღებული.

1903 წლის 22 სექტემბერს ბოჭორიძემ შეიტანა თხოვნა თბილისის გამგეობაში სახლის აშენების ნებართვის თაობაზე. თხოვნას დართული ჰქონდა სახლის პროექტი. „ერთსართულიანი, სარდაფიანი ქვის სახლის მშენებლობა" თბილისის გამგეობამ დაამტკიცა.

მაგრამ სახლის მშენებლობა დაიწყეს არაოფიციალური პროექტის მიხედვით.

მშენებლობისთვის დაიქირავეს გარეშე მუშები, ხოლო კონსპირაციული სამუშაოებისთვის მოიწვიეს მუშა-რევოლუციონერები.

**სტამბის მშენებლობა დაიწყო მიწის სამუშაოებით. დაქირავებულმა მიწის მთხრელებმა გაჭრეს სარდაფი სიღრმით — 10, სიგრძნით 12.5 და სიგანით — 6.5 არშინი (არშინი 71,12 სმ-ია). მიწისმთხრელი მუშები დაითხოვეს, შემდეგ, როდესაც მოწვეულმა კალატოზებმა ამოიყვანეს კედლები და დააგეს სარდაფის იატაკი, ისინიც დაითხოვეს. რევოლუციონერმა მუშებმა კი გააკეთეს სარდაფის თაღი და შუა ადგილზე დაუტოვეს საიდუმლო ხვრელი და მას ზემოდან ფიცრები დააფარეს. შემდეგ დაიქირავეს სხვა მუშები, რომლებიც ნახევარსარდაფის მშენებლობაზე დააყენეს. მათ ფიქრადაც არ მოსდიოდათ, რომ ამ ნახევარსარდაფის ქვეშ კიდევაა სარდაფი, რადგან მანამდე, როგორც კი მუშა-რევოლუციონერებმა მოათავეს თაღების ამოყვანა, იგი მაშინვე ზემოდან დაფარეს 1,5-მეტრიანი მიწის ფენით. ნა-**

▶

მოზაიკა

## ამერიკელი ქალი სულს ყიდის

**ინტერნეტ-აუქციონ Ebay-ზე ერთი სასწაული ლოტია — ქალი სულს ყიდის. ამერიკელი ქალი ლორინი, რომელიც ქალაქ ალბუკერკეში ცხოვრობს, ავარიაში მოყვა. მძიმე დაზიანებების გამო მას მუშაობა აღარ შეუძლია.** იმისათვის, რომ მკურნალობისა და ოპერაციის შედეგად დაგროვილი ვალები როგორმე დაეფარა, ლორინმა საკუთარი სულის გაყიდვა გადაწყვიტა. „ცოტათი ნახმარი სული", — ასე დაასათაურა ლოტი ლორინმა, რომლის ფასი 2000 აშშ დოლარია. „ვინაიდან მე არ შემიძლია ჩემი ჯანმრთელობის მიხედვა, ვეძებ ადამიანს, ვინც ჩემს სულს შეინახავს. სულთან ერთად მყიდველს გადაეცემა სერთიფიკატიც. სულის ყიდვა საკოლექციო ავტომობილის ყიდვას ჰგავს — როდესაც თქვენ იხდით ფულს, ოღონდ არა იმისთვის, რომ ამ მანქანით ისეირნოთ", — აცხადებს ლორინი.

## 9 წლის ვუნდერკინდი

**ნიჭიერი კალიფორნიელი ბიჭუნა, ტანიშქ აბრაამი აშშ-ში ყველაზე ახალგაზრდა სტუდენტია, რომელიც ბაკალავრის ხარისხს მიიღებს.** ქალაქ საკრამენტოს 9 წლის მკვიდრი 7 წლის ასაკში კალიფორნიის შტატის უმაღლესი სასწავლებლის — American River College-ის სტუდენტი ოფიციალურად გახდა. ბიჭუნას დედის თქმით, ჯერ კიდევ 2 წლის ასაკში მისმა შვილმა ექსტრაორდინალური შესაძლებლობების გამოვლენა დაიწყო, ხოლო 5 წლის ასაკში უნივერსიტეტ Stanford University-ის მეორე კურსის პროგრამისთვის გათვალისწინებულ მათემატიკურ ამოცანებს დამოუკიდებლად ხსნიდა.

**1904 წელს, გადასახლებიდან გამოქცევის შემდეგ, 24 წლის სოსო ჯუღაშვილი ხშირად რჩებოდა აქ. ხანდახან ის მთელი ღამე მუშაობდა — წერდა სტატიებს გაზეთ „პროლეტარიატის ბრძოლისათვის“ და, აგრეთვე, პროკლამაციებს. ავლაბრის არალეგალურ სტამბაში დაიბეჭდა სტალინის ბროშურები: „გაკვრით პარტიულ უთანხმოებაზე“ და „ორი შეჯახება“ ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე. აქ გამოცემული მრავალი პროკლამაცია და ფურცელი პირადად სტალინის მიერაა დაწერილი.**

ნაც-ტერორი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ხევარსარდაფიანი, ოროთახიანი სახლი სწრაფად აშენდა.**

ზემოთ მოეწყო საცხოვრებელი ოთახები, ნახევარსარდაფში კი — სამზარეულო. გადაწყვიტეს, სარდაფში (სტამბაში) საიდუმლო შესასვლელი გაეკეთებიათ. დაქირავებულ ჭის მთხრელს 13-მეტრიანი სიღრმის ჭა ამოათხრევინეს, რომელშიც წყალი არ ამოვიდა, იგი მშრალი ჭა იყო. მასში კიბე ჩაუშვეს, რამდენიმე მეტრის სიმაღლეზე ბოძები დაალაგეს და მიწით დაფარეს. შემდეგ სხვა ჭისმთხრელს ამოათხრევინეს მეორე, 15-მეტრიანი სიღრმის ჭა. ეს იყო ნამდვილი ჭა, რომელშიც წყალი ამოდიოდა. ამის მერე მუშა-რევოლუციონერებმა — ძმებმა მაღრაძეებმა და ჩოდრიშვილებმა გაიყვანეს ფარული გვირაბები. ერთმა გვირაბმა შეაერთა ორი ჭა, ხოლო მეორემ — მშრალი ჭა სარდაფთან. წყლიანი ჭის თავზე აღმართეს ფარდულის კედლებზე მიჭედილი ფიცრებისაგან შეკრული კადონი. ამ კადონზე, რომელიც ჭის ზედაპირიდან დაშორებული იყო, დაახლოებით, 1,5 მეტრით, მოათავსეს რვა გოჯი დიამეტრის მქონე ხის ჭოჭონაქი; ჭას თავზე დაახურეს ხის კვადრატული ჩარჩო, რომელზეც დამაგრებული იყო წვრილი ფოლადის ტროსი. ჭაში მსხვილი თოკით ჩაუშვეს ვედრო. კონსპირაციის მიზნით, ჭის ზემოთ ფარდული გამართეს, ვითომდა წყლის სისუფთავისთვის და სიგრილის დასაცავად. მოკლედ, საიდუმლო შესასვლელი მზად იყო. **მუშები თოკის დახმარებით ჩადიოდნენ წყლიან ჭაში, წყლის ზედაპირიდან მეტრ-ნახევრის ზემოთ გაყვანილი გვირაბით გადიოდნენ დახურულ მშრალ ჭაში, რომელშიც ჩადგმული იყო კიბე, ამ კიბეზე ადიოდნენ და პატარა გვირაბით შედიოდნენ სარდაფში.**

მშენებლობის დამთავრების შემდეგ მოიტანეს საბეჭდი მანქანა, შრიფტი, ქაღალდი, სტამბის სხვა მოწყობილობა და ნახევარსარდაფში არსებული ხვრელიდან ჩაუშვეს სარდაფში. როდესაც ყველაფერი დამთავრდა, ხერხაშვილების გვარით ახალ სახლში დასახლდნენ სტამბის მუშები. „დიასახლისი“ იყო მიხო ბოჭორიძის ბიცოლა — ბაბე ლაშაძე-ბოჭორიძე, რომელიც პირველ ოთახში ცხოვრობდა. მისი ოთახიდან სტამბაში გაყვანილი იყო ელექტროზარი. ზარის ღილაკი დამალული იყო შპალერის ქვეშ. ბაბე ფანჯარასთან ან აივანზე იჯდა და თვალყურს ადევნებდა, რომ ვინმე შეუმჩნევლად არ მოსულიყო შენობასთან, როგორც კი დაინახავდა უცხო პირს, ზარის საშუალებით აცნობებდა მუშებს. ერთი ზარი ნიშნავდა საშიშროებას, მუშები წყვეტდნენ მუშაობას და ელოდნენ ორ ზარს, რათა გაეგრძელებიათ საქმიანობა. სამი ზარით კი „დიასახლისი“ მათ ზემოთ იწვევდა.



სტალინის ხელნაწერი

**24 წლის სოსო ჯუღაშვილი არა მხოლოდ თავგადადებული რევოლუციონერი იყო, არამედ სანიმუშო რედაქტორიც. გაზეთ „პროლეტარიატის ბრძოლის“ სამი ნომრის გეგმა, რომელიც თავად სტალინმა შეადგინა**

პირველად ავლაბრის სტამბა ჩუღურეთის ტიპოგრაფიიდან გადმოტანილი მოწყობილობით მუშაობდა, მაგრამ მალე ბაქოდან ჩამოიტანეს საბეჭდი მანქანა, რომელიც რამდენიმე წლით ადრე ლადო კეცხოველმა იყიდა.

ბაბე სტამბაში (სანამ იგი არსებობდა, მუშაობდა) შინაურულად მოეწყო: გაიჩინა ქათმები, დარგო რამდენიმე ხე, ანუ ყველაფერს აკეთებდა, რათა ამ სახლში ყოფა-ცხოვრებისთვის ჩვეულებრივი ოჯახური იერი მიეცა, ვინმეს ეჭვი რომ არ აეღო.

კონსპირაციის წესების თანახმად, სტამბიდან ხშირად გამოსვლა აკრძალული იყო, ამიტომ სტამბის მუშაკები ზემოთ მხოლოდ სადილის, ვახშმისა ან დასაძინებლად ამოდიოდნენ ხოლმე.

1904 წელს, გადასახლებიდან გამოქცევის შემდეგ, 24 წლის სოსო ჯუღაშვილი ხშირად რჩებოდა აქ. ხანდახან ის მთელი ღამე მუშაობდა — წერდა სტატიებს გაზეთ „პროლეტარიატის ბრძოლისათვის“ და, აგრეთვე, პროკლამაციებს. ავლაბრის არალეგალურ სტამბაში დაიბეჭდა სტალინის ბროშურები: „გაკვრით პარტიულ უთანხმოებაზე“ და „ორი შეჯახება“ ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე. აქ გამოცემული მრავალი პროკლამაცია და ფურცელი პირადად სტალინის მიერაა დაწერილი.

**განსაკუთრებული დატვირთვით მუშაობდა სტამბა 1905 წლის რევოლუციის პერიოდში. 1905 წლის 8 იანვრიდან 20 ნოემბრამდე დაიბეჭდა 273 715 პროკლამაცია, გაზეთი და ბროშურა! აქედან ქართულ ენაზე — 138 325 ეგზემპლარი, რუსულად — 70 690 და სომხურად — 64 700.**

სტამბამ მუშაობა დაასრულა 1906 წლის 15 აპრილის განთიადზე. 150-მდე პოლიციელმა, ჟანდარმმა და ჯარისკაცმა ალყა შემოარტყა სახლს. დაიწყო ჩხრეკა, ოთახებსა და სამზარეულოში მათ ვერაფერი იპოვეს. შემდეგ გადაწყვიტეს ჭის შემოწმება. ჭაში ჩააგდეს ცეცხლმოკიდებული ქაღალდი, მისი კედლების გასაშუქებლად, ჰაერის წნევამ იგი ფარულ გვირაბში შეიტანა, „ექსპერიმენტი“ გაიმეორეს. ისინი მიხვდნენ, რომ ჭაში რაღაც გასასვლელი იყო. მასში ჩაუშვეს მეხანძრე, რომელმაც აღმოაჩინა ფარული გვირაბი. მაგრამ მასში შესვლა შეეშინდათ. გადაწყვიტეს, სამზარეულოში იატაკი აეყარათ. ასეც გააკეთეს. გათხარეს მიწა სამზარეულოში, სადაც აღმოაჩინეს საიდუმლო ხვრელი, რომლითაც ჩავიდნენ სტამბაში და ამოიტანეს: შრიფტი, საბეჭდი მანქანა, დაბეჭდილი ლიტერატურა და სხვ. შემდეგ შენობას ცეცხლი წაუკიდეს, ხოლო სარდაფი ააფეთქეს.

1937 წელს სტამბა აღდგენილ იქნა თავდაპირველი სახით.

პირველ რიგში „დიასახლისის“ ოთახს ვათვალიერებ. ოთახის ფანჯრის ახლოს, მარჯვენა კედელთან დგას ქსოვილგადაკრული ხის ტახტი. ეს ადგილი აბრეშუმის ბაფთითაა შემოღობილი.

— ამ ტახტზე ისვენებდა სტალინი, — მიხსნის ბატონი ჟიული.

კედლის კუთხეში კიდია ბზით მორთული ღვთისმშობლის ხატი. მის ქვემოთ დგას თეთრქსოვილგადაფარებული კარადა, რომელზეც აწყვია ხის ჯამი, საშაქრე, სამარილე... როგორც მითხრეს, აქ სპილენძის სამოვარი და ჯამიც იდგა, რომლებიც გაიტაცეს არეულობის დროს აქ მოკალათებულმა შეიარაღებულმა ბანდებმა, „თეთრი გიორგის“ და „მხედრიონის“ თაოსნობით.

გაძარცვულია საცხოვრებელი ოთახების ქვეშ მდებარე ნახევარსარდაფიც, რომელშიც სამზარეულო იყო. აქედანაც მოპარულია სპილენძის ქვაბები, შამფურები, ქაფქირი, ჩამჩა. ნახშირის აქანდაზიც „ჩაუჯიბიათ“ წვერებიან „ავტომატჩიკებს“...

სამზარეულოს დერეფნის მარცხენა კუთხეში რკინის დახვეული კიბეა, რომლითაც ჩავდივართ სარდაფში. ამ კიბეს ჟანგის სქელი ფენა დაედო და, რაც უფრო ძირს ვეშვებით, აკლდამის სინესტე და შმორის სუნი მით უფრო გაწუხებს!

— რა ვქნათ, — თითქოს თავს იმართლებს ბატონი ჟიული, — ვერ უვლიან ამ თბილისის ზღვას და გამოჟონილი წყალი აქ გარშემო მყოფი სახლების სარდაფებში დგება. ტუმბოც ვიყიდეთ, მაგრამ ეს საქმეს ვერ შველის. ჩინელები დაგვეხმარნენ, რაღაც გადათხარ-გადმოთხარეს, ჩაჭრეს-ჩამოჭრეს და უკვე ხუთი თვეა, წყლით აღარ იტბორება სარდაფი.

ასევე, ჟანგითაა დაფარული აუგსბურგის სისტემის საბეჭდი დაზგა, რომლის ფონზე სულ ახლახან სტალინის გინებით „რუსთავი 2“-ის მაყურებლებს თავს აწონებდა ორი უჯიშო კოსმოპოლიტი!

ისტორიას გაფრთხილება უნდა. ვინც ამ სტამბას აშენებდა და აქ მუშაობდა, იდეურები იყვნენ. შეგიძლია მოიწონო მათი იდეები, შეგიძლია — არა, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ეს ადამიანები სიმღერით მიდიოდნენ საპყრობილეებსა და კატორღებში, ადიოდნენ სახრჩობელებზე. რეპრესიების, ტერორის, ეკზეკუციების მიუხედავად, ხელისუფლება უძლური აღმოჩნდა მათ წინაშე, რადგან ამ ხალხს სწამდა, რომ გაიმარჯვებდა.

ცნობილია, წარსულის გარეშე არ არის მომავალი, ამიტომ ავლაბრის არალეგალური სტამბა-მუზეუმის გადარჩენა ქართველი საზოგადოების ერთ-ერთი აუცილებელი მოვალეობაა. არ მივცეთ უფლება ეროვნებადაკარგულ, ღვთისმგმობელ ნაძირლებს ჩვენი მეხსიერების წაშლისა. ამ საცოდავმა არსებებმა ადამიანობა დოლარებზე გაყიდეს, იმ დოლარებზე, რომლის ყველაზე პოპულარული ბანკნოტიდან მათ დამცინავი მზერით შესცქერის დიდი მოაზროვნე და საკუთარი ქვეყნის პატრიოტი — ბენჟამინ ფრანკლინი!

**გიორგი კორძაძე**

# ენგურის წყალსაცავი, შესაძლოა, აფეთქებების შედეგად დაზიანდეს

**ყველას მოეხსენება, რომ ენგურჰესი უზარმაზარი და ურთულესი ნაგებობების კომპლექსია. ექსპერტების განმარტებით, კაშხალი არასაოდეს დაინგრევა, მთავარია, წყალსაცავის მარცხენა ფერდმა გაუძლოს. თუ მეწყერი ჩამოწვა ან წყალმა მაგანას ხეობაში გაჟონა, შეიძლება წარმოუდგენელი მასშტაბის ტრაგედია დატრიალდეს, ამიტომაც ამ ზონის მუდმივი კონტროლი უნდა ხორციელდებოდეს.**

მაგრამ ვის ესმის ექსპერტების შეგონება! ჯვარიდან მე-9 კილომეტრზე, ხოკოს რომ ეძახიან, იქ, სადაც მაქსიმალურად უახლოვდება ერთმანეთს მდინარეები — ენგური და მაგანა (მათ შორის მანძილი სულ 2 კილომეტრია), მრავალი წელია, დაუდგენელი პირები, თაბაშირის მოპოვების მიზნით, მძიმე ტექნიკით აწარმოებენ სხვადასხვა სახის სამუშაოებს, მათ შორის, აფეთქებენ ქანებს, რითაც, ექსპერტების აზრით, იქმნება საშიშროება, რომ ეს მეწყერსაშიში ზოლი დაიშალოს. ამან კი, შესაძლოა, ენგურის წყალსაცავის დაზიანება, წყლის გამოჟონვა და მისი მდინარე მაგანაში ჩადინება გამოიწვიოს.

მოგეხსენებათ, ენგურის წყალსაცავი მაგანის ხეობაზე 300 მეტრით მაღლა მდებარეობს ზღვის დონიდან, ამიტომ იქმნება იმის საშიშროება, რომ ეს უზარმაზარი მასის მქონე წყალსაცავი მაგანის ხეობაში გადაბარგდეს, რის შედეგადაც აღარ იარსებებს არც ენგურჰესი, არც ჯვარი, არც ჯვარი-მესტიის ტურისტული ზონა, არც ზუგდიდი და მისი მიმდებარე ტერიტორიები.

**ასე რომ, ამ ადგილებში კარიერის გახსნა კი არა, მიწაზე ბარის დაკვრაც არ შეიძლება. ნუ დაგვავიწყდება, რომ ამ წყალსაცავის ქვემოთ თითქმის მესამედი საქართველოა! ეს უნდა იცოდეს ქართულმა საზოგადოებამ! ეს უნდა იცოდეს საქართველოს პრეზიდენტმა! საქმის კურსში უნდა იყოს პოზიციაც და ოპოზიციაც! ეს არ არის პოლიტიკა! საქმე საქართველოს ყოფნა-არყოფნას ეხება, ამიტომ დროზე უნდა აღიკვეთოს იქ ვიღაც-ვიღაცების პარპაში.**

სამწუხაროდ, ამ საკითხით არ ინტერესდება ე. წ. ენგურჰესის სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც ყოველწლიურად ბიუჯეტიდან 300 000 ლარზე მეტს იღებს... ან იქნებ გვითხრან, რომ ექსპერტები ცდებიან და ვიღაცის „კრიშის“ ქვეშ მყოფი ამ ვანდალების საქმიანობა საქართველოს საშიშროებას არ უქადის?! მაგრამ სიფრთხილეს თავი არ სტკივა. ბოლო ხანს იტალიაში, ჩინეთში, ფილიპინებში დიდი კაშხლებით დაგუბებული წყალსატევების მიერ დატრიალებული ტრაგედიებიც კმარა. ღმერთმა გვაშოროს და თურმე ბოლო ას წელიწადში, ადამიანების გაუფრთხილებლობის გამო, 100-ზე მეტი მსგავსი შემთხვევა მომხდარა და გამოუსწორებელი ტრაგედია დატრიალებულა.

**ლადო ქირია,**
**ზუგდიდი**



მოკლედ



## განსხვავებული მოქალაქეობის ტყუპები

**ტყუპები დილან და ჰანა ფოქსები ერთ დღეს დაიბადნენ, ერთმანეთს გარეგნულადაც ჰგვანან, მაგრამ პატარებს სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეობა აქვთ: ვაჟი — დილანი, ინგლისელია, ხოლო გოგონა — ჰანა — შოტლანდიელი.** საქმე ის არის, რომ პატარები რამდენიმე საათის ინტერვალით გაჩნდნენ, რადგან ჩვილების დედას მშობიარობა ნაადრევად დაეწყო. შედეგად, 1 ბავშვი ინგლისის ტერიტორიაზე დაიბადა, მეორე — შოტლანდიის. ტყუპების დედა, 28 წლის დონა კენანი ინგლისის ქალაქ ნორთუმბერლანდში მშობლების სახლში სტუმრად იმყოფებოდა, როდესაც მშობიარობა ნაადრევად დაეწყო.

როგორც დონა ამბობს, ტყუპისცალი დილანი სასტუმრო ოთახში გააჩინა. შემდეგ ექიმებმა ქალბატონი საავადმყოფოში გადაიყვანეს — მათ შოტლანდიის საზღვარი გადაკვეთეს და მეორე ტყუპი ჰანა ძმის დაბადებიდან 1 საათისა და 40 წუთის შემდეგ სხვა ქვეყანაში, შოტლანდიის საზღვრის რეგიონთან ახლოს მდებარე პატარა ქალაქ მელროუზში, დაიბადა.

ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ვარიანისა და შინდისის თემის საკრებულოში ტერიტორიული ორგანოს მთავარი სპეციალისტები — იზა კოკაური და ირმა პაპუნაშვილი აქტიურობდნენ. ისინი „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებს — კახი კალაძესა და ნინელი ჭანკვეტაძეს მხარდამჭერებთან შეხვედრაში ხელს უშლიდნენ. უფრო მეტიც, ირმა პაპუნაშვილი თავისი შვილის მეგობრებით „ქართული ოცნების“ წევრებს სხვა სოფლებშიც — ზემო და ქვემო ხვითშიც — დაჰყვებოდნენ.



## კიდევ ერთი პატიმარი გარდაიცვალა

**გეგუთის საპატიმრო დაწესებულებაში პატიმარი თამაზ ჩიხრაძე გარდაიცვალა. პატიმრის გარდაცვალების ზუსტი მიზეზები ამ დროისთვის უცნობია. სააგენტო „პირველის“ ინფორმაციით, ჩიხრაძე საპატიმროში რამდენიმე დღის წინ გარდაიცვალა და იგი უკვე სახლში გადაასვენეს.**

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიულ საკითხთა სამინისტრო პატიმრის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ჯერჯერობით კომენტარს არ აკეთებს. ცნობისთვის: ჩიხრაძე, რომლის ოჯახიც უკიდურეს გაჭირვებაში ცხოვრობს, სასჯელს ქურდობისთვის იხდიდა. გარდაცვლილის ოჯახი ჩუღურეთის რაიონში ნაქირავებ ბინაში ცხოვრობს.

შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინ კიდევ ერთი პატიმარი, 21 წლის მიხეილ ბაზაზიანი გლდანის საპატიმროში გარდაიცვალა.



## მერაბიშვილმა უტიაშვილი და გვენეტაძე თან წაიყვანა

**შსს-ს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის ყოფილმა ხელმძღვანელმა შოთა უტიაშვილმა დაადასტურა, რომ პრემიერ-მინისტრის აპარატში იწყებს მუშაობას.**

პრემიერ-მინისტრის აპარატში სტრუქტურის ჩამოყალიბება 2 დღეში დასრულდება და სტრუქტურის სრული შემადგენლობა მალე გახდება ცნობილი. ამის შესახებ მან „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა. შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ყოფილი უფროსი ზურაბ გვენეტაძეც პრემიერის აპარატში განაგრძობს მუშაობას.



## წინასაარჩევნოდ ახალი საგზაო ნიშნები გაჩნდა

**„გურია ნიუსის“ ობიექტივმა შეკვეთილში ახალი საგზაო ნიშანი დააფიქსირა. აღნიშნული ფოტო გამოცემამ კომპეტენტურ ადამიანებს აჩვენა, მაგრამ ვერავინ მიხვდა, რას ნიშნავს წითლად შემოხაზული ხუთიანი, რომელიც ძალიან ჰგავს „ნაციონალების“ საარჩევნო ნიშანს. ვერც იმის გარკვევა მოხერხდა, ასევე წითელ ფერში შესრულებული საყვირი რას მიანიშნებს მძღოლს.**

მიმდებარე ტერიტორიაზე დასახლება დაახლოებით 200 მეტრის რადიუსში არ არის. ამ ე. წ. საგზაო ნიშნის იქით კი მდინარეა. ამ გზაზე ამჟამად ავტობანის მშენებლობა მიმდინარეობს. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ნიშნების დანიშნულება არც იქ მომუშავე მუშებმა იციან.

## ვალიდა ბებომ ერთადერთი ბოჩოლა წამლის ფულისთვის გაყიდა

**ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ წიფნარში 74 წლის ვალიდა მეფარიშვილი ცხოვრობს. დიდი ხანია, მოხუცს ჯანმრთელობის პრობლემები აქვს. ამასთან ერთად, უმძიმეს სოციალურ პირობებში ცხოვრობს. მან არაერთხელ მიმართა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოციალური მომსახურების სააგენტოს, მაგრამ ვერც ფულადი დახმარება მიიღო და ვერც სამედიცინო პოლისი. ცოტა ხნის წინ ვალიდა ბებო კოხნარის მედიაწიგნიერების ცენტრს ესტუმრა და განცხადების დაწერაში დახმარება ითხოვა. მისი კარნახით დაწერილი წერილი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს გადაეგზავნა.**



**რადგან ქალბატონ ვალიდას ერთადერთი ძროხა 79 500 ქულად იქნა შეფასებული, საარსებო შემწეობის მისაღები ზღვრული ქულა კი 57 001 ქულაა, ვალიდა ბებოს უარი უთხრეს დახმარებაზე.**

„განმეორებით შეფასების მოთხოვნით, სააგენტოს შესაბამის სამსახურებს შეგიძლიათ მიმართოთ 2013 წლის 13 მარტიდან“, — წერილს ხელს აწერს სახელმწიფო გასაცემლების დეპარტამენტის უფროსი ვაჟა ჯაფოშვილი.

რამდენიმე კვირაა, ვალიდა ბებოს ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა. ექიმთან ვიზიტისა და მედიკამენტების შესაძენად 79500-ქულიანი ბოჩოლაც გაყიდა და მისი სოციალური მდგომარეობაც უკიდურესად დამძიმდა.

ვალიდა მეფარიშვილის მდგომარეობის გასაგებად „გურიანიუსი“ მას სახლში ესტუმრა. მოხუცი ძალიან ცუდად იყო:

**— მთელი დღეა, ცუდად ვარ, ბებო. უკვე აღარ მახსოვს, ამ კვირაში რამდენჯერ გამოვიძახე სასწრაფო. ერთადერთი ძროხაც გავყიდე, ამდენი წამლები ვიყიდე და საშველი მაინც არ არის. გული მაწუხებს, ბებო, მე ისეთი ავადმყოფი ვარ, სულ ექიმის მეთვალყურეობისა და წამლების ქვეშ უნდა ვიყო. დახმარება კი არა, პოლისიც უსაშველო გახდა ჩემთვის. რა დაინახეს ამ ქოხში ასეთი, არ ვიცი“.**

— ვეცდებით, როგორმე დაგეხმაროთ.

**— მე ველარ მოვესწრები მაგ დახმარებას და... გადამიყვანენ, ბებო, საავადმყოფოში, მე კი კაპიკიც არ მაქვს, სასწრაფო დახმარებას უკვე მაგიტომ ველარ ვიძახებ.**

ბრიგადა ჟურნალისტებმა მაინც გამოიძახეს. ექიმმა ნინო პაიჭაძემ შემდგომი გამოკვლევისთვის მოხუცის გადაყვანა საავადმყოფოში საჭიროდ მიიჩნია.

მოხუცის მდგომარეობით ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებელი ლელა იმედაშვილი მას შემდეგ დაინტერესდა, რაც „გურია ნიუსმა“ ვალიდა მეფარიშვილის მძიმე მდგომარეობაზე შეატყობინა. იმედაშვილი ჟურნალისტებს დაჰპირდა, რომ გამგეობა მოხუცს ერთჯერადად წამლების შესაძენად ფულად დახმარებას გამოუყოფდა.

## ჩინოვნიკი ქალები კალაძისა და ჟურნალისტების წინააღმდეგ

**ვარიანის ტერიტორიული ორგანოს მთავარმა სპეციალისტმა ჟურნალისტს შეურაცხყოფა მიაყენა. შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრი 9 ივლისს გორის რაიონის სოფლებში „ქართული ოცნების“ ლიდერების შეხვედრას აკვირდებოდა.**



ვარიანისა და შინდისის თემის საკრებულოში ტერიტორიული ორგანოს მთავარი სპეციალისტები — იზა კოკაური და ირმა პაპუნაშვილი აქტიურობდნენ. ისინი „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებს — კახი კალაძესა და ნინელი ჭანკვეტაძეს მხარდამჭერებთან შეხვედრაში ხელს უშლიდნენ. უფრო მეტიც, ირმა პაპუნაშვილი თავისი შვილის მეგობრებით „ქართული ოცნების“ წევრებს სხვა სოფლებშიც — ზემო და ქვემო ხვითშიც — დაჰყვებოდნენ.

ვარიანში შეხვედრის დროს ტერიტორიული ორგანოს სპეციალისტს — იზა კოკაურს ვარიანის საჯარო სკოლის ის პედაგოგები ეხმარებოდნენ, რომლებიც 2010 წლის თვითმმართველობის არჩევნების დროს შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრმა არჩევნების გაყალბებაში ამხილა. მაშინ კომისიის თავმჯდომარე ჯირკველიშვილი დაიმუქრა კიდეც, ვარიანში ველარ ამოხვალთო. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ აღნიშნული პედაგოგები ათას-ათასი ლარით დააჯარიმა იმ ვიდეო-მასალის გავრცელების შემდეგ, რომელიც მაშინ ფარულად საარჩევნო უბანზე გამოცემამ გადაიღო.

## დათამ ბაჩო დაბანა, ორივემ ერთად — მამა!

**შინაგან საქმეთა ახალი მინისტრის ძმამ და სამეგრელო-ზემო სვანეთის ძველი პროკურორის შვილმა დათა ახალაიამ შსს-ს კუდ-ის უფროსის თანამდებობა დატოვა და ზუსტად სამ დღეში თავდაცვის მინისტრის მოადგილედ დაინიშნა. როგორც ჩანს, თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებში თითო ახალაია აუცილებლად უნდა იყოს. დათა ახალაია წავიდა, რათა დაბრუნებულიყო.**

ბაჩო ახალაია თავდაცვის მინისტრობიდან შინაგან საქმეთა მინისტრად გადაანაცვლეს, ხოლო მისი ძმა დათა — კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსობიდან თავდაცვის მინისტრის მოადგილედ დანიშნეს. ამ როტაციასთან ერთად, მათი მამა — როლანდ ახალაია, გავრცელებული ინფორმაციით, საპარლამენტო არჩევნებში ზუგდიდის მაჟორიტარად იყრის კენჭს და ქართულ დემოკრატიას პარლამენტიდან „გაამაგრებს“. ძმები კუბლაშვილების ტანდემისა არ იყოს, ეს ოჯახი ბოლომდე იხარჯება საქართველოს სამსახურში.



2012 წლის 10 აპრილს „ბლუმბერგმა“ გამოაქვეყნა მსოფლიოს 120 ქალაქის სია, რეიტინგი. ექსპერტებმა შეისწავლეს ამ ქალაქების ეკონომიკური სიძლიერე, ინსტიტუციური ეფექტიანობა, სოციალური და კულტურული ნაწილი, გარემოსა და ბუნებრივი რისკები, საერთაშორისო მიმზიდველობა და ფინანსური მდგომარეობა. ამ სიაში თბილისი ვერ მოხვდა.

ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# შაშკინმა თავდაცვაში თავისი გუნდი მიიყვანა

**„საქართველო და მსოფლიოს“ პროგნოზი ახდა: შაშკინმა თავდაცვის სამინისტროში მაღალ თანამდებობებზე თავისი გუნდი მიიყვანა, რომელიც ჯერ სასჯელაღსრულების, შემდეგ კი განათლების სამინისტროში ჰყავდა.**



**მინისტრის პირველ მოადგილედ დაინიშნა აკაკი სეფერთელაძე,** რომელიც მანამდე სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა, შემდეგ კი განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილის პოსტებს იკავებდა.

**მინისტრის მოადგილე დავით ახალაია იქნება,** რომელიც მანამდე შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტს ხელმძღვანელობდა.

**შაშკინმა მინისტრის მოადგილედ ასევე წარადგინა მაია სიფრაშვილი,** რომელიც 2009 წელს მისი მრჩეველი იყო სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროში, 2010 წლიდან განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობებისა და პროგრამების დეპარტამენტს ხელმძღვანელობდა და ამავე დროს პროგრამას „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად“ კურატორობდა. **მინისტრის მოადგილედ ასევე ინიშნება დავით ნარდაია** — თავდაცვის სამინისტროს დავით აღმაშენებლის ეროვნული თავდაცვის აკადემიის რექტორი.

მოადგილეებთან ერთად დიმიტრი შაშკინმა თანამშრომლებს ახალი დეპარტამენტის ხელმძღვანელებიც გააცნო. **გაერთიანებული შტაბის ადმინისტრაციის უფროსი იოსებ თოფურიძე იქნება. თავდაცვის სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსად გენრიეტა მუმლაძე დაინიშნა.** მას იგივე თანამდებობა ეკავა როგორც განათლებისა და მეცნიერების, ისე სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროებში.

**შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსი ირაკლი ანდრიაშვილი იქნება, საზოგადოებრივ საქმეთა დეპარტამენტის უფროსი — ეკა ჭუმბურიძე, ფინანსების მართვის დეპარტამენტის უფროსი — როინ გიუნაშვილი, თავდაცვის პოლიტიკისა და დაგეგმვის დეპარტამენტის უფროსი — ქეთევან ასისტიშვილი, სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის უფროსი — ნანა როსტობაია, სამხედრო-ტექნიკურ საკითხთა დეპარტამენტის უფროსი — თეიმურაზ იობიძე.**

სამინისტროში ასევე იქმნება ახალი დეპარტამენტი — **საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი, რომელსაც გიორგი გულუა უხელმძღვანელებს.**




# სიცხემ 74 ამერიკელი იმსხვერპლა

**ტელეკომპანია NBC-ის ინფორმაციით, ბოლო ორ კვირაში ამერიკაში სიცხის გამო 74 ადამიანი გარდაიცვალა. განსაკუთრებით ქვეყნის აღმოსავლეთი და შუა დასავლეთი დაზარალდა.** ზ

ოგიერთ შტატში ტემპერატურა უჩვეულოდ მაღალია. მაგალითად, ჩიკაგოში 4-დან 6 ივლისამდე 38-გრადუსიანი სიცხე იყო, ხოლო სენტ-ლუისში (მისური) ასეთი და უფრო მაღალი ტემპერატურა 10 დღის განმავლობაში, 28 ივნისიდან 7 ივლისამდე, გრძელდებოდა. კოლუმბიის ოლქში 38-გრადუსიანმა სიცხემ 8 ივლისამდე გასტანა.

**ადამიანები ილუპებიან სახლებში, რომელთაც ვენტილაცია არ აქვს, ცუდად ხდებიან ქუჩებსა და ავტომობილებში. ამავე დროს ქვეყნის აღმოსავლეთში ასი ათასობით ადამიანი ელექტროენერგიის, ესე იგი კონდიციონერების გარეშეა დარჩენილი. ელექტროგადამცემი ხაზები 29 ივნისს ქარიშხალმა დააზიანა.**

დასავლეთის შტატებში კვლავ ტემპერატურის ზრდა არის მოსალოდნელი. 11 ივნისისთვის სოლტ-ლეიკ სიტიში 40-გრადუსიან სიცხეს ელიან. აშშ-ის ეროვნული მეტეოროლოგიური სამსახურის გაფრთხილებით, ჰაერის მაღალი ტემპერატურა მოსალოდნელია 11 შტატში, რომელთა მოსახლეობა 65 მილიონია.

# «ბლუმბერგს» Bloomberg თბილისის არ სჯერა

**მედიაჰოლდინგი „ბლუმბერგი“ მსოფლიოში უგავლენიანეს კორპორაციად არის მიჩნეული. დაარსებულია ნიუ იორკის მერის ბლუმბერგის მიერ: ამერიკელებს მიჰყავთ „სტოსი“ ინტერნეტსივრცეში. ჩვენმა კუმაც ფეხი გამოყო: შევქმენით თამაში პოლიციაზე ინტერნეტში, პოლიციური სახელმწიფო — საქართველოში. „ბლუმბერგამდე“ კი ვერ გავქაჩეთ.**




2012 წლის 10 აპრილს ამ ჰოლდინგმა გამოაქვეყნა მსოფლიოს 120 ქალაქის სია, რეიტინგი.

ექსპერტებმა შეისწავლეს ამ ქალაქების ეკონომიკური სიძლიერე, ინსტიტუციური ეფექტიანობა, სოციალური და კულტურული ნაწილი, გარემოსა და ბუნებრივი რისკები, საერთაშორისო მიმზიდველობა და ფინანსური მდგომარეობა.

ამ სიაში თბილისი ვერ მოხვდა. მაშინ საქართველოს მდგრადი ეკონომიკის მინისტრმა ვერონიკა ქობალიამ ჩვენი თამაშგარე დარჩენა მარტივად ახსნა: საქართველომ განაცხადი არ მიაწოდა „ბლუმბერგს“ კონკურსში მონაწილეობის უფლების მოსაპოვებლადო (?).

ამ შეცდომას გამოვასწორებთ, მომავალში მივიღებთ მონაწილეობას და ჩვენი უეჭველი ლიდერობაც იქ გამოჩნდებაო.

**გამოაქვეყნა „ბლუმბერგმა“ ორი დღის წინათ 50 ქვეყნის ჩამონათვალი, რომლებშიც ბიზნესის კეთებისთვის საუკეთესო პირობებია შექმნილი.**

**საქართველო არც აქ არის.**

ეტყობა, დაავიწყდა ვერონიკას დადებული პირობა ან ჩვენი ეკონომიკის მიღწევათა საშინაო მოხმარების გამოფენაზე მიდექ-მოდექობასა და რუსთაველის პროსპექტზე ამ მიღწევათა დათვალიერების ორგანიზებაში ისეთი ჯაფა დაადგა, რომ ვერ მოიცალა განაცხადის გასაგზავნად, რომელიც ექსპერტების დაბეჯითებითი მტკიცებით, არც იყო საჭირო. არც არავის არასოდეს მოუთხოვია.

დადო მაგიდაზე: იხილეთ და დაფიქრდითო.

დაკვირვებით დავხედეთ, მაგრამ, რაც არ არის, რას დავინახავდით? „ბლუმბერგის“ ანალიტიკოსებმა ვერავითარი საფუძველი ვერ იპოვეს საიმისოდ, ორმოცდაათი ქვეყნის სიაში საქართველო რომ შეეტანათ.

მინდა-არ მინდათი არ წყდებოდა ეს საკითხი. **რეიტინგის შედგენისას 6 ძირითადი პირობა იყო განმსაზღვრელი: ეკონომიკური ინტეგრაციის საკითხი, ბიზნესის წამოწყების ღირებულება, შრომისა და მასალების ფასი, საქონლის გადაადგილების ღირებულება, ნაკლები მატერიალური დანახარჯები და ადგილობრივი სამომხმარებლო ბაზრის მზადყოფნა.**

მოკლედ: **„ბლუმბერგის“ რეიტინგში მთავარი კრიტერიუმი ბიზნესის კეთებაა, რაც საქართველოში რთულზე ურთულესია.**

ყველამ ვიცით, რატომაც. დიახ, — **ელიტარული კორუფციის გამო...** ადგილობრივი ბიზნესის კონკურენტუნარიანობის მაჩვენებელი ისე დაბალია, რომ იმის იქით მთავრდება გეოგრაფია.

არადა, გადაგვჭამეს თავი — მსოფლიო ბანკისა და მის ჯგუფში შემავალი საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFG) ერთობლივი კვლევის თანახმად („ბიზნესის წარმოება 2011“), საქართველო მსოფლიოში ბიზნესის რეგულირების სფეროში ნომერ პირველ რეფორმატორად დასახელდაო.

მაგრამ არ სჯერა „ბლუმბერგს“ თბილისის.

ეს ერთი ვაია!

მეორე — წინ გვაქვს, როცა ეს კორპორაცია ექსპერტთა კვლევის მონაცემებს თავისი ელექტრონული მედიის საშუალებით მოსდებს მსოფლიოს: **მედიაჰოლდინგში შემავალი ტელეარხის აუდიტორია 300 მილიონზე მეტ მაყურებელს ითვლის ამერიკის შეერთებულ შტატებში, ევროპასა და იაპონიაში.**

თავის მოჭრა მაშინ ნახეთ!

**არმაზ სანებლიძე**




# ამერიკელმა პილოტმა ავღანელები სიმღერ-სიმღერით დახვრიტა

**ამერიკული სამხედრო ვერტმფრენის პილოტმა ავღანეთის პროვინცია ვარდაკში მოსახლეობას ჭურვები დაუშინა და თან „Bye Bye Ms. American Pie“-ს მღეროდა. ამის ამსახველი ვიდოჩანაწერი საიტმა Liveleak.com-მა გამოაქვეყნა.**

ჩანაწერი, როგორც ჩანს, თავად ვერტმფრენიდან არის გაკეთებული. 101-ე საჰაერო სადესანტო დივიზიის ვერტმფრენ AH-64 Apache-დან პილოტმა Hellfire ჭურვი ესროლა გლეხებს, რომლებიც ყაყაჩოს თესავდნენ. ორი ადამიანი აფეთქების შემდეგ გაქცევას ცდილობს, პილოტი მათ ესვრის, მაგრამ მიზანს აცილებს. ჩანაწერი 2009 წლის 1 სექტემბერს არის გაკეთებული. როგორ აღმოჩნდა იგი საიტზე, უცნობია.

პილოტი დონ მაკლინის სიმღერას ღიღინებდა, რომელიც ასე ითარგმნება: „მშვიდობით, მის, ამერიკელო გოგონავ“.

# PLAYBOY-ის 86 წლის დამაარსებელს 26 წლის საცოლე დაუბრუნდა

**Playboy-ის 86 წლის დამაარსებელ ჰიუ ჰეფნერს 26 წლის საყვარელი კრისტალ ჰარისი დაუბრუნდა, რომელმაც იგი შარშან, ქორწილამდე რამდენიმე დღით ადრე მიატოვა. ჰეფნერმა ტვიტერში თავად გამოაქვეყნა ფოტო, რომელიც ამერიკის დამოუკიდებლობის დღეს არის გადაღებული. წყვილი ბედნიერად ილიმის. ქერათმიანი ლამაზმანი მას ეხუტება, ხოლო ჰიუ თავის საყვარელ აბრეშუმის ხალათშია გამოწყობილი.**

წყვილმა ნიშნობის შესახებ 2010 წლის დეკემბერში გამოაცხადა, ქორწილი კი 2011 წლის 18 ივნისს დანიშნა. 14 ივნისს ჰიუ ჰეფნერმა ტვიტერში დაწერა, რომ კრისტალმა გადაიფიქრა. ერთ-ერთ ინტერვიუში კრისტალმა განმარტა უარის მიზეზი: **„ჰიუს გარშემო მუდმივად ლამაზი მოდელები ტრიალებენ და ისიც სულ გართობაშია“.**

დაიჯესტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ნატო მჭიდრო კავშირში იყო ტერორისტული აქტების სერიასთან, რომლებიც 70-იან წლებში იტალიაში „დაძაბულობის სტრატეგიის“ ფარგლებში განხორციელდა და რომლის მიზანიც ხელისუფლებაში ფაშისტური მარჯვენა ფრთის მოყვანა და ამით „სტაბილურობის“ აღდგენა იყო. ამ ტერაქტებს, რომლებიც მრავალი ტერორისტის დახმარებით და ნატო-ნაცისტების გელენისეული ტერორისტების თავგანწირვით საზოგადოებრივ ადგილებში ბომბების აფეთქებას გულისხმობდა, ასობით ადამიანი ემსხვერპლა.**

# Sieg Heil ნატო



**მრავალმა ავტორმა დოკუმენტურად დააფიქსირა, თუ როგორ უწევდა სპონსორობას ბრიტანულ-ამერიკული ელიტა ჰიტლერის ხელისუფლებაში მოსვლას. მესამე რეიხის წინააღმდეგ თავდაცვის გაძლიერება მან მხოლოდ იმ დროს დაიწყო, როდესაც რეიხის ძალები დასავლეთს მიუბრუნდნენ. ბრიტანეთში მემარჯვენე კლუბის ელიტის წარმომადგენლები ხშირად ხელისუფლების ფარული თანხმობით საიდუმლოდ უჭერდნენ მხარს ჰიტლერის ქმედებებს ებრაელების, კომუნისტებისა და სოციალისტების წინააღმდეგ.**



ჰერცოგი ველინგტონი სახელგანთქმული ანტისემიტი და მემარჯვენე კლუბის წევრი იყო. ედუარდ VIII ცნობილია, როგორც მოღალატე მეფე, იგი ადოლფ ჰიტლერის ახლო მეგობარი იყო და იძულებული გახდა, უარი ეთქვა ტახტზე, რადგან გამოაშკარავდა, რომ ნაცისტებს გადასცემდა დოკუმენტაციას ბრიტანელი სამხედროების ოპერაციების თაობაზე. არისტოკრატია არასდროს ურიგდებოდა აუცილებლობას, ქვემოთ მდგომი კლასებისთვის გაენაწილებია ქონება. ადოლფი კი ანალოგიურ სისუსტეს განიცდიდა ამ მიზნების მიმართ, რასაც ევროპისა და რუსეთის დაპყრობის მისეულ გეგმაში მთავარი ადგილი ეკავა.

უდავოა და ოდნავ ეჭვსაც კი არ ბადებს, რომ დასავლეთის წამყვანი ფინანსისტები ჰიტლერის გუნდში იყვნენ და მისი სამხედრო მშენებლობის ფინანსური უზრუნველყოფით გახლდნენ დაკავებულნი. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ჰიტლერმა მათ უღალატა და ინგლისს დაესხა თავს, მოკავშირეები გაერთიანდნენ ნაცისტური ძალებისათვის მომაკვდინებელი დარტყმის მისაყენებლად. ამ მცდელობაში ჩამოყალიბდა დასავლეთის ქვეყნებისა და საბჭოთა კავშირის მანკიერი ალიანსი, რომელმაც ჰიტლერის ლეგიონებზე გამარჯვების საქმეში მთავარი როლი შეასრულა.

ჯერ კიდევ ომის დამთავრებამდე დიდი ხნით ადრე ბრიტანელები და ამერიკელები ინტრიგებს ხლართავდნენ საკუთარი ენერგიის საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გადამისამართების შესახებ. ეს 1918 წელს დასავლეთის მიერ განხორციელებული ბოლშევიკების საწინააღმდეგო შეჭრის დეჟავუ იყო. ეს ფაქტი თანამედროვე ისტორიაში ყველაზე უცნობ მთავარ მოვლენად რჩება. ამისათვის აშშ-მა და ინგლისმა იხსნეს ყველაზე უარესი ნაცისტი სამხედრო დამნაშავეები, იმავე სახელმწიფოების მიერ ძებნაში გამოცხადებულები და უკლებლივ ყველა მათგანი ბრიტანეთისა და ამერიკის ტერორის აპარატში შეიყვანეს.

აი, რას წერს მაიკლ მაკკლინტონი:

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შექმნისთანავე ამერიკელმა ლიდერებმა აუცილებლად მიიჩნიეს, უბრალოდ, ცნობისმიყვარეობის გამო, დაერღვიათ ახალი წესი, რომელსაც თავადვე აქებდნენ და ადიდებდნენ. ამგვარი ქცევით მათ განავითარეს პასუხისმგებლობისგან თავის დაძვრენის ახალი სისტემები თავიანთი კანონსაწინააღმდეგო ქმედებების გამო, რომელთა შორისაც არის ფარული ჩარევის უზარმაზარი მანქანა. გარდა ამისა, ისინი უდიდეს ძალისხმევას ახარჯავდნენ იმ მოჩვენებითობის შექმნას, რომლის თანახმადაც აშშ-ის ნებისმიერი ქმედება, როგორიც არ უნდა ყოფილიყო ის სინამდვილეში, საერთაშორისო სამართლის ნორმებს შეესაბამებოდა.

**ზუსტად იმავე დროს, როდესაც დასავლეთი საიდუმლო ღონისძიებას გეგმავდა დიდ სამამულო ომში საკუთარი მოკავშირის წინააღმდეგ, მან ჩამოაყალიბა ტერორისტული კლუბი, რომელიც ნატოს სახელითაა ცნობილი და რომელიც ჩრდილოატლანტიკური შეთანხმების ორგანიზაციას წარმოადგენს. თითქმის თავიდან ბოლომდე ეს ორგანიზაცია ნაცისტური დაწესებულება იყო. მაგალითად, ნაცისტი გენერალი რეიჰარდ გელენი, რომელიც ვერმახტის უმაღლესი სარდლობის რუსულ ნაწილს ედგა სათავეში და ასევე გახლდათ კონსულტანტი ებრაელთა საქმის საბოლოო გადაწყვეტისათვის, საიდუმლოდ გადაგზავნეს აშშ-ში, სადაც მას თავისი უზარმაზარი საგანძური — საბჭოთა კავშირის შესახებ მოგროვილი და დამალული დოკუმენტები — უნდა გადაეცა და შემდეგ ჩამოეყალიბებია რუსეთის განყოფილება მალევე ჩამოყალიბებული ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოსთვის.**

ამის შემდეგ გენერალს ომის შემდგომ გერმანიაში დააბრუნებენ და ახალ საიდუმლო სადაზვერვო სამსახურს — BND-ს ჩააბარებენ. გამოვიდა, რომ ამ დროს რუსეთის ერთი განყოფილების ნაცვლად უკვე ორი მუშაობდა და ორივეს ერთი და იგივე საბოლოო მიზანი ჰქონდა: **საბჭოთა კავშირისა და კომუნიზმის განადგურება.**

როდესაც ცივი ომი გაჩაღდა, ასობით და ათასობით ნაცისტმა ახალი ცხოვრება დაიწყო: ისინი აშშ-ზე, ბრიტანეთსა და კანადაზე შეუდგნენ მუშაობას. ამის შემდეგ მასობრივი მკვლელობები პოლიტიკის განუყოფელ ნაწილად იქცა. ეს პოლიტიკა იმავე პატრონების შემუშავებული იყო, რომლებმაც თავის დროზე მხარი დაუჭირეს ჰიტლერსა და მის ფაშისტურ წამოწყებებს. თავიანთ მოვალეობებს დაბრუნებული ძველი ნაცისტებისათვის ყველა საშუალება გამართლებული გახდა, თუ მას გამოიყენებდნენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

დასავლეთი გერმანია ექსნაცისტის — კონდარ ადენაუერის მეთაურობით 1954 წელს ნატოს შეუერთდა, გელენი კი ინარჩუნებდა კავშირს თავის პრონაცისტ კურატორ ალენ დალესთან, რომელიც ცსს-ს მეთაური უნდა გამხდარიყო, მით უფრო, რომ მისი ძმა — ჯონ ფოსტერ დალესი სახელმწიფო მდივანი გახლდათ. სულ მალე ნატომ ძველი და გამოცდილი ნაცისტების წამყვან თანამდებობებზე დანიშვნა დაიწყო.

მაგალითად, გენერალი **ჰანს შპაიდელი** 1957 წელს ცენტრალურ ევროპაში ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი გახდა. ნაცისტური წარსულის ადმირალი **ფრიდრიხ გუგენბერგერი** ვაშინგტონში ნატოს ძალზე მნიშვნელოვანი სამხედრო კომიტეტის შემადგენლობაში აღმოჩნდა, ხოლო ერთ დროს გელენის უფროსი, გენერალი **ადოლფ ჰოიზინგერი** ამავე კომიტეტში მისი მოადგილე გახდა.

გელენმა მოახერხა, რომ რამდენიმე ნაცისტი კოლაბორაციონისტი გაერთიანებული შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლის შტაბში მნიშვნელოვან თანამდებობაზე მოეხვედრებინა. მათ შორის იყო პოლკოვნიკი **ჰენინგ შტრიუმპელიც,** რომელიც ბრიტანელი გენერალ-მაიორის, დაზვერვის ზემოხსენებული შტაბის უფროსის თანაშემწის — **ჩარლზ ტრაივერის** მოადგილე გახდა. პოლკოვნიკი **ჰაინც კოლერ-კრაუსი** მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილებას ჩაუდგა სათავეში. ცოტა ხნის შემდეგ გელენის სხვა ხალხი ნატოში იმისთვის მოხვდა, რომ მომავალში ორგანიზაციის კურსი განესაზღვრა.

გელენის ნაცისტური სადაზვერვო სამსახურის საქმის გამგრძელებელი ნატოსა და ცსს-ში კომფორტულად მოკალათებული იმავე ნაცისტების დახმარებით „ახალი ველტ ორდნუნგი“ ბერლინის რეიხსტაგიდან პენტაგონსა და ლენგლიში გადაჯდა.

აშშ-ის ელიტებმა აღიარეს გებელსისეული სიმართლის სამინისტროს ღირებულებები და ისწავლეს გაკვეთილი, რომელიც განახორციელეს კიდეც ოდესმე არსებულ პროპაგანდისტულ ქსელთაგან ყველაზე დახვეწილის შექმნით. ამის შემდეგ დასავლეთის ყველა ომს რაღაც ილუზორული სახელწოდება ერქმეოდა, მაგალითად: „ომი დემოკრატიისთვის“, „ომი მშვიდობისთვის“, „ჰუმანიტარული ომი“ და ასე შემდეგ დაუსრულებლად.

**ამერიკულ-ბრიტანულ-ნაცისტური ახალი მსოფლიო წესრიგის დასამყარებელი პროპაგანდისტული ომების შემადგენელი ნაწილები იყო რადიოები: „თავისუფალი ევროპა“ და „თავისუფლება“. ორივე დაკომპლექტებული იყო ყოფილი ნაცისტების მიერ და ორივეს ცსს აფინანსებდა.**

ცსს-სთან ერთად, რომელმაც საბჭოთა კავშირის მიერ მკაცრად ჩახშობილი უნგრული ამბოხების პროვოცირება მოახდინა, ამ ნაცისტმა მასობრივმა მკვლელებმა დააფუძნეს უნგრეთის განყოფილება, რომელიც იატაკქვეშეთის პრონაცისტურ ელემენტებს იარაღითა და სხვა დახმარებით უზრუნველყოფდა. ამ ეპიზოდის საწყისი გამოყენება ნაკლებად იყო დაკავშირებული სიკვდილთან, უფრო მეტად ის პროპაგანდისტული დატვირთვის იყო და ქმნიდა გასანადგურებელი „ბოროტების იმპერიის“ სახეს.

დოქტორი ებერჰარტ ტაუბერტი ნაციონალურ-სოციალურ პარტიაში 1931 წელს შევიდა და მალე მიიღო შტურმფიურერის წოდება გებელსის კვალდაკვალ პროპაგანდის სამინისტროში. ომის შემდეგ ტაუბერტი სამხრეთ აფრიკაში გაიქცა, სადაც ნეონაცისტებმა კომფორტული პირობები შეუქმნეს. 1950 წელს იგი გერმანიაში დაბრუნდა და შეხვდა თავის ძველ ნაცისტ მეგობარს — რეინჰარდ გელენს BND-ში თავის ახალ თანამდებობაზე მუშაობისას. ამავე დროს ტაუბერტი ცსს-ს მხარდაჭერის მქონე „მშვიდობისა და თავისუფლების ნაციონალური ასოციაციის“ თავმჯდომარე და ექსნაცისტი თავდაცვის მინისტრის — ფრანც იოზეფ შტრაუსის მრჩეველი გახდა. ამ უკანასკნელმა გაგზავნა იგი ნატოში ფსიქოლოგიური ომის დეპარტამენტის მრჩევლის რანგში. გებელსის სიმართლის სამინისტრომ მეორე სიცოცხლე შეიძინა.

გარდა ამისა, **ნატო მჭიდრო კავშირში იყო ტერორისტული აქტების სერიასთან, რომლებიც 70-იან წლებში იტალიაში „დაძაბულობის სტრატეგიის“ ფარგლებში განხორციელდა და რომლის მიზანიც ხელისუფლებაში ფაშისტური მარჯვენა ფრთის მოყვანა და ამით „სტაბილურობის“ აღდგენა იყო. ამ ტერაქტებს, რომლებიც მრავალი ტერორისტის დახმარებით და ნატო-ნაცისტების გელენისეული ტერორისტების თავგანწირვით საზოგადოებრივ ადგილებში ბომბების აფეთქებას გულისხმობდა, ასობით ადამიანი ემსხვერპლა.**

აი, ეს ადამიანები და მათი მიმდევრები მართავენ ნატოს, რომელიც ჰუმანურობის სახელით მთელ მსოფლიოში გვამებით მოფენილი გზებით დადის.

mixednews.ru








**პოლიტიკურ საზოგადოებაში ძალზე იოლად ნებდებიან რეკლამის მწარმოებელთა ზეწოლას. ეს უკანასკნელნი კი ცდილობენ, საკუთარი გზიდან ყველა წინაღობა ჩამოიშორონ, რათა მაქსიმალური მოგება მიიღონ. მაგალითად, ხელისუფლების აღიარებით, 2010 წლის 12 ივნისის კანონით, საზოგადოებრივ ადგილებში რეკლამა კი არ იზღუდება, არამედ პირიქით, ქმნის პირობებს „ისეთი სექტორების დაჩქარებულად განვითარებისთვის, როგორიცაა მიკრორეკლამა, ინოვაციური სარეკლამო საშუალებები, რეკლამა აეროპორტებსა და ავტოსადგურებში, რაც საშუალებას იძლევა, ვივარაუდოთ წარმოების იმ სფეროების ბრუნვის 10-30%-ით გაზრდა, რომლებიც ამ სფეროებში აბანდებენ ფულს“.**

დაიჯესტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ფრთხილად, რეკლამაა!

**3 აპრილს „les Deboulonneurs“-ის (გამანადგურებლები) ჯგუფის რვა წევრი პარიზში მართლმსაჯულების წინაშე წარსდგა სააპელაციო მოსმენაზე სარეკლამო ფარების გაფუჭების ბრალდებით. პროცესის დროს პროკურორის საბრალდებო სიტყვის საკვანძო არგუმენტი რეკლამის დამამზადებელთა სიტყვის თავისუფლებაზე თავდასხმა გახდა. სასამართლო საბოლოო გადაწყვეტილებას რამდენიმე დღეში მიიღებს, სწორედ ამიტომაცაა საჭირო იმის გახსენება, რომ თავად რეკლამა და მისი სხვადასხვა ელემენტი ადამიანთა პირად თავისუფლებებზე თავდასხმაა და, შესაძლოა, საზოგადოების ჯანმრთელობაზე დამანგრეველი ზეგავლენის ინსტრუმენტადაც იქცეს.**




კოგნიტიური და საზოგადოებრივი მეცნიერებები, უპირველეს ყოვლისა, ნერვოლოგია, ფსიქოლოგია და ფსიქიატრია, რომელთა ჩამოყალიბებასაც კაცობრიობამ სიცოცხლის არაერთი წელი მიუძღვნა, ირწმუნებიან, რომ რეკლამა ეფუძნება გაცილებით უფრო ავტომატურ მხარეებს ადამიანის ქცევაში, მათ შორის არაცნობიერი სახითაც, თუმცა ადამიანის ტვინის შესწავლის ახალი მეთოდები საშუალებას იძლევა, უკეთესად იქნეს გაგებული მექანიზმები, რომელთა საშუალებითაც ახალი ცოდნის გამოყენება სარეკლამო სფეროში, განსაკუთრებით ნეირომარკეტინგში, საჭიროს ხდის საზოგადოებრივ ადგილებში რეკლამის არსებობის ფართოდ განხილვას.

დასაწყისისთვის გავიხსენოთ რეკლამის ისტორიული წარმომავლობა. პირველი მნიშვნელოვანი წინსვლა ამ სფეროში XX საუკუნის დასაწყისში მოხდა. რეკლამა ინფორმაციის უბრალო, მრავალჯერადი გამეორების მეთოდიდან მასების დარწმუნების მეთოდოლოგიის დამუშავებაზე გადავიდა. ამ საქმეში ერთ-ერთი პირველთაგანი არც მეტი, არც ნაკლები, სახელგანთქმული ფროიდის ნათესავი **ედვარდ ბერნეისი** გახლდათ. მან გადაწყვიტა ფსიქოანალიზის აღმოჩენები გამოეყენებია, რათა მიეღწია „უხილავი ლიდერების“ მიერ ადამიანების „შეგნებული, გააზრებული მანიპულაციისათვის მათი აზრებითა და ჩვევებით“. ამ ახლებური მიდგომის ყველაზე შოკისმომგვრელი გამოვლინება გახდა პრესაში გაჩენილი ლამაზი, თანამედროვე და დამოუკიდებელი გოგონების ფოტოები. ისინი „თავისუფლების ჩირაღდნებად“ წოდებულ სიგარებს ეწეოდნენ. იმ დროს, როდესაც ამგვარი ქცევა კატეგორიულად მიუღებლად ითვლებოდა, გოგონებისათვის მოწევისაკენ ბიძგის შემდეგ ბერნეისმა განაცხადა, რომ ამით თამბაქოს ინდუსტრიის პოტენციალი გააორმაგა.

**ნეიროვიზუალიზაციის ახალი ტექნოლოგიების წყალობით, მეცნიერებმა ცოტა ხნის წინ დაიწყეს იმის შესწავლა, თუ რა გავლენას ახდენს ამა თუ იმ ბრენდის გამოსახულება ჩვენს ტვინზე. ამისათვის ისინი მთელ ყურადღებას მიმართავენ წახალისების სისტემაზე, რომელიც თავისთავად წარმოადგენს ტვინის ევოლუციურად უძველესი ოლქების ერთიანობას. ეს სისტემა ზეგავლენას ახდენს ემოციებსა და გადაწყვეტილების მიღებაზე ისე, რომ ისინი არ ექვემდებარებიან სუფთა რაციონალურ შეფასებებს.** გარდა ამისა, ის ძალზე მგრძნობიარეა ჩვენი გარემოცვის გარკვეული სიგნალების მიმართ, რომლებმაც ჩვენს ქცევაზე, შესაძლოა, ჩვენსავე გაუცნობიერებლად მოახდინონ გავლენა. ამაში დარწმუნება საკმაოდ ადვილადაა შესაძლებელი ლაბორატორიული კვლევების დროს.

**ამ ფაქტებზე დაყრდნობით ამერიკელ მეცნიერთა ჯგუფმა შეადარა ადამიანის წახალისების სისტემის ტვინის მოქმედება ადამიანებში, რომელთაც გაზიანი წყლის ორი სახეობა შესთავაზეს**. როდესაც ტესტი ჩატარდა ისე, რომ ადამიანებმა არ იცოდნენ გაზიანი წყლის არც ერთი სახეობის სახელწოდება, ორივე სასმელმა თანაბარი შეფასება დაიმსახურა და ერთგვარად გაააქტიურა წახალისების სისტემა. მას შემდეგ, რაც ეტიკეტები გამოაჩინეს იგივე გაზიან სასმელებზე, ერთ-ერთმა სახეობამ წახალისების სისტემაზე გაცილებით მეტი ზეგავლენა მოახდინა და უმეტესობის მოწონება დაიმსახურა. ამ კვლევამ პირველად მოახდინა იმის დემონსტრირება ტვინის აქტივობის მაგალითზე, თუ როგორ შეუძლია რეკლამის მიერ შექმნილ ბრენდს, შეცვალოს ადამიანის ჭეშმარიტი დამოკიდებულებები.

მას შემდეგ ნეიროვიზუალიზაციის მეთოდის დახმარებითა და ნეირომარკეტინგის დროშით სულ უფრო მეტად დაიწყეს ამ უპირატესობების კვლევა. ჩვენს დრომდე ეს მიდგომა ჩვეულებრივ გამოიყენებოდა იმისთვის, რომ სარეკლამო გზავნილი წახალისების სისტემის ძლიერი აგზნებისათვის ყოფილიყო გამიზნული, თუმცა **დღეისათვის ნეირომარკეტინგი სამეცნიერო პუნქტუალობის არარსებობის გამო კრიტიკის ქარცეცხლშია, მაგრამ მეცნიერების განვითარებასთან ერთად ის, შესაძლოა, სარეკლამო ინჟინერიის მთავარ ინსტრუმენტად იქცეს.**

ჩვენს წახალისების სისტემაზე რეკლამის ზემოქმედება უნდა განვიხილოთ ადამიანთა ჯანმრთელობაზე მისი გავლენის კუთხითაც. როგორც ცნობილია, ზოგიერთი ადამიანის წახალისების სისტემა განსაკუთრებით მგრძნობიარეა. მაგალითად, ეს ნერვული ცენტრები ჭარბწონიან ადამიანებს ულიზიანდებათ არანორმალურად, როდესაც მაღალკალორიულ საჭმელს ხედავენ. რეკლამა ახორციელებს მათი სისუსტეების ექსპლოატირებას და უძლიერებს ლტოლვას პროდუქტის ჭარბი მოხმარებისკენ. ბავშვები რეკლამისადმი ძალზე მგრძნობიარე ფენას განეკუთვნებიან, რადგან მათი ნერვული სისტემა ჯერ ისევ განვითარების პროცესშია. უამრავ მსხვილ სამედიცინო გამოცემაში გამოქვეყნებული კვლევების საფუძველზე, კვების პროდუქტების სტანდარტიზაციის ბრიტანულმა სააგენტომ მოითხოვა, რომ ბავშვებს მიენიჭოთ სარეკლამო ზეწოლისაგან დაცვის უფლება. მათი მტკიცებით, **რეკლამა ხელს უწყობს ზედმეტად კალორიული, ზედმეტად ტკბილი და ზედმეტად მლაშე პროდუქტების ჭარბ გამოყენებას, რაც საფრთხეს უქმნის ბავშვების ჯანმრთელობას როგორც აწმყოში, ასევე მომავალში.**

აშშ-ში ჩატარებული ანალიზები იმაზე მეტყველებს, რომ **სასურსათე პროდუქციის რეკლამაზე კონტროლის გამკაცრებით შესაძლებელი იქნება მესამედით შემცირდეს ბავშვთა ჭარბწონიანობის მაჩვენებელი. საერთო ჯამში ახლა ცნობილია, რომ წახალისების სისტემის მოშლას თან ახლავს მრავალი ფსიქოლოგიური და ფსიქიატრიული აშლილობაც.**

ეს ყველაფერი არაორაზროვნად მიანიშნებს იმაზე, რომ ახლა საუბარია რაღაც გაცილებით უფრო სერიოზულზე, ვიდრე რეკლამის შემკვეთთა სიტყვის თავისუფლებაა. ეს თავისუფლება განუყოფლადაა დაკავშირებული სხვა, მის შემავსებელ „აღუქმელობის“ თავისუფლებასთან. საუბარია ყველა მოქალაქის უფლებაზე, თავად გადაწყვიტოს, სად და როდის მიიღოს სარეკლამო ინფორმაცია. ეს უფლება სჭირდებათ ადამიანებს, რათა თავი დაიცვან მარკეტინგის გავლენისგან ან, უბრალოდ, დაისვენონ საინფორმაციო გადატვირთულობისგან. სხვადასხვა შეფასებებით, ბავშვები ყოველდღიურად რამდენიმე ათასი სარეკლამო წყაროს ზემოქმედების ქვეშ ექცევიან. ამგვარი ყოველდღიური საინფორმაციო დაცხრილვის შედეგად, ადამიანს სჭირდება რეკლამის აღუქმელობის უფლება, განსაკუთრებით საზოგადოებრივ ადგილებში. სახელმწიფო უნდა გახდეს კომერციული ნეიტრალიტეტის გარანტი, ასევე, ყველა ადამიანის ფსიქოლოგიური მდგრადობის გარანტიც.

ბოლოდროინდელი მოვლენები საგანგაშოა. მაგალითად, პარიზის მეტროს მგზავრებს შეუმჩნეველი არ რჩებათ ბეჭდვითი რეკლამის პერიოდული ცვლა უზარმაზარ ბრტყელ ეკრანებზე. ეს ტექნოლოგია იმ ფაქტს ემყარება, რომ ნებისმიერი მოძრავი გამოსახულება ხედვის არეალის პერიფერიაზე ავტომატურად იპყრობს ადამიანის ყურადღებას. ამგვარი გაუცნობიერებელი რეაქცია ჩვენი ევოლუციის მემკვიდრეობაა, ანუ იმ დროიდან მოგვდევს, როდესაც საფრთხე შეიძლებოდა გაფრთხილების გარეშე დაგვტყდომოდა თავს. გაცნობიერებას თან ახლავს გამძაფრებული განგაშის შეგრძნება და სტრესი, რაც გზავნილის დამახსოვრებას უწყობს ხელს. გარდა ამისა, ამგვარ დისპლეიზე მზერის ინტენსივობის განმსაზღვრელი გადამცემების დამონტაჟებამ, შესაძლოა, მეტროს რიგითი მგზავრები მათივე ნებართვის გარეშე საცდელ კურდღლებად აქციოს.

სამწუხაროდ, იძულებულნი ვართ, მოვახდინოთ იმის კონსტატირება, რომ მგზავრებისათვის არ უკითხავთ აზრი და არც საქმის კურსში ჩაუყენებიათ ისინი იმ ცვლილებებთან დაკავშირებით, რომლებიც მათ ვიზუალურ გარემოცვას უშუალოდ ეხებოდა და რომელთაც მათი ქცევის შესახებ ინფორმაციის შეგროვება მოსდევს შედეგად. ამას უნდა დაემატოს ათეულ ათასობით გამოკითხვის შედეგიც, რომლებიც სხვადასხვა დროს ჩაატარეს სარეკლამო კომპანიებმა 1960-იან წლებში მათი გაჩენიდან მოყოლებული დღემდე. დღეისათვის, ციფრული ტექნოლოგიების წყალობით (რადიოსიხშირის ჩიპები, ჯიპიესი სმარტფონებში, ყველგან დაქსაქსული სოციალური ქსელები და ასე შემდეგ), ეს თვალთვალი და დევნა ადრე წარმოუდგენელ მასშტაბებს აღწევს. დღეს ამ გეოლოკალიზებულ პროფილურ მონაცემებს დიდი ფული მოქვს: თითეული 0,1-დან 0,7 ევრომდე ღირს. ამრიგად, **ნებისმიერ მცხოვრებს სარეკლამო ინდუსტრიისათვის დღეში დაახლოებით 50 ევრო მოაქვს ისე, რომ თავად ამის შესახებ არაფერი იცის.**

ამ პრობლემის განუსჯელობის პირობებში **პოლიტიკურ საზოგადოებაში ძალზე იოლად ნებდებიან რეკლამის მწარმოებელთა ზეწოლას. ეს უკანასკნელნი კი ცდილობენ, საკუთარი გზიდან ყველა წინაღობა ჩამოიშორონ, რათა მაქსიმალური მოგება მიიღონ. მაგალითად, ხელისუფლების აღიარებით, 2010 წლის 12 ივნისის კანონით, საზოგადოებრივ ადგილებში რეკლამა კი არ იზღუდება, არამედ პირიქით, ქმნის პირობებს „ისეთი სექტორების დაჩქარებულად განვითარებისთვის, როგორიცაა მიკრორეკლამა, ინოვაციური სარეკლამო საშუალებები, რეკლამა აეროპორტებსა და ავტოსადგურებში, რაც საშუალებას იძლევა, ვივარაუდოთ წარმოების იმ სფეროების ბრუნვის 10-30%-ით გაზრდა, რომლებიც ამ სფეროებში აბანდებენ ფულს“.**

საზოგადოებრივ სივრცეში რეკლამის ადგილის შემცირება აბსოლუტურად რეალური მოთხოვნაა. 2006 წელს სან-პაულუს მუნიციპალურმა საბჭომ პრაქტიკულად ერთხმად მიიღო კანონი „სუფთა ქალაქი“, რომელმაც საზოგადოებრივ ადგილებში ყველანაირი რეკლამა აკრძალა. ამ კანონის ძალაში შესვლიდან ხუთ წელიწადში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ მოსახლეობის 70% შედეგებს დადებითად აფასებს.

**Le Monde**

მოკლედ

## ირანი აშშ-ის ბაზებს დაემუქრა

**ირანი აცხადებს, რომ აშშ-ის ბაზებს ახლო აღმოსავლეთში რამდენიმე წუთში გაანადგურებს.** წყაროს ცნობით, ირანს მზად აქვს საპასუხო მოქმედებების გეგმა იმ შემთხვევისათვის, თუ მასზე თავდასხმა მოხდება. გეგმის თანახმად, ახლო აღმოსავლეთის რეგიონში განთავსებული ამერიკული ბაზები მოწინააღმდეგის შეტევის დაწყებიდან პირველივე წუთებში განადგურდება. ეს განცხადება ისლამური რევოლუციის დამცველთა კორპუსის აეროკოსმოსური ძალების ხელმძღვანელმა, გენერალმა ამირ ალი ჰაჯიზადემ გააკეთა. „ჩვენ შევიმუშავეთ რაკეტების განთავსების ღონისძიებები, რომლებიც თავდასხმის პირველივე წუთებში 35 ბაზის განადგურების საშუალებას იძლევა“, — აღნიშნა გენერალმა.

## არბიტრის შემცვლელი ტექნოლოგიები

**მსოფლიო ფეხბურთის მმართველმა ორგანომ — ფიფამ რევოლუციური გადაწყვეტილება მიიღო — ხანგრძლივი ექსპერიმენტების შემდეგ გადაწყვიტა, რომ საფეხბურთო მატჩებში გოლის გასვლის დამდგენი ტექნოლოგია დანერგოს, რაც იმას ნიშნავს, რომ მხოლოდ მატჩის არბიტრის სურვილზე აღარ იქნება დამოკიდებული სადავო გოლის ჩათვლა-არჩათვლა.** კარის აღების დამდგენი სისტემის საქმეში გამოცდაზე საუბარი, კარგა ხანია, მიმდინარეობს. ფიფასთვის ბოლო წვეთი კი, ევროპის 2012 წლის ჩემპიონატზე, უკრაინა-ინგლისის მატჩში, მასპინძლებისთვის არჩათვლილი გოლი აღმოჩნდა, რასაც საფეხბურთო სამყაროში დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**2020-2030 წლებში იაპონიისა და მრავალი ევროპული ქვეყნის შრომისუნარიანი მოსახლეობა წელიწადში 0,5-1,5%-ით შემცირდება. სრული დასაქმების შემთხვევაშიც კი საერთო შიდა პროდუქტის მაჩვენებელი ერთ დონეზე გაიყინება ან შემცირდება, რადგან მომუშავეთა რაოდენობა უფრო სწრაფად შემცირდება, ვიდრე შრომის ნაყოფიერება გაიზრდება.**

# ძნელი ყოფილა თურმე სიბერე...

**ძველი რომის იმპერიის დაცემიდან, შავი სიკვდილიდან მოყოლებული ახალ მსოფლიომდე და მეოცე საუკუნის ახალგაზრდულ რევოლუციებამდე, დემოგრაფიული ტენდენციები გადამწყვეტ როლს ასრულებდა მრავალ დიად საქმეში — დაპყრობებში, პოლიტიკურ გადატრიალებებში, მიგრაციებსა და ეკოლოგიურ კატასროფებში. 2020 წლისთვის დემოგრაფიული ტენდენციების ახალი ავბედითი კონიუნქტურა, შესაძლოა, კვლავ დაემუქროს მსოფლიოს ფართომასშტაბიანი ნგრევით.**
**ცხადია, საუბარია გლობალურ დაბერებაზე, რაც აუცილებლად მოახდენს არსებით გავლენას ეკონომიკურ ზრდაზე, ცხოვრების დონეზე და მსოფლიო წესრიგზეც კი.**



უმდიდრესი ქვეყნებისთვის 2020-იანი წლები სწრაფი დაბერების ათწლეული იქნება და მოსახლეობის რაოდენობის შემცირებას განაპირობებს. ათეულობით წლის მანძილზე განვითარებული მსოფლიო ბერდებოდა შობადობის დონის შემცირებისა და სიცოცხლის ხანგრძლივობის გაზრდის გამო, მაგრამ 2020-იან წლებში ეს დაბერება დამატებით ბიძგს შეიძენს, როდესაც ომისშემდგომი ბეიბი-ბუმის თაობა მასიურად გავა პენსიაზე.

გაეროს მოსახლეობის განყოფილების მონაცემებით, დასავლეთ ევროპისა და იაპონიისათვის საშუალო ასაკობრივი მაჩვენებლები, რომლებიც ჯერ კიდევ 1980 წელს, შესაბამისად, 34 და 33 წელს უტოლდებოდა, 2030 წლისათვის — 48 და 52 წლამდე გაიზრდება, თუ შობადობა არ მოიმატებს. იტალიის, ესპანეთისა და იაპონიის მოსახლეობის ნახევარზე მეტი ოფიციალურ საპენსიო ასაკს გადააჭარბებს, 70 წელს გადაცილებულთა რაოდენობა კი 20 წლის ადამიანთა რაოდენობას გადააჭარბებს.

**შობადობის დონის ვარდნა არა მხოლოდ გარდაქმის ტრადიციურ დემოგრაფიულ პირამიდებს და ამძიმებს მათ მხცოვანი ადამიანების სიჭარბით, არამედ იგი არის ახალი ერის — მოსახლეობისა და მუშა ხელის შემცირების მომასწავებელიც.**

შრომისუნარიანმა მოსახლეობამ უკვე დაიწყო შემცირება რამდენიმე მსხვილ განვითარებულ ქვეყანაში, მათ შორის გერმანიასა და იაპონიაშიც. 2030 წლისათვის ეს მაჩვენებელი გაიყინება ან კლებას დაიწყებს ყველა განვითარებულ ქვეყანაში და სულ უფრო მეტი ქვეყანა შეეჯახება მოსახლეობის შემცირების პრობლემას. იმიგრანტების ნაკადის ან შობადობის გაზრდის გარეშე საუკუნის დასასრულამდე იაპონიასა და ევროპის ზოგიერთ ქვეყანას მოსახლეობის განახევრება ელის.

ეს ტენდენციები ახლანდელ განვითარებულ ქვეყნებს საყოველთაო უსაფრთხოების მხარდაჭერის შესუსტებით ემუქრება. ჯერ ერთი, ისინი პირდაპირ მოქმედებენ მოსახლეობის რაოდენობასა და საერთო შიდა პროდუქტის მოცულობაზე და, შესაბამისად, ადამიანურ და ეკონომიკურ რესურსებზეც, რომლითაც აპერირება შეუძლიათ ქვეყნებს. მაგრამ დაბერებამ და მოსახლეობის რაოდენობის შემცირებამ, შესაძლოა, ირიბად იმოქმედოს შესაძლებლობებზე და შეცვალოს ქვეყნების სახელმწიფო მიზნებიც კი.

**პენსიებსა და ჯანდაცვაზე ხარჯების გაზრდა სერიოზულ ზეწოლას მოახდენს სამთავრობო ბიუჯეტებზე და თავისუფლად გადაყლაპავს სხვა პრიორიტეტულ მიმართულებებს, მაგალითად, ეროვნულ თავდაცვას. საზოგადოებისა და ამომრჩეველთა დაბერების გამო პროგნოზირების დამოკლებული ჰორიზონტები შეასუსტებს არა მხოლოდ განვითარებული ქვეყნების გეოლოლიტიკურ როლს, არამედ მათ მზაობასაც ამ როლის შესასრულებლად.**

განვითარებული ქვეყნების დასუსტება არც იქნებოდა სადარდელი, თუ გვეცოდინებოდა, რომ მსოფლიო სულ უფრო მშვიდობისმოყვარე ხდება, მაგრამ, სამწუხაროდ, ყველაფერი პირიქითაა. 2020-იან წლებში განვითარებადი ქვეყნები საკუთარი, პოტენციურად დესტაბილიზირებადი დემოგრაფიული ვარდნების დარტყმებს იწვნევენ. ჩინეთს მასიური დაბერების ტალღა ზუსტად მაშინ გადაუვლის, როცა მსოფლიოში ლიდერი ეკონომიკის პოზიციაზე წამოაყენებს პრეტენზიას. რაც შეეხება მუსლიმანურ ქვეყნებს, ახალგაზრდობის აღორძინება ელის და მათი ამბიციების დაკმაყოფილება არც ისე იოლი საქმე იქნება.

**საზოგადოებრივი და პოლიტიკური გადატრიალების რისკი, შესაძლოა, განვითარებადი სამყაროს ყველა ქვეყანაში გაჩნდეს, განვითარებადი მსოფლიოს შესაძლებლობა კი ამგვარი კრიზისების დასაძლევად დღითიდღე მცირდება.**

მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის დონე არაა კავშირში საზოგადოებრივ სტატუსთან, არავინ დავობს, რომ მოსახლეობის რაოდენობა ეკონომიკის მასშტაბებთან ერთად მძლავრი მამოძრავებელია ორმაგი მოქმედების ეკონომიკისათვის. **მოსახლეობის მრავალრიცხოვნება ომში მონაწილეობის საშუალებასა და მშვიდობის დამყარების საშუალებას იძლევა; დიდი მასშტაბების ეკონომიკა კი — იმისას, რომ მეტი დახარჯონ ეროვნული თავდაცვის სიძლიერეზე და სხვა სახელმწიფოების დახმარებაზე**. ის ასევე შეძლებს „რბილი ძალის“ გაფართოებას ბიზნეს-გავლენის, კავშირებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის ჩამოყალიბების, მსოფლიო მედიაზე გავლენის გზით.

მაშ ასე, **2020-2030 წლებში იაპონიისა და მრავალი ევროპული ქვეყნის შრომისუნარიანი მოსახლეობა წელიწადში 0,5-1,5%-ით შემცირდება. სრული დასაქმების შემთხვევაშიც კი საერთო შიდა პროდუქტის მაჩვენებელი ერთ დონეზე გაიყინება ან შემცირდება, რადგან მომუშავეთა რაოდენობა უფრო სწრაფად შემცირდება, ვიდრე შრომის ნაყოფიერება გაიზრდება.**

განვითარებულ ქვეყნებში ეკონომიკური მაჩვენებლები გაუარესდება, შრომითი რესურსები კი არა მხოლოდ გაუარესდება, არამედ გაცვდება კიდეც, რადგან ხანდაზმულთა წარმადობა მუდამ კლებადია.

**დაბერებადი შრომითი რესურსების ეკონომიკები, სავარაუდოდ, შეეჯახება კიდევ ერთ მნიშვნელოვან პრობლემას — სამეწარმეო საწყისების კლებას.** ახალი კომპანიების გახსნის უდიდესი წილი ახალგაზრდობაზე მოდის, გამოკითხვების თანახმად, ახალი საწარმოების 40%-ის მფლობელნი 35 წელზე ნაკლები ასაკისანი არიან, 69% კი — არაუმეტეს 45 წლისა.

ვინაიდან მოსახლეობის უმეტესობა საპენსიო ან მასთან მიახლოებული ასაკისა იქნება, დანაზოგის მოცულობა შემცირდება, ეს კი იმას ნიშნავს, რომ კომპანიებს აღარ ეყოფათ ინვესტიციები, ან განვითარებული ქვეყნები დამოკიდებულნი გახდებიან განვითარებად ქვეყნებზე.

**პირველ შემთხვევაში, წარმოების მოცულობა შემცირდება, მეორე შემთხვევაში კი, განვითარებული ქვეყნები გადაიხდიან დიდ თანხებს ვალების მომსახურებისათვის** და დაკარგავენ პოლიტიკურ სადავეებს, რომლებიც, როგორც ისტორია გვიჩვენებს, მუდამ კრედიტორი სახელმწიფოების ხელში გადადის.

იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეკონომიკური ზრდა მხოლოდ შენელდება, განვითარებულ ქვეყნებს მოუწევთ, სულ უფრო მეტი ეკონომიკური რესურსი დახარჯონ შრომისუუნარო უმუშევარი მოსახლეობისათვის. მოხუცებისთვის პენსიის, ჯანდაცვისა და ახლა მოქმედი შეღავათების შენარჩუნების შემთხვევაში, **2030 წლისათვის განვითარებული ქვეყნების ბიუჯეტს ხარჯი საერთო შიდა პროდუქტის 7%-ით გაეზრდება. 2020 წლისათვის ამ ხარჯების შემცირების გამო პოლიტიკური კონფლიქტი გარდაუვალია. ბარიკადების ერთ მხარეს იდგება ახალგაზრდობა, ხოლო მეორე მხარეს — პენსიონერები.**

გადასახადების ეკონომიკურად დამანგრეველ ზრდასა და მოხუცებისთვის შეღავათების პოლიტიკურად შეუძლებელ შემცირებას შორის არჩევანს მრავალი სახელმწიფო ამჯობინებს მესამე გზას: ხარჯის შემცირებას სხვა ყველაფერზე, მათ შორის განათლებაზე, თავდაცვაზე და ასე შემდეგ.

შიდა ბაზრების შემცირების ან გაყინვის გათვალისწინებით, მრავალი ქვეყნის კომპანიები და პროფკავშირები დაიწყებენ ეკონომიკაში ცვლილებების ლობირებას, რაც კონკურენციის წინააღმდეგ იქნება მიმართული. შესაძლოა, ჩვენ თვალწინ ჩამოყალიბდეს კარტელები ბაზრის წილის შესანარჩუნებლად. შესაძლოა, ისიც ვნახოთ, თუ როგორ გახდებიან ხელისუფლებები იძულებულნი, შეზღუდონ საერთაშორისო კონკურენცია.

ამგვარი ძვრები ბიზნესის ფსიქოლოგიაში განაპირობებს უფრო ღრმა ძვრებს სოციალურ განწყობაში. **ფსიქოლოგიურად უფრო ხანდაზმული საზოგადოება კონსერვატიულობისკენაა მიდრეკილი და, შესაძლოა, არჩევანში არ მონიდომოს რისკი.** ელექტორატი, რომელშიც უდიდეს ნაწილს ხანდაზმულები შეადგენენ, შეეცდება, დააფიქსიროს არსებული ▶



**საზოგადოებრივი და პოლიტიკური გადატრიალების რისკი, შესაძლოა, განვითარებადი სამყაროს ყველა ქვეყანაში გაჩნდეს, განვითარებადი მსოფლიოს შესაძლებლობა კი ამგვარი კრიზისების დასაძლევად დღითიდღე მცირდება**

მოკლედ

## ქართველი მეცნიერები ბეტონის ახალი ტექნოლოგიის შექმნაზე მუშაობენ

ქართველი მეცნიერები ნანოტექნოლოგიების გამოყენებით ახალი თაობის ბეტონის ტექნოლოგიების შექმნაზე მუშაობენ. სამეცნიერო ჯგუფი გაუმჯობესებული ულტრამაღალი თვისებების ბეტონის სახეობის შექმნაზე ორი წლის განმავლობაში იმუშავებს. ახალი პროდუქტი გამორჩეული იქნება სიმტკიცით, საიმედოობით და არ იქნება მიდრეკილი ბზარების წამოქმნისკენ. სამეცნიერო ჯგუფის თქმით, კვლევის შედეგად შექმნილი ბეტონი წარმატებით დაინერგება სამშენებლო სფეროში, რადგან ის ხელს შეუწყობს ნაგებობათა მდგრადობისა და სეისმომედეგობის გაზრდას.

## აფხაზეთს რუსეთის ფედერაციის დელეგაცია ეწვია

აფხაზეთს 2-დღიანი ვიზიტით რუსეთის ფედერაციის დელეგაცია ეწვია. დელეგაციას რუსეთის ფედერაციის უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე რაშიდ ნურგალიევი და რუსეთის პრეზიდენტის თანაშემწე ტატიანა გოლიკოვა ხელმძღვანელობდნენ.

როგორც ცნობილია, რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კოორდინირების მიზნით უწყებათაშორისო კომისია შექმნა. რუსულმა დელეგაციამ გალის რაიონში რამდენიმე ობიექტი უკვე დაათვალიერა.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ახალი პროგნოზების თანახმად, შვიდი განვითარებული ქვეყნის საერთო შიდა პროდუქტის ჯამი 2009 წლის 72%-იანი მაჩვენებლიდან 2050-იან წლებში 40%-მდე დაეცემა. ამგვარი ვარდნის მიზეზი მხოლოდ ნელი ზრდა, მოსახლეობის დაბერება და დასაქმებული ადამიანების აქტივობის შემცირება კი არ იქნება, არამედ მსხვილ ბაზარზე ორიენტირებული ეკონომიკების (განსაკუთრებით — სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის) ექსპანსიაც.**



**ვალდებულებები სახელმწიფო ხარჯებთან დაკავშირებით და უარი თქვას პრიორიტეტულ ახალ მიმართულებებზე.** მცირერიცხოვანი ოჯახები ნაკლებად გაიმეტებენ ისედაც თითებზე ჩამოსათვლელ ახალგაზრდებს შესაძლო ომისათვის.

ამ დროს ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობებში სწრაფი გამრავლება და მუდმივი გადასახლება სოციალური დაძაბულობების საბაბი გახდება. იაფ მუშახელზე მზარდი მოთხოვნების გათვალისწინებით, დღევანდელი ტენდენციების შესაბამისად, 2030 წლისათვის საფრანგეთში ორჯერ მეტი მუსლიმანი იქნება, გერმანიაში კი — სამჯერ მეტი.

ევროპული მასმედია, უკვე დიდი ხანია, ყვება სევდიან ისტორიებს იმის შესახებ, თუ როგორ იკეტება სკოლები, სამშობიარო სახლები, როგორ ტოვებს მოსახლეობა ქალაქებსა და სოფლებს. იაპონიაში ხელისუფლება ლამის მთელი სერიოზულობით ითვლის და ანგარიშობს დღეს, როდესაც დედამიწაზე მხოლოდ უკანასკნელი იაპონელი დარჩება.

მართალია, მდიდარი ქვეყნები პიონერები იქნებიან მომავლის ხანდაზმულ მსოფლიოში, მაგრამ ეს ფენომენი გლობალური ხასიათისაა. **1975 წლიდან განვითარებად ქვეყნებში შობადობის საშუალო დონემ ერთ ქალზე 5,1 ბავშვიდან 2,7 ბავშვამდე იკლო, მოსახლეობის ნამატი კი წლიური 2,2%-დან 1,3%-მდე დაეცა. საშუალო ასაკობრივი მაჩვენებელი 21-დან 28-მდე გაიზარდა.**

ყველაზე ღატაკ და ყველაზე ნაკლებად მდგრად ქვეყნებში დემოგრაფიული ძვრები არ მომხდარა, იქ მოსახლეობაში ახალგაზრდობის მნიშვნელოვანი სიჭარბე შეინიშნება. იქ, განვითარებული ქვეყნებისაგან განსხვავებით, ახალგაზრდობის რაოდენობის ზრდა განსაკუთრებით დიდ ტემპით მიმდინარეობს, უფრო სწრაფი ტემპით, ვიდრე ეს ოდესღაც ახლანდელ განვითარებულ ქვეყნებში ხდებოდა.

ამ განსხვავების გამო **ზოგიერთი დემოგრაფი და პოლიტიკოსი მიიჩნევს, რომ ეს ახალი ეპოქის დასაწყისია, ეპოქისა, რომელშიც დემოგრაფიული ტენდენციები განსაზღვრავს მსოფლიოს სტაბილურობას.**

„დემოგრაფიულ მსოფლიოში“ ახალგაზრდობის წილის სწრაფი ზრდის საზოგადოება უფრო სწრაფად რატაკდება და მიდრეკილია ძალადობისაკენ სამოქალაქო საზოგადოების მიმართ. იქ მეტად მოსალოდნელია სახელმწიფოს გაკოტრება. ნელა მზარდი მოსახლეობისა და ხანდაზმულთა დიდი წილის შემცველი საზოგადოების ქვეყნებში მეტია მიდრეკილება კეთილდღეობისა და სტაბილურობისაკენ.

მაგრამ ეს თეზისი საფუძველშივე არასწორია. მასში არ შეინიშნება ისტორიული პროგრესის რეალური გრძნობა. ეკონომისტები და სოციოლოგები, რომლებიც განვითარების პროცესს შეისწავლიან, თანხმდებიან, რომ ტრადიციულიდან თანამედროვეზე გადასვლისას საზოგადოებები ძლიერი სოციალური, ეკონომიკური და კულტურული ქარიშხლის მსხვერპლნი ხდებიან. მსოფლიო ბაზარსა და მსოფლიო კულტურაში ინტეგრაციისას ინგრევა არა მხოლოდ ტრადიციული ეკონომიკური და სოციალისტური სტრუქტურები, არამედ ტრადიციულ ღირებულებათა სისტემებიც.

**დემოგრაფიულმა ძვრებმა, შესაძლოა, მოახდინოს ექსტრემისტული მოძრაობის გაძლიერების პროვოცირება.** რელიგიური და კულტურული ამბოხებები შეეცდებიან, კვლავ დაამტკიცონ ტრადიციული იდენტურობა, ამოავსონ სიცარიელე, როდესაც განვითარება ამოძირკვავს ადგილობრივ მოსახლეობას და განაპირობებს მრავალთაობიანი ოჯახების დეზორიენტირებას.

**დოკუმენტურად დადასტურებულია, რომ საერთაშორისო ტერორიზმი დაკავშირებულია შემოსავლებთან, განათლებასა და ურბანიზაციასთან. სახელმწიფოები, რომლებიც აფინანსებენ ტერორიზმს, იშვიათად განეკუთვნებიან ყველაზე ახალგაზრდებისა და ყველაზე ღატაკების კატეგორიას. სინამდვილეში ტერორისტები ყველაზე ხშირად არიან საშუალო შემოსავლებისა და დემოგრაფიული ძვრების პირობებში მცხოვრები ქვეყნის საშუალო ფენის არალოიალური წარმომადგენლები.**

ასევე შეიძლება განვითარდეს ეთნოსებსშორისი დაძაბულობაც. მრავალ საზოგადოებაში ზოგიერთი ეთნიკური ჯგუფი სხვებზე წარმატებულია ბაზარზე. ბაზარზე დომინირებული უმცირესობა განაპირობებს მკვეთრი უკმაყოფილების ჩამოყალიბებას დანარჩენ მოსახლეობაში.

არსებობს ისტორიული მაგალითი იმისა, როდესაც ქვეყნების დიდმა ჯგუფმა მთლიანად გადალახა დემოგრაფიული ძვრების პროცესი. ეს ქვეყნები ახლანდელი განვითარებული ქვეყნები არიან და მათი გამოცდილება აჩვენებს, რომ **1700-დან 1990-იან წლებამდე მიმდინარე პროცესი ხასიათდებოდა ყველაზე დამანგრეველი რევოლუციებით, სამოქალაქო ომებითა და მსოფლიო ომებით ცივილიზაციის ისტორიაში.** მეორე მსოფლიო ომში ჩართული ქვეყნები ხასიათდებოდნენ მაღალი საშუალო ასაკის მაჩვენებლით და დაბალი შობადობით ანუ იყო იმ სტადიაში, რომელიც ახლანდელი განვითარებული მსოფლიოს ქვეყნების უმეტესობას ახასიათებს და უახლოესი 20 წლის პროგნოზიც ნათელია. ისინი, ვინც ამბობენ, რომ გლობალური დაბერება მშვიდობას მოიტანს დედამიწაზე, გადახტომამდე ყვირიან ჰოპლას.

**2030 წლისათვის განვითარებული ქვეყნების ბიუჯეტს ხარჯი საერთო შიდა პროდუქტის 7%-ით გაეზრდება. 2020 წლისათვის ამ ხარჯების შემცირების გამო პოლიტიკური კონფლიქტი გარდაუვალია. ბარიკადების ერთ მხარეს იდგება ახალგაზრდობა, ხოლო მეორე მხარეს — პენსიონერები**

**მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ახლა რამდენიმე დემოგრაფიული აფეთქება მწიფდება. მაქსიმალური რისკის მომენტი ჯერ წინაა — ის სულ რაღაც ათი წლის შემდეგ დადგება. ყველაზე განვითარებულ ქვეყნებს დემოგრაფიული უბედურების პიკი სწორედ 2020-იან წლებში ელით.**

ჩინეთი, შესაძლოა, იქცეს პირველ ქვეყნად, რომელიც გამდიდრებაზე მალე დაბერდება. უკანასკნელი 25 წლის მანძილზე ის იზრდება და იზრდება და, ძირითადად, იმ პოლიტიკის დამსახურებით, რომელიც ოჯახში ერთზე მეტი შვილის ყოლას კრძალავს, მაგრამ 2020 წლისთვის წითელი გვარდიის თაობის კოლოსალური რაოდენობის წარმომადგენელი პენსიაზე გავა და მნიშვნელოვნად გაზრდის საგადასახადო წნეხს თავიანთი შვილებისა და სახელმწიფოსთვის.

ის, რაც ჩინეთს 2030 წლისათვის ელის, სწრაფად დაანგრევს ახლანდელი რეჟიმის ორ საყრდენს — სწრაფად მზარდ საერთო შიდა პროდუქტსა და სოციალურ სტაბილურობას. წარმოიდგინეთ, რომ მომუშავე მოსახლეობის ნაზარდი ნულს გაუტოლდება და ათეულ მილიონობით მოხუცი უპოვარი უპენსიო პენსიონერი იქნება გარანტირებული ჯანდაცვისა და იმ დიდი ოჯახების გარეშე, რომლებიც მათ შეინახავდნენ.

**განვითარებადი მსოფლიოს ზოგიერთი რეგიონი ჯერ კიდევ ძალზედ ახალგაზრდა იქნება 2020 წლისათვის. საჰარიდან სამხრეთით მდებარე აფრიკული ქვეყნები, რომლებსაც მსოფლიოში ყველაზე დიდი შობადობის ტვირთი აწევთ და შიდსისგან ვერ აღწევენ თავს, მთლიანად საკუთარ თავზე იწვნევენ სხვათა რჩენის ტვირთს. თუ შენარჩუნდება ურთიერთკავშირი ახალგაზრდობასა და ძალადობას შორის, ქრონიკული დესტაბილიზაცია და მუდმივად არშემდგარი სახელმწიფოებრიობა ამ რეგიონისა და მუსლიმანური სამყაროს ნაწილის ხვედრი იქნება არა მხოლოდ 2020-იან წლებში, არამედ შემდეგაც, ვიდრე შობადობა არ შემცირდება.**

ამ დროს **მრავალი სწრაფად განვითარებადი ქვეყანა, რომელშიც შობადობის მაჩვენებელი სულ ახლახან ძალზე მკვეთრად დაეცა, 2020 წლისათვის ახალგაზრდობის მოულოდნელ გააქტიურებას შეეჯახებიან.** დემოგრაფიის კანონების თანახმად, როდესაც მოსახლეობის აფეთქებას ვარდნა მოსდევს, ეს დომინოს ეფექტს განაპირობებს, ანუ ამ ბუმებისა და ვარდნების ციკლი ნელ-ნელა მინელდება. 2010-იან წლებში ლათინური ამერიკის, სამხრეთ აზიისა და მუსლიმანური მსოფლიოს ქვეყნებში დეპრესიის თაობა დაბერდება. **2020 წლებისათვის მოსალოდნელია შესაბამისი ბუმი, რომელიც განაპირობებს ეკონომიკური მოლოდინების ნგრევას, პოლიტიკური ძალადობის გააქტიურებას, რელიგიურ ექსტრემიზმსა და ნაციონალურ შუღლს.**

**დემოგრაფიულმა ძვრებმა, შესაძლოა, მოახდინოს ექსტრემისტული მოძრაობის გაძლიერების პროვოცირება**

განსაკუთრებით ძლიერი იქნება ეს ორი ბუმი პაკისტანსა და ირანში. მოსალოდნელია, რომ პაკისტანში 15-დან 24-წლამდე ასაკის არამდგრადი ჯგუფის პროცენტული მაჩვენებლის ზრდა მოსახლეობაში, რომელიც 2000 წლის 32%-იდან 2010 წელს 10%-მდე დაეცა, 2020 წელს კვლავ გაიზრდება 19%-მდე. ირანში ახალგაზრდობის დემოგრაფიული პრიორიტეტის მერყეობა კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იქნება: -33% 2010 წელს და +23% 2020 წელს. ეს ორი ურთიერთგავლენის მქონე ბუმი დამახასიათებელი იქნება იმ ქვეყნებისთვის, რომლებშიც სოციალური სტრუქტურა უკვე დეფორმირებულია სწრაფი განვითარების გამო.

დემოგრაფი ნიკოლას ებერშტადტი ამბობს, რომ დემოგრაფიულ ცვლილებებს შეუძლია კიდევ უფრო მეტი ზარალი მიაყენოს დასავლური ალიანსის უსაფრთხოების გეგმებს, ვიდრე ცივი ომის დროს მოხდა. უნდა აღინიშნოს, რომ ნაციონალური სტრატეგიის დაგეგმვა დემოგრაფიული პროგნოზების გაუთვალისწინებლად იგივეა, რაც იალქნიანი გემით შუა ზღვაში გასვლა რუკისა და კომპასის გარეშე. ამგვარი მოგზაურობა დიდწილად ფატალურად დასრულდება. ამ მხრივ **დემოგრაფია XXI საუკუნის გეოპოლიტიკური კარტოგრაფიაა.**

სამრეწველო რევოლუციის ეპოქაში მსოფლიოს იმ ნაწილის მოსახლეობა, რომელსაც ჩვენ ახლა განვითარებულს ვეძახით, უფრო სწრაფად იზრდებოდა, ვიდრე დანარჩენი მსოფლიოს მოსახლეობა და 1930-იან წლებში მსოფლიო მოსახლეობის მეოთხედი შეადგინა. მას შემდეგ ეს მაჩვენებელი შემცირდა და 2010 წლისთვის სულ რაღაც 13%-მდე დავარდა. კლება მომავალშიც გაგრძელდება და **ახლანდელი განვითარებული მსოფლიოს მოსახლეობის წილი 2050-იანი წლებისათვის მსოფლიო მოსახლეობის 10%-მდე დავარდება.**

მსოფლიოს ყულაბაში შემცირდება განვითარებული ქვეყნების ჯამური საერთო შიდა პროდუქტის წილიც და გაცილებით უფრო სწრაფადაც. **ახალი პროგნოზების თანახმად, შვიდი განვითარებული ქვეყნის საერთო შიდა პროდუქტის ჯამი 2009 წლის 72%-იანი მაჩვენებლიდან 2050-იან წლებში 40%-მდე დაეცემა. ამგვარი ვარდნის მიზეზი მხოლოდ ნელი ზრდა, მოსახლეობის დაბერება და დასაქმებული ადამიანების აქტივობის შემცირება კი არ იქნება, არამედ მსხვილ ბაზარზე ორიენტირებული ეკონომიკების (განსაკუთრებით სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის) ექსპანსიაც.**

გაერო მუდმივად აქვეყნებს გარკვეულ დროს მსოფლიოს ყველაზე მჭიდროდ დასახლებული ქვეყნების ცხრილს. 1950 წელს ექვსი ქვეყანა ამ ცხრილის წამყვანი ოცეულიდან განვითარებადი სამყაროს წარმომადგენელი იყო. 2000 წელს განვითარებული მსოფლიოდან ოცეულში სულ სამი ქვეყანა მოხვდა.

goldenfront.ru

ავტო

## «Jaguar»-მა სედანი ჰიბრიდად გადააკეთა



**კომპანია „Jaguar“-მა სედანი „XJ“ ჰიბრიდად გარდაქმნა.** ჰიბრიდული „Jaguar XJ“ ორლიტრიანი ბენზინის ტურბოძრავით, 69-კილოვატიანი ელექტროძრავით, 12,8 კილოვატ-საათის ტევადობის ლითო-იონური აკუმულატორებითა და რვასაფეხურიანი სიჩქარეების გადაცემათა ავტომატური კოლოფით არის აღჭურვილი. ძრავის ჯამური სიმძლავრე 334 ცხენის ძალაა. საწვავის საშუალო ხარჯი 100 კილომეტრის გარბენზე 3,2 ლიტრია, ავტომანქანა 100 კილომეტრამდე სიჩქარეს 6,5 წამში ავითარებს. მისი მაქსიმალური სიჩქარე საათში 250 კილომეტრია.

## გაბრიელ გარსია მარკესი გონებასუსტობითაა დაავადებული

**კოლუმბიელი მწერლის გაბრიელ გარსია მარკესის ძმამ განაცხადა, რომ მარკესი, შესაძლოა, გონებასუსტობით იყოს დაავადებული.** ჰაიმე გარსია მარკესმა ეს განცხადება კარტაჰენის უნივერსიტეტში ლექციის კითხვის დროს სტუდენტებთან გააკეთა. მისი თქმით, 1982 წლის ნობელის პრემიის ლაურეატი ურეკავს მას იმისათვის, რომ ელემენტარული რამ ჰკითხოს. „მას მეხსიერების პრობლემები აქვს. ხანდახან ვტირი, ვინაიდან ვგრძნობ, რომ მას ვკარგავ“, — განაცხადა ჰაიმე გარსია მარკესმა.

ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სოსო მაჭავარიანი: „დონეცკის ოლქში ამჟამად ოფიციალურად 7 ათასამდე ქართველი ცხოვრობს. მათი უდიდესი ნაწილი უკრაინის მოქალაქეა. რეალურად კი დონეცკის ოლქში უფრო მეტი ქართველი ცხოვრობს. ჩვენ შეძლებისდაგვარად ვეხმარებით ქართველებს მათი მოქალაქეობრივი ინტერესების დაცვაში, მათ ჩართვაში კულტურისა და სპორტის სფეროში, ამაში დიდი წვლილი მიუძღვით დონეცკში მოღვაწე ქართველ ბიზნესმენებს — იური წერეთელსა და ვანო გვეტაძეს. რამდენიმე ათეული წელია, ისინი აქ ცხოვრობენ“.**



## იტალიაში კარავაჯოს 100 უცნობი ნამუშევარი იპოვეს

**იტალიელმა ხელოვნებათმცოდნეებმა მიქელანჯელო მერიზი დე კარავაჯოს დაახლოებით 100 დღემდე უცნობი ნამუშევარი აღმოაჩინეს. ნახატების მთლიანი ღირებულება დაახლოებით 700 მილიონია. ნამუშევრები 1584-1588 წლებში შეიქმნა, როდესაც ახალგაზრდა მხატვარი მილანში ხატვას სწავლობდა.** ახალგაზრდა კარავაჯოს ნახატები მხატვარ სიმონე პეტერცანოს მოსწავლეების ნამუშევრებს შორის იპოვეს, მის სახელოსნოშიც მომავალი ოსტატი 13 წელი სწავლობდა. რამდენიმე წლის განმავლობაში ექსპერტები პეტერცანოს ფონდის ათასზე მეტ ნახატს სწავლობდნენ, რომლებიც მილანის ციხე-კოშკ სფორცესკოში ინახებოდა. ნახატები კარავაჯოს მასწავლებელსა და მის მოსწავლეებს ეკუთვნის.

## რუსეთში წყალდიდობის შედეგად დაღუპულთა სიაში ქართველები არ არიან

**რუსეთში, კრასნოდარის მხარეში, წყალდიდობის შედეგად დაღუპულთა პირველად სიაში საქართველოს მოქალაქეები ან ეთნიკურად ქართველები არ არიან.** დაღუპულთა შესახებ მონაცემებს კრიმსკის, ნოვოროსიისკისა და გელენჯიკის ადმინისტრაციები, ასევე რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტრო ავრცელებს. ამასთან, დაღუპულთა გარკვეული ნაწილის იდენტიფიცირება კი ჯერ არ მომხდარა. რუსეთში მომხდარ წყალდიდობას 171 ადამიანი ემსხვერპლა. რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, 159 ადამიანი — კრიმსკის რაიონში, 9 — გელენჯიკში, 2 კი ნოვოროსიისკში დაიღუპა. ამასთან, წყალდიდობის შედეგად დაზარალდა 24 ათასი ადამიანი. კრასნოდარის მხარეში სამაშველო ოპერაციები გრძელდება.

# იანუკოვიჩი ყოველთვის ყურადღებიანი იყო ქართველების მიმართ დონბასში

**უკრაინის პრეზიდენტი ვიქტორ იანუკოვიჩი, როცა დონბასში და მერე კიევში ცხოვრობდა და მუშაობდა, ყოველთვის ყურადღებით იყო იქაური ქართველების მიმართ, პირველ რიგში, იქ მცხოვრები ქართველი სპორტსმენებისა და აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან დევნილების მიმართ. ამის შესახებ ჩვენ გვაუწყა უკრაინის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დონეცკის საოლქო ორგანიზაციის ყოფილმა თავმჯდომარემ, ბატონმა სოსო მაჭავარიანმა. მას ეს პოსტი 2002-2006 წლებში ეკავა. ამჟამად კი დონეცკის ოლქში მოქმედ ქართულ საზოგადოება „რუსთაველს“ ხელმძღვანელობს.**



ბატონი სოსო 72 წლისაა, ის წარმოშობით ქობულეთელია. 50-60-იანი წლების მიჯნაზე წარმატებით თამაშობდა კალათბურთსა და ხელბურთს საქართველოს პირველობაზე. 1965 წლიდან ცხოვრობდა დონბასში, ქალაქ ჟდანოვში (ახლანდელი მარიუპოლისი), საპასუხისმგებლო პოსტები ეკავა სპორტულ და სახელისუფლო ორგანოებში. 1985 წელს საქართველოში დაბრუნდა და მუშაობა განაგრძო ბათუმში სპორტის სფეროში, 1993 წელს კი დონეცკში გაემგზავრა, სადაც დიდი როლი ითამაშა იქაური ქართველების ინტერესების დაცვაში, სპორტში მათ ჩართვასა და საქართველოს მიმართ დონბასელების კეთილგანწყობაში.

ბატონმა სოსომ გვიამბო: **„დონეცკის ოლქში ამჟამად ოფიციალურად 7 ათასამდე ქართველი ცხოვრობს. მათი უდიდესი ნაწილი უკრაინის მოქალაქეა. რეალურად კი დონეცკის ოლქში უფრო მეტი ქართველი ცხოვრობს. ჩვენ შეძლებისდაგვარად ვეხმარებით ქართველებს მათი მოქალაქეობრივი ინტერესების დაცვაში, მათ ჩართვაში კულტურისა და სპორტის სფეროში, ამაში დიდი წვლილი მიუძღვით დონეცკში მოღვაწე ქართველ ბიზნესმენებს იური წერეთელსა და ვანო გვეტაძეს. რამდენიმე ათეული წელია, ისინი აქ ცხოვრობენ“.**

ბატონმა სოსომ აღნიშნა, რომ მან ვიქტორ იანუკოვიჩი 1997 წელს დონეცკში გაიცნო, როდესაც ვიქტორი დონეცკის ოლქის გუბერნატორი იყო. **„მე, როგორც უკრაინის ეოკ-ის დონეცკის ოლქის განყოფილების თავმჯდომარის მოადგილე, ყოველთვის ვესწრებოდი თათბირებს საოლქო ადმინისტრაციაში. გაცნობისას ბატონმა ვიქტორმა მითხრა, რომ შორიდან მიცნობს და აღნიშნა, რომ მის პირად ცხოვრებაში და მოღვაწეობაში ქართველებმა დიდი და დადებითი როლი ითამაშეს“,** — განაცხადა მაჭავარიანმა.

ბატონმა სოსომ აღნიშნა, რომ **„იანუკოვიჩი ყოველთვის ოპერატიულად, გულისხმიერებითა და კანონის ჩარჩოებში წყვეტდა კონკრეტულ საკითხებს, რომლებიც დონბასში მცხოვრებ ქართველებს, მათ შორის ქართველი სპორტსმენების მომზადების პირობების საკითხებს ეხებოდა... კერძოდ, ბატონ ვიქტორ იანუკოვიჩის ოპერატიული ჩარევის შემდეგ დონეცკის ქალაქ ენაკიევოში შეიძინეს და დაამონტაჟეს თანამედროვე ტატამი, სადაც დონბასში გაზრდილი სახელოვანი სპორტსმენები ტარიელ და ანზორ ხონელიძეები ვარჯიშობდნენ. ორივე ქართველი მოჭიდავე უკრაინის ჩემპიონი, ხოლო შემდეგ ევროპის ჩემპიონი და ბევრი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული გახდა“.** ძმები ხონელიძეების წარმატებაში დიდი როლი ითამაშა, აგრეთვე, დონეცკელმა ბიზნესმენმა ვანო გვეტაძემ, რომელიც რამდენიმე წლის განმავლობაში სისტემატურად ეხმარებოდა ხონელიძეების ოჯახს საყოფაცხოვრებო პირობების მოგვარებაში, რათა ამ სპორტსმენებს მხოლოდ ვარჯიშებზე და ტურნირებზე ეზრუნათ. მათ ეს იმედები გაამართლეს და უკრაინაში ქართველები და საქართველო ასახელეს. დღეს ძმები ხონელიძეები დიდი ავტორიტეტით სარგებლობენ უკრაინის სპორტულ და საზოგადოებრივ წრეებში.

ბატონი სოსო მაჭავარიანი, ვანო გვეტაძე, იური წერეთელი და სხვა გავლენიანი ქართველები დონეცკში ყოველთვის დიდ ყურადღებას აქცევენ არა მარტო ადგილობრივ ქართველ სპორტსმენებს, არამედ მათაც, ვინც საქართველოდან დონეცკში ჩადის სხვადასხვა ტურნირებში საასპარეზოდ.

რაც შეეხება თავად ვიქტორ იანუკოვიჩს, მის გაზრდაში დონეცკის ოლქის ქალაქ ენაკიევოში და მის წარმატებულ მოღვაწეობაში დონბასში დიდი როლი ითამაშა ერთ-ერთმა იქაურმა ქართველმა ოჯახმა. ამაზე, შევეცდებით, მოგვიანებით მოგიყვეთ.

**თენგიზ პაჭკორია,**
**დონეცკი-თბილისი**

# წერილებს არავინ პასუხობს

**აფხაზეთში დაბრუნების მსურველთა ფონდთან არსებულმა ქართველ უხუცესთა საბჭომ 2012 წლის თებერვალში საქართველოს პრეზიდენტს — ბატონ მიხეილ სააკაშვილს ღია წერილით მიმართა, რომელიც გამოქვეყნებული იყო ბევრ გაზეთში (გადაცემული იყო რადიო „თავისუფლების“ მიერ).**



ღია წერილში ვწერდით, პრეზიდენტს ზემოქმედება მოეხდინა ზოგიერთი სამინისტროს ხელმძღვანელობაზე და ორი წლის თავზე მაინც გაეცა პასუხი ჩვენთვის. საქმე ეხება 12 წინადადება-პროექტს, რომელთა განხორციელება დიდ ბიძგს მისცემდა აფხაზებთან ნდობის აღდგენის საქმეს. მიუხედავად იმისა, რომ ამ წერილის დაწერის შემდეგ გავიდა რამდენიმე თვე, პასუხი არავისგან მიგვიღია (როგორც გავარკვიეთ, ასე ექცევიან სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებსაც, რომლებიც მუშაობენ აფხაზეთის საკითხზე), ყველა დუმს — ამ დროს **გაზეთებში და ტელეგადაცემებში ხშირად საუბრობენ, რომ ხელისუფლება ბევრს აკეთებს აფხაზებთან ნდობის აღდგენის საქმეში, რაც მტკნარი სიცრუეა.**

ახლახან გამოგვეხმაურა აფხაზეთის უმაღლესი საბჭო, რომელმაც გვთხოვა, მივსულიყავით მათთან ჩვენი ღია წერილის განსახილველად. ბატონმა გია გვაზავამ (უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე) დაგვაიმედა, რომ შეხვდებოდა საჭირო პირებს მთავრობიდან (შეიძლება პრეზიდენტსაცო) და შეეცდებოდა ჩვენი ერთი ან ორი წინადადება-პროექტის განხორციელებას. როგორც ვიცოდით, ამას შედეგი არ მოჰყოლია — სამთავრობო ორგანიზაციებმა მოუცლელობა მოიმიზეზეს და ბატონი გია დაპირებებით გამოისტუმრეს.

**ჩვენ მიერ შემოთავაზებული 12 წინადადება-პროექტიდან მხოლოდ ლილოს ტიპის ბაზრობა რომ აეშენებიათ ზუგდიდის რაიონის სოფ. რუხის პატარა მოედანზე, ენგურის ხიდის მიმდებარე ტერიტორიაზე, დიდ ეფექტს გამოიღებდა ქართველებსა და აფხაზებს შორის ნდობის აღდგენის საქმეში, რამდენადაც ამ ბაზრობაზე აფხაზეთის ყველა რაიონებიდან ივლიდნენ. ასობით და ათასობით აფხაზთან გაჩაღდებოდა ყოველდღიური ურთიერთობა.**

**2 წლის განმავლობაში ჩვენს წერილებს არც ერთმა სახელმწიფო ორგანომ პასუხი არ გასცა. აფხაზეთის საკითხი ვითომ არ არსებობს, ვითომ ყველაფერი წესრიგშია.**

ამ დროს კი ტაშფანდურით გადაჭედილია სახელმწიფო ტელეარხები — უაზრო და ხანდახან გარყვნილების ამსახველი სიუჟეტები გადის ყოველ საღამოს, რაც ცუდ მაგალითს აძლევს ჩვენს ახალგაზრდობას.

**დროა, გონს მოვეგოთ — დავიწყებას არ მივცეთ აფხაზეთის საკითხი, თორემ ლტოლვილთა არმია, რომელიც დღეს გაუსაძლის მდგომარეობაშია, თავის სიტყვას იტყვის — მაშინ გამოფხიზლდებიან, მაგრამ, ვშიშობთ, გვიან იქნება.**

არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც აფხაზეთის საკითხზე ასე თუ ისე რაღაცას მაინც ახერხებენ და ნდობის საკითხს წინა პლანზე აყენებენ, ხელისუფლების მხრიდან სათანადო ყურადღება არ ექცევა. ამიტომ ჩვენ უნდა გავერთიანდეთ და ერთიანი ძალით შეუტიოთ უკანონობას, უსამართლობას, რაც მომავალი წარმატების საწინდარი იქნება.

**ოლეგ ჯოლია,**
**აფხაზეთში დაბრუნების მსურველთა ფონდის თავმჯდომარე**

მოკლედ

## შესაძლოა, კრასნოდარის მხარეში ვითარება გართულდეს

**კრასნოდარის მხარეში წყალდიდობის შედეგად დაღუპულთა რაოდენობამ 170- გადააჭარბა.** სინოპტიკოსების ინფორმაციით, უახლოესი ორი დღის განმავლობაში შესაძლოა, ვითარება გართულდეს, რადგანაც მოსალოდნელია კოკისპირული წვიმები. ადგილობრივი ხელისუფლება არ გამორიცხავს რიგ ადგილებში მეწყერების ჩამოწოლას.

## სომხეთის შესაძლო პრეზიდენტი მთიან ყარაბაღს, სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთს აღიარებს

მითოლოგი ვარდან სედრაკიანი, რომელიც ახლახან გამოჩნდა სომხეთის პოლიტიკურ ასპარეზზე და მომავალში პრეზიდენტად კენჭისყრას აპირებს, აცხადებს, რომ ქვეყნის უმაღლესი თანამდებობის დაკავების შემთხვევაში იგი მთიანი ყარაბაღის, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობას აღიარებს. **„როდესაც სომხეთის პრეზიდენტის თანამდებობას დავიკავებ, არწახს (მთიანი ყარაბაღი) ვაღიარებ. ასევე ვაღიარებ ომის დროს განთავისუფლებულ სომხურ მიწებს სომხეთის განუყოფელ ნაწილად. ამის შემდეგ კი ნახჭევანსა და სამცხე ჯავახეთზე დავფიქრდებით“,** — აცხადებს სედრაკიანი.

**თუ გვსურს, შევიტყოთ, რა ძევს იმ უფსკრულის ფსკერზე, რომლისკენაც მიჰყავს ქრისტიანები მათი კონვენციური განდგომის საფეხურებს, უპრიანი იქნება, ვიკითხოთ: „ახალი მსოფლიო წესრიგის“ მომწყობთათვის რატომაა ქრისტიანობა მუსლიმურ ექსტრემიზმზე უფრო საძულველი? კარგი იქნება, თუ გავიხსენებთ, რომ არც წარმართობას, არც ისლამს (არაფერი რომ არ ვთქვათ ბუდიზმზე, ინდუიზმზე და სხვა) ქრისტეს მოძღვრება მთავარ მტრად არ ულიარებიათ.**

ეს უნდა ვიცოდეთ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «კონვენციური ქრისტიანობა»: «ახალი მსოფლიო წესრიგი» მართლმადიდებლობის წინააღმდეგ

დასასრული. დასაწყისი იხ. №24-25 (162-163)

**თანამედროვე კონვენციური (პირობითი, მიღებული) ქრისტიანობის საფეხურების ან სტადიების პროგნოზირებისთვის აუცილებელია ვიცოდეთ, რომ წინა პუბლიკაციებში განხილული მაგალითების გარდა არსებობს ქრისტიანული კონვენციონალიზმის სხვა მიმართულებებიც, საზოგადოების რელიგიურ ცნობიერებაზე სხვა ზემოქმედების წერტილები, სხვა — წინამორბედი, შუალედური და მომდევნო კონკრეტული პროექტები, რომელთაც საერთო მიზანი აქვს.**



— «უბრალო ვარ ამ მართლის სისხლისგან. თქვენ იცით».
— «ჩვენზე და ჩვენს შვილებზე იყოს მაგის სისხლი».
*(მათ. 27, 25)*

თუ განვიხილავთ სახელისუფლო რუსი ანალიტიკოსის ა. იგნატოვის პოზიციას, აშკარა გახდება, რანაირი წარმოუდგენიათ გლობალიზაციის განმკარგავებს კაცობრიობის რელიგიური მომავალი. აქვე დაგისახელებთ წყაროს: А.А. Игнатов „Стратегия „глобализационного лидерства“ для России: Первоочередные непрямые стратегические действия по обеспечению национальной безопасности“, Независимая Газета, (07.09.2000):

**„ერთიანი რელიგია, რომლის აუცილებლობაზე ყოველთვის ლაპარაკობდნენ კაცობრიობის ყველაზე უფრო განათებული გონების მქონე ადამიანები, თავდაპირველი სახით XXI საუკუნის მეორე ნახევარზე ადრე არ გამოჩნდება. კულტურული გლობალიზაციის სფეროში ინტეგრაციული პროცესები ნაკლებად ინერტული ხასიათისაა და ამიტომ გლობალური ზეკულტურის გამოჩენას შეიძლება უახლოეს 10-15 წელიწადში ველოდოთ. ასეთი ზეკულტურის კონტურები დღეს უკვე ჩანს. ეს არის ტრადიციული კულტურების (კლასიკური ევროპული, მასობრივი ამერიკული, ლათინოამერიკული, შორეული აღმოსავლეთის, მუსლიმური და ინდური) სინთეზი ახალ ფორმებთან (ქსელური კულტურა; კიბერკულტურა) შეწყობა-შეთავსებული...**

**რუსეთს შეუძლია და უნდა გახდეს პირველი სახელმწიფო, რომელშიც რეალიზებული იქნება მსოფლიო რელიგიათა ინტეგრაციის პოლიტიკა, ამიტომ, რაც შეიძლება მალე, საკანონმდებლო წესით, შემოღებული უნდა იქნეს ცნება „სახელმწიფო რელიგია“, რომელსაც მიეკუთვნება მართლმადიდებლობა და ისლამი. ყველა დანარჩენმა რელიგიამ უნდა მიიღოს „სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილის“ სტატუსი.**

რუსეთისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მართლმადიდებლობა და ისლამი ერთმნიშვნელოვნად აღიარებული იქნეს როგორც რელიგიური სისტემები, რომლებიც ირწმუნა სლავურ-თურქულმა ერთობამ. აღნიშნული ნაბიჯი საშუალებას მოგვცემს, თვისებრივად ახალ დონეზე განვავითაროთ ურთიერთობა ისლამურ სამყაროსთან — ისლამური ბანკიდან საინვესტიციო რესურსების მიღებიდან დაწყებული, ჩეჩნური ბანდფორმირებების მხარდაჭერაზე უარის თქმით დამთავრებული“.

ეს სიტუაცია რომ რეალობაა, დასტურდება პროექტ „რუსული ისლამის“ სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერით, ასევე, ძირძველ რუსულ ცენტრალურ-ევროპულ ოლქებში კავკასიელი და შუააზიელი მუსლიმების ჩასახლების პროტექციონიზმის, დაბოლოს, რუსეთის სახელმწიფოს გაერთიანებით საერთაშორისო ორგანიზაციაში „ისლამური კონფერენცია“. **მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის ხელმძღვანელობა არ არის აღფრთოვანებული იმის გამო, რომ საერო ხელისუფლება სულ უფრო ხშირად მათ იმამებთან ერთად მოიხსენიებს, მართლმადიდებლობის ციტადელში — სერგის პოდასში — მეჩეთის აშენებას არ ეწინააღმდეგება.**

ასეთი პროცესი მთელ მსოფლიოში მიმდინარეობს. ალბანელმა ექსტრემისტებმა წარწყმეს მართლმადიდებული კოსოვო. ევროპა, რომელიც გაივსო და გაბინძურდა „ცივილიზებული არაბებით“, რომელსაც ეშინია მათი, როგორც პოტენციური ტერორისტების, მონდომებით ცდილობს, ამოშალოს თავისი, მონდიალისტების მიერ დაწერილი სრულიად ევროპული კონსტიტუციიდან საკუთარ ქრისტიანულ კულტურულ ფესვებზე მინიშნებაც კი.

თუ გვსურს, შევიტყოთ, რა ძევს იმ უფსკრულის ფსკერზე, საითაც მიჰყავს ქრისტიანები მათი კონვენციური განდგომის საფეხურებს, უპრიანი იქნება, ვიკითხოთ: **„ახალი მსოფლიო წესრიგის“ მომწყობთათვის რატომაა ქრისტიანობა მუსლიმურ ექსტრემიზმზე უფრო საძულველი?** კარგი იქნება, თუ გავიხსენებთ, რომ არც წარმართობას, არც ისლამს (არაფერი რომ არ ვთქვათ ბუდიზმზე, ინდუიზმზე და სხვა) ქრისტეს მოძღვრება მთავარ მტრად არ ულიარებიათ. არ უყვარდათ, დევნიდნენ, თვითონ ცდილობდნენ დომინირებას, როცა ეს მსოფლიო რელიგიები ერთმანეთს უპირისპირდებოდა ერთსა და იმავე დროს, ერთსა და იმავე ტერიტორიაზე, მაგრამ არ განიხილავდნენ, როგორც თავიანთ ერთადერთ და უკომპრომისო ანტაგონისტს, რომელსაც, სადაც ხელი მიგიწვდება, უნდა სდიო და სრულად მოსპო და უკლებლივ ყველა ამოწყვიტო.

და მხოლოდ იუდეველებმა თქვეს ერთხელ, როცა პილატემ ხელი დაიბანა და თქვა: **„უბრალო ვარ ამ მართლის სისხლისგან. თქვენ იცით“.** მთელმა ხალხმა მიუგო პასუხად: **„ჩვენზე და ჩვენს შვილებზე იყოს მაგის სისხლი“.** (მათ. 27, 25). და მას შემდეგ არც ერთხელ ხელიდან არ გაუშვიათ შემთხვევა, რათა შეევიწროვებინათ, დაეჩაგრათ ქრისტიანნი, ჩანერგილიყვნენ და შიგნიდან გაენადგურებიათ ქრისტიანობა. **დიდი ხნის მანძილზე ეს რელიგიური ომი გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. ზოგჯერ ქრისტიანები ზეიმობდნენ.** შემთხვევითი არ არის, რომ მოციქულთა დროიდან მოყოლებული ბიზანტიელ განმანათლებლებს, მოძღვრებსა და წმინდანებს, რომელთაც თავიანთი თხზულებანი დაგვიტოვეს, ერთი მაინც ჰქონდათ ამგვარად დასათაურებული: **„იუდეველთა წინააღმდეგ“,** მაგრამ არც ისინი იყვნენ უმოქმედოდ და პროვოცირებისკენ უბიძგებდნენ რომის ხელისუფლებას ქრისტიანთა წინააღმდეგ. **ცოტა ძალისხმევა როდი მოახმარეს მართლმადიდებლური ეკლესიისთვის კათოლიკურის ჩამოცილებას, ამ უკანასკნელისგან კი — პროტესტანტული საზოგადოების მოკვეთას. არც ოკულტურ-მასონურ მოძღვრებათა გავრცელებისთვის დაუკლიათ ხელი.**

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ექსპერტები ზედმეტად მიიჩნევენ შეკითხვის დასმას, თუ რომელი ხალხის წარმომადგენლები პრივილირებენ „ახალი მსოფლიო წესრიგის“ მომწყობთა ბანაკში, ისევე, როგორც — როგორი რელიგიური საზოგადოების ხილვა სურთ მათ „ისტორიის ბოლოს“, აგრეთვე, მათი აზრით, როგორი უნდა იყოს ტოლერანტობის სახელით ქრისტიანთა უკანდახევის კონვენციანისტური ფინალი.

ან იქნებ ეს ყველაფერი მხოლოდ მოჩვენებითია? მოვუსმინოთ ისრაელის ბარ-ილანის უნივერსიტეტის პოლიტოლოგსა და კულტუროლოგს, პროფესორ **ელიეზერ ვორონელ-დაცევიჩს.** თავის ლექციაში **„ჩვენი გამარჯვების შესახებ, ანუ ქრისტიანობის კრიზისი“,** რომელიც მან იერუსალიმში წაიკითხა 1999 წლის 14 ივლისს, თქვა:

**„ქრისტიანობასთან ერთად თავდება ევროპის ისტორია, მხეცის ისტორია, რომელმაც ადამიანად ყოფნა მოინდომა. არიელებმა ვერ ჩააბარეს გამოცდა ადამიანობაში. მაგრამ ჩვენ მათ მეორე წლით ვერ დავტოვებთ. დრო სწრაფად მიდის. დიდებული მსოფლიო კი ჩვენს გარშემო ყალიბდება. მათ, ყოფილმა მბრძანებლებმა, ხელები დაუშვეს, პირქვე დაემხნენ. და ისტორიული ევოლუციის შტომ წაიღო ისინი ქვემოთ, დაბლისკენ მიმართული გეზით...**

**აი, საითკენაა მიმართული მათი სრბოლა, ჩუმად, ცხოვრების უფსკრულზე სრიალით, — მიწისკენ, ბალახისკენ, რბილი ბაგისკენ, ბოსლისკენ, სველი ჩალისკენ, უკან, სულიერი არსებობის უმდაბლესი ფორმებისკენ, ფერფლში, ყროლში, ნეხვში. ისინი უნდა დაჭრა ან გაკრიჭო, როგორც პუშკინის საუკეთესო გმირი ამბობდა.**

**„წმინდა წელი“ — 2000 იწყება ევროპის დასასრულით... და ფუკუიამა აქ არაფერ შუაშია. იცით, არის კანონი: არიელი რაც უფრო ნაკლებადაა ქრისტიანი, მით უფრო ნაკლებად უშლიან მას ხელს ებრაელები. ჩვენ ვართ სასჯელი მათი განდგომის გამო. რაც უფრო ნაკლები რჩება ქრისტიანობა ხალხში, მით უფრო მეტი აბრამოვიჩია ხელმძღვანელ თანამდებობებზე. ეს არის არიული იდეის დეგრადაციის ნიშანი.**

**ამჟამად დასასჯელიც არავინ გვყავს. საცოდავი ნამუსვრევილა დარჩა.**

მაგრამ გახსოვთ ის იგავი, რომელიც ოდესღაც გაიხსენა იესომ — ცხვრის შესახებ, რომელიც ჭაში შაბათ დღეს ჩავარდა? ჩვენ მაინც უნდა გვახსოვდეს იგი. ჩვენ, ალბათ, მოგვიწევს არიელი ხალხების გადარჩენა, ამჯერად, უბრალოდ, რკინის კვერთხით მწყემსვის მეშვეობით. სხვა მათ არ დაუმსახურებიათ. ქრისტიანობით უმარტივეს გამოცდას ვერ გაუძლო ევროპამ და მიიწევს ქაოსისკენ. მისი მომავალი აშკარაა.

ოდესღაც ებრაელი სავლე მიხვდა, რომ ამ მხეცების მორჯულება შეიძლება. მისი გამოცდილება დაეხმარა ევროპას, რათა გაეძლო 2000 წელიწადს ებრაული სტილიზაციის საფარქვეშ.

მაგრამ მათი დრო დათვლილია, აწონილია და გაზომილი.

**როგორ უნდა აღვიქვათ ქრისტიანობის კრიზისი?**

**როგორც ჩვენი ბანკის დიდი ფილიალის ევროპისა და მისი კულტურის ქელეხი. ეს ყველაფერი გავაკეთეთ ჩვენ, მაგრამ ფარულად, საიდუმლოდ, სამარისებურ სიჩუმეში. ისღა დაგვრჩენია, რომ ახლა მთელი ხმით განვაცხადოთ ჩვენი უფლებების შესახებ.**

**ევროპამ წააგო. წასასვლელი არსად აქვს. მაინც ჩვენ გავიმარჯვეთ. ბოლოს და ბოლოს...**

**ევროპა დამთავრდა.**

მრისხანე დიადი გაკვეთილი, დახსომებად თაობათათვის. 20 საუკუნის ხანგრძლივობის დაკვეთილი.

და დიდება ჩვენ — მათ, ვინც არ წავიდა უბედური დაღუპვის გზით. ამიერიდან ჩვენ ვართ ერთადერთი კულტურული ერი, მსოფლიოში ერთადერთი ხალხი, რომელსაც აქვს ისტორიული პერსპექტივა. ჩვენ მდუმარედ შევცქერით ევროპული ქალაქების ქვებს, რომელთაც ქვიშის მტვერი ედება, და ვიცით, რა გვიანდერძეს საუკუნეთა სიღრმიდან.

ღირს კი მათი შეწყალება? არა. ღირს კი დახმარება? ისინი ჩვენი მონები არიან და, დიად თამაშს რომ წააგებენ, ჩვენ უნდა გვემსახურონ. მათმა სამყარომ წარმოაჩინა თავისი საიდუმლო არსი, არიული სულის უდიდესი საიდუმლო. გესმით ეს თქვენ?!

მაშ ასე, დღეს ჩემს სიტყვას ვამთავრებ მეფე დავითის ფსალმუნით, რომელიც ღირს, წარმოვთქვათ ედომიტელთა (ედომი — იუდეის ისტორიული მხარე, ერთ პერიოდში დამოუკიდებელი სახელმწიფო. — *ა. ს.)* სამეფოს ნანგრევებზე:

„და შეეშინდებათ ხალხებს უფლის სახელისა და ყველა მეფეს ამქვეყნიერს — შენი დიდებისა.

რამეთუ აღაშენებს უფალი სიონს, გამოცხადდება თვისი ღირსებით.

მოხედავს ლოცვას გულმოდრეკილთა და არ დაამცირებს მათ ლოცვას.

დაიწერება ეს მომავალი თაობისათვის და ხალხი, რომელიც გაჩნდება, ადიდებს უფალს.

რამეთუ გადმოიხედა თავისი წმიდა სიმაღლიდან უფალმა, ციდან ქვეყანა მიმოიხილა.

რომ მოესმინა კვნესა პატიმრისა, გაეთავისუფლებინა სიკვდილის ძენი.

რათა აუწყონ სიონზე სახელი უფლისა და ქება მისი — იერუსალიმში.

როცა შეგროვდებიან ხალხები ერთად და სამეფონი უფლის სამსახურებლად“ *(ფს. 101, 16-23).*

ეს დღე დგება. იგი დაუნდობელია. ერთადერთი, რაზეც დღეს უნდა ვილოცოთ — რათა ჩვენმა მტრებმა ნაკლებად იწვალონ ღმერთის ხალხის საბოლოო გამარჯვების დღეს...“

ეს-ესაა წაკითხული მაგრად უნდა ჩაიჭედოს მეხსიერებაში ყველამ, ვისაც თავი „ეკლესიის გადამრჩენად“ წარმოუდგენია, და გაიხსენოს ყოველთვის, როცა კვლავ მოუნდება მსოფლიოსთან სრული „კონვენციური“ თანხმობითა და საამებლად მისი მოწყობის შეცვლა.

პუბლიკაცია მოამზადა
**არმაზ სანებლიძემ**

კომენტარი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**იყო თუ არა სტალინი დიქტატორი რუსი ხალხისთვის? არ შეიძლება ამის უსიტყვოდ და უპირობოდ განცხადება და დაჯერება. იგი ზედმეტად ბევრს მუშაობდა და სრულიად არ ზრუნავდა საკუთარ თავზე, საკუთარ კეთილდღეობაზე. დიქტატორები კი თავიანთი ძალაუფლებით ტკბებიან, საკუთარი პერსონის წარმოჩენა უყვართ. სტალინისთვის ეს უცხო იყო.**



რუდოლფ ბალანდინი, სერგეი მირონოვი

# სტალინის ეპოქა

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №1-25 (139-163)

## დიპლომატიური ორთაბრძოლები

### გმირებისა და გენიოსების დრო დამთავრდა

**მაშ ასე, სტალინის გარდაცვალების შემდეგ ჩერჩილი „დიდი სამეულის" ერთადერთი წევრი დარჩა, რამაც საერთაშორისო ასპარეზზე მას დამატებითი წონა შეჰმატა. მან შესანიშნავად გამოიყენა ეს სიტუაცია და წამოაყენა წინადადება ზესახელმწიფოების ხელმძღვანელთა თათბირის მოწყობის თაობაზე. თათბირი ჩატარდა, მაგრამ უჩერჩილოდ: 1965 წელს იგი გადადგა. მას 81 წელი უსრულდებოდა.** მისი, როგორც „ომის გამჩაღებლის", გამოსვლების ახსნა შეიძლება არა ამ ადამიანის აგრესიულობით, არამედ პოლიტიკური ანგარიშიანობით, რაზეც გასაგებად და, როგორც მომდევნო პოლიტიკურმა მოვლენებმა დაადასტურა, სამართლიანად მიუთითებდა სტალინი.

ხრუშჩოვი და მისი ჯერ კიდევ ერთგული ბულგანინი 1956 წელს ინგლისში ვიზიტით ჩავიდნენ. მიღებაზე, რომელიც ლონდონში საბჭოთა საელჩოში გაიმართა, შედგა საუბარი სსრკ-ის ახალ ლიდერსა და ჩერჩილს შორის.

— თქვენ დიდი საქმე ჩაიფიქრეთ, ბატონო ხრუშჩოვ, — უთხრა ცხოვრებით დაბრძენებულმა მოხუცმა ნიკიტას, — მაგრამ გაითვალისწინეთ, რომ ორ ნაპირს შორის მანძილის გადალახვა ორი ნახტომით შეუძლებელია.

რჩევა კი იყო ჭკვიანური და მოხდენილად ნათქვამიც, მაგრამ ამაოდ მოცდა პრემიერი: ხრუშჩოვმა ისიც არ იცოდა, რომელ ნაპირზე აპირებდა დახტომას.

**1959 წელს გაიმართა დიდი ბრიტანეთის თემთა პალატის საზეიმო სხდომა, რომელიც იოსებ სტალინის 80 წლის იუბილეს მიეძღვნა. სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა ჩერჩილმა. მისი პათოსიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ანტისტალინურმა კამპანიამ პირადად ჩერჩილს მიაყენა შეურაცხყოფა. მან ასე აღიქვა ის, რაც ნიკიტამ საბჭოთა კავშირში დაატრიალა.**

ადამიანი, რომელსაც იგი მეორე მსოფლიო ომის დროს საბრძოლო ამხანაგად აღიარებდა, უნიჭო მხედართმთავრად წარმოადგინეს, მკვლელად, განდიდების მანიით შეპყრობილ დიქტატორად, რომელიც ყველას და ყველაფერს გასწირავდა საკუთარი ძალაუფლების განსამტკიცებლად. **ეს შეურაცხყოფდა დიდი ბრიტანეთის თვითმყოფადი და განუმეორებელი პოლიტიკური მოღვაწის თავმოყვარეობას, წარმოაჩენდა მას ან როგორც უსინდისო მატყუარას, ან როგორც გაბითურებულ ხეპრეს.** არც ერთი, არც მეორე იგი, რა თქმა უნდა, არ იყო, თუმცა იშვიათად გაცურებულიც აღმოჩნდებოდა და იძულებულიც იყო, ეპირფერა. დასავლეთის დემოკრატიების ტრადიციები, როგორც ცნობილია და რაც ჩვენც ამ პუბლიკაციაში არაერთხელ აღგვინიშნავს, დასაშვებად მიიჩნევს ტყუილის თქმას, რომელიც სიმართლის მანტიითაა შემოსილი. თვით **ჩერჩილსაც** აქვს ნათქვამი: **„სიმართლე იმდენად ძვირფასია, რომ მას უნდა აცილებდეს სიცრუის ესკორტი".**

...ჩერჩილი 1965 წელს 90 წლისა გარდაიცვალა. მან წინასწარ და დეტალურად აღწერა თავისი დაკრძალვის ცერემონია, რომელიც ზედმეტად პომპეზური არ იყო.

აღსრულდა **სტალინის მიერ ნაწინასწარმეტყველები: „გმირებისა და გენიოსების დრო მთავრდება, დგება სულელებისა და მოღალატეების დრო".**

ჩერჩილი ჭეშმარიტად გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე იყო.

სტალინთან დიპლომატიურ ორთაბრძოლებში იგი წაგებული გამოდიოდა, რადგან მოწინააღმდეგე ძლიერი იყო. მოწინააღმდეგის მხარეს, ჩვეულებრივ, თუ ყოველთვის არა, იყო სიმართლე, თანაც სიცრუის ესკორტის გარეშე. ამ ადამიანის შესახებ ჩერჩილს არაერთხელ გამოუთქვამს თავისი აზრი. აი, მაგალითად, თემთა პალატაში 1942 წლის 8 სექტემბერს, იოსებ სტალინის პირადად გაცნობის შემდეგ, მან თქვა:

„რუსეთისთვის დიდი ბედნიერებაა, როცა ტანჯვა-წამების ჟამს მას სათავეში უდგას დიადი, მტკიცე სარდალი. სტალინი დიდი და ძლიერი პიროვნებაა, რომელიც ესადაგება იმ ბობოქარ დროს, რომელშიც უწევს ცხოვრება. იგი არის ულევი მამაცობისა და ძლიერი ნებისყოფის ადამიანი, უბრალო ადამიანი, საუბარში უშუალო და მძაფრიც კი, რაც მე, ადამიანმა, რომელიც თემთა პალატაში გავიზარდე, არ შემიძლია არ დავაფასო, განსაკუთრებით იმიტომ, რომ გარკვეულწილად იმავეს თქმა შემიძლია საკუთარ თავზე. უწინარეს ყოვლისა, სტალინი არის ადამიანი იუმორის იმ მაშველი გრძნობით, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ყველა ადამიანისთვის და ყველა ერისთვის, უწინარესად კი, დიადი ადამიანებისა და დიადი ბელადებისთვის.

სტალინმა ჩემზე მოახდინა შთაბეჭდილება, აგრეთვე, როგორც ღრმა და მშვიდი სიბრძნის მქონე ადამიანმა, რომელსაც არ გააჩნია არავითარი ილუზია...

ერთი რამ სავსებით აშკარაა — ეს არის რუსეთის უდრეკი სიმტკიცე, ბოლომდე ებრძოლოს ჰიტლერიზმს, მის სრულ განადგურებამდე. სტალინმა მითხრა, რომ რუსი ხალხი თავისი ბუნებით მშვიდობისმოყვარეა, მაგრამ ველურმა სიმხეცემ, რაც მისი ხალხის წინააღმდეგაა ჩადენილი, ისე გაამძვინვარა და აღაშფოთა იგი, რომ შეცვალა მისი ხასიათი".

იმავე წელს სხვა ინგლისელმა გამოჩენილმა პოლიტიკოსმა, სამხედრო კაბინეტის წევრმა, ლორდმა **უილიამ ბივერბრუკმა** იმავე თემაზე განაცხადა:

**„კომუნიზმმა სტალინის დროს დასავლეთის ყველა ერის აპლოდისმენტები და აღფრთოვანება დაიმსახურა. კომუნიზმმა სტალინის დროს გვაჩვენა გმირობის ისეთი მაგალითები, რომელთაც ძნელია, მოუძებნო ანალოგები ისტორიაში. კომუნიზმა სტალინის დროს საუკეთესო გენერლები მისცა მსოფლიოს. ეროვნებათა დევნა? აბსოლუტურად არა. ებრაელები იქ ისევე ცხოვრობენ, როგორც ყველა დანარჩენი. პოლიტიკური რეპრესიები? კი, რა თქმა უნდა. მაგრამ ახლა უკვე ნათელია, რომ ისინი, ვინც დახვრიტეს, რუსეთს გერმანელებს ჩააბარებდნენ".**

1959 წელს ჩერჩილმა სტალინს ღირსეულად რომ მიაგო პატივი, დიქტატორი უწოდა მას. ასეთ დახასიათებას მხოლოდ ნაწილობრივ შეიძლება დავეთანხმოთ. ვთქვათ, სხვა ქვეყნის ხელმძღვანელებს, იმავე ჩერჩილს სტალინი თავის ნებას თუ კარნახობდა, მხოლოდ საბჭოთა კავშირის ინტერესებიდან გამომდინარე.

**იყო თუ არა სტალინი დიქტატორი რუსი ხალხისთვის? არ შეიძლება ამის უსიტყვოდ და უპირობოდ განცხადება და დაჯერება. იგი ზედმეტად ბევრს მუშაობდა და სრულიად არ ზრუნავდა საკუთარ თავზე, საკუთარ კეთილდღეობაზე. დიქტატორები კი თავიანთი ძალაუფლებით ტკბებიან, საკუთარი პერსონის წარმოჩენა უყვართ.**

**სტალინისთვის ეს უცხო იყო.**

დიქტატორობისკენ მიდრეკილება ჩერჩილს უფრო ჰქონდა, მაგრამ ინგლისის სახელმწიფო მოწყობა და ტრადიციები ვერ მოითმენდა მსგავსი მიდრეკილების რეალიზაციას ისეთი გამოჩენილი ლიდერისგანაც კი, როგორიც ჩერჩილი იყო.

სტალინის ჩერჩილისეული დახასიათება, რომელიც ზემოთ მოვიხმეთ, პირველწყაროდან მოდის, ზუსტია, უტყუარი და პოლიტიზაციიდან დაცლილი.

დაუპირისპირეთ ამას ხრუშჩოვისა და შემდეგდროინდელი ანტისტალინური პროპაგანდა და აშკარად გამოჩნდება ამ უკანასკნელის სისუსტე და სიყალბე.

### თავი 4

### ფრანკლინ დელანო რუზველტი – ბედის ნებიერა და მსხვერპლი

ფრანკლინ დელანო რუზველტი დაიბადა 1882 წელს მსხვილი მიწათმფლობელისა და მრეწველის ოჯახში. „დიდი სამეულიდან" მხოლოდ მან მიიღო პრესტიჟული თავდაპირველი განათლება: დაამთავრა ჯერ ჰარვარდის, შემდეგ კოლუმბიის უნივერსიტეტების იურიდიული ფაკულტეტები. იყო შეძლებული ადამიანი, ჰქონდა დიდი მამული, ოჯახის კაპიტალი სარფიანი ქორწინებით გაზარდა, როცა შეირთო მდიდარი შორეული ნათესავი ელეონორა. შესანიშნავი ურთიერთობა ჰქონდა მილიარდერებთან დიუპონთან და ასტორთან, მუშაობდა მსხვილ ფირმებსა და საბანკო კომპანიებში საპასუხისმგებლო თანამდებობებზე. 1910 წელს იგი სენატში აირჩიეს, 1913-დან 1920 წლამდე საზღვაო მინისტრის თანაშემწის პოსტი ეკავა.

ისე ჩანდა, რომ მისი ცხოვრება შესანიშნავად აეწყო — ეს იყო რეალურად განხორციელებული ამერიკული ოცნების ნიმუში. ჰქონდა ყველაფერი, რაზეც კი შეიძლებოდა ეოცნება „ჩვეულებრივ ამერიკელს", თანაც ამ მდგომარეობის მოსაპოვებლად დიდი გარჯა არ დასჭირვებია.

მაგრამ 1921 წელს დიდი უბედურება დაატყდა თავს: დაავადდა პოლიომიელიტით, წაერთვა ფეხები. სხვა მის ადგილზე სულიერად გატყდებოდა, უკეთეს შემთხვევაში, შეეგუებოდა ინვალიდის მდგომარეობას, მაგრამ არა ფრანკლინ რუზველტი. იგი იწყებს აქტიურ პოლიტიკურ მოღვაწეობას, რაშიც მონდომებით ეხმარება თავისი მეუღლე. 1928 წელს იგი ნიუ-იორკის გუბერნატორი ხდება, ხოლო 1937 წელს აირჩიეს აშშ პრეზიდენტად დემოკრატიული პარტიიდან.

**საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ იგი, პრაქტიკულად ინვალიდი ადამიანი,** ▶

**ჩერჩილი სტალინის თვალში ტიპიური ბურჟუაზიული პოლიტიკოსი იყო, თუმცა მისდამი საბჭოთა ბელადის დამოკიდებულებაში აშკარად იგრძნობოდა პატივისცემა და გარკვეულწილად — სითბოს ელემენტები.**
**აი, რუზველტს კი იგი აღიქვამდა, როგორც განსაკუთრებულ, გამორჩეულ პიროვნებას, რომელიც წინ აღუდგა ბედს და სულის სიმტკიცით დაძლია ფიზიკური სისუსტე.**

# უკომენტაროდ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ამერიკელმა ხალხმა, კონსტიტუციური აკრძალვის მიუხედავად, სამჯერ აირჩია ქვეყნის პრეზიდენტად.**

თავისი მოღვაწეობა მან უკიდურესად მძიმე დროს დაიწყო: კაპიტალისტურ სამყაროში განვითარებული ეკონომიკური კრიზისის შედეგად აშშ-ში უმძიმესი დეპრესია დაიწყო.

ჯერ კიდევ მაშინ, როცა რუზველტი საზღვაო მინისტრის თანაშემწედ მუშაობდა, აშშ-ს მსოფლიო ჰეგემონობის პრეტენზია გაუჩნდა, მაგრამ ეს მცდელობა წარუმატებელი აღმოჩნდა: პირველობა დიდმა ბრიტანეთმა შეინარჩუნა. საჭირო იყო კონკურენტ სახელმწიფოებთან ბრძოლის თავიდან დაწყება, რათა უზრუნველეყო თავისი ქვეყანა როგორც უცხოური ნედლეულით, ასევე მზა პროდუქციის გასაღების ბაზრებით.

ამასთან ერთად, საერთაშორისო ჰორიზონტზე მოახლოებული იყო ომის საშიშროების პირველი ნიშნები. გერმანიაში დემოკრატიული არჩევნებით ხელისუფლების სათავეში მოვიდა ჰიტლერი, იაპონიის იმპერიამ გააძლიერა თავისი აგრესია ჩინეთის წინააღმდეგ.

ლათინურ ამერიკასთან ერთად მაშინ ჩინეთიც იყო აშშ-ის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულება; იაპონია, რომელსაც ამერიკა მხარს უჭერდა რუსეთის წინააღმდეგ ომში, მისი ყველაზე უფრო საშიში მტერი გახდა შორეულ აღმოსავლეთში. ვაშინგტონს მდგომარეობა ურთულდებოდა იმით, რომ ინგლისი — აშშ-ის მთავარი კონკურენტი მსოფლიო არენაზე — ცდილობდა მოლაპარაკებოდა ტოკიოს შორეული აღმოსავლეთის რეგიონში გავლენის სფეროების განაწილების თაობაზე.

საზოგადოებრივ-ეკონომიკური სიტუაცია შეერთებულ შტატებში სოციალური და პოლიტიკური აფეთქების პირას იყო. კორუფცია და დანაშაული ყვაოდა. ჩერჩილი აღიარებდა, რომ აშშ-ში სოციალისტურ რევოლუციას ელოდა.

**აშშ-ის ახალმა პრეზიდენტმა შეძლო თავისი ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანა: მან ჭკვიანურად გამოიყენა საბჭოთა კავშირის სოციალურ-ეკონომიკური გამოცდილება.**

**მას „კომუნისტ“ პრეზიდენტს ეძახდნენ.**

თემა ისეთია, რომ იმსახურებს დაწვრილებით განხილვას.

ჯერ კიდევ XIX საუკუნის დასასრულს ამერიკელმა პოლიტიკურმა მოღვაწეებმა შენიშნეს, რომ სოციალური სამართლიანობის და ეკონომიკური აყვავების მიღწევა შეუძლებელია აქტიური სახელმწიფო რეგულირების გარეშე. 1892 წელს პოპულისტების განცხადებაში ნათქვამი იყო: „აუცილებელია მთავრობის, როგორც ყველა მოქალაქის ინტერესების დამცველი ორგანოს, უფლებათა გაფართოება, რათა ჩვენს ქვეყანაში ბოლო მოეღოს ჩაგვრას, უსამართლობასა და სიღარიბეს“.

ამის კვალზე აშშ-ის პრეზიდენტმა თეოდორ რუზველტმა (1901-1909 წწ.), რომელიც ფრანკლინ დელანოს ბიძაშვილი იყო, გაბედა და განაცხადა, რომ **„ბიზნესის, ამ უპასუხისმგებლო და ანტისაზოგადოებრივი ძალის, კონტროლი მთელი ხალხის სასარგებლოდ შეიძლება განხორციელდეს ერთადერთი საშუალებით — სათანადო უფლებამოსილების მინიჭებით ერთადერთი ინსტიტუტისთვის, რომელსაც ძალუძს გამოიყენოს ეს უფლებამოსილება — ფედერალური მთავრობისათვის“.**

როგორც ვხედავთ, ევროპის რევოლუციური მოვლენებისგან დამოუკიდებლად ამერიკელმა საზოგადოებრივმა მოღვაწეებმა თანდათან აღიარეს კერძო მეწარმეობაზე საზოგადოებრივი კონტროლის აუცილებლობა იმ ცალკეული პირების, კლანების, სოციალური ჯგუფების მომხვეჭელური მისწრაფების დასაოკებლად, რომელთაც ეროვნული სიმდიდრისკენ გზა გაეხსნათ. მაგრამ თეოდორ რუზველტის მომდევნო პრეზიდენტები — **კალვინ კულიჯი** და **გერბერტ ჰუვერი** აქტიურად მხარს უჭერდნენ კერძო მეწარმეობას, თავისუფალი ბაზრის სიკეთეებს. სწორედ მათმა ასეთმა პოლიტიკამ წარმოშვა ისეთი მძიმე ეკონომიკური კრიზისი, რის გამოც უმუშევრობის დონემ 25 პროცენტს მიაღწია.

ფრანკლინ რუზველტმა ისარგებლა ამომრჩეველთა უმრავლესობის მხარდაჭერით და განაცხადა: „მიმაჩნია, რომ ამ მომენტში ჩვენმა საზოგადოებამ უნდა დაავალოს მთავრობას, გადაარჩინოს შიმშილსა და სიღარიბეს ის თანამოქალაქენი, რომელთაც დღეს საშუალება არ აქვთ, ირჩინონ თავი“. მან ხაზი გაუსვა „სახელმწიფოს მიერ ეკონომიკურ ცხოვრებაში მბრძანებლური ჩარევის აუცილებლობას დიდი ქვეყნის არა მარტო რეგიონებისა და მოსახლეობის ჯგუფების ინტერესების, არამედ სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის ინტერესების გათვალისწინებით“. ამით **მან პირდაპირ თუ არა, ირიბად აღიარა სახელმწიფო ეკონომიკაში გეგმიური საწყისის უპირატესობა,** რომლის გარეშეც წარმოუდგენელია წარმოებაში ქაოსისა და კერძო მესაკუთრეთა ეგოიზმის დაძლევა. მისი სიტყვებით რომ ვთქვათ: **„თითოეულმა სოციალურმა ჯგუფმა თავი ერთი მთლიანის ნაწილად, საერთო გეგმის ერთ რგოლად უნდა აღიქვას“.**

რეფორმების შედეგად ფრანკლინ რუზველტმა შეძლო გამკლავებოდა ქრონიკულ კრიზისს აშშ-ის სოფლის მეურნეობაში, რომელიც თავისუფალი ბაზრისა და უამინდობის სერიოზული ნეგატიური გავლენის ქვეშ მოექცა. წარმატების მიღწევა ეკონომიკის ამ სექტორში შესაძლებელი გახდა სახელმწიფო რეგულირებისა და სახსრების ამ მიმართულებით წარმართვის წყალობით. ამასთან დაკავშირებით თანამედროვე ამერიკელი ისტორიკოსი **ა. შლეზინგერი** შენიშნავს: **„სოფლის მეურნეობის წარმოების ნაყოფიერებისა და ეფექტიანობის ამაღლებით თუ ვიმსჯელებთ, ამ დარგში სახელმწიფოს ჩარევა უაღრესად წარმატებული აღმოჩნდა“.**

ფრანკლინ რუზველტის პრეზიდენტობის ვადის ხანგრძლივობის ახსნა სწორედ მის პოლიტიკურ-ეკონომიკურ კურსში უნდა ვეძებოთ, რომელმაც უზრუნველყო სოციალური სამართლიანობა.

რუზველტი თავის ოჯახთან ერთად



ამ მხრივ რუზველტისა და სტალინის პოზიციები გარკვეულწილად დაემთხვა ერთმანეთს. აქვე ვთქვათ, რომ სახელმწიფოს ინტერესების მკაცრად დაცვა არც ერთ მათგანს არ წარმოედგინა კერძო ინიციატივის დათრგუნვის ხარჯზე.

**ერთი უბრალო ჭეშმარიტებაა აქ განმსაზღვრელი: საქმე ისაა, თუ საით, რისკენაა მიმართული ეს ინიციატივა. თეორეტიკოსობას თავი დავანებოთ და გავიხსენოთ ისტორიის რეალიები, თუნდაც სოციალისტური მშენებლობის გრანდიოზული წარმატებები და საბჭოთა ხალხის გამარჯვება ფაშიზმის წინააღმდეგ ომში. ვერც ერთს ვერ მიაღწევდა საბჭოთა კავშირი მხოლოდ სტალინის უშესანიშნავესი ხელმძღვანელობის ხარჯზე, სახელმწიფო სისტემის უპირატესობათა გამო და, რაც სრული სისულელეა, მოსახლეობის საყოველთაო დაშინებისა და ტერორის წყალობით. ბელადის ვერავითარი გენია ვერ შეცვლის მთავარს — ქვეყნის მოსახლეობის ენთუზიაზმს, ინიციატივიანობას, საზოგადოებისთვის თავდადებული შრომის მადლსა და ეფექტიანობას.**

გამორიცხული არ არის, რომ სწორედ ეს უმთავრესი მომენტი იგრძნო ფრანკლინ რუზველტმა და განახორციელა კიდეც იგი თავისი ქვეყნის სპეციფიკურ პირობებში.

ეს მან შეძლო.

მისმა ფიზიკურმა სიძაბუნემ, ავადმყოფობამ ვერ დაძლია ადამიანის სულის სიმტკიცე, რომელიც წინ აღუდგა ბედის უკულმართობას.

მან ეს შეძლო.

## ერთხელ ყირიმში

რუზველტისადმი სტალინის დამოკიდებულების შესახებ საინტერესო დაკვირვებანი შეიძლება ამოვიკითხოთ სსრკ საგარეო საქმეთა მინისტრის — ანდრია გრომიკოს მოგონებებში.

ერთ-ერთი ასეთია: ყირიმის კონფერენციის დროს რუზველტი ავად გახდა (მას თურმე ორი თვის სიცოცხლე დარჩენოდა). ავადმყოფი ინახულა სტალინმა. მასთან ერთად იყვნენ სსრკ საგარეო საქმეთა მინისტრი მოლოტოვი და აშშ-ში საბჭოთა კავშირის ელჩი გრომიკო. ამ უკანასკნელმა გაიხსენა, რომ, როცა პრეზიდენტის ოთახიდან გამოვიდნენ და ვიწრო კიბეზე დაეშვნენ, სტალინი შეჩერდა, აუჩქარებლად დატენა ჩიბუხი თამბაქოთი და ხმადაბლა წარმოთქვა:

— აბა, მითხარით, რით არის ეს ადამიანი სხვებზე უარესი, ასე რატომ დასაჯა ბუნებამ?!

„პირველ სართულზე რომ ჩამოვედით, — იხსენებს გრომიკო, — სტალინმა მკითხა:

— მართალს ამბობენ, რომ პრეზიდენტი წარმოშობით ინგლისელი არ არის?

და თითქოს ხმამაღლა ფიქრობსო, განაგრძო:

— თუმცა ქცევით და აზრის გამოხატვის თავისებურებით იგი უფრო ჰგავს ინგლისელს, ვიდრე ჩერჩილი. უკანასკნელი რაღაც ნაკლებად აკონტროლებს თავის ემოციებს. რუზველტი კი პირიქით, თვით გონივრულობა და სიტყვასიძუნწეა.

**...სტალინს ესიმპათიურებოდა რუზველტი, როგორც ადამიანი და ამას ჩვენც ნათლად გვაგრძნობინებდა, როცა პრეზიდენტის ავადმყოფობაზე ბჭობდა. სტალინი ძალიან იშვიათად ეკიდებოდა სიმპათიით სხვა სამყაროს მოღვაწეებს და კიდევ უფრო იშვიათად ლაპარაკობდა ამის შესახებ“.**

ხუთი წლის წინათ, როცა საბჭოთა კავშირმა ეკონომიკური ურთიერთობა დაამყარა ამერიკასთან (რაც მომგებიანი იყო აშშ-ისთვის), რუზველტმა დაგმო საბჭოთა კავშირი, ფინეთის წინააღმდეგ საომარ მოქმედებათა გამო. მაგრამ ამ გამოხდომამ, როგორც ვნახეთ, არ გააბოროტა სტალინი აშშ-ის პრეზიდენტის მიმართ.

დააკვირდით ამ ფაქტს და თქვით, რამდენად ესადაგება ასეთი ადამიანური დამოკიდებულება ხრუშჩოვისა და სხვა ანტისტალინელების ცილისწამებას სტალინის გულღვარძლიანობის შესახებ.

**ჩერჩილი სტალინის თვალში ტიპიური ბურჟუაზიული პოლიტიკოსი იყო, თუმცა მისდამი საბჭოთა ბელადის დამოკიდებულებაში აშკარად იგრძნობოდა პატივისცემა და გარკვეულწილად — სითბოს ელემენტები.**

**აი, რუზველტს კი იგი აღიქვამდა, როგორც განსაკუთრებულ, გამორჩეულ პიროვნებას, რომელიც წინ აღუდგა ბედს და სულის სიმტკიცით დაძლია ფიზიკური სისუსტე.**

## დეპრესია აშშ-ში და აღმავლობა სსრკ-ში

ურთიერთობა საბჭოთა კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის 1930-იან წლებში აეწყო. ეს მოხდა არა ამ ორი სახელმწიფოს მეთაურთა ურთიერთსიმპათიის გამო, არამედ წმინდა ეკონომიკურ საფუძველზე. იმ დროს, როცა საბჭოთა კავშირში მკაცრი სახელმწიფო რეგულირებისა და დაგეგმვის პირობებში დაჩქარებით მიმდინარეობდა ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, აშშ-ში გრძელდებოდა დეპრესია, რომლის დაძლევის ერთ-ერთი საშუალება გასაღების ბაზრის გაფართოება იყო.

ამას გარდა, სტალინისთვის მნიშვნელოვანი იყო სსრ კავშირის პოზიციების გამაგრება შორეული აღმოსავლეთის რეგიონში. ჯერ კიდევ 1931 წელს იაპონიის მიერ მანჯურიის დაპყრობა მან დაახასიათა, როგორც ახალი მსოფლიო ომის პირველი კერის გაჩენა (ასევე ზუსტად შეაფასა მან ფაშისტების გერმანიის სათავეში მოსვლა და ეს ფაქტი დაძაბულობის მეორე კერად მიიჩნია).

საბჭოთა კავშირს სჭირდებოდა, სწრაფი ტემპით განევითარებინა თანამედროვე სამხედრო მრეწველობა, რადგან ყველასთვის ნათელი იყო: **მოსალოდნელია ბრძოლები, რომლებშიც ტექნიკას მთავარი როლის შესრულება მოუწევს. ამის მისაღწევად კი, ცხადია, ცარიელი ენთუზიაზმი საკმარისი არ იყო. უნდა აღვჭურვილიყავით უახლესი ტექნოლოგიებით, რომლებიც განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს გააჩნდა, მათ შორის — აშშ-ს. ამიტომ ოკეანისგაღმელ პარტნიორთან ტექნიკური თანამშრომლობა განსაკუთრებით ფასეული იყო.** ამის თაობაზე სტალინმა გამჭვირვალედ მიანიშნა, როცა განაცხადა, რომ საჭიროა, ამერიკელებისგან ვისწავლოთ მეურნეობრიობა და უახლესი ტექნიკის გამოყენება.

ორივე ქვეყანას საერთო, თუმც წინააღმდეგობრივი, ინტერესები ჰქონდა შორეულ აღმოსავლეთში. საბჭოთა კავშირისთვის სიტუაცია საკმაოდ რთული იყო: გომინდანური ჩინეთის ჩანკაისტურ მთავრობასთან ურთიერთობა 1929 წლის ჩინეთ-აღმოსავლეთის რკინიგზაზე მომხდარი კონფლიქტის შემდეგ საკმაოდ დაძაბული იყო. მდგომარეობას ართულებდა ინგლისის ხრიკებიც, რომელიც რეგიონში თავისი ბატონობის დამყარებას ცდილობდა.

**სტალინმა შესანიშნავად იცოდა, რომ აშშ-ში კრიზისი აღმავლობით კი არ შეიცვალა, არამედ მტკივნეული დეპრესიით. ასეთ პირობებში ამერიკულ კაპიტალს ძალიან სჭირდებოდა საბჭოთა კავშირის უზარმაზარი და ტევადი ბაზარი.** მისი არაოფიციალური კავშირები საბჭოთა ეკონომიკასთან მუდმივად ფართოვდებოდა. საკმარისია გავიხსენოთ ამერიკის საავტომობილო წარმოების გიგანტის — „ფორდის“ აქტიური მონაწილეობა გორკის ავტოქარხნის დაარსება-ამოქმედებაში.

ამერიკის მიერ საბჭოთა კავშირის უგულებელყოფის ატავიზმი, რომელიც ორი ქვეყნის ურთიერთობაში 1917 წლიდან ეკალივით იყო ამოსული, უაზრობა ხდებოდა. დღის წესრიგში დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის საკითხი დადგა, მაგრამ სტალინი არ ჩქარობდა. იგი რუზველტის მხრიდან ინიციატივის გამოვლენას ელოდა, რადგან შესანიშნავად ესმოდა, რომ მას სასიცოცხლოდ სჭირდებოდა ძლიერი მოკავშირე შორეულ აღმოსავლეთში იაპონიის აგრესიისა და ინგლისის ინტრიგების საპირწონედ.

ამერიკის პრეზიდენტის მდგომარეობა რთული იყო. ანტისაბჭოთა ძალებს აშშ-ში დიდი გავლენა ჰქონდათ, ამიტომ რუზველტი ფრთხილად და უკანმოხედვით მოქმედებდა. მან ფარულად ჩაატარა საზოგადოებრივი აზრის ზონდაჟი. თეთრი სახლის ანალიტიკოსებმა დიდი მოცულობის სამუშაო შეასრულეს და გაარკვიეს, რომ **ამერიკის ელიტის ნახევარზე მეტი საბჭოთა კავშირის აღიარებას ემხრობოდა.**

მოლაპარაკებები, მათ შორის — საიდუმლო, აქტიურად წარიმართა და 1933 წლის 17 ნოემბერს ოფიციალურად გამოცხადდა, რომ დიპლომატიური ურთიერთობა ორ ქვეყანას შორის აღდგენილია. მოსკოვში ელჩად პრეზიდენტმა დანიშნა უილიამ ბულიტი, რომელიც ჯერ კიდევ 1919 წელს აწარმოებდა მოლაპარაკებას საბჭოთა რუსეთთან.

სტალინმა ელჩს განუცხადა: „მაცნობეთ და ჩვენ დაუყოვნებლივ შევხვდებით ერთმანეთს“. ბულიტმა რუზველტს საბჭოთა ბელადი დაუხასიათა, როგორც „ამტანი ბოშა, რომელსაც აქვს წარსული და ემოციები, რომელთა გაგება ჩემთვის მიუწვდომელია“.

გაგრძელება იქნება

რუბრიკას უძღვება **არმაზ სანებლიძე**

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## უცნაური წრეები

**ეს წრეები მინდორზე უცხოპლანეტელებს ნამდვილად არ დაუხატავთ. ეს არის ადგილობრივი ფერმერების მიერ დამონტაჟებული სარწყავი სისტემა.** სარწყავები წრეზე მოძრაობენ და წყლის წნევის თანაბრად გადანაწილების გამო ელექტროენერგიას არ საჭიროებენ. წრის შუაში არის წყალსადენი, რომელიც მთელ რადიუსზე ავრცელებს სარწყავ წყალს, მაგრამ შორიდან ეს სარწყავი სისტემა ნამდვილად სიურრეალისტურად გამოიყურება





# გაუნათლებელი მილიონერები

**არიან მდიდარი ადამიანები, რომლებსაც არ დაუმთავრებიათ უმაღლესი სასწავლებელი, თუმცა დიპლომის არქონას მათთვის მილიარდების შოვნაში ხელი არ შეუშლია.**

**ტაიგერ ვუდსი** ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი სპორტსმენია მთელ მსოფლიოში. მას გოლფის თამაში პროფესიონალურ დონეზე სურდა, ამიტომ უარი განაცხადა სწავლაზე. დღეს ტაიგერის ყოველწლიური შემოსავალი 100 მილიონი დოლარია. ეპატაჟური მომღერალი **ლედი გაგა** ერთ დროს მანჰეტენზე მდებარე სუფთა გულის ქალთა მონასტერში სწავლობდა. გაგას ყოველთვის სურდა მომღერლობა, ამიტომ მან სწავლა მიატოვა და მუსიკალური კარიერა ააწყო. ახლა მისი მილიონობით ალბომი იყიდება, ხოლო მის კონცერტზე დასასწრები ბილეთები ათასობით დოლარი ღირს.

მსახიობი **ჰარისონ ფორდი** ვისკონსინის შტატის ერთ-ერთ კოლეჯში სწავლობდა, თუმცა რამდენიმე უმნიშვნელო როლის გამო გამოსაშვებ გამოცდებზე უარი თქვა. ამის შემდეგ 10 წელი გავიდა, სანამ მნიშვნელოვან როლს მიიღებდა. მოთმინებამ შედეგი გამოიღო. ახლა მსახიობი თითო კინოროლში 10 მილიონ დოლარს იღებს. თეატრში თამაშის დაუოკებელი სურვილის გამო, სწავლა მსახიობმა ტომ ჰენქსმაც მიატოვა. **მარკ ცუკერბერგი** ჯერ კიდევ ჰარვარდის უნივერსიტეტში სწავლობდა, როდესაც სოც. ქსელი facebook-ი დააარსა. მისი პროექტი იმდენად წარმატებული აღმოჩნდა, რომ მარკმა უარი თქვა სწავლაზე. ახლა ის ყველაზე ახალგაზრდა მილიარდერთა ათეულშია.



**ჯეიმს კამერონი**, რომელიც კანადაში დაიბადა, მოგვიანებით ოჯახთან ერთად საცხოვრებლად კალიფორნიაში გადავიდა. იქვე ჩააბარა უნივერსიტეტში. ჯეიმსს არ სურდა სწავლა, ამიტომ მალევე მიანება თავი უნივერსიტეტს, სატვირთო მანქანის მძღოლი გახდა და ცოლად მიმტანი მოიყვანა. ფილმ „ვარსკვლავური ომების“ ნახვის შემდეგ, ჯეიმსმა რეჟისორობა გადაწყვიტა. მისი „ავატარი“ კინოისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მაღალშემოსავლიანია.

**ბაკმინსტერ ფულერი** ჰარვარდის უნივერისიტეტიდან 2-ჯერ გარიცხეს. მიუხედავად ამისა, ის მაინც გახდა ცნობილი არქიტექტორი, ფილოსოფოსი და გამომგონებელი. კრეატიული იდეების წყალობით, ფულერმა მილიონობით დოლარი იშოვა.

**სტივ ჯობსი,** რომელიც რამდენიმე თვის წინ გარდაიცვალა, მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული კომპანიის — Apple-ს დამფუძნებელი და დირექტორი იყო. სტივს უნივერსიტეტი არ დაუმთავრებია.

დღეს **ბილ გეითსი** მსოფლიოში ყველაზე მდიდარი ადამიანია. 1973 წელს მან ჰარვარდის უნივერსიტეტში ჩააბარა. სწავლა 2 წელიწადში მიატოვა და საუკეთესო მეგობართან ერთად კომპანია Microsoft-ი დააარსა.



# ყველაზე დიდი გემი მსოფლიოში









**ზღვის ოაზისი (Oasis of the Seas) მსოფლიოში ყველაზე დიდი სამგზავრო გემია, რომლის ბორტზე ერთდროულად 6 300 მგზავრის გადაყვანაა შესაძლებელი. გარდა ამისა, ზღვის ოაზისს ყველაზე ბევრი აივნიანი ოთახი, ყველაზე დიდი აუზი და მსოფლიოში პირველი ნამდვილი პარკი აქვს.** სამი 6-მეტრიანი სანიჩბე ვინტილი მოძრაობაში V12 ტიპის რვა ძრავს მოჰყავს, რომელთაგან თითოეულის სიმძლავრე 17 500 ცხენის ძალის ტოლია. გემის სიმაღლეა 65 მეტრი, ხოლო მის ბორტზე განლაგებულია ორი 6-სართულიანი კოშკი, რომლებიც 2700 კაიუტას იტევს 5400 მგზავრისთვის.

Oasis of the Seas მშენებლობის ღირებულება 1,2 მილიარდი დოლარი იყო. მის ბორტზე 400 ტონა მცენარეულობა და მათთვის საჭირო ნიადაგია. Oasis of the Seas, რომლის სიგრძე 361 მეტრია, სიგანე კი — 66 მეტრი, 2704 კაიუტაში 6360 მგზავრს თავისუფლად ატევს. სტუმართა მომსახურებისთვის 2100 ადამიანისგან შემდგარი ეკიპაჟია მობილიზებული.

ლაინერი აიგო ფინეთში კომპანია Royal Caribbean International-ის დაკვეთით. ზომით ის 5-ჯერ აღემატება საყოველთაოდ ცნობილ „ტიტანიკს“. მასზე განთავსებულია ფიტნეს დარბაზები, SPA, თეატრი, ჯაზკლუბი, დაუჯერებელი ზომის საცურაო აუზები და უამრავი სხვა რამ. კაიუტებს შორის 30 კაიუტა ლოფტის კატეგორიისაა, რაც იმას ნიშნავს, რომ თითოეული მათგანის ფართობი შეადგენს 51-დან 141 კვადრატულ მეტრამდე, მთლიანი სივრცე კი დაყოფილია 7 თემატურ ზონად. ლაინერზე გაშენებულ პარკში 12 000 სხვადასხვა სახის მცენარე ხარობს. ერთ-ერთი ზონა, Central Park-ი, წარმოადგენს მოედანს, რომელზეც ბუტიკები, რესტორნები და ბარებია განთავსებული. ერთ-ერთ ბარში შესვლა და გამოსვლა შესაძლებელია სხვადასხვა გემბანიდან. Oasis of the Seas გასართობი საშუალებებიდან აღსანიშნავია: საციგურაო მოედანი, გოლფ-კლუბი, 750-ადგილიანი ღია ამფითეატრი, 1300-ადგილიანი დახურული თეატრი, 4 საცურაო აუზი, რომელთაც 10-მეტრიანი სახტომი ანძები აქვთ, ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები და ათობით მოედანი, რომლებზეც ბავშვები შეძლებენ ძიძების ზედამხედველობის ქვეშ გართობას.

# ათი ათასი ბუდას მონასტერი

**ჰონგ კონგის ქალაქ შან-ტინში არის ათი ათასი ბუდას მონასტერი. ის არ წარმოადგენს ნამდვილ მონასტერს, რადგან იქ ბერების ნაცვლად მხოლოდ ტურისტებს იხილავთ.**

ეს უჩვეულო ადგილი ბუდას 13 ათასი სკულპტურით არის მორთული. მონასტრამდე მიღწევა მხოლოდ 400 საფეხურის ავლის შემდეგაა შესაძლებელი.

აქ თითოეული ქანდაკება უნიკალურია. შეხვდებით მელოტ ბუდას, მსუქან ბუდას, მაჩო ბუდას, ბუდას ძაღლებთან, დრაკონებთან, გომბეშოებთან ერთად. ბუდას ქანდაკებები ყველგანაა — ანძებზე, მდელოებზე, საფეხურებზე... კედლებიც კი მისი მინიატურული სკულპტურებითაა მორთული.







## გიგანტური თევზი

რიო დე ჟანეიროს სანაპიროზე Botafogo შეიქმნა ხელოვნების ნიმუში — სკულპტურა პლასტმასის ბოთლებისგან, რომელიც სამ დიდ თევზს ასახიერებდა. ინსტალაციის შემდეგ გააკეთეს ნიშანი ლოზუნგით: „გადაამუშავე შენი პოზიცია“. სკულპტურა გაეროს კონფერენციის ყურადღების ცენტრში მოექცა.





ქრონოგრაფი
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ათი უცნაური ლუდი

**სასმელებიდან მსოფლიოში წყლისა და ჩაის მერე პოპულარულობით მესამე ადგილზე ლუდი დგას. ასეა იაპონიაშიც კი, სადაც ლუდის მრეწველობა მხოლოდ XIX საუკუნის ბოლოს დარეგულირდა, ხოლო იაპონური არყის — საკეს მწარმოებელი 1500 კომპანიიდან თითოეულზე, სულ მცირე, ათი მსხვილი ლუდსახარში მოდის. ამ ოქროს სასმელმა სწრაფად მოიპოვა პოპულარობა და, რაც უნდა საოცარი იყოს, არა მარტო ადამიანებს შორის, არამედ ცხოველებშიც.**

## 1. ლუდი პიცის არომატით




**ამ სასმელის შემქმნელები არიან ტომი და ათენა სიფერტები, ილინოისის შტატიდან.** 6 წლის წინ მათ დაიწყეს ლუდის ხარშვა საკუთარი სახლის ავტოფარეხში და ზუსტად აქ შეიქმნა პირველად ლუდი პიცის არომატით. ლუდმა არასტანდარტული გემოთი სწრაფად მოიპოვა პოპულარობა მშობლიურ სენტ-ჩარლზში, ხოლო მოგვიანებით მყარად დაინერგა აშშ-ის ბაზარზე. წელს გეგმაშია ლუდის ექსპორტი ევროპის ქვეყნებშიც.




## 2. ლუდი-შამპანური

**ეს იდეა — ლუდისა და შამპანურის ერთ ბოთლში გაერთიანება — აზრად მოუვიდათ ამერიკელ ლუდისმხარშავებს.** 2006 წელს კომპანიამ „Cobra Beer“ წარმოებაში ჩაუშვა ლუდი სახელწოდებით Krait Prestige Champagne Lager. მისი წარმოების პროცესი დიდად არ განსხვავდება შამპანურის დამზადებისაგან, თუმცა საფუარის დამატება აუცილებელია. ალკოჰოლის შემცველობა მასში საკმაოდ მაღალია და 8%-ს აღწევს.



## 3. ბამბუკის მწვანე ლუდი

**ელვარე ზურმუხტოვანი მწვანე ფერის სასმელი შეიცავს მცენარის ფოთლების ექსტრაქტს. ბამბუკისგან ლუდის მოხარშვის იდეა ჩინელებს ეკუთვნით.** სასმელისათვის გვიან შემოდგომაზე ფოთლებს აგროვებენ, რის შემდეგაც ახმობენ და ექსტრაქტს ამზადებენ. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ლუდი ითვლება სასარგებლოდ ალკოჰოლის დაბალი შემცველობის გამო და ორგანიზმიდან ნარჩენი პროდუქტებისა და ტოქსინების გამოდევნის უნარით.



## 4. კონიაკი-ლუდი

**ბოსტონის კომპანია „Samuel Adams“-ის ლუდისმხარშავებმა გადაწყვიტეს, სპირტის შემცველობა ლუდში 7 პროცენტიდან 27-მდე გაეზარდათ.** მიღებულმა პროდუქტმა მიიღო სახელწოდება Utopias და გახდა ერთ-ერთი ძალიან ძლიერი და ძვირადღირებული მთელ მსოფლიოში. მის დამზადებაში იყენებდნენ სვიის 4 სახეობას, თვითონ სასმელი კი ინახება დიდი ხნის განმავლობაში კონიაკის ან ვისკის ბარელებში. ერთი ბოთლის ფასი 150 დოლარია. კონიაკის ლუდის მიღება რეკომენდირებულია ჭამის შემდეგ, თანაც პატარა ყლუპებით, როგორც ვისკი.




## 5. «ოქროს» ლუდი

ლუდში ძვირფასი მეტალის დამატების იდეა ეკუთვნის ჩეხ ლუდმხარშავებს. ადამიანმა სახელად მარეკ პეტონმა ჩადო ლუდის ბოთლში ოქროს ფოლგის 8 სანტიმეტრი სიგრძის 0,018-გრამიანი ზოლი, რომელიც შემდეგ დაიმსხვრა ლუდის ნაკადის ზეწოლისას. ამ ტექნოლოგიის წყალობით, ლუდმა მიიღო საუცხოო ნაირფერადობა. ერთი ბოთლის ფასი 13 ევროა.

## 6. გამაახალგაზრდავებელი ლუდი

**2004 წელს გერმანიაში დახლებზე გამოჩნდა გამაახალგაზრდავებელი ლუდი.** ის დღესაც გაყიდვაშია. სასმელ Anti Aging Bier-ის შემადგენლობაში ტრადიციული ქერის, საფუარისა და სვიის გარდა შევიდა წყალი ცხელი მინერალური წყაროებიდან, ვიტამინები და ანტიოქსიდანტები. მაგრამ მთავარ ინგრედიენტად გვევლინება სპირალური წყალმცენარეები — სპირულინები, რომლებიც ეხმარება იმუნური სისიტემის მოქმედებას, ასევე აქვს კიბოს საწინააღმდეგო თვისებები. სხვათა შორის, ეს ლუდი გამოსადეგია აბაზანისთვისაც.






## 7. ლუდი ძაღლებისთვის

**2007 წელს კომპანიამ Bowser Beer-მა შექმნა ლუდი ძაღლებისთვის. თითო ბოთლის ფასი 3,5 დოლარს შეადგენს.** ამ ლუდს ამერიკის 40-მდე შტატში ყიდიან. ლუდი სასარგებლოა: აქვს ქათმის ბულიონის არომატი, შეიცავს გლუკოზას, ვიტამინებს, რომელიც ძაღლის ბეწვისთვის სასარგებლოა. ამერიკის შეერთებული შტატების გარდა, ლუდს ნახავთ ბელგიასა და ჰოლანდიაშიც.



## 8. ბავშვების ლუდი

**იაპონელებმა გამოთვალეს, რომ ბავშვები არაფრით განსხვავდებიან მოზრდილებისგან და გადაწყვიტეს, შეექმნათ ბავშვთა ლუდი.** ახლა სამ წელზე მეტი ასაკის ბავშვებს საბავშვო ბაღის მერე შეუძლიათ გასინჯონ ერთი-ორი ბოთლი ქაფიანი სასმელი. უალკოჰოლო ლუდმა ვაშლის არომატით მიიღო სახელწოდება Kodomo-no-nominomo. ბავშვთა ლუდი გამოჩნდა ჯერ კიდევ 2005 წელს. მაგრამ ასეთი ლუდის სარგებლიანობა ჯერჯერობით კამათის თემაა. მაგალითად, დასავლეთის ქვეყნების აზრით, ასეთი სასმელები თინეიჯერებში გამოიწვევს ალკოჰოლიზმს, ხოლო იაპონიაში, სადაც სასმელის ერთობლივად სმის ტრადიცია აქვთ, ამ ლუდის დახმარებით სურთ, ერთ მაგიდასთან თავი მოუყარონ მოზრდილებსაც და ბავშვებსაც.




## 9. წყალმცენარეების ელი

**შოტლანდიის ლუდსახარში Williams Brothers აწარმოებს ელს ზღვის წყალმცენარეებიდან. ეს რეცეპტი ცნობილი გახდა ჯერ კიდევ XIX საუკუნეში.** ლუდში წყალმცენარეებს უმატებენ პირველადი ფერმენტაციის სტადიაში, რის შედეგადაც ლუდი „ზღვის“ ელფერს იღებს. ამ ლუდს უწოდებენ Kelpie Seawood (კელპი წყლის სულია და ტბებსა და მდინარეებში ბინადრობს). სხვათა შორის, ზუსტად მისი გამოსახულება ამშვენებს ელის იარლიყს.




## 10. რძიანი ლუდი

**2007 წელს იაპონიის ქალაქ ნაკასიბეცის მაღაზიებში გამოჩნდა ლუდი იარლიყით, რომელზეც წერია, რომ სასმელი ძროხის რძით მზადდება.** ხოკაიდოს კუნძულის ფერმერს ლუდში წყლის რძით ჩანაცვლება მოუვიდა აზრად. მას ენანებოდა, გადაეყარა ჭარბი რძის პროდუქტები და მათი ყიდვა ადგილობრივ ლუდსახარშ კომპანიას შესთავაზა, სადაც ეს-ეს არის შეიმუშავეს უჩვეულო სასმელის მომზადების ტექნოლოგია.

## ფერადი მტრედები

**რამდენიმე დღეა, კოპენჰაგენში ფერადი მტრედები შენიშნეს. ზოგი მწვანეა, ზოგი — ვარდისფერი, ზოგი — ყვითელი. მტრედები კოპენჰაგენში გახსნილი გამოფენის — „ცხოვრების საათების“ ექსპონატები არიან.** ორმა მხატვარმა — იულიუს ფონ ბისმარკმა და ჟულიენ შარიერმა მტრედები შეღებეს და ისევ გაუშვეს. მხატვრებმა ისეთი საღებავი გამოიყენეს, რომელიც ჩიტებს არ ვნებს, მაგრამ მათ სხეულზე რამდენიმე თვის განმავლობაში დარჩება. „ეს არის ერთ-ერთი ხერხი, რომ ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებაში ხელოვნება შევიტანოთ. ფერადი მტრედები ცხოვრებისეულ რუტინას გაახალისებენ“, — განაცხადა გამოფენის ორგანიზატორმა კრისტიან ბრენტონ-მაიერმა.



კახი კალაძე:

# არაფერი საერთო არ მაქვს მაფიასთან, არც წარსულში მქონდა და არც ახლა

**თბილისი. კახი კალაძის ოფისი მისი საფეხბურთო გამარჯვევების ფოტოებითაა მორთული, მაგრამ დღეს ის თავის ყველაზე მწვავე ოპონენტს — საქართველოს მთავრობას უპირისპირდება და მისი გადაყენების კამპანიაშია ჩართული.**



**„როდესაც განვაცხადე, რომ ჩემი საფეხბურთო კარიერა დასრულდა, ვთქვი, რომ ჩემი ყველაზე მნიშვნელოვანი მატჩი სწორედ ახლა იწყებოდა“,** — განაცხადა ფეხბურთიდან ახლახან წასულმა მცველმა, ერთ-ერთმა ყველაზე წარმატებულმა მოთამაშემ ყოფილი საბჭოთა სახელმწიფოს ისტორიაში.

იტალიის „მილანთან“ ერთად ჩემპიონთა ლიგის ორგზის გამარჯვებული, 34 წლის კახი კალაძე შემოდგომაზე დაგეგმილ საპარლამენტო არჩევნებში მიიღებს მონაწილეობას ოპოზიციურ კოალიციასთან ერთად, რომელსაც მილიარდერი მაგნატი ხელმძღვანელობს, მაგნატი, რომელმაც პირობა დადო, რომ საქართველოს პრეზიდენტის — მიხეილ სააკაშვილის მმართველ პარტიას დაამარცხებს.

**„ეს ძალიან რთული გადაწყვეტილება იყო, მაგრამ ის ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ მივიღე. ჩემს ქვეყანაში დიდი უსამართლობაა, ბევრი ადამიანი საშინელ პირობებში ცხოვრობს“,** — ამბობს კალაძე კოალიცია „ქართული ოცნების“ ოფისში, რომელიც სააკაშვილის საპრეზიდენტო სასახლეს უყურებს მდინარე მტკვრის მეორე ნაპირიდან თბილისში.

ბოლო კვირებში დაძაბულობა განსაკუთრებით გამწვავდა, რადგან „ქართული ოცნების“ უმდიდრესი ლიდერი ბიძინა ივანიშვილი ათობით მილიონი დოლარით დააჯარიმეს იმ ბრალდებით, რომ თითქოს გამარჯვებისკენ გზის ყიდვას ცდილობდა.

**„ეს ყველაფერი ხელისუფლების შიშის შედეგია“,** — ამბობს კალაძე, რომელიც დღესაც ფეხბურთის იტალიელი ვარსკვლავივით გამოიყურება.

**„ის, რასაც ჩვენ ვაწყდებით, უკანონო და უსამართლოა“,** — თქვა მან.

ამ უძლიერესმა მცველმა საკუთარი რეპუტაცია ჯერ თბილისის დინამოში გამოძერწა, სადაც ხუთჯერ მოიგო საქართველოს ჩემპიონთა ლიგა, ვიდრე კიევის დინამოში გადავიდოდა და თავის წარმატებებს სამ უკრაინულ ჯილდოს შეჰმატებდა.

შემდეგ მასთან კონტრაქტი იტალიის „მილანმა“ გააფორმა საქართველოსთვის რეკორდულ ფასად — 16 მილიონ ევროდ, მაგრამ მომდევნო წლებში მის ცხოვრებაში წარმატებასთან ერთად ტრაგედიებიც მოხდა.

მან იტალიის სერია ა-ს ტიტული მოიპოვა, ორჯერ მოიგო ასევე ჩემპიონთა ლიგის ჯილდო, მაგრამ დაკარგა ძმა — ლევანი, რომელიც ქართველმა კრიმინალებმა მისგან ფულის გამოძალვის მზნით გაიტაცეს. ის მხოლოდ ხუთი წლის შემდეგ, 2006 წელს, მოკლული იპოვეს.

კალაძემ წელს ფეხბურთი დატოვა, დღემდე თამაშობს რა სერია ა-ში გენოაში, თუმცა მალევე გააცნობიერა, მის ახალ მატჩში ნაკლებად ჯენტლმენური წესებით თამაშობენ.

**„პოლიტიკაში ბევრად მეტი გამოწვევაა, ვიდრე სპორტში“,** — ამბობს ის და დასძენს, რომ ის „წინ რთულ მატჩებს ელოდება“ მთავრობასთან, რომელიც არ აპირებს ხელისუფლებიდან წასვლას.

საქართველოს პროდასავლელმა ლიდერმა ივანიშვილი, რომელმაც მისი $6.4 მილიარდიანი ქონება რუსეთში დააგროვა, იმაში დაადანაშაულა, რომ ის მოსკოვის მარიონეტია, რომელთანაც თბილისს 2008 წელს ხანმოკლე ომი ჰქონდა და დღემდე არ გაყავს არმია საქართველოს ორი გამოყოფილი რეგიონიდან, რომლებსაც ის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარებს.

**„ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, რომ უზარმაზარი რუსული ფული მოდის საქართველოში პირდაპირი ბრძანებებით კრემლიდან“,** — განაცხადა ახლახან სააკაშვილმა.

**კალაძე ამბობს, რომ „აბსურდია“ ოპოზიციის დახასიათება „პუტინის ადამიანებად“, მაგრამ ამტკიცებს, რომ რუსეთთან ურთიერთობა უნდა გაუმჯობესდეს, თუკი მის ქვეყანას დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება უნდა.**

**„ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი იქნება რუსებთან დიალოგის დაწყება, დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა და დისკუსიის დაწყება იმაზე, თუ როგორ უნდა დაიბრუნოს საქართველომ ტერიტორიები, რომლებიც ახლა რუსეთის არმიის მიერ არის ოკუპირებული“,** — ამბობს იგი.

უმწვავესი წინასაარჩევნო ბრძოლის გარდა, კალაძე პროსამთავრობო ტელევიზიამ ქართველ კრიმინალურ ავტორიტეტებთან კავშირში დაადანაშაულა ახლახან გასულ სიუჟეტში, რომელსაც ის „იაფფასიან ცილისმწამებლურ კამპანიას“ უწოდებს.

**„არაფერი საერთო არ მაქვს მაფიასთან, არც წარსულში მქონდა და არც ახლა“,** — თქვა მან.

ქართული პოლიტიკური პარტიებისთვის უჩვეულო არ არის ამომრჩეველთა მოსაზიდად მათთვის კანდიდატებად ცნობილი ადამიანების შეთავაზება.

**„პრობლემაა, როდესაც ქვეყანაში არ გყავს პოლიტიკაზე ორიენტირებული პოლიტიკური პარტიები ან შეჯიბრი იდეოლოგიურ საფუძველზე“,** — ამბობს ანალიტიკოსი გია ნოდია.

მართალია, საზოგადოებრივი გამოკითხვების თანახმად, მმართველი პარტია მნიშვნელოვნად უსწრებს ოპოზიციას, თუმცა ნოდია ფიქრობს, რომ კალაძეს კარგი შანსი აქვს, არჩეულ იქნას მისი მშობლიური ქალაქის — სამტრედიის საარჩევნო ოლქში.

**„ის იქ დიდი გმირია და არ გამიკვირდება, თუკი გაიმარჯვებს“,** — ამბობს ნოდია.

**მეთიუ კოლინი**
AFP

# «თბილისის საოპერო ფესტივალი» დაიწყო

**კონსერვატორიის დიდ დარბაზში გაიხსნა საერთაშორისო ფონდის — „თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის“ მიერ დაფუძნებული „თბილისის საოპერო ფესტივალი“.**

9 ივლისს გაიმართა პირველი საფესტივალო კონცერტი, რომლის პროგრამაში იყო პეტრე ჩაიკოვსკის „სერენადა“ სიმებიანი ორკესტრისთვის და კონცერტი ვიოლინოსა და სიმფონიური ორკესტრისთვის. მსმენელს უმასპინძლა თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის ორკესტრმა, რომელსაც უძღვებოდა თეატრის მუსიკალური ხელმძღვანელი, იტალიელი დირიჟორი **ჯანლუკა მარჩიანო**. აუდიტორიამ გაიცნო ფესტივალის სპეციალური სტუმარი, სახელგანთქმული ახალგაზრდა მევიოლინე **ვალერი სოკოლოვი**.

„თბილისის საოპერო ფესტივალის“ შემდგომი სამი საღამო დაეთმობა ჯუზეპე ვერდის ოპერებს — 15 ივლისს შესრულდება „ნაბუქო“, 20 ივლისს „ატილა“, 25 ივლისს „ტრუბადური“ (წარმოდგენილი იქნება ოპერების საკონცერტო ვერსიები).

„თბილისის საოპერო ფესტივალის“ საბაზო კოლექტივია ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი, მისი სოლისტები, გუნდი (**მთავარი ქორმაისტერი — ავთანდილ ჩხენკელი, ქორმაისტერი — შალვა შაორშაძე**), სიმფონიური ორკესტრი (**კონცერტმაისტერი — ლელა მჭედლიძე**). ფესტივალის სპეციალური სტუმრები ასევე არიან — **ანტონინის უნივერსიტეტის გუნდი** (ბეირუთი, ლიბანი), საზღვარგარეთ წარმატებით მოღვაწე ახალგაზრდა ქართველი მომღერალი **რამაზ ჩიკვილაძე**, რომელიც ატილას პარტიას შეასრულებს ვერდის „ატილაში“, სადაც თბილისის ოპერის თეატრის გუნდთან ერთად იმღერებს ანტონინის უნივერსიტეტის გუნდიც.




„თბილისის საოპერო ფესტივალის“ აუდიტორია შეხვდება ოპერის თეატრის სოლისტებს: **გია ასათიანს, მაყვალა ასპანიძეს, სულხან გველესიანს, გოჩა დათუსან-ჯიღაურს, არმაზ დარაშვილს, თეა დემურიშვილს, ლევი იმედაშვილს, მანანა იორდანიშვილს, ნიკოლოზ ლაგვილავას, გიორგი მახარაძეს, ირაკლი მურჯიკნელს, ელენა პუტილოვას, ირინე რატიანს, თამაზ საგინაძეს, მიშელინა ქობალიანს, ტარიელ ჭიჭინაძეს, ზაალ ხელაიას, ანზორ ხიდაშელს**. საფესტივალო საღამოებს წარუძღვება დირიჟორი **ჯანლუკა მარჩიანო**.

**ეწვიეთ „თბილისის საოპერო ფესტივალს“!**
**www.opera.ge**

წმიდა ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსის სამრეკლო

| | |
|---|---|
| ს.ს „გაერთიანებული ტელეკომი“ | 602602 |
| შპს „ახტელი“ | 700818 |
| შპს „მაგთიკომი“ | 200320 |
| შპს „ჯეოსელი“ | 700305 |
| შპს „ბილაინი“ | 200333 |

ფოთისა და ხობის ეპარქიის განვითარების ფონდის საბანკო რეკვიზიტია:

ს.ს „თი ბი სი ბანკის“ ფოთის ფილიალი
ბანკის კოდი 220101937;
ა/ა 63636080100001; ს/კ 215141246

თანხის ჩარიცხვა შეგიძლიათ სწრაფი გადახდის აპარატებით
იხ. მენიუში: სხვადასხვა — ქველმოქმედება — წმ. ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსი.

ინფორმაციისთვის მიმართეთ ფონდის დირექტორს, დეკანოზ თევდორე ბასილაიას:
ქ. ფოთი,
ნ. ნიკოლაძის მოედანი №3,
ტელ.: 8(293) 70736,
მობ.: (599)936563,
e-mail: eparqia-f@mail.ru



მედიანიუსი
საინფორმაციო სააგენტო
http://www.medianews.ge

საქართველო და მსოფლიო
ყოველკვირეული გამოცემა
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru

ISSN 2233-3894